გიორგი მალაშხია

სულის ამბოხი

ფიქრები ლექსებად

ცხოვრების ფილოსოფია

მეორე გატაცება

თბილისი

2016

UAC

წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსების არასრულ კრებულს. მათში ასახულია ჭეშმარიტების მაძიებელი სუბიექტის მიერ დანახული საკუთარი მე, დამოკიდებულება გარე სოციალური და ბუნებრივი სამყაროს მოვლენებისადმი მისი ძირითადი პროფესიის - მეცნიერ-მკვლევარის აღქმასთან შერწყმული მხატვრული ხედვითა და სტილით. ლექსების უდიდესი ნაწილი პირველადაა გამოტანილი მკითხველის სამსჯავროზე.

რედაქტორი ევგენი ბარათაშვილი

ყდის დიზაინი დია შალაშის

ლექსების ამ კრებულს ავტორი უძღვნის
კაცობრიობის იმედს – მომავალ თაობას

რედაქტორისგან

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი–ეკონომისტის გიორგი მალაშხიას პოეტური კრებულის ,,სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად, ცხოვრების ფილოსოფია“ პირველსავე ლექსში პოეზიის დანიშნულების შესახებ ვკითხულობთ:

,,მიშველის ლექსი, როცა ძალა
ცნებებს არ ყოფნის,
როცა ლოგიკა თვით რკინისა
ხდება უძლური,
რითმა იფეთქებს ცხადზე ცხადი,
ისე, ვით თოფი,
შემეცნების ჟინს დააოკებს,
ვით ღვინო წყურვილს!"

იგი მართლაც ამ გზით ახერხებს კიდეც ადამიანებთან მიიტანოს თავისი მსოფლხედვა, გარემოსა და სხვა ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, მეცნიერული იდეები. მარჯვედ იყენებს იმ უპირატესობას, რაც მხატვრულ სიტყვას აქვს, რომ მის მიერ დანახული სამყარო წარმოსახოს უფრო ნათლად და გასაგებად, მიმზიდველი ფორმითა და შინაარსით, ვიდრე ცნებითი აზროვნების, აკადემიური ფორმისა და სტილის მეშვეობით არის შესაძლებელი, რაც ყველას არ ძალუძს. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს

ცხოვრების სინამდვილის მეცნიერული, ფილოსოფიური ხედვისა და მხატვრული ასახვის ერთგვარი, ორიგინალური, ჩემი აზრით, ნაყოფიერი სიმბიოზი.

გიორგი მალაშხია მრავალ ქვეყანაში და ენაზე გავრცელებული ორიგინალური, ინტერდისციპლინარული, კერძოდ ფუნდამენტურ მეცნიერებათა, ფილოსოფიური, სოციოლოგიური და მეტათეორიულ–ეკონომიკური კვლევების საფუძველზე შესრულებული ნაშრომების ავტორია. მის მიერ მეცნიერებაში შემოტანილია რიგი მეთოდოლოგიური, მეტათეორიული სიახლე. საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნაც, რომ მან თავისი ორიგინალური მონოგრაფიით ,,მეტაეკონომიკა–ეკონომიკის ფილოსოფია", რომელიც ამ სფეროში პირველი სისტემა შემქმნელი ნაშრომია, საერთოდ, საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების ახალ მიმართულებას – მეტაეკონომიკას – ეკონომიკური თეორიის ფუნდამენტურ განშტოებას, რომელიც შემდგომ განავითარა რიგი კვლვებით. როგორც მეცნიერი, გიორგი მალაშხია ნერგავს ეკონომიკისა და ცხოვრების ჰუმანიზაციის – ცხოვრების ადამიანურად მოწყობის, ადამიანთა შორის სოლიდარობის, თანადგომის, ასევე ზედმეტობის, მანკიერი მოთხოვნილებების და ადამიანთა სხვა ხარვეზების დაძლევის, ცხოვრების ესთეტიზაციის, ყველასთვის ბედნიერების უზრუნველყოფის იდეებს. მან დაასაბუთა ევდემონისტური ქცევის – საყოველთაო ბედნიერების მიზნით ადამიანთა მოქმედების – აუცილებლობა, ნამდვილი კეთილდღეობის, სიკეთის ეკონომიკური აზრი და ბოროტების უპერსპექტივობა, თვით ეკონომიკურ ურთიერთობათა ასპექტითაც, კარჩაკეტილი ინდივიდუალისტური მოტივებით მოქმედების ურგებობა.

გიორგი მალაშხიას პოეზიის თემები მრავალფეროვანია. მასში დიდ ადგილს იკავებს სწორედ აღნიშნული იდეები. ადამიანურ

ურთიერთობათა, მათ შორის სიყვარულის, სილამაზის, ცხოვრების მშვენიერების დამკვიდრების, ბოროტების აღმოფხვრის თემები; წარმოჩენილია ადამიანთა და მათი ცხოვრების ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები. იგი ცდილობს ჩაწვდეს ცხოვრების ფილოსოფიას, საზრისს, ნამდვილი ბედნიერების წყაროს, გააგებინოს ეს სხვებსაც, ვისაც ეს ჭირდება; გვიხატავს კარგ და ცუდ ადამიანთა სახეებს, რომ კონტრასტულ ფერებში დაგვანახოს სიკეთის სარგებლობა და ბოროტების ზიანი, საბოლოოდ თვით მათი მატარებელი პიროვნებებისთვის. მკაფიო ფერებშია წარმოჩენილი ყოფის კანონი, რომ სიყვარული სიკეთის, ბედნიერების წყაროა და სიძულვილი – უბედურებისა, რომ მწარედ ცდებიან ისინი, ვინც მრუდი გზებით, კაცობრიობის მიერ შემუშავებულ ფასეულობათა იგნორირებით ფიქრობენ ,,კარგად“ მოიწყონ ცხოვრება, ბედნიერება თავიანთთვის ,,მოიხელთონ“ სხვისი უბედურების ხარჯზე. ავტორი აჩვენებს ზედმეტობისკენ მიდრეკილების, ფუფუნების უაზრობას, უსამართლობის, უზნეობის, ადამიანთა შორის ზღვარსგადასული ქონებრივი და ძალაუფლებრივი უთანასწორობის ისტორიულ ფესვებს, თვლის მათ ისტორიის სიმახინჯედ, მის დაძლევას – გამოწვევად კაცობრიობის წინაშე.

მან, ჩემი აზრით, მხატვრულად გაიაზრა რიგი სოციალურ–ეკონომიკური პრობლემა, კერძოდ, თუ როგორ იქმნება საერთო და არა ერთეულების ძალისხმევით სიმდიდრე, რასაც უნდა შეესაბამებოდეს მისი განაწილებაც, რომ იგი სამართლიანი იყოს; წამოსწია უქმი ეკონომიკის და უაზრო, ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვების არსებობის მიზეზები, აჩვენა მათი უდიდესი ზიანი თვით ცალკეული ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის, კაცობრიობისთვის; დაადასტურა, რომ ფაქტობრივად, ჭეშმარიტი აზრით, ზედმეტი არაგონივრული, სარგებლობის არ მომტანი

მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მავნე და დაბალი კულტურის, გემოვნების ნიშანია; დღეისათვის დგას მათი აღმოფხვრის, როგორც საერთო ბედნიერების დამკვიდრების საკაცობრიო პრობლემა,

ავტორს აწუხებს ადამიანთა მანკიერებანი, არასწორი ქცევები, რაც მიაჩნია მათი უბედურებების ამოსავალ მიზეზად. ესაა ის, რომ ადამიანები უმეტეს უბედურებებს თავად უმზადებენ და დაატეხენ თავიანთ თავსა და სხვებს. ადამიანთა ზნეობრივი, მენტალური, ცნობიერების მანკიერებები კი, მისი შეხედულებით, ისტორიის ცოდვებად, უკუღმართობად, ჯერ კიდევ არასაკმარისი განვითარების ნაყოფად წარმოგვიდგება. იგი საფრთხეს უქმნის ადამიანთა მოდგმის მომავალს. აქედან თავის დაღწევა უპირველეს გამოწვევად გვევლინება კაცობრიობისათვის. ამის რესურსს იგი ხედავს ჭეშმარიტ აზროვნებაში, განვითარების მაღალ დონეში, წარსულის წინააღმდეგობრივი, რეალობით ჩამოყალიბებული მანკიერი მენტალიტეტის, ჩვევების, ქცევის მცდარი მოტივების დაძლევაში. იგი მოუწოდებს ადამიანებს ჩამოიშორონ ზნეობრივი სიმახინჯეები, უაზრო ცდუნებები, რაც მათ ბედნიერებას ხელს უშლის, რის გარშე სუიციდის წინაშე აყენებენ თავიანთ თავს, კაცთა მოდგმას. ამ აზრის გასამყარებლად ის მოხერხებულად იყენებს პროგრესული მეცნიერების, კაცობრიობის პრაქტიკული სიბრძნის საგანძურს. ავტორი გამსჭვალულია სურვილით შთააგონოს ადამიანებს, რომ სიმახინჯეებით დახუნძლულ მსოფლიოში ცხოვრება არავისთვის არაა სასურველი, სასიკეთო და საამო. ამიტომ მისი შეცვლა, მანკიერებათა, ბოროტებათა დაძლევა მთავარი მიზანი უნდა იყოს დღეისათვის ხალხებისა და კაცობრიობისთვის.

ეს კრებული ნამდვილად სულის ამბოხია, ზარების შემოკვრაა საშიშროებათა გამო, რის შედეგად ცივილიზაცია დაღუპვის

საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს ჯერ კიდევ მისი არსებობის დღევანდელ, ადრეულ ეტაპზე.

კრებული თითქოს ავტორის ბიოგრაფია და მისი, როგორც პიროვნების, პორტრეტია. გიორგი მალაშხია აქ წარმოგვიდგება ოპტიმისტ, საკაცობრიო ფასეულობებზე – ზნეობაზე, სამართლიანობაზე, ჭეშმარიტებაზე, მშვენიერებაზე, საერთოდ სიკეთეზე თავგამოდებულ მზრუნველად, ადამიანთა მანკიერებების, ცხოვრების სიმახინჯეთა მამხილებლად და მგმობელად, მათი დაძლევისათვის მებრძოლად. ამ ლექსების მიხედვით, ჩვენს წინაა ადამიანთა შორის ემპატიის, სოლიდარობის, ადამიანური ურთიერთობის, ზედნიერების დამკვიდრების იდეური ქომაგი.

მოწონების ღირსად მიმაჩნია გიორგი მალაშხიას, როგორც ღრმად მოაზროვნე შემოქმედის, მცდელობა წამოეწია ეს თემები და წარმოედგინა მათი გააზრება, მხატვრული ფორმით მიეწოდებინა იგი მკითხველისათვის. ვფიქრობ, მან ეს ორიგინალურად, შთამბეჭდავად და მიმზიდველად გააკეთა. ვფიქრობ, მისი ნააზრევი და დაწერილი გზას იპოვის მკითხველისაკენ, ბევრს გახდის თავის თანამოაზრედ და თანამდგომადაც.

მე აქ მიზნად არა მაქვს გავაკეთო გიორგი მალაშხიას პოეტური კრებულის სრული ანალიზი, ამას ალბათ იკისრებენ სპეციალისტები, მხოლოდ მინდა მკითხველს, ვისაც არ წაუკითხავს, გარკვეული ინტერესი გავუჩინო ლექსების ამ კრებულის მიმართ, რასაც, ჩემი ღრმა რწმენით, ის იმსახურებს.

„სულის ამბოხი"– ადამიანური პოეზია ადამიანზე

(გიორგი მალაშხიას პოეტური კრებული ,,სულის ამბოხი'')

თანამედროვე სამყარო რთული და მრავალსახოვანია. ის ერთგვარი საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების, ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური და ესთეტიკური სისტემების ცვალებადობის და ზემოქმედების ლოგიკური შედეგია. მაგრამ დროის სვლასთან ერთად სულ უფროდაუფრო საგრძნობია თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, ადამიანის ფსიქიკისა და ზნეობრიობის გართულებული შინაგანი წინააღმდეგობები. თავისთავად ცხადია, რომ ემპირიული დროისა და სივრცის თვისებრივი ცვლილებები ადამიანის შემოქმედების არსსა და მნიშვნელობასაც ცვლის. მისი საზღვრები პარადოქსულად ტრანსფორმირდა და ერთდროულად თითქოს უსასრულოდ გაფართოვდა, კიდეც შეერწყა ერთმანეთს, იმ ზომამდე, რომ ზოგჯერ მართლაც შეუძლებელი ხდება მყარი ზღვარის დანახვა სხვადასხვა არსის მქონე სიბრტყეებსა და სულიერი ინტენსივობის შედეგებს შორის.

პლატონის აზრით, პოეტის ადგილი იდეალურ სახელმწიფოში არ იყო. რა თქმა უნდა, ამ იდეას პრაქტიკულად არასოდეს შეუსხამს ხორცი, მაგრამ პოეტური ხედვა რომ ყოველთვის დიდწილად მიუღებელი იყო სხვადასხვა სოციალური სისტემისათვის, როგორც რაღაც ზეთავისუფალი, არაპრაგმატული, არაკონფორმისტული, დაუმორჩილებელი – ამას ბევრი მოვლენა და

ფაქტი ადასტურებს. თუმცა პოეზიის უჩარჩოობის მიღმა საღი აზრის, მაგალითისა და ფილოსოფიური სიღრმის ძიებაც არასდროს ყოფილა უცხო.

პოეტი თავისი არსებობით აფხიზლებდა და ნივთიერზე მიჯაჭვისაგან იცავდა სამყაროს. მისი არსებობა ყველა სხვა სულიერ პროცესს აძლიერებდა და ხელს უშლიდა ადამიანის მხოლოდ გამართულ ბიომექანიზმად გადაქცევას. თანამედროვეობის წინაშე უფრო მძაფრად და უფრო აშკარად, დაუფარავად სახილველად წამოიმართა ეს პრობლემები. განსაკუთრებით მასობრივი კულტურის მიზეზითა და ავი დამსახურებით, რომელმაც ხელოვნებას თავსართად *ფსევდო*– მიაწება და მივიღეთ კიდეც ფსევდოპოეზია, ფსევდოხელოვნება. ზოგადად, ყველანაირი ფსევდო–სულიერი პროცესი კიდევ უფრო საშიშია, ვიდრე სულ უპოეზიობა, უხელოვნობა ან თუნდაც სულიერი პროცესებიდან აქცენტების მთლიანად ხორციელზე გადატანა, რადგან ფსევდოსულიერება ანგრევს და ამრუდებს ყველაფერს, რაც არა მხოლოდ ადამიანურია, და ზოგადად სიცოცხლის ბუნებრივი ჰარმონიის წინააღმდეგაა მიმართული.

თანდათან მთელს ცივილიზაციას იპყრობს მზა სქემები და სტრუქტურები, რომლებიც არსებობის მიზნად დროისა და სივრცის მხოლოდ გამოყენებას, მითვისებას, მისით ცივ ტკბობასა და ყველაფრის უპირობოდ, უზნეოდ, ერთბაშად და ერთად მიღების, დაუფლების მგზნებარებაშივე ყალბ ვნებას აღაზევებს.

მაგრამ დროის ნაკადი უწყვეტია და დროთა კავშირი რომც დაირღვეს და დანიის სამეფოში რაღაც დალპეს, მისი მაგალითები და გამოცდილება უკვალოდ არასოდეს იკარგება. დროის იმ მონაკვეთში, რომელშიც მაკიაველი ფიქრობდა და წერდა, ჩეზარე ბორჯია კი მოქმედებდა, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოსა და რაფაელის სულით, გულითა და ხელით შექმნილმა დაიცვა

ადამიანურობა და მშვენიერება. ეს არის გაკვეთილიც და ერთგვარი მატრიცაც, არქეტიპიც, რომელიც დაწყვეტილ დროულ კავშირებში მაინც გადარჩა და აშკარად ხელოვნების, შემოქმედების მეტაფიზიკურ ბუნებაზე მიუთითებს. არადა თანამედროვე მასობრივმა ,,კულტურამ'' წარმოუდგენლად გაზრდილი საკომუნიკაციო საშულებით სწორედ ეს მეტაფიზიკური საძირკველი ამოიღო მიზანში.

სწორედ ასეთ ვითარებაში წარმოჩნდება ნამდვილი პოეზიის განსაკუთრებული და დროის თვისებრიობის კვალდაკვალ გაზრდილი პასუხისმგებლობაც და მისიაც. პოეზია ნამდვილი სულიერი ცხოვრების ერთი ძლიერი შემქნელთაგანისა და გადამრჩენის ფუნქციას იძენს. თანამედროვე ცივილიზაციაში რაციომ იმძლავრა და ეს ლოგიკური და გასაგებია, მაგრამ ემოცია გაიწიროს – ეს უკვე არაბუნებრივია. ამ დროს პოეზიის როლი და მნიშვნელობა განუზომლად მატულობს – მან გონებისა და გულის დარღვეული კავშირი უნდა აღადგინოს ბუნებრივი ჰარმონიის აღსადგენად, რადგან ამ კავშირის რღვევა უფრო დამანგრეველია, ვიდრე დროთა კავშირის მსხვრევა.

ილია ჭავჭავაძემ ზუსტად განსაზღვრა პოეზიის არსი ახალ რეალობაში (და მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე ეს ახალი რეალობა გამოიკვეთა სხვადასხვა დონეზე):

,,მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა".

გიორგი მალაშხიას წიგნი **,,სულის ამბოხი''**, მისი პოეზია აღძრავს ზუსტად ამ განცდას – ჰარმონიული სამყაროს შემოქმედის სიტყვასთან შეხვედრის სრულიად ნათელ შეგრძნებას. ეს კრებული

– საკმაოდ დიდი მოცულობისა და შინაარსის მქონე – თანამედროვე აზროვნების, ხელოვნების, პოეზიის დისკურსში წარმოსდგა, როგორც თვითმყოფადი და თვითკმარი შემოქმედებითი ინდივიდის მიერ აგებული მხატვრული სინამდვილე, ახალი სიტყვიერი სიცოცხლე, რომელსაც აქვს ძალა პოეტურ სახეებში გონება და გული შეაერთოს, ერთმანეთს თავისუფლად და ბუნებრივად დაუკავშიროს აზრი და გრძნობა. აქ განსაკუთრებით და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს პოეტის სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულება – იგი კალამს ხელში იღებს იმისთვის, რომ გადმოსცეს თავისი ღრმა ფიქრები, მსჯელობის შედეგები, დაკვირვებანი და არა სიტყვაზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად. პოეტი ერთგვარ ფილოსოფიურ–პოეტურ მოდელს ქმნის, რომელიც სამყაროს მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოდგენის სურვილმა გამოიხმო მიკროკოსმოსიდან (სურვილმა და არა პრეტენზიამ) მაკროკოსმოსის პირისპირ და ეს მძაფრი, მაგრამ მშვიდი, კეთილგონიერი სწრაფვა აზრის ინტენსივობასთან ერთად სიტყვის ფლობასაც მოითხოვს და ამიტომ უნდა აღინიშნოს განსაკუთრებულად ის სისადავე, რომელიც ამ ლექსებშია. პოეტს უზომოდ ჭრელი სიტყვიერი ფარდის შექმნა არ უნდა და არც ქმნის. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან უამრავი მაგალითია ცნობილი და არა მხოლოდ ლიტერატურული ცხოვრებიდან, როცა დეკლარირებული აზრი და პრაქტიკული ხორცშესხმა როგორც ცა და დედამიწა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ წიგნს ეს ღირსებაც აქვს და თავიდან ბოლომდე გასდევს – აზრის სიღრმე, ყოველმხრივ დაწახნაგებული ფიქრის სიმაღლე და მათი გადმოცემის ღირსეულობა, როგორც სახე და ანაბეჭდი უკომპრომისო შემმეცნებლის მუდმივად მოძრავი სულისა.

პოეტის სამყარო ნათელია და ღია, უშურველი: იგი თავისუფლად გვიღებს თავისი ფიქრისა და აზრის, განსჯისა და

მიგნებების თანამონაწილედ, მეტიც, ბუნებრივ ნაწილად აქცევს მკითხველს და არ ცდილობს მოულოდნელი ფორმებით ან უცნაური სახეებითა და მეტაფორებით გააოგნოს. მისთვის სამყაროს და კონკრეტული საზოგადოების თუ მოვლენის არსში წვდომა უმთავრესი ამოცანაა და ვინც მიჰყვება ამ გზაზე, უშურველად გაიყოლებს – გულიანი და გონებისმიერი სტრიქონების ხეივნებში სასეირნოდ და საფიქრელად, მსგავსად აკადემიის ბაღებისა.

ავტორი ქართული და მსოფლიო პოეზიის ტრადიციებს ენდობა, მიჰყვება და ამავე დროს ცდილობს თავისი სულის მოძრაობა, გულისმიერი განცდა და გონების დაძაბული მუშაობის შედეგი ერთ ყალიბში ჩამოასხას და ნამდვილ ლექსად აქციოს. სწორედ ასეთ ლექსს შეუძლია თანამედროვე სამყაროს სიცივესა და გულგრილობას, ფსევდორაციონალიზმს დაუპირისპირდეს თავისი არაყალბი შინაგანი დროითა და სივრცით, შემავსებელი სახეებით, მოვლენებითა და თემებით.

ამ წიგნის თემატიკა მრავალფეროვანია, მოიცავს ადამიანური ყოფისა და გრძნობიერების თითქმის ყველა სფეროსა და საკითხს. აღსანიშნავია ფილოსოფიური სიღრმე და განსწავლულობა. ერთი შეხედვით, შესაძლოა, პოეზიას თითქოს ვნებს ერუდიცია და ანალიტიკურობა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგრძნობა, რომ ამ ლექსების ავტორი შინაგანად, ბუნებრივად, ქვეცნობიერ დონეზეც კი მთლიანად პოეტური წყობის ადამიანია. მისი დაძაბული გონებრივი მუშაობის, განათლების შედეგი და პრობლემების დანახვის და გადაჭრის ძიების უნარი ძალდაუტანებლად გარდაისახა პოეტურ სტრიქონებად და წიგნიდან ირეკლება, რომ ეს ჭკვიანი, გრძნობიერი და ღრმა ადამიანი გულწრფელი და სუფთაა, როგორიც არიან ბავშვები, ფაქიზი და მზრუნველია. ამ წიგნში თითქმის ყველაფერია, რაც ადამიანის სიცოცხლეს ფეხდაფეხ მიჰყვება. ყველა კითხვა დაისმის, ყველა გრძნობა გამოიხატება,

უამრავი პასუხია მოძებნილი, მაგრამ არსადაა მორალისტობის კვალი, ამიტომ ფასეულია, თუნდაც მსჯელობა მოსჭარბდეს ლექსის ფილოსოფიური სარჩულის გამო.

გიორგი მალაშხიას მხატვრული სამყარო არის ინტელექტუალური მუშაობის, გულწრფელი განცდის, ემოციური დაძაბულობისა და პასუხისმგებლობის არა განცალკევებულად ან მორიგეობით, არამედ ერთად მოქმედების შედეგი და ამიტომ აღძრავს პატივისცემის განცდას, მიყურადების, დაჯერების, მასთან ერთად დაფიქრების სურვილს. ეს პოეტური ტექსტები ფაქიზი, მაგრამ ძლიერი სულის ამოძახილია, რომელიც ამავე დროს არაა პრეტენზიული, იმპერატიულად თავდაჯერებული, როგორ მკვეთრ და ,,წყევლა–კრულვიან საკითხსაც'' არ უნდა ეხებოდეს. ამიტომ შეუძლია შეასრულოს არა მარტო წმინდა ესთეტიკური, არამედ ზნეობრივი ფუნქციაც ფსევდოფასეულობების გაბატონებისკენ მიდრეკილ დროსა და სივრცეში, რადგან ეს არის ჭკვიანური, გულიანი, ზნეობრივი და სადა პოეზია. ადამიანური და ადამიანის პოეზია.

ინგა მილორავა

მკითხველთან შესახვედრად

მოგესალმები, კეთილგონიერო და კეთილგანწყობილო მკითხველო, ვინც ჩემი აზრებისა და განცდათა გამზიარებელად მეწვიე. წინასწარ მინდა ჩემი ზოგიერთი სათქმელი გაგაცნო ამ კრებულის ირგვლივ.

ნებისმიერი ფორმით გამოხატული აზრი – თვით ადამიანის ორეულია. ჩემი ლექსებიც საკუთარ ორეულად მაქვს წარმოდგენილი, იქნებ ზუსტი არაა, მაინც ისაა. ისინი სამყაროსა და საკუთარი თავის ჩემეული ხედვის არასრულად, მაგრამ ერთგვარი მიახლოებით გამოხატვის ჩემს მიერ ნაპოვნი ფორმაა. მათში მკითხველი ჩემს სულისკვეთებას, სხვა ადამიანებთან, სამყაროსთან დამოკიდებულებას, გრძნობებს, ტემპერამენტს, მიდრეკილებებს, აზროვნების წესს დაინახავს. მათში ჩემი არსია, ჩემთვის და საერთოდაც იქნებ რაღაც ვირტუალური ფორმითაც გამოხატული. მათი უდიდესი უმრავლესობა დიდხანს ჩემგანაც დავიწყებული და მარტოსულივით გამოკეტილი, საწერ თაბახებს ,,თავშეფარებული“ განაგრძობდა არსებობას (მხოლოდ ზოგიერთი გახდა დღის სინათლის მომსწრე, დაიბეჭდა სხვადასხვა გამოცემაში). როგორც იქნა, მათი ,,გაცოცხლების,“ ფართო ასპარეზზე გამოჩენის სურვილიც გაჩნდა. და მათ მკითხველის N რიცხვი წაიკითხავს, არ ვიცი რამდენია ეს რიცხვი, უთუოდ იქნება გარკვეული სიმრავლე.

ლექსებს ბევრი წერს, ზოგი როგორს და ზოგი როგორს. ყველას ლექსი განსხვავდება ერთმანეთისაგან სტილით, ფორმით,

შინაარსით. ზოგს უკეთ ეხერხება გამოხატოს თავისი თავი, აზრი, სამყაროს ხედვა, ზოგს – ნაკლებად. წერის უფლება კი ყველას აქვს. მისი აკრძალვისა და განკითხვისა – არავის. ზოგს თავად მოსწონს თავისი ნახელავი, ზოგს – არა. ზოგი ახირებულია და სხვას ყველაფერს უწუნებს. ზოგის ნაწარმოები ნაძალადევია, ზოგის - შინაგანი მოწოდებით შექმნილი. ვინ შედევრებს ქმნის, ვინ კიდევ ულაზათო ნაცოდვილარს, რომ თვალს არ სიამოვნებს წაკითხვა და ყურს მოსმენა. ამ დროს არ წაკითხვისა და არ მოსმენისა უფლებასაც ვერავის წავართმევთ.

ჩემი ლექსები ალბათ განსაკუთრებული არაა. მათში ჩემი სათქმელი გადმოცემულია, ხატოვან სიტყვასთან ერთად, აზროვნების ცნებითი წესის ფართოდ გამოყენებითაც, მათში არის მეტაფორები, ჰიპერბოლები, შედარებები და სხვა მხატვრული ელემენტები, მაგრამ არა ჭარბად. ეს ჩემი სტილია. არც ერთი ლექსი ნაძალადევი არაა, სულის სიღრმეში და გონების ქურაში თითქოს უნებურად ჩნდება რითმისა და ფიქრის ხანძარი. ლექსი აზრის, პატარძალივით შემკული, სიტყვიერი საბურველია.

მე ყველა სფეროში აზრის თავისუფალი კონსტრუირების მომხრე ვარ. ვიტყვი იმასაც, რომ ასე თუ ისე ვიცნობ მხატვრული ლიტერატურის ძირითად მიმართულებებს – რეალიზმს, რომანტიზმს, კლასიციზმსა და მოდერნიზმს, პოსტმოდერნიზმს თუ ავანგარდიზმს და ა. შ., ვერკვევი მათში, მაგრამ განსაკუთრებით პატივს ვცემ რეალისტურ და რომანტიკულ პოეზიას, ტრადიციას. ვცდილობ ვწერო ხალხური პოეზიის მიჯნაზე და მიბაძვით, რამდენადაც მასში ვხედავ აზრის სიღრმეს და ფორმის მომხიბლველობას. ვეწინააღმდეგები ფორმით გატაცებას. იქნებ ჩემს ნაწერებში უფრო მოხალისე პოეტი ჩანდეს. იქნებ ხშირად ვარღვევ ხატოვანი აზროვნების, პოეტიკის კოდექსს. იგი ეწირება აზრის სრულად გამოხატვას. მივდევ თავისუფალ სტილს. ეს

დასაშვები მგონია, თუ ხელს შეუწყობს ღირებული აზრის გადმოცემას. ვაღიარებ, რომ არასდროს მისწავლია პოეტური ხელოვნება, ამ დარგის წიგნებთან ნაკლებად მქონია შეხება. ვიცნობ ძველი რომაელი ავტორის კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსის ნაშრომს „პოეტური ხელოვნება“ და ზოგ სხვა ამ ჟანრის წიგნებს, მაგრამ ისინი განსაკუთრებული გულმოდგინებით არ წამიკითხავს თავიდან ბოლომდე საამისო დროის ნაკლებობის გამო. ერთ დროს ინტერესით ვკითხულობდი ეკერმანის საუბრებს გოეთესთან, სადაც მრავალი საგულისხმო ადგილია პოეზიის ტექნოლოგიის შესახებ, მაგრამ მაინცდამაინც დიდი პოეტის დარიგებებს არ მივყოლივარ. ლექსები, პოეზია საერთოდ ყოველთვის მიტაცებდა. რამდენადაც დროს ვპოულობდი, ვკითხულობდი მხატვრულ ქმნილებებს. ქართველი პოეტებიდან განსაკუთრებით მომწონდა, რა თქმა უნდა, რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა, ილია, აკაკი, გრანელი, გალაკტიონი და ბევრი სხვა. ჩვენ უთუოდ გვყავს არანაკლებ გამოჩენილი პოეტები და მწერლები, ვიდრე სხვა ცივილიზებულ ერებს. უცხოელებიდანაც გამორჩეული ინტერესით ვეცნობი ანტიკურ და აღმოსავლურ პოეზიას, ჰესიოდეს, ჰომეროსს, ვერგილიუსს, შექსპირს, გოეთეს, ბაირონს, ჰაინეს, მიცკევიჩს, პუშკინს, ესენინს, ტიუტჩევსა და სხვებს.

ყოველთვის შეზღუდული ვიყავი დროთი, მეცნიერების შესწავლასა და განვითარების მცდელობას, ცოდნის სხვებისთვის გადაცემას, არსებობის საშუალებათა მოპოვებას ეწირებოდა ჩემი სოციალური დროის დიდესი ნაწილი. პიროვნებას არა მარტო საკუთარი ბუნებით მომადლებული რესურსი, არამედ გარემო ქმნის. სხვა, უკეთეს პირობებში ალბათ შეიძლება სულ სხვა ყოფილიყო ჩემი ნახელავი. არ მაქვს, თვითკმაყოფილების გრძნობა. იმასაც კი ვიტყვი, რომ ლექსები მუდამ მეხმარებოდა გამომეხატა ცხოვრების, გარემოს, სამყაროს ჩემი ხედვა და

უფრო მძაფრად და მარტივად, ვიდრე მეცნიერულ ნაშრომებში ვახერხებდი ამას. ვცდილობდი გულისთქმა ჩემს მე–ში არ ჩაკეტილიყო, ხატოვანი ფორმით გამეზიარებინა იგი სხვებისთვის, ვის დაინტერესებასაც შევძლებდი. ესაა ჩემი ამ სფეროში ნაღვაწის აზრიც.

მკითხველი დაინახავს, რომ მეცნიერული პრობლემების, სოციალურ ურთიერთობათა მხატვრული ფორმით ასახვის ჩემი მცდელობა დაკავშირებულია მეცნიერული თუ ფილოსოფიური ნააზრევის მკითხველისათვის უფრო გასაგები ფორმით მიწოდების მიზანთან. ფილოსოფიისა და პოეზიის ერთგვარი კონვერგირების ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის, სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების სახით. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ პოეზია რაღაც ზომით ფილოსოფიაცაა, ავტორის მსოფლხედვა, ოღონდ ცოცხალი სახეების მეშვეობით გამოხატული აზრით. შეიძლება ამ მხრივ გამოვყოთ გამორჩეულ შემოქმედთა დიდი წრის ქმნილებები სხვადასხვა ეპოქისა, თვით მხატვრული სიტყვის უძველესი დიდოსტატებიდან მოყოლებული. კერძოდ, ასეთად გვევლინება ჰესიოდეს ,,სამუშაოები და დღეები“, ლუკრეცუს კარუსის ,,საგანთა ბუნებისათვის“, ასევე გოეთეს ,,ფაუსტი “, ვოლტერის, რუსოს მხატვრული ტილოები და სხვა. ქართველ კლასიკოსთა ბევრი თხზულება ფილოსოფიური შინაარსისაა, განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ილიას ნაწარმოებები. მსოფლიოში არსებობს ამ ხასიათის თანამედროვე ავტორების მრავალი თხზულება. ვისაც ჩემი მცდელობა დააინტერესებს, წაიკითხავს აქ წარმოდგენილ ლექსებს, იქნებ მოწონებაც მერგოს და თანამოაზრეც გამიჩნდეს. ალბათ რაღაც მაინც არ შეიძლება არ მოეწონოს ვინმეს. გემოვნებაზე არ დავობენო – ამბობენ. მახსენდება ვირტუოზი მცხეთელი მეყვავილის, მიხეილ მამულაშვილის, რომელიც ნამდვილი

ხელოვანი იყო, ნათქვამი ერთ ჟურნალისტთან საუბრისას: ზოგიერთ ადამიანს ისეთი ტლანქი რამ მოეწონება და ნამდვილ ლამაზს დაიწუნებს, რომ გაგაკვირვებსო. ეს ზოგადად. ზოგისთვის შეიძლება ჩემი ლექსები არც იყოს ტრადიციული პოეზია, იყოს სხვა რამ, მაგრამ მე ეს არ გამაკვირვებს და არ ამაღელვებს. შემოქმედების თავისუფალების ფარგლებში ჩემს მიერ აქ წარმოდგენილი სახითაა ნაპოვნი ლექსებით საკუთარი თვითგამოხატვა. ისინი სხვდასხვა დროს სხვადასხვა განწყობითაა დაწერილი. მათში იქნებ წინააღმდეგობებიც აღმოაჩინოს ვინმემ. ესეც არ უნდა იყოს გასაკვირი, ჩვენი ცხოვრებაც, ჩვენც ხომ წინააღმდეგობრივნი ვართ. სიკეთითაც და ცოდვებითაც სავსეა ეს მსოფლიო. წარსულს ვერავინ შეცვლის, მე მომავლის შეცვლის სურვილი მამოძრავებს, უკეთესობისკენ შეცვლისა. ამას გამოვხატავ. ჩემს ნააზრევში ალბათ ადვილი საპოვნია ადამიანთა საერთო და კერძო ცოდვების, მანკიერებათა გამო წუხილი. სრულიად უცოდველი და უზადო ადამიანი - ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მთავარია მისი ცოდვები და ნაკლი რაც შეიძლება მცირე და უმტკივნეულო იყოს. ისინი აისახება ჩვენს ცნობიერებაზეც და ცხოვრებაზეც, აისახა ჩემს ნაწერებში, თუ როგორ, ეს მკითხველის განსასჯელია.

დაბოლოს, ვიტყვი იმას, რომ მოწონების სიგნალებიც მომდის. ესეც მაძლევს ჩემი მხატვრული ნააზრევის ფართო სამსჯავროზე გამოტანის სტიმულს. საბოლოოდ, თუ რას დაიმსახურებს ეს კრებული, იმის მერე გამოჩნდება, როცა ის მკითხველთა ფართო წრეს მიეწოდება.

მინდა აქ დიდი მადლიერება გამოვთქვა იმ პირთა მიმართ, რომელთა თანადგომა იყო ამ კრებულის გამოცემის ერთ–ერთი მთავარი პირობა. მადლობა რედაქტორის ტვირთის აღებისა და ყოველმხრივ მხარში დგომისთვის ჩემგან განსაკუთრებით

ეკუთვნის პროფესორ ევგენი ბარათაშვილს. ასევე გამორჩევით უნდა აღვნიშნო ქალბატონი ინგა მილორავას მხარდაჭერა, რომელმაც გულდასმით წაიკითხა, ღრმად გაიაზრა ჩემი ნაფიქრალი, თავისი მაღალი ინტელექტუალური ანალიზით სტიმული მომცა მეზრუნა ამ გამოცემაზე. უმადურობა იქნება არ დავაფასო მახლობელ პირთა დახმარება ამ გამოცემის მომზადების პროცესში. მათ შორისაა: ანასტასია გეთაშვილი, მაია ბენია, დავით კურტანიძე, გურამ ყუფუნია, ვახუშტი ფარცვანია და სხვები. მოკრძალებით მინდა მივმართო ჩემს მკითხველებს. მოველი მათგან დანდობას ცალკეული უზუსტობების და სხვა ხარვეზების გამო, რომელთაგან საერთოდ ძნელია სრულიად თავისუფალი იყოს წიგნი. ფასდაუდებელია, ცხადია, ოჯახის წევრების მხრივ ხელშეწყობა. აღნიშვნის ღირსია ასევე სხვა ახლობლებისა და მეგობრების გვერდში დგომა, რომელთა რიცხვი დიდია და აქ ყველას დასახელება გამიჭირდება.

ფიქრები ლექსებად

აზრთა აკიდოს, ვით მტევნებს, ავკრეფ,
ვუხმობ მათ ძალებს,
მსურს ვიყო მუდამ მოალერსე
სიტყვების მწყემსად;
ფიქრების კონებს, როგორც პირმშოს
ელვარე თვალებს,
მოვეფერები სიყვარულით
და დავწნავ ლექსად.
მსურს სიტყვა იყოს, როგორც ელვა,
მკვეთრი და სხარტი,
მზის სხივებივით იღვრებოდეს
ვრცელ სამყაროში,
რომ ჰქონდეს ძალა მიმზიდველი
მას ანდამატის
და არა ჰგავდეს მოცახცახეს,
ყინვით გათოშილს!
მიშველის ლექსი, როცა ძალა
ცნებებს არ ყოფნის,
როცა ლოგიკა თვით რკინისა
ხდება უძლური,
რითმა იფეთქებს ცხადზე ცხადი
ისე, ვით თოფი,
შემეცნების ჟინს დააოკებს,

ვით ღვინო წყურვილს!
აზრთა აკიდოს,
ვით მტევნებს, ავკრეფ,
ვუხმობ მათ ძალებს,
მსურს, რომ შევეხო მხოლოდ
ნატიფ სიტყვათა სიმებს,
ფიქრთა კონების კოცონს
ალმად ავაბრიალებ,
ლექსით მე ავწევ უშველებელ
აზრთა სიმძიმეს

* * *

კრედო

Sapienti sat *
ლათინური სეტენცია

ვძერწავ სტრიქონებს
და ყოველ სიტყვას
ისე, როგორც შვილს,
თავს დავკანკალებ.
ვისაც კი მოსწონს,
ის წაიკითხავს,
ვისაც არა და
მე არ ვავალებ!
ჩემს სათქმელში ვდებ
სულის ნათებას,
მას. ვით ცა ღრუბელს,
საქვეყნოდ გავფენ,
არ ვეჭიდები

* გამგები გაიგებს.

ცივ უკვდავებას,
აზრებთან ჭიდილს
კი დავეწაფე.
აზრში ჩავძირე
ღრმა გულისძგერა,
სტრიქონის სიმში –
სუნთქვის აკორდი,
რითმებში ჯდება
თვით ბედისწერა
და ჩემი არსიც
მათგან ამოდის.
ვძერწავ სტრიქონებს
და ყოველ სიტყვას
ალერსით ვუმზრ,
ვით ლამაზ ქალებს,
მიპოვის მათში,
ვინც მოისურვებს,
ვინაც არა და
სხვას არ ვავალებ!

* * *

სტილი

კალამს რომ ვიღებ,
ვწერ მე ლექსს სადას
არა ტლანქს და რთულს,
რომ არა ჰგავდეს
სიჭრელით ფარდას,
ფერებში ჩაფლულს.
მეწვევა როცა მე შთაგონება
ოცნებით გართულს,

ვით პირმშო, გულში
რომ მეკონება,
ვუხმობ იმ ქართულს!
კალამს რომ ვიღებ,
ვწერ მე ლექსს სადას,
არა ტლანქს და რთულს,
რომ ყველა ჩაწვდეს,
ჩემს აზრებს ცხადად,
ქარაგმით არ თქმულს,
და სიხარულით მივწვდები ზეცას,
ღრუბლებით დახნულს,
ტკბილ ხმად მივაწვდენ
მოყვარეს, მტერსაც
სიტყვას ნაღდ ქართულს!
სამყაროს ვხატავ,
როგორც მწამს ისე,
არ მწყინს მიწოდოთ,
გინდ მოხალისე!

* * *

მე – ეს მე ვარ

ვეტრფი სიცოცხლეს ნათელს, მადლიანს,
ნამდვილ სიქველეს ყველას ვუწონებ.
ვეთაყვანები შემოქმედს ჭკვიანს,
მის შემართებას, აზრის ძალ–ღონეს!
არ ვეზომები სხვებს, ჩემს გზას ვკვალავ,
თვალშიც არავის არ ვეჩხირები,
მიზნებს შევწირავ დროსა და ძალას,

არ ვარ მსურველი ყველასგან ქების,
ველტვი შენებას, ვერ ვიტან ნგრევას,
არ ვინიღბები, მე – ეს მე ვარ!

* * *

პოეზია

გულს ავსებს ფიქრი თავამდე,
ვით ღვინო, ლამაზ სურას,
ხისტად დამაყრის მკაცრ განცდებს,
ხან მტანჯავს, ხან კი მკურნავს.
ზოგჯერ დიდ სიბრძნეს იტევს,
ხან მჩატობს, როგორც ფთილა,
მომართულია, ხან მიტევს,
მიღიმის ხან, ვით დილა!
ხან ბობოქარი, ვით ქარი,
შემიცვლის იერს, პოზას,
ხან ფიცხია და აშარი,
ხან – მდორე, როგორც პროზა!
სულ სხვა რამ არის ფაქიზი
ფიქრი ასხმული ლექსებად,
აჟღერებული ხმა მისი
თითქოსდა მეალერსება!

* * *

განა ლექსია

ყველა სიტყვას აქვს მისი ადგილი,
როგორც ვაზის ძირს
და მერცხლის ბუდეს.
იპოვო იგი, აღარ არის სულაც ადვილი,
ვინაც ვერ აგნებს,
სჯობს, რომ დადუმდეს.
სიტყვას, ვით ხორბალს, მისი ფესვი აქვს,
ის უნდა იყოს გალაღებული.
განა სტრიქონი გარითმული
ყველა ლექსია,
თუ კი არ არის, როგორც კერა,
აალებული!

* * *

საქართველოო, უნდა აყვავდე!

ქართულო მიწავ, ხარ საწალკოტე,
სულ სხვა ეშხი აქვს შენს ტიტებს, ვარდებს,
შენ უნდა შლიდე ნატვრის ხის ტოტებს,
უნდა გაბრწყინდე, უნდა აყვავდე!
ურყევ ფუძედ გაქვს დიდი წარსული,
გყავს ფარნავაზი, სპეტაკი ქუჯი,
გლოცავს თამარის უკვდავი სული,
ხარ სიკეთეთა სავსე საუნჯე,
უქრობი მადლის უხვი წიაღის
მპყრობელადა ხარ შვილთა გულების,
ლაღ ოცნებათა ლურჯი ცის თაღის

გეღვრება სითბო მარად ულევი.
ბუნება გერგოთ მადლით საზღაპრო,
ძენო კოლხეთის, მხარის ივერთა,
მოყვათთვის მოდგმით ხართ უღალატო,
რისხვა ხართ მხოლოდ მოსისხლე მტერთა!
გიდგანან მარად ბურჯებად ერის
სვეტიცხოველი, გელათი, გრემი...
ციური შუქით, ლაღი იერით
ქართველთ მიწავ, ხარ ბაღი ედემის!
გვამხნევებ სულით დაუდეგარი,
როგორც ენგური, ანცი თერგია,
იდუმალ ფიქრებს გინახავს მტკვარი,
ჩქეფს ერის სიბრძნის ზღვა ენერგია!
დე, ენთოს შენი აზრის ნათელი,
სიტყვა კაზმული, ვით პატარძალი,
სიბრძნის მპყრობელი გონი ქართველის
ელავდეს მძაფრად, როგორც კვაზარი!
ამაღლდეს შენი მეგაირაღე,
ჭეშმარიტების აზრის მწვდომელი
ხალხის გულისკენ ვინც კარებს აღებს,
და მისი განძის არის მფლობელი!
ამერ და იმერ, დე, დაინერგოს
წესი ურყევი, ვით კლდე, მაგარი,
ხალხს უნდა ერგოს, უნდა შეერგოს
მისი ნაღვაწი და მონაგარი!
ვერ გვნებდეს, ვით ვეფხს კლანჭები კატის,
თითო–ოროლა შვილი გაგრია,
მიიღებს მისას, ვინაც ღალატით
უწყალოდ გძარცვა და დაგანგრია!

უნდა აყვავდე სიკეთის რწმენით,
ალალ–მართალთა ნუგეშ–იმედად,
ხარობდეს მყარად ქართული გენი,
ლოცავდეს შენს დიდ გზას ქართლის დედა!
ქართული მიწავ, ხარ საწალკოტე,
ახარებ მკერდზე ტიტებს და ვარდებს,
შენ უნდა შლიდე ნატვრის ხის ტოტებს,
ედემის ბაღად უნდა აყვავდე!

* * *

თბილისის საიუბილეო*

ქართლის შვილებმა ჩაგიდგეს ბურჯი
და გიშენებდნენ ურღვევ კარიბჭეს,
მათ დაგიმარცხეს დუშმანი ურჩი
და უკვდავება შენ მოგანიჭეს.
ზღაპრის მშვენების აბრწყინებს ეშხი
შენი მიწის მკერდს და ზეცის თაღებს;
დღეს საქართველო აგიყვანს ხელში,
რა წარმტაცი ხარ ყველას ანახებს!

* * *

* გამოქვეყნდა გაზეთ ,,თბილისში “ საიუბილეო დღესთან დაკავშირებით.

სამშობლოს

შენს მთაზე როცა ავალ, ვარწივობ,
ამირანივით მიფეთქავს მაჯა,
კავკასიონი მხრით რომ ავწიო,
მომეჩვენება სულ მცირე გარჯად!
ვარ შენი კენჭი,
სიამაყეს მე შენით ვჩემობ,
მტერს დავცემ ბეჭით,
შენ მამხნევებ, მიწაო ჩემო!

* * *

ფორტუნა

ამ ქვეყნად მოველ, აბა, მე რისთვის,
რა ძალა მმართავს, ვინ მეფერება?
ეჰე, მზის სხივთა ჩოხა ჩაიცვი,
გამომეცხადე, ბედნიერებავ!
განა ტკივილმა უნდა დამტანჯოს,
დამკორტნოს, როგორც მძორი ყორანმა,
ნუთუ ქიშპმა და შუღლმა დამტანჯოს,
მათრიოს ტლანქმა ბედის ბორანმა?
განა იმისთვის ვარ გაჩენილი,
ბოროტმა ძალამ მომიღოს ბოლო?
მე მინდა ვიყო გამოჩენილი
დიდი საქმით და სიკეთით მხოლოდ!
ხომ იმიტომაც ამ ქვეყნად დავალ –
ვიყო ლაღად და დავტკბე ხალისით,
უკუღმართობის არ მძლიოს ძალამ,

ვიღიმებოდე, როგორც მაისი!
მე არ მსურს ვიყო ვინმეს მორჩილი,
ვინმემ გამთელოს, მონად მაქციოს
არ გავხდე ვინმეს ლანდი და ჩრდილი,
ჩემი ჭაპანი თავად გავწიო!
ვერც ვერვინ გამტეხს ქვემეხით, თოფით
თუმც ზნეკეთილი ვარ და ალალიც,
აღარ შედრკება სული ამბოხი,
რადგან გენში ზის აზრი მაღალი!
უნდა ვიხარო და სხვაც ვახარო,
და არსებობის ტკბობა ვიწვნიო,
კაცობის დროშა მაღლა ვატარო
და წინაპართა სიბრძნეს მივდიო!
მსურს ვემსახურო კაცთა მოდგმის წესს,
ვიხარჯებოდე დიადი მიზნით,
შევქმნა, ვაშენო – ეს ვალად მაწევს
არ მერგოს ხვედრი ამ ქვეყნად ხიზნის!
მე მსურს მაღლა სვლა, მწვერვალზე დგომა
მსურს მანათობელ კოცონად ვენთო,
ვეთაყვანები აზრმაღალ შრომას,
მსურს დავშრტე მისით და მოვითენთო!
მე მინდა ვიყო სიმართლის ძალა
და ეს ჭაპანი ხალისით ვზიდო,
ვიხარებ, თუ სხვებს გზას გავუკვალავ,
და მათი ნდობა მერგება ჯილდოდ!
ჰე, მამსახურე სიკეთეს, ბედო,
ჭეშმარიტ აზრთა ტალღად მაქციე,
სამყაროს სიბრძნის ფერფლად მოვედო
და მიდიდებდნენ ყველგან საქციელს!
რა ხვედრს მიმზადებს ბედი, არ ვიცი,
რა ქარტეხილი ატყდება როდის,
იდუმალება დროის და სივრცის

გვაწვება ყველას, ვით მძიმე ლოდი!
ცხოვრება გვიწყობს ათას გამოცდას,
წინ ჩახლართული გზა გველის ძნელი,
შევედავები უკუღმართ დროსაც
გულმაგარი და ჭირთა მძლეველი!
პლანეტა, როგორც ქარში ზღვა, შფოთავს,
ჟამთასვლა ყველას როდი ახარებს,
მწვავე ჭიდილში კეთილ–ბოროტთა
ძალა უცნობი წესრიგს ამყარებს.
ჩვენს ყოფას ჩვენ ვქმნით ადამის ძენი,
დე, თვით ფორტუნა თან გვახლდეს ნადად,
დავტოვოთ კვალი აქ ყოფნის ჩვენის
ნათელი და ღრმა ქვეყნად და ცადა!
არ მინდა ვიყო ბედის მძევალი,
თუ გზას მიკეტავს, შვებას არ მაძლევს,
ეს ჩემი აწმყო და მომავალი
მაინც ბრძოლაა და მის გზაზე ძევს.
არ მსურს, რომ დავრჩე ქვეყნად უკვალოდ,
ვარჩევ დავიწვა, არა მსურს ჭკნობა,
ბოლომდე დავშრტე – ბედმა მაცალოს,
მერე ჩავეკრა უსასრულობას!
ამ ქვეყნად მოველ, აბა, მე რისთვის?
მინდა ავენთო ლამაზ ფერებად,
ეჰე, მზის სხივთა ჩოხა ჩაიცვი,
გამომეცხადე, ბედნიერებავ!

* * *

ჭეშმარიტება

ჭეშმარიტების მივდევ ნათებას,
სანთლით დავეძებ, ფიქრებში ვხედავ,
როცა ვარსკვლავად აკიაფდება,
ვერევი მაშინ ტკივილს და სევდას.
კაცობრიობის გონის სიკეთე
იშვიათობით არის დიადი,
ცხოვრების გზებზე შუქს იგი გვინთებს,
ჩამოეცლება გულს ხვაშიადი.
რომ მივაკვლიო, სამყაროს ვქექავ,
და ისტორიის ვაბრუნებ ტომებს,
დავანთებ ცეცხლს და ძლიერ დავჭექავ,
შევერკინები ცდომილთა ლომებს.
მინდა მივწვდე იქ, სადაც სადგურობს,
რაშიც ძლიერად არის ჩასული,
ავაბრდღვიალებ აზრის ნათურებს
ჩვენი ლამაზი სიტყვით ქართულით.
ძნელია პოვნა, ვით ყველა განძის,
ვით დიდი სიღრმის, ძნელია წვდომა,
როგორცა ჩვენი დიდების ვაზი,
ითხოვს ის სპეტაკ გულსა და შრომას.
ნუღარ დავეძებთ, ვერ ვპოვებთ მისხალს
იმას ტირანთა ავ კოჰორტაში,
მძლავრ არმიათა არ ახლავს რისხვას,
არაა იგი მლიქვნელთა ტაშში!
ვერ ნახავთ ჭერქვეშ თუნდაც მსოფლიოს
ყველაზე ცნობილ სრა–სასახლეთა,
ვერ ეუფლება, დაშნით რომ სდიოს
მხედრიონთ გუნდი მას ყოვლის მძლეთა!
ვერ იხელთებენ ძალით და შიშით,
არ ხურდავდება დოლარ–მარკებად,
არ იბადება ზოზინა ტვინში,

მრუდი საჭრეთლით არ შანდაკდება;
არც დიდრონ სკივრში დაუდევს ბინა,
სიმდიდრის ურიცხვ მთებს განერიდა,
ვერც ოქრო–ვერცხლი და ვერცა რკინა
ვერ უბნევს გზა –კვალს და რჩება წმინდად!
ვაგნებ მის ბრწყინვას დაღლილი თვალით
მაშვრალთა ოფლში, რომ არ დამშრალა;
ის მასთანაა, უშრეტი ძალის
სიბრძნის ალამი ვინაც გაშალა!
ვპოულობ კიდევ ნაოჭში შუბლის,
ბრძენთა ბრძენთ ფიქრთა სიღრმეში უხვად ,
აზრთ კორიფეთა კოცონში გულის,
ვინც დგას კაცთ მოდგმის რწმენის ბერმუხად!..
ჭეშმარიტება დედის რძეშია
და მამის კაცურ ღრმა საუბარში,
ჩვენი ცხოვრების დიდი ეშხია,
სულის ალია გონის ბუხარში!
მისი მარცვალი ჩვენი განძია,
როგორც კრისტალი შუქით უცვლელი,
ჭეშმარიტია ჯიხა, ვარძია,
სიტყვა ილიას, აზრი რუსთველის...
ვიცხოვროთ უნდა ჭეშმარიტებით –
ბედნიერების გზაა ნათელი,
კაცობის ტვირთი ვატაროთ მხრებით,
აი, ასეთი მწამს მე ქართველი!

* * *

შუქი გონების

როგორც სასახლე მხარგაშლილი,
მაღალი, ფართო,
აღემატება ქოხს საძირკვლით,
ჭერით, გუმბათით,

მხოლოდღა ერთი შემოქმედი
გონებით მარტო
ათას კარლოსებს აჯობებდა
ბრძენი უატი!
ალექსანდრეებს და ნერონებს,
ან ნადირ –შაჰებს
რა შეუქმნიათ, რა სიკეთე
ხალხებს არგუნეს?
სისხლის ზღვა ფარავს მიდამოებს
მათ ნაპარპაშებს,
ტანჯვამ და ჯავრმა იმათ გზაზე
დაისადგურეს.
აზრთ ტიტანები, მტრის არმადას
ვით მებრძოლები,
უმეცრებათა გამუდმებით
უტევდნენ ველებს,
ქროლვით მიჰყავდათ წინ
პროგრესის ეშელონები
არქიმედეებს, ნიუტონებს,
მუსხელიშვილებს!
დღეს ანთებული ჩვენს სახლებში
ელვა–ნათურა,
აბები, რითაც სნეულებით
არ ვიხოცებით,
საოცრებათა ხომალდები,
ცად რომ დაცურავს,
მხოლოდ გონების მეფეთაგან
გვაქვს ნაბოძები!
კაცობრიობავ, მოუხარე ქედი
მხოლოდ ნიჭს,
ვით მშობელმა შვილს
დაულოცე შუქი გონების,
რაც კი სიავე გვჭირდა მუდამ
და დღეს ისევ გვჭირს

კვლავ გაგრძელდება,
თუ კი კარლოსებს დავემონებით!

* * *

აზრთან ჭიდილი

აზრთან ჭიდილი
არ გეგონოთ ჯიხვთა ჭიდილი,
ბევრჯერ გიხდება დაცემა და
ისევ ადგომა,
აღარ ეშვები, თითქოსდა გაქვს
მტკიცედ მისჯილი
ჯოჯოხეთური, ვით ამირანს
გვემა და შრომა!
განსჯათ სამყარო
სივრცე არის თვალუწვდენელი,
სწორი აზრისთვის მათგან მხოლოდ
ერთი გვჭირდება;
ამ ძიებაში დაგვეღვრება
ოფლი რამდენი,
სიცოცხლესავით გაგვახარებს
ბოლოს მიგნება!

* * *

იდეალისტი

იდეა როგორც გაუჩნდება
აზრთ განძის მპყრობელს,
მას აქცევს საგნად, კეთილ საქმედ,
რომ მოინდომებს.
უკიდეგანო, უძლეველი აქვს ფანტაზია,
მისი აზრები სურვილები

სუფთა, ნაზია.
არა სცემს პატივს ძალთ გამგებელს,
თუ წყვეტს დილემას,
უხმობს იმ სიბრძნეს, რომ არ ქრება
და არ ილევა.
არა ცნობს ნივთთა
სამყაროს ბატონს,
ზნეობას კითხავს კანტსა
და პლატონს.
იდეას მაღალს, ვით მზეს,
ვარსკვლავებს,
ანდობს თავის ბედს,
ყოფის სადავეს.
ამრეზით უცქერს ნახევრად ბეც
მატერიალისტებს,
მოღუშულ სახით მომზირალთ და
ქცევებით ხისტებს,
მათ მიზნებს ჩარჩულს
ხარბი ვნებებით,
რომ აზროვნებენ მომხმარებლის
ვიწრო ცნებებით.
მე თაყვანსა ვცემ იდეალისტს
და რომანტიკოსს,
არა ნივთთ მონას,
ოქროს კულტს ვინც გმობს.
გაქრება ხორცი, იდეა კი
ცოცხლობს მარადჟამს,
აზრი მაღალი, იდეები,
აი, მე რაც მწამს!

* * *

სულის ამბოხი

მე ავფეთქდები როგორც ვულკანი
მართალ სიტყვათა ბრიალა ლავად;
გავიფანტები სიგრძით და განით,
სივრცის და დროის საზღვრებს გადავალ!
ყალბი სამყარო დავამხო უნდა,
გავაქრო უნდა ბურუსი ჭორის
და ავაგორო, ვით თოვლის გუნდა,
ნათელი აზრი - მაღალი, სწორი!
მე ავფეთქდები სიმართლის ალად,
ცდომილებათა ხუნდების მსხვრევად,
რომ გაძლიერდეს გონების ძალა,
რომ დადგეს ცრუთა სამყაროს ნგრევა!
მსურს თვალს ვუმხელდე ყველა დალტონისტს,
რომ ვერ არჩევენ ფერს თეთრსა და შავს,
ფასს რომ ვერ სდებენ სიტყვას აწონილს,
სიბრიყვით რევენ კეთილსა და ავს.
მსურს ყველა ჩაწვდეს საგანთ ნამდვილ არსს,
გაიგოს, თუ რა არის რა ნაღდად,
რომ ასცდეს ყოფის ცდუნებას და ფარსს
და მღრღნელ ეჭვებსაც აეხსნას ფარდა!
ჯანსაღი აზრის მწამს დიქტატურა,
მრუდი ქვესკნელის ძირს უნდა ძრწოდეს,
ვერვინ გამართოს სიყალბის ქურა,
ავი მის ნებას ვერ კარნახობდეს!
მე ამაყი ვარ, რომ მამა-პაპით
ჭეშმარიტების ვეკუთვნი მძებნელთ;
მე არ ვესწრაფვი გვირგვინსა დაფნის,

ვცნობ ერთს - სიმართლეს,
ტახტზე მჯდარს მეფედ!

* * *

დამოუკიდებელი

არც არავის ვეჯიბრები,
ზეცა მხიბლავს უსასრულო,
დიდ პრობლემებს ვეჭიდები –
ამ ქვეყნიურ საიდუმლოს;
ვეომები არც არავის,
ჩემთვის ვწონი ძალას და გონს,
დავცურავ და თითქოს ნავით,
ვსერავ სივრცეს საარაკოს!
რა სიღრმეა, რა სიგანე
ცოდნის ფარ–ხმლით დასაპყრობი,
მისი ვრცელი ოკეანე
ყველა გემსაც ერთად ყოფნის!
არც არავის ვეჯიბრები,
სივრცე მიპყრობს უსასრულო,
ვსუნთქავ მხოლოდ მაშინ შვებით ,
არსს რომ ვწვდები საიდუმლოს!

* * *

ცხოვრების ფილოსოფია

აბა, რად ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე,
ვინ ვართ, რანი ვართ, აქ ვართ რა მიზნით?
ვინ გვიდგენს ყოფის კანონს, განაწესს,
გარჯით კვალს ვტოვებთ, თუ ვგავართ სიზიფს?..
რთული კითხვების ზვინი წინ გვიდგას,
ნუ დავიღლებით პასუხის ძებნით,
დავჯერდეთ იმას, რაც ბედისგან გვაქვს,
დარდებს დამთრგუნველს ნუ დავნებდებით,
შევხედოთ ცისკარს და მზის ამოსვლას,
ვიგრძნობთ სიცოცხლეს და აზრს ცხოვრების,
ვუსმინოთ ბულბულს – ბუნების მგოსანს,
დავტკბეთ ცათამბჯენ ქედების მხრებით;
ვუცქიროთ ბაღებს, ბოსტნებსა და ზვრებს,
სახლებს, გზებს, ხიდებს საუკუნოვანს,
შევხედოთ ძველ და ახალ მეგობრებს,
სიცოცხლით ტკბობა უთუოდ მოვა!
ზრუნვა მივაგოთ შვილებს – დიდ იმედს,
კრძალვა, პატივი – მხცოვან დამაშვრალთ,
ჟღერდეს კაცთ მოდგმის ხმა კიდით–კიდე,,
ცხოვრების აზრს ის მოგვიტანს მართალს!
გულში ღვიოდეს უქრობი ალი,
მზე დიდი ლტოლვის და სიყვარულის,
მასში იქნება სიცოცხლის ძალის
დიდი ზეიმი გამოხატული!
არ გვინდა ბევრი ფიქრი და დავა,
მძიმე კითხვების გამოდევნება,
წლები თუ შრომა–ამაგში გავა,
ცხოვრების გზით სვლა არ მოგვწყინდება!

* * *

დრომ მოიტნა

ძლიერ დიქტატორს ჰგონია, რომ
იგი მბრძანებლობს,
ყველა უფრთხის მას,
როგორც შველი ლომს.
ეს – დრო მბრძანებლობს,
დრომ მოიტანა,
რომ აბარია მას ეს ქვეყანა.
აქ ყოველივე იცვლება ჩქარა,
ისე ვით ხანა.
ხალხმა გვასწავლა:
ყოველივე დრომ მოიტანა.
დრომ მოიტანა
წესი და წყობა,
იგი მოიტანს
იმათ მოსპობას,
ახლის გაჩენას, აღზევებას
თუ ჩამორჩენას...
ყველგან ყველაზე
დრო მბრძანებლობს
ვერვინ უბრძანებს
თავისვე ნებას
მკაცრ და პირქუშ დროს!

* * *

დედამიწელებს!

ჩვენ ხომ ერთნი ვართ
იერით, ნირით,
ამ ქვეყნად დავალთ,
ვიცინით, ვტირით.
ვართ ერთნაირნი
მოდგმით, ჯილაგით,
გვაქვს ერთი ძირი,
ვართ ერთი თარგის;
გვაქვს თვალი ორი,
სმენისთვის ყურნი,
ვართ თანასწორნი
ამ ქვეყნის მდგმურნი.
მოგვწონს ალალი
და საღი აზრი,
სიტყვა მართალი
ავსა და კარგზე;
სიმართლე ბასრი
ჩვენს გზებს ძნელს გასდევს,
ერთურთის მსგავსნი
პლანეტას ვავსებთ;
სულაც ერთნი ვართ
სამყაროს ვერთვით,
დროის საათი ვართ
და ჟამთა წვეთი...
ერთი ცა თავზე
დაგვცქერის ვრცელი,
ერთი გვათბობს მზე

ჩაუქრობელი.
მეგობრობა გვწამს
და სიყვარული,
ტკბილ ნაყოფს გვისხამს
ხე სიხარულის;
შვილებს თავს ყველას
ჩვენ ვანაცვალებთ,
გვცივა თუ გვცხელა,
პატივს ვცემთ ქალებს;
შრომით და გარჯით
გაგვაქვს ცხოვრება,
გვძულს ფუჭი ხარჯი,
ერთფეროვნება!
სხვადასხვა აღქმით,
მენტალიტეტით
კაცთ ერთობას ვქმნით
ერთურთის გვერდით.
ამ ყოფით ხან კარგს
ხან ავს მოველით,
ბოლოს ხელს წაგვკრავს
სიკვდილის ცელი!
სხვადასხვა ფერის,
სხვადასხვა ენის
და ბედისწერის
ერთნი ვართ გენით!
ხმალი რად გვინდა
ან ზარბაზანი?
სჯობს გვწამდეს წმინდა
ძმობის ანბანი!.

* * *

მთავარი

სამყარო არის მრუდი რკალივით,
მიტომაც სუფევს უბედურება.
კაცობრიობის გზები გავლილი
იყო ნგრევა და განადგურება.
კაცთ მოდგმამ მცდარი გზებით იარა,
გზააბნეულმა, როგორც ცხვრის ფარამ,
ცოდვებიც დიდი ჩრდილივით მოსდევს,
სასომიხდილი დგას ციცაბოზე!
ვიმსჯელოთ სწორად,
რომ ვწვდეთ აზრს ნათელს,
მხოლოდ მით შედეგს
ვპოვებთ სანატრელს.
თუ ვივლით სწორად ,
არ დავვარდებით,
სიმრუდით - ხრამში
გადავვარდებით!
თუკი სწორ აზრთა ვიქნებით მნდომნი
აღარ იქნება ქიშპი და ომი!
სიკეთე ყველგან დაისადგურებს,
და გაგვინათებს ბედის ნათურებს,
ყველა ხიფათი აცდება ყველას,
დადგება მაშინ ყველასთვის შველა!
მსჯელობა სწორი,
ისე, ვით ლარი,
აი, რა არის დღეს აქ მთავარი!
სწორ გზაშია ხსნა, ხსნა სწორ აზრშია,
არ არის გზა სხვა,
სხვა გზა ფარსია!
ამ გზაზე შუქი არასდროს ქრება,

კაცობრიობაც
იპოვის შვებას!
მსჯელობა სწორი, სწორი აზრები,
ისე, ვით ლარი
სიმართლე მცნების
და აზროვნების
აი, რა არის
ჩვენთვის მთავარი!

* * *

თავს უნდა ვკითხოთ!

ყოველსა დღეს შენს თავს ჰკითხო,
აბა, მე დღე ვის რა ვარგე?
ილია

თავს უნდა ვკითხოთ
ყველაზე მკაცრად:
მე – ეს ვინა ვარ,
აბა, ვარ აქ რად?
წინაპართ ვგავარ,
თუ მე სულ სხვა ვარ?
თუკი ჩვენს თავთან
არ გვაქვს ეს კითხვა,
სხვას რას მოვკითხავთ?
ვით დიქტატორმა,
ყველაზე მკაცრად
ვკითხოთ პირველად თავს,
არა სხვასა:
ვიქცევით მუდამ
წინაპართ მსგავსად?

* * *

სისადავე

ცხოვრება ადვილი იქნებოდა,
ჩვენ რომ არ ვართულებდეთ
თალესი

ჩვენ ასე მოგვდგამს:
გვიყვარს გართულება,
თავსატეხებიც
გვაწევს სართულებად;
როცა სიმარტივე
გვიქადის შვებას,
არ გვესმის
დიდი ჭეშმარიტება,
რომ სადა არის
თავისუფლება,
სირთულეს მუდამ
რომ ემტერება.
სადაა სიბრძნეც,
მშვენიერებაც...
და მაინც მივდევთ
ტლანქ გართულებას,
პრობლემათა რიგს,
ვქმნით სართულებად;
წელს გვწყვეტს მოგონილ
საქმეთა წყება,
უბრალოება კი
გვავიწყდება!
ყური მიუგდეთ
ამ გაფრთხილებას:
ყველა სიკეთის
ურღვევ სათავედ

უნდა ვიგულვოთ
სჯობს სისადავე!

* * *

ემპატია

ეს სიტყვა ბევრს
არც გაუგონია,
თუ მოხვდა ყურში,
გადაირევა.
მის სასწორზე კი ასაწონია
ჩვენი ცხოვრება
და ჩვენი ქცევა!
რომ ვინც სხვის ტკივილს
განიცდის მისად,
და არა სხვისად,
ის კაცთა მოდგმის
მართლაც წევრია!
დიდი ადგილიც ცხოვრებისა
აქ კაცთ შორის
მას უწერია!
ის რჩეულია,
ბედნიერი და დიადია,
მოუგონიათ ღირსების ზომად
კაცთ ემპატია!

* * *

ჰე, გადი სწორზე, კაცობრიობავ!

მსოფლიო ისტორიას უცნაური,
მაგრამ ნამდვილი სახელი ვუწოდე -
ადამიანის მოწამეობა.
მაინ რიდი
საუკუნეთა რიგს შევცქერი
აწყობილს მძივად,
როგორც კოშმარი,
მზარავს მე ეს რეტროსპექტივა!
ვხედავ გადახრილს,
როგორც კოშკს ,,პიზას “,
ჭეშმარიტებას დაცილებულ
ბევრ საქმეს, მიზანს;
სადღაც მონათა ჯარის ისმის
საზარი გმინვა,
კლავენ, ვით პირუტყვს,
არ აკლებენ ცემას, დაცინვას...
ვშლი მატიანეს,
ვხედავ სურათს ისევ შემზარავს,
გულქვა ბატონი რომ არ აგდებს
თავის ყმას არად;
აღარ უტოვებს არცა სარჩოს
საკმარს და იმედს,
განაგებს სრულად მის ცხოვრებას
და უკუღმართ ბედს...
იშლება შემდეგ უსასრულო
ჟამთასვლის ზონა:
აქ ჩანს ახალი ეპოქის და

კანონის მონა –
კაცი ნივთივით, ისე როგორც
სახლი, ტრანსპორტი,
ქირავდება თვით საკუთარი
ნებით და ღონით ...
საუკუნეთა რიგს აწყობილს
განსაცდელთ მძივად,
როცა შევცქერი, მზარავს მე ეს
რეტროსპექტივა!
მაკრთობს გადახრა
ჭეშმარიტი გზიდან, ვით ,, პიზა,“
რომ კაცთა მოდგმა
ვეღარ აღწევს სანუკვარ მიზანს,
სამართლის გზიდან
გადახრილი უშველებელი
რომ მიდის კვლავაც
ისტორიის მატარებელი!
კაცობრიობავ, დროა უკვე
გახვიდე სწორზე,
კმარა გადახრა,
გადახრას ხომ
დაცემა მოსდევს!

* * *

დრო

ის შფოთიანი და მედიდური
მიედინება, როგორც ენგური.
არ აქვს სათავე და არცა ბოლო,
მისი კანონი მან იცის მხოლოდ!

ამოუხსნელი, უფერული
და უხილავი
მიდის, გვაოცებს ხან სიკეთით,
ხანაც სიავით,
უსიგრძეგანო, უსასრულო,
სულაც უგრძნობი,
ვითარც სამყარო, თავსატეხი,
ამოუცნობი;
ხან დაგვატყდება თავს
როგორც რისხვა,
ყველგან მეფობს ის
და არავინ სხვა!
შეგვხვდა ჩვენ მხოლოდ
მისი ნაფლეთი –
არცაა შხეფი
და არცა წვეთი!
და თუკი აზრით ის არ აივსო,
სიცარიელე შეგვისრუტავს
სამარადისოდ!

* * *

დავა ეპოქასთან

არა მწამს დავა, აყალმაყალი.
რა არის მისი ბოლოს შედეგი,
ვინ დაგიჯერებს, რომ ხარ მართალი,
აბა, სიმართლის ვის უნდა ნერგი?
მაინც ეპოქას უნდა ვედავო,
რადგან ძნელია ამდენი თმენა,
აღარ ღირს თავი კვლავ შევიკავო,
დამუნჯდეს ჩემი გონი და ენა.

აღარ მომწონხარ, ეპოქავ რთულო,
სიყალბეთ მთმენო ხალხო, ნაციავ,
არ მწამს, აქ ბევრი, რითაც სულდგმულობს,
ბევრს რაც ახურავს და რაც აცვია!
პომპოეზურობა რომ ფასობს დიდად,
გაყალბდა აზრი სულაც მარტივი -
აბა, ვინ ეძებს სახელსა წმინდას?
ყოველივეა პალიატივი!
თავისუფლება გვესმის სულ სადად,
ყველა უფლების უზომო მადად.
აბა , სადღაა თავისუფლება,
კეთილი ნება, მარგი უფლება,
თუ კი სხვის კართან ვდგავარ მშრომელი,
თავჩაქინდრული როგორც მთხოვნელი?
არ მომწონს არც ეს სამართალნდობა,
მოჩვენებითი ერთობა, ძმობა,
როცა მდიდარი კიდევ მდიდრდება
და ღარიბი კი მეტ ჭირში ძვრება!
ანდა სადღაა ძალა დემოსის,
ძალა აქვს მხოლოდ ფულს ძლევამოსილს!
ვისაც აქვს საჭე ხელთ, წყვეტს ყველაფერს,
ადგენს კანონებს და ყოველგვარ წესს!
მაჩვენეთ ძალა მართლა დემოსის –
მხოლოდ სიტყვაა, მითი, ეპოსი!
უქონელთა ხმა ამ ძლიერთა ხმებს,
როგორ დაჯაბნის, აბა, როგორ ძლევს?
არ მწამს მე, არა ფარისევლური
ცხვრისად აღქმული წესები მგლური!
არა, ეპოქავ, შენ სატრაბახო

არაფერი გაქვს, რომ მე შეგაქო.
ვიცი მიღწევა შენი, ვაფასებ,
მაინც ჭურჭელსა ნახევრად ავსებ.
შენთან ბევრი რამ მრჩება სადავო,
ნაღდი ყალბისგან ვით განვასხვავო?
ნახევარს ნუკი გვაჩვენებ მთელად,
უნდა ვიცოდეთ სიმართლე ყველამ,
მივცეთ ყველაფერს თავისი აზრი,
მისი სახელი, არ გვინდა ფარსი!

* * *

გვიტევს პროგრესი

აიშვა როგორც ფიცხმა რაშმა
პატრონის ურჩმა,
და მიგვაქანებს დღეს პროგრესი
საით, არც ვიცით;
ცხოვრების სიბრძნემ
უადგილოდ აფრა დაუშვა,
საფრთხის წინ ვდგავართ ისე, როგორც
თავნება კვიცი.
მშვიდი ცხოვრების დასრულდა გზა
ამ ჩვენს მიწაზე,
უკვე მრისხანე გვემუქრება რადიაცია,
ხვრელი ოზონის,
ლაქები ცაზე
და უსაშველოც, რომ მობორგავს
ინფორმაცია!
ჰა, იძაბება ჩვენივ თვალწინ
ეს ჩვენი კუნთი,
დაჭიმულია კიდით კიდე

ძარღვები თხემის,
სიხარბისაგან არ გვყოფნიდა
კალმახი, ზუთხი,
დღეს კი შორს სადღაც
ხეკს დავდევთ გემით!...
წყურვილთა ტალღამ დაგვიმონა,
გონს ვერ მოვეგეთ.
გახედეთ, ნახეთ, არეული
ჩანს გზები ჩვენი,
წინ კვლავ საფრთხეა,
თუ ვერ გავიგეთ,
რაზეც გვაფრთხილებს წინაპარი,
მრავალი ბრძენი.

* * *

მსოფლიო სარკეში

მსურს მქონდეს სარკე უკიდეგანო,
შიგ ჩაგახედო, მსოფლიოვ ძველო,
ნახო რით ხარობ და რასაც ნანობ,
რა გაქვს სადარდო თუ სასახელო!
ვეჭვობ, იპოვო იქ მშვენიერი,
ნათელი სახე ამაყი შენი,
მიხვდები, რომ ხარ უკვე ბებერი,
ნახავ ნაოჭებს კანზე გაჩენილს!
ცათამბჯენს გვერდით იხილავ ქოხმახს,
მდიდართა გვერდით - ღატაკთ დაძონძილთ,
მომღიმართ ახლოს - ვინც ტანჯვით ოხრავს,
ბედნიერთ გვერდით - ბედისგან დასჯილთ,
კეთილთ მეზობლად - ვერაგთ, გარეწართ,

გვამების გორებს, სისხლის გრძლ ნაკადს,
ხელგამოშვერილ მათხოვართა ჯარს,
მადლის წყაროსთან ცოდვათა კასკადს...
გმართებს შეცვალო ეს შენი ნირი,
უკეთურობებს უთხრა უარი,
ჩამოიცილო წარსულის ჭირი,
სიკეთეს ფართოდ გაუღო კარი !

* * *

პოპულარობა

ზოგი სახელი,
ვით ფოთოლი ქარში, ფრიალებს,
ვით ნამჯა ძველი,
თვალს ჭრის და ეთერს ანაგვიანებს;
თითქოსდა ბინდი,
მალე იწყებს იგი გაქრობას,
არ აქვს სიწმინდე –
ეს არაა პოპულარობა!
სხვაა სახელი, როცა აღძრავს
ღირსების გრძნობას,
მას სხვა ძალა აქვს,
და ხალხის ნდობა,
ის არის წმინდა,
სათუთი, ვით ქალის მანდილი,
მართალი გინდათ?
ცნობადობა,
აი, ნამდვილი!

* * *

უბრალონი

ვართ უბრალონი, ვართ რიგითები,
ჩვენი საქმით და ჩვენი ფიქრებით.
ვერავინ გვხედავს ლურჯ მედიაში,
არ გვანებივრებს ,,ვაშა “ და ტაში.
ვართ უბრალონი, ვართ რიგითები,
ტრიბუნებიდან არასდროს ვჩნდებით.
ვერვინ გვიპოვის ანტალიაში,
აღარ ვნებივრობთ შორეულ ზღვაში...
გვნახავთ დაზგასთან,
გვნახავთ შტურვალთან,
ვსტუმრობთ ვარძიას,
ბაგრატს, შუამთას;
კომპიუტერებთან ვათენებთ ღამეს,
და ტელესკოპით ვზვერავთ ვარსკვლავებს...
ვართ რიგითები, ვართ უბრალონი,
არა ლაჩრები,
არც საბრალონი,...
ჩვენ არა ვჩანვართ ლურჯ მედიაში,
ნაკლები გვერგო ქება და ტაში,
მაგრამ უჩვენოდ კაცთა სამყარო
დაკარგავს თავის მარჩენალ წყაროს!.

* * *

სკეპტიკოსის ხედვა

დავეძებ სანთლით და ვეღარ ვპოვებ,
ვინ ეტყვის მართალს:
ამ რთულ სამყაროს ამოუხსნელს
რა ძალა მართავს.
რამ აურია კაცთა მოდგმას ასე აზრები,
რად შესცქერიან ერთურთს ისე,
ვით ცხვრებსა მგლები?
ბევრნიც თავისთავს უნებურად
უთხრიან საფლავს,
არ ინდობს ზოგი ძმა ძმასა და
ზოგიც – და მის დას;
აგერ ვიღაცა ეტანება
ქვეყნის ნახევარს,
ვეღარ ისვენებს, თავის სკამზე
ვეღარ ეტევა!
არც იცის, ასეთ მიზანს რისთვის
სურს შეეჭიდოს,
რას არგებს, ასე უსაშველო
ტვირთი რომ ზიდოს!
უკან არ იხევს მთელ ხალხსაც რომ
გააძროს ტყავი,
ცხოვრება ასე მოწყობილა
რატომ ნეტავი?

* * *

ჩანაცვლება

ნივთებთან ადამიანის ურთიერთობამ
ჩაანაცვლა ადამიანთა შორის ურთიერთობა.
ჟ. ბოდრიარი

როგორც ზამთრის დღე, ადამიანის
გაცივდა გული.
ერთ დროს მგზნებარე, სიყვარულით
აძგერებული.
ახლა ის ნივთთან ნაირგვართან
მთელ დროს ატარებს,
მათ ეფერება, მათთან ყოფნა
ძლიერ ახარებს.
მხოლოდ მათ მიმართ აქვს მოკრძალება
და თბილი გრძნობა,
სიამოვნებას გვრის ნივთებთან
ურთიერთობა.
ეალერსება, როგორც პირმშოს,
თავზე ევლება,
ო, ფრთხილად, თორემ ჩვენ დაგვღუპავს
ეს ჩანაცვლება!

* * *

გვიანი

მე ერთ გაზაფხულს მოვყევი გვიანს,
ზედსახელადაც ,, გვიანი " მქვია.
სულ ყველაფერი ძნელად გამომდის,

ჩემი მზეც მუდამ გვიან ამოდის.
ავხმაურდები ზოგჯერ, ვით ბუკი,
რა სჯობს სიკვდილიც შეყოვნდა თუკი!

* * *

უკვდავება

მე ვგავარ მამას, ზედ გამოჭრილი
ეს მამაო – ყველა მამსგავსებს,
და მე მგავს შვილი, მას - მისი შვილი...
კაცობრიობა გრძელდება ასე.
ვცვლით ერთურთს, ვჩნდებით
ვით ვარსკვლავები,
მაშასადამე, ვართ უკვდავები!

* * *

ვინაა დამნახავი?

ეს უანგარო ბუნება
გვწყალობს ბარაქით, ხვავით,
მაგრამ სადაა სიკეთის
გამგები, დამნახავი?
ბევრს უწყალობა ნიჭი,
ის ბრწყინავს, ვით ვარსკვლავი,
მისი სიკეთის, მადლის
ვინ არის დამნახავი?
ალალი ხალხის ამაგით
ეს მხარე ხარობს, ყვავის,
ამ გარჯის ტკბილი ნაყოფის

ვინ არის დამნახავი?
მიდის ცხოვრება ისე,
ვით იალქნითა ნავი,
საკაცობრიო ღვაწლის
ვინ არის დამნახავი?

* * *

ჟამთასვლა

მბრძანებელი და დაუნდობელი,,
უსაგნო, თვალით დაუნახავი,
ჩვენთვის კუთვნილი რაღაც ნაგლეჯი
ილევა როგორც შაგრენის ტყავი.
არ ვიცით, ხვალ რას გვიმზადებს მორჩილთ -
სიხარული თუ სიავე მოაქვს.
გავჩნდით ამ დროში და აღარ ვიცით,
ჩვენი ცხოვრება რომ სარისკოა!
დრო გვკარნახობს და
მბრძანებლობს ჩვენზე,
მხოლოდ სახელი რჩეულთ იელვებს,
ის გვმართებს ჩვენი დროის ნაკვეთი,
არ იყოს მძიმე სიცარიელე!

* * *

ანთროპოფილებს

ანთროპოფილებს მივესალმები,
ვინც ფარად უდგას კაცობრიობას,

ვინც მოიტანა ჩვენამდე მხრებით,
ადამის ძეთა რწმენა და ძმობა!
ვინც სიყვარული სცნო უკვდავ ძალად,
კაცთა ცხოვრების უმთავრეს დვრიტად,
ვინც გული მისგან აღარ დაცალა,
ოფლით ახარა, ზრუნვით დაკვირტა,
ვინც სიყვარული თვით აღიარა
ჩვენი ცხოვრების თანაზიარი –
ფულის კი არა,
ოქროს კი არა,
მოდგმის და ჯიშის ადამიანის!
ვინაც აშენა და არ ანგრია,
გულის სითბოთი, ვითარცა ცეცხლის,
შექმნა რაცა გვაქვს, რაც კი კარგია,
რითაც ვამაყობთ და აღარ შევრცხვით;
ვინც შეიყვარა ქალი ლამაზი
და მზეჭაბუკი სახე ქათქათა,
ვინც რუდუნებით შექმნა არმაზი,
ვინაც ვარძია ძეგლად აღმართა!..
ანთროპოფილებს მივესალმები –
გამორჩეულთა ძლიერ პლეადას,
ვისით ბრწყინავდა, ვითარც სანთლები
მხარე შუმერთა, ხეთა, ელადა...
საუკუნეთა ვინც განვლო გზები,
აზრით და საქმით ჰუმანისტურით
და ბოროტებას შესხეპა ფრთები,
ალაგმა მოდგმა კაენთა ჯურის...
ბურჯად ვინც უდგას ჩვენს გადარჩენას –
ანთროპოფილთა დიდი გვარდია,

კაცობრიობას უღვივებს რწმენას
და იმედების გვინთებს განთიადს!
ანთროპოფილებს შევძახებ სალამს,
თუმცა დღეს მათი დეფიციტია,
დიდია მაინც სიკეთის ძალა,
მათი იმედი მაინც დიდია!

* * *

შენ გაგიმარჯოს, ადამიანო!

ყოველ ადამიანში მზეა,
ოღონდ აცალეთ აენთოს.
სოკრატე

სამყაროს თვალო, ბრძნულაზრიანო,
მეოცნებევ და, ფიქრებიანო,
სიკეთით სავსევ, სახემზიანო,
მკლავღონიერო, ლაზათიანო,
მე შენ გადიდებ, ადამიანო!
არა ბოროტო, არც ღვარძლიანო,
არა მოძულევ და მადლიანო,
მეგობრიანო, მეზობლიანო,
არაძუნწო და ბარაქიანო,
თავმდაბალო და თავაზიანო,
ალალო, უხვო და გულიანო,
არც წუწკო და პურ–მარილიანო,,
ხან ტანჯულო და ხანაც სვიანო;
პირნათელო და ნათელგზიანო,
სიტყვა მართალო და პირიანო,
არა ჯიუტო, გამგებიანო;

გულთბილო არა ცივსახიანო,
არა ორგულო, არც შარიანო,
მართალო, არა ბნელ განსჯიანო;
კოხტავ, ლამაზო და ეშხიანო;
სულ შნოიანო და პეწიანო,
ხანაც უზადოვ, ხან ნაკლიანო,
ერთგულო, არა ღალატიანო,
არა ზარმაცო, მარჯვევ, ფხიანო;
შემოქმედო და მხნევ, საქმიანო,
წინ მჭვრეტო, არა მოკლე დღიანო,
ამაღლებულო, ღირსებიანო;
ოპტიმისტო და არდარდიანო,
არა გულხარბო, სამართლიანო;
არა უხეშო, არც ბრაზიანო,
ტკბილმოუბარო, ენაწყლიანო,
არა ავსიტყვავ და სუხსხიანო,
არა ცრუვ, კეთილგანზრახვიანო;
არც უკარებავ, ალერსიანო,
კაცთმოყვარევ და ამაგიანო;
არა წამგლეჯო, სიკეთიანო,
არც ვერაგო და არც ბოღმიანო,
არც მძარცველო, არც ავზრახვიანო,
მტკიცევ, ურყევო, ფოლადიანო,
ფიციანო და ნამუსიანო,
მამულიშვილო სახელიანო,
შენ გაგიმარჯოს, ადამიანო!

* * *

აბა, სანამდე განვითარება?

ეს რა წესია, რა ვითარება,
აბა, სანამდე განვითარება?
რეკავს მძაფრი ხმა, როგორცა ზარი –
განვითარებს არ აქვს საზღვარი!
გვაფრთხობს ეს ტემპი უშველებელი –
სდექ, ისტორიის მატარებელო,
გეყოფა ქროლვა თავაწყვეტილი,
თავბრუდამხვევ სვლას – ვამბობ წერტილი!
ეს რა ჟინია, ეს რა მადაა,
ბევრი სიხარბით რომ ავადაა!
მზის მოტაცება, მთვარის დაპყრობა –
სურს ზოგს და ზომის არა აქვს გრძნობა.
გამაგებინეთ, ეს პროგრესია?
სიხარბე განა კარგი წესია?
ორი ბოლო აქვს განვითარებას –
ახლავს სიკეთეც და გამწარებაც...
გვიმტვრევს კარს რაღაც უცხო ... ზაცია,
ნაღდ ღირსებათა დევალვაცია.
საით მივდივართ, რას ვეტანებით
ასე უაზროდ და გაქანებით?
სადღა დავკარგეთ კეთილი ნება
შორს მოვისროლეთ ზომიერება?
დაფიქრდი, აღარ დააგვიანო,
წინ უფსკრულია, ადამიანო!

* * *

არასწორად ცხოვრება

რას ნიშნავს იცხოვრო სწორად?
პლატონი

შეხედეთ კარგად ამ ისტორიას -
ფურცლებს ჟანგისფერს,-
რაც გავიარეთ გზა -
ეს სწორია?
ენა ვერ აღწერს
გზას არ დანდობის,
გზას გავლილს ერთად,
გზას უბედობის!
გზას გავლილს მწარეს,
სიკეთისკენ რომ გვიხშობდა კარებს.
კაცთგან ერთურთის ჯიჯგნით და სპობით,
რომ იხარჯება დენთი და ტყვია –
სწორად ცხოვრება
კაცთა მოდგმის განა მას ჰქვია ?!
ყველა სიავე თვით კაცთაგან მოდის!
მათი ზნეა და წესი მათია!
მრუდი ქცევები და აზროვნება
აბნევდა ყოფას და საღ გონებას.
გვტანჯავს ტკივილი ბრძოლის, ჭიდილის;
განა სწორია,
კაცობრიობას რაც აქვს გავლილი,
ბევრს აქ ამ წესით რომ უცხოვრია:
,,მე ყველაფერი,
სხვას არაფერი,
მე ბატონი და

სხვები მონები “?
ცდუნება მწარე -
ჰა, ჩვენი მტერი.
გვახრჩობს სიცრუე
და შეცდომები.
თუ სიძულვილი ხრავს
კაცთა მოდგმას –
რა სიხარული, ეიფორია?
რომ მტრობა მოგვდგამს,
რომ ქიშპი მოგვდგამს
ასეთი ყოფა
განა სწორია?
სწორი აზრები,
სწორი მიზნები,
სწორი ქცევა და
არა გადახრა -
აღარ ძველდება ეს მაქსიმები,
იყო საჭირო,
გვჭირდება ახლაც!
ჭეშმარიტება
ავანთოთ სანთლად,
ცხოვრება სწორად,
ჰა, რაც გვიშველის!
გვახსოვდეს კარგად,
ვიცოდეთ ნათლად
სხვა გზა იქნება
გზა საშინელი!

* * *

,,ოქროს ხანა“

მოსწონდა პლატონს და ჰესიოდეს,
ბრძენ რუსოს სწამდა, ვით ბუნებრივი,
საერთო იყო ბევრი რამ ოდეს,
სადილიც ერთად არაჩვეულებრივი.
იყო ერთობა, შორს - კინკლაობა,
აღარ იცოდნენ ქიშპი, ტერორი,
შეთანხმებულად ყველა თაობა
შრომობდა ლაღი და თანასწორი.
ალამაზებდა ბედნიერ ყოფას
სიმორცხვე, პეწი თითქოს ქალური,
ძმური, სპეტაკი ურთიერთობა
იყო ხალასი და ბანალური.
აღარ ახრჩობდათ სიმდიდრის ჟინი,
ამპარტავნობის არც აგონია,
თანასწორობა სუფევდა ჩინით,
იყო თანხმობა და ჰარმონია.
ეს ბუნებრივი წესრიგი დიდი
და ეგზოტიკა პირველშობილი
მიმზიდველი რომ იყო სიმშვიდით,
,,ოქროს ეპოქად “ არის ცნობილი.
წარსული ჩვენი დიდი, ხანგრძლივი
უსისხლო, მჩაგვრელთ ყოველთ გარეშე,
ცხოვრება ლაღი, როგორც არწივის,
არა ომით და არა თარეშით –
მოსწონდა პლატონს და ჰესიოდეს,
რუსოსთვის იყო ის ბუნებრივი.

საერთო ოყო ბევრი რამ ოდეს,
ჩვენთვის უცხო და არაჩვეულებრივი.

* * *

ბურჯები

იცით, რომ აცდა კაცობრიობა
რით რისხვას ამდენს?
რით აღარ ერგო
სრულად მოსპობა
როგორც კართაგენს?
ამ საიდუმლოს ბევრი
ვერ წვდება,
ვისაც არ ყოფნის
გამჭრიახობა,
რომ დაეუფლოს
ჭეშმარიტებას,
გამოუცნობის
შემლოს შეცნობა.
იმით, რომ ერგო
ან ქვეყნად ყოფნის
ბურჯად სითბო და
სიკეთის ძალა
და სიყვარული
ყველას სამყოფი,
სიმაღლისაკენ დიდ გზებს
რომ კვალავს!

* * *

მიგნება

ერთში ვრწმუნდები:
ეს ქვეყანა არის სიჭრელე,
როგორც მინდორი
შემოდგომაზე.
ზოგისთვის სიბრძნე
სისულელედ ჟღერს,
ზოგი სულელებს აწერს
ბრძნულ აზრებს.

* * *

დროის მფლანგველებს

ბევრს ჰაერივით მუქთი ჰგონია
დრო, რომ რაკრაკით მიედინება,
არ ესმის და ვერ აუწონია
მისი ფასი და ავლა-დიდება;
არ ესმის, ხარჯად რომ გვაწევს წუთიც,
აკლდება ჩვენი სიცოცხლის სრულ გზას,
რომ აღარ არის ის სულაც მუქთი,
ვინც ეს არ იცის, ვერ აღწევს მიზანს.
უნდა ვიფხიზლოთ და გავისარჯოთ,
მუქთად ამ ქვეყნად ნურას მოველით,
მხოლოდ იმისთვის დრო უნდა ვხარჯოთ,
რასაც აქვს აზრი და სარგებელი.

* * *

სიბნელე

სიყალბემ დაბინდა ქვეყანა,
ვით ცა ღრუბლებმა
და გაელვებად ჩნდება მხოლოდ
მკრთალი სიმართლე.
მოგვწყურდა შუქი, ნატვრად გვექცა
ისე ცხოვრება,
როცა მას ნაღდი ჭეშმარიტება
ვით მზე, ნათელს ფენს!

* * *

ჰე, ისტორიავ!

ჰე, ისტორიავ, შენი ფურცლები
გაჟღენთილია მწარე კურცხლებით,
გაისმის კვნესა მძიმე ჩაგრულთა,
გაუხარელთა, დაკოდილ გულთა!
გავხედავ შენსკენ, ღამეა თითქოს,
სიცივე მსუსხავს, არა ჩანს სითბო.
გონსა ვკარგავ და ცრემლით ვივსები,
დახოცილ გვამთა რომ ჩანან მთები!
გულს მიკლავს, ო, ეს რეტროსპექტივა,
ყველა თაობის ტკივილი მტკივა!
ვერ ვწევ ცოდვათა სქელ ფოლიანტებს,
მხოლოდ შუქად ვჭვრეტ სოკრატეს, დანტეს...
აქა-იქ არის მცირე ნათება,

ამით კი გული მაინც არ თბება!
ამდენი კაც კვლა, გაუტანლობა
და ასე მცირე ხალისი, ტკბობა?
ამდენი გვამი ბედის მძევალთა...
შემოტევები სტიქიის ძალთა...
სიკეთის ელჩი დატყვევებული,
ჭეშმარიტება - ვით ყრმა ეული!
ჩანს ნანგრევებში ქალაქთ სიმრავლე,
ნავენახარი ამატკენს თვალებს.
გადამწვარ სოფლებს, დაჩეხილ გულებს,
როგორ ვუცქირო ამდენ ჩაგრულებს?
სულს შემიხუთავს ეს სისასტიკე,
მწარე შხამს მაფრქვევს, გველივითა მკბენს;
მზარავს პლეადა თვით განდიდების,
მსხვერპლნი სიცრუის, ყალბი დიდების,
უხეში ძალის ტყვე სამართალი,
ბორკილში მჯდარი სიტყვა მართალი!
შენს მკრთალ ფურცლებზე ქარიშხალია,
ბორგავს ზნეობა, აზრი მკრთალია.
და ავგიოსის თავლას მაგონებს,
რაც შავ ფურცლებზე ჭუჭყი აგროვე!
გულს მიკლავს მწარე რეტროსპექტივა,
ეს ისტორია მე ძლიერ მტკივა!
ამ ფოლიანტთა დროა დახურვის ,
მასზე გლოვისა, ჭმუნვის და ურვის,
რომ მქონდეს მისი ძალა და ნება,
მას მოვუწყობდი გასამართლებას!
გაიხსნას უნდა წიგნი ახალი
და ისტორია გახდეს მართალი!

* * *

რაა ცხოვრება?

სიკვდილი კაცობრიობის დიდი ილუზიაა:
სანამ ვცოცხლობთ, ის არ არის, როცა
მოვკვდებით, ის უკვე არ არის.
სოკრატე

ვინ ვართ, არც ვიცით –
გმირი თუ მტვერი;
ვტირით ხშირად და
ხანდახან ვმღერით!
გვიყვარს და ვხარობთ
დღით მშვენიერით,
ლაჟვარდ ცასა და
ლაღ მთას შევცქერით.
გვალხენს მოყვასი,
გვაფხიზლებს მტერი...
ბოლოს აქედან
სულ ჰერი-ჰერი!
რაა ცხოვრება?
– არც არაფერი?!

* * *

კრიტერიუმი

ცხოვრება კარგი როდის არის,–
ვინ მეტყვის პასუხს?
მე გეტყვით: კაცი ქართველი რომ

წვრილმანზე არ წუხს
და მაშინ, როცა ზაფხულია
თუ ზამთარია,
სტუმრის შემოსვლა, როგორც შვილის,
სახლს უხარია;
მასპინძელს კი სურს თამადობა
კარგად გასწიოს,
ხალისიანმა სადღეგრძელო
ყანწით ასწიოს;
მამულს უსურვოს აყვავება,
ყველას - სიქველე,
რომ არ ამბობდეს აღარავინ:
,,აბა, მიშველეთ!“
ცხოვრება კარგი არის როცა
სტუმრის დახვედრა
ოჯახს არ უჭირს, მასში ლხინს და
სიხარულს ხედავს!

* * *

გარანტი

ამას გვკარნახობს თვით ცხოვრების
მეცნიერება:
თუ ყველა თავში ჩაიბუდებს
გონიერება,
თუ გაანათებს მათ გზას, ვით მზე,
ათივე მცნება,
თუ ყველას აზრში გამეფდება
ჭეშმარიტება,
სწორი, უზადო ყველას ქცევა
თუ კი იქნება,
ყველას სურვილში ფესვს დაიდგამს

ზომიერება,
სიხარბე, შური, როგორც კვამლი
სადღაც გაქრება,
ღვარძლი და ქიშპი, როგორც ლანდი
გაიფანტება,
ცხოვრების ნირი ძირფესვიან
გარდაიქმნება,
ყველა სიმრუდე, ვით ვარსკვლავი
შორს, შორს იქნება,
ყველას ყოფაში ფესვს გაიდგამს
მშვენიერება,
ვით სასურველი ძმა, გვეწვევა
ბედნიერება!

* * *

აზატი

აღარ მჭირდება ამალა
არ მეშინია ხალხის,
თავს, ვით ერთი რამ,
არ ვმალავ.
არ ვკრთები ხალხის ნახვით.
აღარ მჭირდება ამალა,
დავალ ამ წარმტაც ქუჩებზე,
ამაყად, არხეინად,
მიკვირს საოცრად, როგორ ძლებს
ციხე – კოშკში ზის ვინაც!

* * *

სიჩქარეები

ვით რუ ანკარა
დრო მიდის ჩქარა,
საქმე კი - არა!
ასე აშკარად,
დრო გაიპარა,
ცოტა გვახარა,
ბევრი გვამწარა!
დარდი გვდევს ჯარად,
ვით თივას ფარა;
მივდევთ დროს წყნარად.
დრო მიდის ჩქარა,
ცხოვრება - არა!
დრო მიჰქრის მარად,
ვცოცხლობთ ლოდინით,
დრო მიდის ჩქარა,
საქმე - ზოზინით!

* * *

ცვლილება

ცვლილება არის უსასრულო,
განუწყვეტელი,
სხვადქცევაშია თვალუწვდენი
სამყარო მთელი,
გუშინ რაც იყო, ყოველივე
დღეს არის სულ სხვა -
იცვლება ზეცა, დედამიწა,
მთა, ქუჩა თუ ზღვა...
ცვლილებაშია ადათი და
ქცევის ლოგიკა,

ცვლილებები კი ხან გვახარებს,
ხან გულს მოგვიკლავს.
მაინც მთავარი თაობათა
არის ცვლილება -
ესაა მართლაც უმაღლესი
კანონის ნება!
დღეს ვინაც დადის
ჩვენს მშობლიურ დედამიწაზე
და ეფერება ვის ნიავი
და მცხუნვარე მზე,
გაივლის წელი ათი, ოცი,
ოთხმოცი, ასი,
არვინ ვიქნებთ, აქ იცხოვრებს
სხვა ჩვენი მსგავსი!...
მიდის ცვლილება უსასრულო,
ყოვლისმომცველი,
აბა, სანამდე ? კაცთა მოდგმას
ბოლოს რა ელის?

* * *

მრავალფეროვნება

სადღაც შუქია და იდილია,
სადღაც თოვაა, სისპეტაკეა,
აქ წუხილია, იქ ღიმილია,
იქ სიმდიდრე, აქ სიღატაკეა!
განცხრომაშია ვიღაც გურმანი,
ხარბი უზომოდ მომხვეჭელია,
სადღაც დარია, სადღაც ცუნამი,

სადღაც გლოვაა და ხსნას ელიან...
სადღაც ქრებიან, როგორც კანდლები
იმედები და ოცნების სხივნი,
სადღაც ყვავიან ქორფა ვარდები,
სადღაც ყინვაა და ქარი ცივი...
სადღაც ბინდია, სადღაც შუქია,
სადღაც გზა ბედის ჩაკეტილია,
სადღაც ცხოვრების წიგნი მუქია,
სადღაც ლხინია და ღიმილია...

* * *

საყვედური კაცობრიობას!

მე თავხედობას გამოვიჩენ
ამგვარ ყოფაში,
იყოს ეს თუნდაც
მკრეხელობა და უტაქტობა,
ვიტყვი, რა აზრიც
მომდის ზოგჯერ ამ ამაყ თავში,
ვკადრებ საყვედურს
მოკრძალებით კაცობრიობას!
აღტაცებული კი ვარ მისით
და მადლიერიც,
რაც შეუქმნია,
გვიანდერძა დიდი კულტურა –
მადლია დიდი
და ვერ ვმალავ მაინც სამდურავს:
ნეტავ, საიდან
მეორე მხრით ეს საზიზღრობა,
დაუნდობლობა, სისასტიკე,
ურცხვი, უაზრო,

რომ გადაავსო დედამიწა
სიგრძით და განით?
სისაძაგლითგან თითქოს
მთელი პლანეტა ყარსო!
და განა ჩემი სიბრიყვეა,
რომ ვბედავ სათქმელს,
აბა, ეს როგორ მიკადრია
წარბშეუხრელად,
რაც სიდიადეს მისას
ნამდვილ ეშხს და პეწს ართმევს
ირონიაა, სიმუხთლეა
ბედის ეს ყველა!

* * *

დემოკრატია

ვის აღარ მოსწონს
დემოკრატია -
დიადი სიტყვა,
საქმე და მცნება,
როცა სრულდება,
ხალხს რაც სწადია,
ხალხის ოცნება და ხალხის ნება!
მაგრამ ჭრელია
ერთობ დემოსი,
რამდენი თავი, იმდენი – აზრი!
ბევრს ვხედავ აქ მგელს
კეთილი ცხვრის
ქურქით შემოსილს,
ბევრსაც მკრეხელსა და

მგმობელს ტაძრის!
ყველას სწამს, რომ თვით
ფლობს აზრს ჭეშმარიტს
და, როგორც თვით სურს,
ჭრისა და კერავს,
სწამს ლიდერობის
ღირსი რომ არის,
და, ვით სიმართლე,
ეს მტკიცედ სჯერა!
ყველას აქვს მისი
გზა და მიზნები,
ვერ შეკრავ, როგორც
ცდომილთ კოსმოსის,
მაშ, სადაა აქ
ერთობა ნების?
მაშ, სადღა არის
ძალა დემოსის?

* * *

კაცობის ფორმულა

კაცს კაცი უნდა ერქვას,
თორემ ულვაში კატასაც აქვს.
ანდაზა

დიდი კითხვაა: ვინ ვართ, რანი ვართ,
ადამიანი ნამდვილი, თუ
სულაც სხვანი ვართ ?
როგორ გავიგოთ, მაინც რაა ინდიკატორი,

რომ არ შეგვაცდენს
და პასუხიც იქნება სწორი?
მე ამისათვის გამაჩნია ტესტი მარტივი –
ცხოვრების სკივრში
ნაძიები იმპერატივი:
თუ კი არ ცრუობ,
არავისთვის გიღალატია
სიტყვას არ უნდა
შენსას ნდობის დიდი ბეჭედი,
ორგულს და ორპირს ახლოს არ გუობ,
მუდამ ნაღდია
შენი იმედი;
თუ სამართალი გიყვარს, ვით შვილი,
სიმართლე არის შენი შუქურა,
არ გეკარება სიავის ჩრდილიც,
თავზე ვაჟკაცის ქუდი გახურავს;
თუ არ ინდომებ უღირსს არაფერს,
არაკაცობის გმობ
ყველა ჩამდენს,
თუ კაცობაში არასოდეს არ ჩაიჭრები,
ცხოვრების გზაზე ივლი მუდამ
დიდი მიზნებით,
რაც არ გერგება, არ წაატან
იმას მაცდურ ხელს,
არ მოისურვებ არასოდეს
სხვის წილსა და ხვედრს,
გულში არასდროს არ გაივლებ
შუღლსა და მტრობას,
მეგობრად ყოფნა, ვით ნუგბარი,

განიჭებს ტკბობას –
აი, ეს დიდი კითხვის არის
მთელი ფორმულა,
ადამიანის ნამდვილობას
რომ გვიხსნის სრულად!

* * *

არა მწამს

რაც უფრო ვეცნობი ხალხს,
მით უფრო პატივს ვცემ ჩემს ძაღლს.
სოკრატე

არა მწამს მსოფლიო
ამდენი ცოდვებით,
ამდენი ცრემლით,
მოთქმით, გოდებით;
ამდენი ბოროტით -
მძარცველით, მკვლელით,
ამდენი სიცრუით -
ახლით და ძველით;
ამდენი სიმართლით
კლიტულში მწვყდეულით,
მოძალადეთა
ლაშქრით წყეულით;
ამდენი ბედმწყრალით,
ამდენი ჩაგრულით,
ამდენი ღატაკით -
მშიერით, ტანჯულით;
ამდენი გულქვათი,
ამდენი ცბიერით,

ამდენი ორპირით
ჯეელით, ხნიერით;
ამდენი ტკივილით,
სევდით და დარდით,
ამდენი ზარმაცით -
ცუღლუტით, მარდით;
ამდენი ეკლებით,
სულ ცოტა ვარდით;
ამდენი ხეიბრით,
ბრმებით და ყრუებით,
ამდენი კუბოთი
დღენაკლულების;
ორმაგი მორალით
ნებსით, იძულებით,
უსამართლობით
უსაზღვრო, ულევით;
ამდენი თმენით
ბოღმის და სიავის,
ამდენი შიშით
სტიქიის ჭირთ ზვავის;
ამდენი ნგრევით,
ომებით, ჭიდილით,
ამდენი უზნეო
ქილიკით, სიცილით;
ამდენი სიტიტვლით,
ამდენი ვარამით,
ამდენი კრაზანით,
გიურზით და შხამით;
ამდენი ეკლებით,

გზებზე რომ გვხვდება;
ამდენ უღირსს
რომ აყრიან ქებას;
ამდენი ქარბორბლით,
სეტყვით საზარით;
ცხოვრება მუდმივი
ლოდინით და მალვით;
ამდენი რისხვით,
შიშით და კანკალით,
ამდენი სნეულით,
რომ ვერ რგებს წამალი!..
სულ მტკივა ამდენი
ბილწი და ხინჯი,
მზარავს მსოფლიო
ასეთი მახინჯი!
ბავშვივით ოცნებად
ვარ გადაქცეული -
ვიხილო ყველა ეს
სიავე ძლეული!

* * *

თვითანალიზი

გვევალება და ნუ გავექცევით
თვითანალიზს და თვითშეფასებას,
თუ ვიმსახურებთ ჩვენივე ქცევით,
მხოლოდღა სხვისგან ველოდოთ ქებას!
თუ ჩვენივ ნებით დროსა და ძალას
არ ვახმართ საქმეს, მიზანს არ ვსახავთ,

თუ გულგრილობას თავს არ ვუკრძალავთ,
ვართ და არცა ვართ, თითქოს წყალს ვნაყავთ!
თუ კი არ ძალგვიძს მეტი სიმკაცრით,
ვიდრე ქვეშევრდომს, ჩვენს თავს ვუბრძანოთ,
რომ მოიმარჯვოს კრიტიკა ბასრი,
თვითშეფასება არ დაახანოს;
თუ აღარ დავდეთ სიბრძნის სასწორზე
ჩვენი ამაგის ყველა ნაყოფი,
მაშინ ვერ გავალთ ჩვენ გზაზე სწორზე,
არ გვესმის აზრი ჩვენი აქ ყოფნის!
ვინ ვართ, რასა ვიქმთ, თუ თავს არ ვკითხავთ,
აზრი ცხოვრების არ გვაქვს საზომად,
მაშინ არ გვესმის მოვსულვართ აქ რად,
ჩვენი დრო წავა, სხვა დროს ვერ მოვალთ.

* * *

უმტროობა?

უმზერ მომღიმარს ირგვლივ სახეებს,
ყველა მგონია ძმად და მეგობრად.
სიკეთით დავალ და ეს მამხნევებს,
არ მწამს, რომ ვინმე ფიქრობს ჩემს მტრობას.
რომ დავფიქრდები, მაშინ კი ვხვდები,
ჩვენს არსებობას ახლავს სირთულე:
ჩვენი ყოფა და წესი ცხოვრების
მტრობას სხვადასხვას გვიგზავნის ულევს!
ჩვენვე თავსა ვნებთ ხშირადაც თვისას
ცდუნებით, ცდომით სულ ჩვენეულით,
ან იმდენს მტერი სხვა რაღას გვიზამს,

რამდენს ღალატი ჩვენივ სხეულის:
როგორც ჯაშუში მოგვეპარება,
ათასი ჯურის ვერაგი სენი,
გვიქადის ტანჯვას და გამწარებას,
დაგვაწყევლინებს დღესაც გაჩენის!
ან გამოჩნდება კიდევ გარედან,
ვინმე ჩვენთვის რომ ავ მიზნებს ჭედავს,
შეპყრობილია ავი წადილით,
ჩვენი დაცემა გვრის სიტკბოებას,
ვით ბავშვს ნებიერს, გემო ნუგბარის,
ეს მიაჩნია მას სასოებად,
რა ქნას ბუნებით ასეთი არის!
სხვა ბევრი მტერიც ჰყავს კაცთა მოდგმას,
ცხოვრებას ჩვენსას აწევს ეს წნეხი,
აბა, უმტროდ და ნებივრად ყოფნას
ამ ქვეყანაზე ვინ დაიკვეხნის?

* * *

რაც ჩვენ გვაკლია

მე ვიტყვი ნათლად, მოკლე ფრაზით,
ეს სამყოფია:
სისწორე ყველგან -
აი, ყოფის ფილოსოფია!
ცხოვრების არსის და ნამდვილი
ცხოვრების წესის
ვეღარ ვიპოვე სხვა სიბრძნე და
გზა უკეთესი!
ბევრი კი უხვევს მარცხნივ ან მარჯვნივ
ამ დიდი გზიდან,

ის ჩიხში მოხვდა, მოქალაქის
ტვირთი ვერ ზიდა;
ბევრიც დაიბნა, შორს დასცილდა
ჭეშმარიტებას,
ისე დაბრმავდა, სწორი გზის რომ
უჭირს მიგნება.
სწორ აზროვნებას, სწორ ცხოვრებას
ლოგიკა წმინდა
გვკარნახობს, უნდა ვუხმოთ იმას,
გვინდა არ გვინდა!
თუ კი გვსურს ბოლოს სატანჯველი
არ იყოს დღენი,
ჭეშმარიტება უნდა იყოს
შუქურა ჩვენი!
შეხედეთ, სხივი სიცოცხლის მზის
არ იღუნება,
სიკეთისაკენ უმოკლეს გზად
ის ცნო ბუნებამ!
და არასწორად ვინც აზროვნებს .
დაიარება,
არ ერგოთ იმათ საბოლოოდ
ხსნა, გახარება;
გაგება უნდა მარტივ წესსა
და მარტივ მცნებას:
მხოლოდღა სწორი აზრით
და გზით გველის დიდება!
სულ მოკლე ფრაზით ვიტყვი კიდევ
და სამყოფია:
სისწორე ყველგან -
ჰა, ცხოვრების ფილოსოფია!
ეს დიდი სიბრძნე,
რაც ჩვენ ასე მუდამ გვაკლია,

ჩვენი ცხოვრების
მძიმე წნეხი, დიდი ნაკლია!

* * *

უნდა გვახსოვდეს!

არ დავივიწყოთ, რომ საპატიო
არის წოდება - ადამიანი,
თავს არასოდეს არ ვაპატიოთ,
არცოდნა ყოფის ანის და ბანის.
მე სულ მას ვცდილობ, არსებით მთელით,
აღარ დამერქვას სხვა რამ სახელი,
ვით ზოგს, ცხოველის, რომ უყვარს ცერცვი,
ან კიდევ ღორი, ძაღლი ან მხეცი!

* * *

დაქირავებულის ჩივილი

თუ ვარ დაქირავებული,
მგონია, რომ არ ვარ არვინ,
თხასავით ვარ გაყიდული,
მზარავს ხვედრი შემზარავი!
თუკი სხვისი ვარ მორჩილი
ხელის ჭუჭყის ფასად,
ვგრძნობ, რომ მადევს ფეხთ ბორკილი,
კრიმინალის მსგავსად.
ვინღა ვართ ჩვენ,
თუ ვართ ხალხი,

ვინც უღელში გავებით?
მესმის მხოლოდ ნივთი, სახლი
ფულზე ნაქირავები!
არ მსურს ვიყო მუშა ქირით,
არც გისურვებთ, თქვენც, ძმებო!
ნირწამხდარი ამას ვყვირი:
მსურს სხვა ბედი ვეძებო!
ასე ყოფა არ მინდა,
არც ასეთი ლარები,
ვარ ამაყთა მხარიდან,
სხვას არ გავეკარები!
მხოლოდ ლაღი ცხოვრების,
ვესწრაფვი აშენებას,
ქირაობის ხანა ძირს,
ველი მის გასვენებას!

* * *

სიმდიდრის შექმნა

ვერვინ იშოვის ჯაფით მილიონს,
თუნდ დიდი ნიჭით კიდევ მილიარდს,
ვით ვერ წააქცევს ბერმუხას სიო , -
ეს ჯადოქრობა სულ ტყუილია!
ვერასდროს დაძრავს მთას გმირიც მკერდით,
ვეღარ გადადგამს მიწაზე მთვარეს,
ვერ შექმნის ულევ სიმდიდრეს ერთი
და მარტოც მით გულს ვერ გაახარებს!

ჩვენს კომპიუტერებს, კოსმოსურ ხომალდს
ევკლიდეს გონის კვალი ზედ აზის,
კაცთ მოდგმამ ერთად ტანჯვით იპოვა
მათში ჩარგული დიადი აზრი!
უხვი სიმდიდრე დაგროვდა მხოლოდ
ურიცხვ ხელთა და გონების ძალით.
გაიგოს ყველამ, შეიგნოს ბოლოს,
დე, აეხილოს მსოფლიოს თვალი!
ვის აუგია ცათამბჯენები,
დედამიწას რომ უჭირს ტარება?
ყველა სიკეთე, რითაც ჩვენ ვტკბებით,
შექმნა ერთობამ, განვითარებამ !
ვერვინ იშოვის ჯაფით მილიონს,
თუნდ გენიოსი კიდევ მილიარდს,
ცრუ თეორიით ვეღარ გავალთ ფონს,
უარი იმას, რაც ტყუილია!

* * *

გეყოს !

ადამიანები უბედური ქმნილებებია,
რომელთაც ამძიმებთ მოთხოვნილებები.
თანამედროვე სენტენცია

გონიერო და ჭკვიანო,
გვმოძღვრავს წინაპართ ექო,
გესმოდეს, ადამიანო:
რაც სამყოფია გეყოს!
ეპოტინები ზეცას,

ოკეანეს და ბექობს,
არ კმარობ უქრობ მზესაც,
ბუნების ძღვენი გეყოს!
მადით ყველა ზღვარს გადასცდი,
სადმე არ ჩაიჩეხო,
სიმდიდრე თავზე გადაგდის,
იკმარე, რაც გაქვს, გეყოს!
უძღებისა გკლავს დარდები,
სიბრძნე გკარნახობს სდექო!
გსურს შენს იშტაზე გვატარო,
მეტისმეტია გეყოს!
გონებაც, სინდის-ნამუსი
გინდა სიხარბით ხელყო,
შეჩერდი, ზღვარი დაუსვი,
რაც შეგრჩენია, გეყოს!

* * *

არსებობს ზომა

ზომიერებას თუ გადახვალ, ყველაზე
სასიამოვნო ყველაზე უსიამოვნო გახდება.
ეპიკტეტი

ვუსურვებ ყველას ზომიერებას,
განუზომელად არაფრის ქონას!
არაა მასში ბედნიერება,
სიმდიდრის ზვინში ჩანს მისი მონა!
ჩემი თუ არ გწამთ, მათ მოუსმინეთ,
ვინაც დიდ მოძღვრად, ბრძენად იგულეთ.

კაცობრიობის აზრი ირწმუნეთ,
მიენდეთ იმას და უერთგულეთ!
არსებობს ზომა! – აზრია წესში,
უზომოს კულტი უზის ვის სულში,
ვნახე ჩამხრჩვალი ზოგი ზედმეტში,
გადაჩეხილი ზოგიც უფსკრულში.

* * *

უარი უქმსა ავლა-დიდებას!

ყოფილა თურმე საგნები, რომლებიც
მე სულ არ მჭირდება.
სოკრატე

უსასრულოს აქ ირგვლივ რას ხედავთ?
სრულდება წლები და საუკუნე;
მოგონებები გარდასულ დღეთა
შეუერთდება უცნობ უკუნეთს!
მთავრდება ყველა ძვირფასი განძი,
ბარდება წარსულს, რამაც დაგვღალა;
სასრული არის სიმაღლე ანძის,
ყველა მზაკვრული თუ სათნო ძალა!..
კმარა ცდუნება ოქროს ბრჭყვიალით
და უსულგულო საგანთ ტყვეობა,
ბევრს რომ ჩაუქრო სინათლე თვალის,
წაბილწა ყველგან წმინდა ზნეობა!
რითაც გულებში ჩნდება ყინული,
მგლური მადა და გაუმაძღრობა
ცივ ნივთებში ღრმად ჩამძვრალი სული
ასცდა ცხოვრების გემოთი ტკბობას!

გონის ამრევი მილიარდები
ვერ დააოკებს უძღებთ არმიას,
ვით წყალს დამჭკნარი გირლიანდები,
დროს ელვარება მათი თან მიაქვს!
ბედნიერება სიმდიდრისგან,
აბა, შევხედოთ, ვისთან, სად არის?
ბევრსაც გაუჩნდა, შეხედეთ მისგან
გულში უქრობი ჟინის ხანძარი;
ზოგსაც კი ტანჯავს ცრუ აბსურდების
ავად შეყრილი მელანქოლია,
სულის მპრობელი წადილთ ხუნდები,
თვით სამარემდე ბევრს გაჰყოლია!
კმარა ურგები საგნების გროვა,
უძღებთ, ვით სვავთა, მათზე ოცნება,
ტვირთთა აკიდოდ, უქმად რომ გორავს
პრესტიჟის ალმად მკვდარი ქონება!
დამთავრდეს, გვიჯობს მავნე სიხარბე,
ჩვენ არც თუ ისე ბევრი გვჭირდება;
რაც ნამდვილად გვნებს,
არაფერსა გვრგებს,
უარი იმ უქმ ავლა-დიდებას!

* * *

განსადევნია ეს სენი!

დრო იყო, როცა
ცხოვრობდნენ მშვიდად,
სიხარბემ კაცი კაცს გადაჰკიდა.
ხარბთ დედამიწა

არც ჰყოფნით ჩვენი,
განსადევნია ეს მძიმე სენი!

* * *

მოლოდინი

ბოროტთან ბრძოლა ძნელია
ბევრიც შედრკება მის წინ.
ვითა დარს, გმირს ხალხში ელიან,
ვისაც თავი აქვს რისკის,
რომ ჯახი უყოს ბოროტს,
მოუღოს კიდეც ბოლო!

* * *

გმირები

ამ ბურთივით დედამიწას
ამშვენებენ მწვერვალები,
ისტორიის ამღვრეულ ცას -
მამაც გმირთა მხარ – მკლავები.
მათ საქმეებს გასაოცარს
ჩვენ შევცქერით გაკვირვებით.
ეს სიკეთე ბედმა მოგვცა,
რომ მხსნელებად გვყავს გმირები!

* * *

კავკასიონი

შენს მთებზე როცა ავალ, ვარწივობ,
ამირანივით მიფეთქავს მაჯა,
კავკასიონი მხრით რომ ავწიო,
მომეჩვენება სულ მცირე გარჯად!

* * *

მიწაო ჩემო !

მე მენავე ვარ,
შენ ხარ ჩემი
ნავსაყუდარი.
მე იმით გგვარ,
რომ გულისთქმა
მაქვს საკუთარი.
ვარ შენი კენჭი,
სიამაყეს
მე შენით ვჩემობ,
მტერს დავცემ ბეჭით,
მასალკდევებ,
მიწაო ჩემო!

* * *

საზღვარი

ყველაფერს აქვსო საზღვარი,
თქმულა: ის კარგი რამ არი:

გირჩევს, შეჩერდე სად -
მინდვრად, მთაზე თუ გზად...
არის საზღვარი ჭამის,
რომ არ გაღორდე ლამის!
არის საზღვარი სმის,
რომ არ გორავდე ძირს!
საუბრის ზღვარიც იცოდე,
თორემ მოლაყბეს გიწოდებ!
იცოდე ზღვარი სიმდიდრის,
ზედმეტი გინდა? გაწყენს ის!
არსებობს ბევრი საზღვარი
საზღვარი მარგი რამ არი,
საზღვარი ხიფათს აგაცდენს,
დაუდგენია ასე ბრძენს!

* * *

გაუგებრობა

ვხედავ რამდენი დარდისგან დნება,
მშიერ–მწყურვალი სიმწრისგან ოხრავს,
ზოგს უთვალავი ავლა–დიდება,
რაც არ სჭირდება, უყრია ოხრად.
მე ეს მაკვირვებს და შენც არ გიკვირს
ეს ქაოსი და სიმართლის კრახი,
რაც კაცთა მოდგმას სჭირდა და დღეს ჭირს,
რომ თავს მშვიდად გრძნობს
ის კვლავ ამ სახით?

* * *

ძველი სამყარო

უნდა დაინგრეს ძველი სამყარო,
სიბინძურის და სიმუხთლის ბუდე,
სადაც არა ჩქეფს სიწმინდის წყარო,
რასაც საძირკვლად სიავე უდევს!
სად სიყვარულის არ ხარობს თესლი,
სად მართალ სიტყვას ფასი არ ადევს,
სადაც ხეირობს შხამი და გესლი,
სადაც ძალუმად მზე არ ანათებს;
სად ორგულობა სარგოს მოიტანს,
ორი სტანდარტით ქცევა წესია,
სად უტიფარი აღწევს დიდ მიზანს,
მგელი ცხოვრების მამა–მწყემსია;
ალალი გული სად ღიმილს იწვევს,
და მტაცებლური დიდ პატივშია,
მისი სახელი არ აქვს სიბილწეს,
კაცად არ თვლიან მას, ვისაც შია!
სად ვერაგობას მოაქვს მოგება,
და ერთგულ შრომას – მდარე ნაყოფი,
გასავალია აქვს მიდებ–მოდებას
და ლოგიკას კი ძალა არ ყოფნის!
სად კრაზანები მომრავლებულა,
ფუტკრებს ადგილი დაუვიწროვდათ,
ზნეობას თვლიან გაუქმებულად,
ზეობს ოქრო და მბრძანებლობა მოდა!
სად სიმართლისთვის მებრძოლს დასდევენ
და გაიძვერას გზა აქვს გახსნილი,

სადაც ჭეშმარიტ წიგნებსა ხევენ,
მათგან დამფრთხალი აქვს ბევრსაც ძილი!..
უნდა დაინგრეს ძველი სამყარო,
მოშორდეს ჭუჭყი ქუჩას და მდელოს,
აჩქეფდეს წმინდა სიცოცხლის წყარო,
რომ კაცთა მოდგმას ბოლოს ეშველოს!

* * *

მეორე ისტორია

ჰა , ისტორიის ვფურცლავ ფოლიანტს,
ზოგჯერ არ ვნახო, ბევრად ის მიჯობს,
როცა შევყურებ ამ წიგნს გოლიათს,
მინდა სიბრაზით ორად გავგლიჯო!
მიჭირს ვუმზირო მის ბნელ განაკვეთს,
ამაზრზენს, პირქუშს და სატიალეს,
სირცხვილის ოფლის კვალი რომ გასდევს,
უკეთურობის მემატიანეს!
რას გვარგებს სწავლა ამ ისტორიის –
ამდენი ტანჯვის, ჩაგვრის და ომის ?...
შხამავს თაობებს ნაკადი შმორის –
უნდა დაედოს დიდი ბოქლომი!

* * *

სირცხვილი შენდა, homo sapiens ![*]

არსებით სათნო და კეთილი ზნის
ავმა ზრახვებმა რით გადაგრიეს.
მოძმის მოსაკლავ იარაღს რომ ქმნი,
რა მიზნით ცხოვრობ homo sapiens ?
იგი რომ სრულყო, არაფერს ზოგავ,
ბავშვებს დამშეულთ აკლებ პურს და რძეს,
ეს ქცევა შენი სიგიჟეს მოგავს,
თავს რით იმართლებ, homo sapiens?
იმ იარაღით დახოცილები
მილიარდობით ცივ მიწაში წევს,[†]
შენ განადიდებ ხოცვის ავ გმირებს
ეს გეკადრება, homo sapiens?
იარაღს უყრი თავს, ვით საგანძურს,
მთელ პლანეტას რომ ნაფლეთად გვიქცევს,
დამსგავსებიხარ თვითნება უგნურს,
სირცხვილი შენდა, homo sapiens!

* * *

[*] ლათ. მოაზროვნე ადმიანი.
[†] ისტორიის მთელ მანძილზე ომებში დახოცილთა რიცხვს 4 მილიარდზე მეტს ითვლიან.

არსებობა

ვაზროვნებ – ვარსებობ!

დეკარტი

კაცთ არსებობა იქნებ სუნთქვაა,
რომ ჭამ, ერთობი ან დროზე მეფობ?
არა! მე ვიცი, ეს რომ სულ სხვაა,
ვშრომობ – ვარსებობ!

* * *

ფიქრთ სამყაროში

ვდგავარ და ვფიქრობ
მიწა არის ქვასავით მკვრივი,
ცა ლილისფერი,
ხევებს აწევს ზედ ნისლის ბოლი;
ვდგავარ და ვფიქრობ -
ეს კი არის ჩვეულებრივი,
ხე შეირხევა და ეცემა მიწას ფოთოლი...
მე ის მახარებს, შემძლებია ამდენი ფიქრი,
სამყაროსავით მაქვს ფიქრები დაუსაბამო,
ვარსკვლავნი ჩანან ქედებს იქით
და ღრუბლებს იქით,
მღვრიე ფიქრებში გაილევა მთელი საღამო!
ჩამორბის მთიდან ნაკადული
ხტუნვით კალთებზე,
ო, რა ცელქია და კისკისა სახე მცინარი,
ჩემი ფიქრები როცა შთანთქავს
ნაკადებს ასეთს,
მისგან აზრების
გაიზრდება დიდი მდინარე!
მე შემიძლია ხესაც

ფიქრში ველაპარაკო,
გავუგო აზრი ნაკადულსაც
გულში ნადები
და ბალახებსაც ვეალერსო,
ფაქიზად, მჩატედ,
ჩემი ფიქრებით ქვეყნებიც
კი შემოვიარო.
და შეიძლება საოცნებო
კვლავ ბევრი დამრჩეს...
სიო დაქროლებს, ვერხვებს
სურო მკერდზე ეხვევა,
და იკრავს გულში იმას
ვერხვი გიგანტი, დიდი,
ვფიქრობ ნანატრი წრფელი გულით
ყველა შემთხვევა,
რომ ჩავატიო ფიქრში, ძალას
თუ ვიპოვიდი.?..
ვდგავარ და ვფიქრობ,
მიწა არის ქვასავით მკვრივი,
ცა ლილისფერი, წინ გაშლილა
ნისლების ბოლი,
ვდგავარ და ვფიქრობ -
ეს კი არის ჩვეულებრივი,
ხე შეირხევა და ეცემა მიწას ფოთოლი...
და მე ვთქვი: კმარა!
გულში უკვე ბევრი ვატარე,
ზღვაც ვერ აიტანს აღელვებას,
დარდს ვერ დაფარავს,
ჩემი მშველელი არის ლექსი
და იმის პწკარებს
ძალუძთ გახადოს
ყველაფერი ბოლოს აშკარა!

* * *

ო, წლები, წლები!

ეს წლები ანცნი გასულან უხვად,
ბევრიც კი მახსოვს მე მათგან წყენა,
ჩემს თავს კი ვმოძღვრავ, ვიყო ვით მუხა,
მსურს ვიყო მაღლა, მწადია ფრენა!
მე წლების ტვირთით არ ვითრგუნები,
ვუცქერი ტკბობით იების გაშლას,
შევედავები კანონს ბუნების,
სიცოცხლის ძალას შევძახებ ,,ვაშაა"–ს!
დღეთ და ღამეთა კასკადით დაღლა
ჯერ არ მიგრძნია, ჩემს ბედს კვლავ ვმართავ,
ეს სული ჩემი ისაა ახლაც,
რაც იყო ერთ დროს ცხოვრების კართან!
წელთა რიგი კი მიდის მუქარით,
ჭკნება ყვავილი, ისე ვით ჩალა,
მაინც გიზგიზებს ჩემში ბუხარი
რწმენის და მერჩის კვლავ მკლავში ძალა!

* * *

ცდომილება

ხალხს ბრძენსა და ძლიერს
ზოგჯერ ცოტაც ეშლება,
ფაქტი მისი ვხედავ
ყველგან ბევრზე ბევრია.
სწამს, რომ ირჩევს მის ერთგულს,
ხელში სულ სხვა შერჩება,
ვისი მიზნის წიგნშიაც
სხვა გეგმები წერია.

დაპირების ფანტელი
ვით თოვლისა ცვივა,
ბოლოს ხდება ნათელი,
რომ არავის ტკივა
ხალხის ხახაგამშრალის
გასაჭირი და ვალი.
მომრავლდა ვით სოკოები
დიდი წვიმის შემდეგ,
უთვალავი ჯურის
და იდეის პარტია.
ინაღდებენ სურვილს,
ჩვენ კი ვხედავთ შედეგს
და ვკითხულობთ: ესაა
განა დემოკრატია?

* * *

ცხოვრების მომდურავი

,,ცხოვრება შორს ჩამიარა,“–
მესმის ბევრისგან სიტყვები,-
ნეტავი რად გაიყარა
ამგვარად ეს მათი გზები?
არ ერგოთ მისგან, რაც სურდათ,
აყრიდა მუდამ იარებს
დაუზოგავად და გუნდად,
ასე ცალ–ცალკე იარეს.
მონატრებიათ დღით დარი,
დანდობა და შებრალება,
დრო მიიჩქარის, ვით ქარი,,
აღარ თავდება წვალება.
ბედი გაუწყრათ, ხალისი
შორს დარჩა დიდი მანძილით,

მაკვირვებს რატომ და რისთვის
ბევრია ასე დასჯილი!
რად ერგოთ ასე მათ ბედად
ცხოვრების მკაცრი კანონით,
ასე რად ადგენს მას ნეტავ
ამ ყოფის ბატონ–პატრონი?

* * *

ამაოება?

აუ, რამდენი გასულა წელი,
რამდენ წყალს კიდევ ჩაუვლია
მღვრიეს, კამკამას,
აბა, რა არის მათი აზრი ? –
კითხვაა ძნელი,
რაა შედეგი ბოლოს მათი , -
ვინ იტყვის ამას?
ჩქარობენ წამნი, მიდის წლები,
მკაცრობს დროება,
ჩვენთვის რა ბოლოს,
ვეთხოვებით ამაოებას?

* * *

თავდაყირა

დღე არის და ბნელა,
ყინვაა და ცხელა,
ვერ კლავს წყურვილს წყალი,
არ ჭრის მარჯვედ ხმალი!
ღვინო აღარ ათრობს,

ცეცხლი აღარ ათბობს,
შრომა აღარ ამართლებს,
სიცრუე სჯობს სიმართლეს;
აღარავინ მეგობრობს,
კაცი კაცსა მტრობს და სპობს!
სიკეთეა მწირად,
ბოროტება - ხშირად:
ცხოვრება აქ მწარეა,
მისი ფასი მდარეა!
დღე არის და ბნელა,
შეცვლილია ყველა!

* * *

დაფასება

მდიდრულ ჭურჭელში
თუ ღვინო არ დგას,
რა ფასი აქვს მას?
ცხოვრება თუკი
შრომით და გარჯით
აღარ დუღს, დროის
ფუჭია ხარჯი.
აღარ ითვლება
ის ანგარიშში
დაფასებულად
ცნობის გარეშე!
დუმს უსახელო
ცხოვრების აზრი,

სიცარიელის ბეჭედი რომ
ზედ მაგრად აზის!

* * *

უიმედობა

საქმე არის ცუდად,
თავდაყირა, მრუდად,
ის, რაც ჩვენს მტრებს უნდათ,
თავს გვეყრება გუნდად.
გული მწყდება იმაზე,
რომ ბედი ჩვენს ჯინაზე
სადღაც უკან გვეწევა
და რომ ექცა ეს ჩვევად.
მზე სადღაც გვემალება
ცაც გვიმზადებს წვალებას.

* * *

კაცობრიობის გზა

ჰე, კაცთა მოდგმავ,
იამაყებ რით,
რომ გიცხოვრია დღემდე
სწორი გზით?
არა, ეს იყო გზა
ჩახლართული,
მოლიპული და
უკუღმართული!

* * *

მეგობრობა სჯობს

ეკალი ყვავილს ვინც შეადარა,
სწორი აზრი თუ გამოიტანა?
მწარე ნაყოფი გვწამლავს და გვზარავს,
ეკალი გვკაწრავს, ვით ბასრი დანა!
მტრობა და შური მეგობრობას ვინც შეადარა,
თუ კი სწორად ბჭობს,
არ სცოდავს, მის აზრს ბური არ ფარავს
ალალს და მართალს,
იტყვის, რომ მტრობას მეგობრობა სჯობს,
ვერ გვნებს იარა, როცა ის გვმართავს!
მტრობამ ზღვა ცრემლი, სისხლი დაღვარა,
მტრობის ნაყოფით ბოროტი ტკბება,
შხამი და გესლი ვის შერგებია?
მტერი სიავით თუ ვეღარ ძღება,
მეგობრობა კი ჩვენი ფრთებია!
მტრობა მოიმკის მის მწარე ნაყოფს,
რასაც რისხვა და დაცემა ჰქვია,
მეგობრობის მზე უკუნს გააპობს,
მოგვიტანს სითბოს, ნათელ განთიადს!
მტრობა და შური მეგობრობას ვინც შეადარა,
თუკი სწორად ბჭობს,
თუ გონით წვდება აზრს მტკიცეს, მართალს,
იტყვის, რომ მტრობას მეგობრობა სჯობს,
რწმენა არ კვდება, როცა ის გვმართავს!

* * *

სილამაზე

როგორც ჰაერი,
მაკრავს ირგვლივ
მე სილამაზე.
დამატკბობელი
სილამაზე
მთელ სივრცეს ავსებს!
ჩანს ცა ლამაზი,
ლამაზი მთვარე,
ველი ლამაზი,
ლამაზი მხარე;
მზე თავს გვეხვევა
ოქროს სხივებით,
მომხიბლველია
ხევები, მთები!
ქალი ლამაზი,
სახე მცინარი,
ბავშვი ლამაზი,
ჩვილი მძინარი;
აზრი ლამაზი,
ლამაზი ლექსი,
ლამაზი გრძნობა,
ადათი, წესი –
ყოველივეა
ულამაზესი!
მთელ სივრცეს ასე

სრულად რომ ავსებს
აქ სილამაზე,
სიცოცხლით ვტკბები,
ცხოვრების აზრით
სულ ვიტვირთები!
ჰა, იმედებიც, რწმენაც
გაბრწყინდა,
მსურს სულ აქ ვიყო,
სხვაგან რა მინდა!

* * *

უბრალოება

ვერ გამიგია, რა სიკეთე
აქვთ ამპარტავნებს,
როცა ყოყოჩი ქედმაღლობით
თავის თავსა ვნებს.
უნდა ამოსდოს ქედმაღლობას
ყველამ სადავე,
გაიგოს უნდა, რა ხიბლიც აქვს
ლაღ სისადავეს!

* * *

სალამი ახალ თაობებს!

ჩემს შვილიშვილს – გეგასა და
მის თანატოლებს ვუძღვნი

იმედით, რწმენით და მოკრძალებით
ყველა ნატვრაზე უფრო ძვირფასებს
ახალ თაობებს მიესალმები,
ვინც აქ სიცოცხლის კოცონს დაანთებს;
ვინც არ დაანგრევს, არ ითარეშებს,
ვინაც იცხოვრებს ამ დიდ მიწაზე
მადლით, სიმართლით, ბიწთა გარეშე,
იქ, სად ნამუსი კაცთა და ქალთა
იქნება სუფთა, დღისებრ ქათქათა,
არვის ექნება მხეცური მადა
სხვის კუთვნილს მიწვდეს
და ძმურსა გრძნობას, ურთიერთობას
ცნობენ უწმინდესს;
არავინ სხვაზე ხელს არ აღმართავს!
ცხოვრების დიდ გზას როგორც ბადეს,
აღარ დახლართავს!
მე ვესალმები ამაყ თაობებს,
იდეალისტებს, რომანტიკოსებს,
რომ აღარ ცნობენ ნივთთა მონობას,
ვინც სხვას არ მონებს, არც დააოსებს ,
ცნობს სიბრძნის ძალას, კაცთ შორის ძმობას!
ვინც გმობს ყალბ სიტყვას,
ყალბ საქმეს, რწმენას,
ვერ იტანს ხოხვას და ელტვის ფრენას!

* * *

კარგად ცხოვრება

ჩვენ ყველას გვინდა კარგად ცხოვრება,
ოღონდ რა წესით, როგორ და რა გზით? –
გვაქვს თავის მტვრევა, გავხდით მსტოვრებად
ვგავართ მაძებართ ნირით და აზრით.
ის რომ ვიპოვოთ, ყველა მზადა ვართ,
მთელ სამყაროსაც შემოვწვდეთ მთლად გარს.
აი, პასუხი ბრძნული და სხარტი,
ხალხში ნაპოვნი, ვით განძი დიდი
ჭეშმარიტება მარტივი, ცხადი
გვმართებს ვისმინოთ ყველამ სიმშვიდით:
ყველანი თუკი ვიცხოვრებთ სუფთად,
დავძლევთ სიხარბეს, სენს სუთამხუთავს;
წმინდა სინდისით, გარჯით და ქცევით,
ყველა ჭირსა და დარდს გავექცევით,
გვეწვევა ყველას კარგი ცხოვრება,
თუ არ ვისურვებთ სხვის კუთვნილს ჩვენად,
თუკი მივყვებით ჭეშმარიტებას,
თუ დავითაფლავთ გულსა და ენას,
სულაც იოლად, სულაც მარტივად,
არ დაგვჭირდება თავ–პირის მტვრევა!
თუკი სიკეთის ხეც დიდი დავრგეთ,
კარგი ცხოვრება თავად გვეწვევა!

* * *

სადა სჯობს?

სიცოცხლეზე საშინელი
ბედისწერამ რა გვიმზადა,
ჩავაბარებ, როცა მეტყვის
ყოველთვის ვარ მისთვის მზადა.
ომარ ხაიამი

გამოვცადე თავად კარგად,
ეს ცხოვრება თუ რა არი,
აბა, სად სჯობს აქ თუ იქა,
არავის აქვს აზრი მყარი.
ვიცი მხოლოდ ერთი მტკიცედ,
გულს მიხარებს ეს მთა-ბარი.
თუკი ვცოცხლობ ქვეყანაზე,
არ მსურს ვიყო ცოცხალ-მკვდარი!

* * *

გულის სიდიდე

გგონიათ გული პატარა არის?
მას ვით სამყაროს, არ აქვს საზღვარი!
რა შეძლებია ამ პატარა გულს?
იტევს ის ყველას ულევ სიყვარულს!
მასში ჩქეფს გრძნობის უშრეტი წყარო,
ის თავად არის მთელი სამყარო!
მის სიგრძეს და განს არ აქვს საზღვარი,
პატარაც არის, სამყაროც არის!

* * *

ოჯახის სიხარული

უბავშვო ოჯახი ვერ გაიცინებს
ხალხური სენტენცია

ყველაზე მეტად რა გაახარებს
ოჯახს ნაღვაწი ალალი ფული?
ან იქნებ შრომა და მისი ჯილდო
დახვავებული მთა ჭირნახულის?
ანდა კიდევაც ძმა, მეგობარი,
მონატრებული, სტუმრად მოსული?
ყველა კარგია, გულს ახალისებს,
მაგრამ მეტია ბავშვთ ჟრიამული!

* * *

წუთისოფელი

ო, რაღაც ძალა აღარ დაგვაცლის
ბედნიერების დავტკბეთ წუთებით
და ამ ცხოვრებას საამო განცდით
მხოლოდ წამიერ თუ ვეხუტებით!
დაგვეტაკება, ვით ავი ძაღლი,
ტკბობას ის ძალა შეგვიცვლის შხამით,
ჭირ-ვარამს თავზე უხვად დაგვახლის,
მწარედ შეგვიტევს, როგორც ცუნამი.
ტრიალებს დროის ბორბალი მდორედ,
არც ვიცით ის, თუ ხვალ რა მოგველის,
დრო გვემუქრება, გვიგზავნის ტორებს,
ხან გამწარდება, ვით შხამი გველის!

ჩვენ უსუსურად ვუმზერთ მომავალს,
მხნეობისათვის მოვიკრებთ ძალას,
ვჩანვართ წერტილად და ვბჟუტავთ მკრთალად,
სიხარულს გვიკლავს კი განსაცდელი;
რას გვერჩის ბედი, აბა, რა ვიცით,
ქაოსში მდგარნი კარგს არას ველით,
ეს გამოცდაა ჩვენი სიმტკიცის,
ესაა სულაც წუთისოფელი!

* * *

ეს ქვეყანა თეატრია?

სამყარო სცენაა, მაგრამ მსახიობები
წარუმატებლად არიან შერჩეულნი.
ოსკარ უალდი.

ეს ქვეყანა თეატრია,
თქვეს: მოირგო უნდა როლი,
მიიღებ, რაც გინატრია,
თუ მისი ზნის ხარ ამყოლი;
თუკი ძალგიძს გარდასახვა,
ხარ თამაშის ვირტუოზი,
თუ ერთს ფიქრობ, ამბობ სულ სხვას,
იღებ ნანატრს სრული დოზით;
აღწევ წადილს, თუკი კბილებს
უჩენ იმას, ვინც არც მოგწონს,
არ იშურებ შეძახილებს
და ტაშს უკრავ შენს ზემოთ მდგომს;
გაქვს ჯილდოდაც სარგებელი -
ჰონორარი ამ თამაშის,

შეგერყევა თუმც სახელი,
ჩავარდები ურიცხ ყბაში,
მაგრამ ასე დიდ სცენაზე,
თამაში თუ შეგიძლია,
შენს ჯიბეს და ქისას ავსებ,
გაგახარებს კომედიანტს.
ეს სცენა გულს ხანჯლად ხვდება,
მის მანკზე ვერ დავდუნდები,
ვერ ავიტან, ეს ცხოვრება
გავდეს თეატრს აბსურდების!

* * *

დედაბუნება

მზე ნათელსა გვფენს, სიცოცხლეს გვჩუქნის,
გვათბობს და ძალას გვიძღვნის გულუხვად,
გული გვიძგერს და მაგრდება კუნთი,
რადგან ანკარა ჟანგბადით ვსუნთქავთ.
გვერგო მარჩენლად ეს დედამიწა,
რაც სიმდიდრეა, ჩვენთვის არ ზოგავს,
ვით დედა გვიხსნის ის გულისფიცარს,
რაც კი გვჭირდება, გვაწვდის სამყოფად.
ჩვენდა მშველელად მოჰქუხს მდინარე,
მაღაროც გვერთვის მძლავრ ენერგიად,
თვალუწვდენელი ზღვაც, ოკეანეც
თითქოს დონორად მოგგვლინებიან!
ჩვენთვის მზრუნველი დედაბუნება
უანგაროა, როგორც მშობელი,
იგი მორჩილებს უმაღლეს ნებას,

სანაცვლოს მტკიცედ უარმყოფელი!
მას კომერსანტის არ დაჰყვა სული,
არ ეძებს სხვაში გულხარბად სარფას,
ბუნება არის სხვა ზნის და გულის,
ის ადმიანს სულაც არა ჰგავს!
ვადიდებ მე მის უანგარობას,
მის გულუხვობას, უმაღლესობას,
ჩვენც რომ გვქონოდა ყველა ეს გრძნობა,
ცხოვრებაც უკეთ ხომ მოეწყობა.

* * *

მძიმე სიცარიელე

ცარიელი ქვევრი,
გაფხეკილი ნავი,
ცარიელი თეფში
და ფუღურო თავი -
აი, რას არ ინდომებს,
ჭკუას უხმო ვინც ოდეს.
მჩატე არის ცარიელი კალათი,
ვით ქათქათა ექიმების ხალათი,
მძიმე არის უღონობა მკლავის,
უფრო მძიმე ცარიელი თავი!

* * *

სასარგებლო ცრურწმენა

ერთ დროს რომ ვკვდებით, არ გვჯერა,
გვწამს, რომ ამ ქვეყნად სულ ვივლით.
კარგია ზოგჯერ ცრუ რწმენაც,
კარგია ზოგი ტყუილიც.
არ ვიცით, ხვალ - ზეგ რა გველის,
ვართ მოლოდინის მონა,
ჩვენი მშველელი და მხსნელი
ხდება ცრუ ცოდნის ქონა.

* * *

გაუფასურება

აღარაფერს ამ ქვეყნად
მისი ფასი არ ადევს,
ამ დიდ უკუღმართობას,
თვით ფაქტები ღაღადებს.

* * *

გული

ადამიანები ერთმანეთს გაექცეოდნენ,
მათი გულისთქმა დაფარული რომ არ იყოს.
ი. კანტი

სხვის გულს ძალით ვერ გახსნი,
ის იმიტომ გულია.

როგორც ციხე –სიმაგრე,
მტკიცედ ჩარაზულია.
ფიქრთა კონას ინახავს–
განცდილსა და ნატარებს,
საიდუმლო ყველას გვაქვს –
დიდებსა და პატარებს.
გულში ნადებს და განცდილს
ვერვინ მიეკარება,
გულის მტკიცე წესია
შენახვა და ტარება.
ასე მოგვდგამს, ყველას გვაქვს
ფიქრი ხელუხლებელი –
შენახული, ვით განძი,
მცირეც უშველებელიც.
ვერა ძალა ვერ გახსნის
გულის კარებს ჩარაზულს,
ვერ გაიგებს იქ ნადებს,
თუკი თავად არა სურს.
ის არსებობს ამ ქვეყნად
ნიშნად ჩვენი მეობის–
სხვისთვის მიუწვდომელი
და ბურჯი გამძლეობის!
გულსა სხვისას ვერ გახსნი
გასაღებით ვერც ერთით,
მხოლოდ ერთი ერგება
ნდობის წმინდა ბერკეტი!
მხოლოდ ნდობით იღება
გულის ფართო კარები,
მაინც რჩება იქ რაღაც
სხვისთვის მიუკარები!

* * *

დაკარგული სირცხვილი

სად დაიკარგა, ნეტავ, სირცხვილი,
გადაეფარა ნისლი თუ ფარდა?
ბევრს უხარია მისი სიკვდილი
კონსერვატორთა პლეადის გარდა!
,,საჯაროობა! - ბრძანებს დრო მკვახედ,-
არ გვინდა კრძალვა ეპოქის შვილებს,
აბა, იკითხეთ, აბა, ეს ნახეთ,
რა სჯობს სიშიშვლეს, გვინდა სიშიშვლე!
არაფერს ვფარავთ, სხეულის ნაკვთებს
და ყველა ქცევას ვააშკარავებთ,
სიტიტვლეს თამამს არაფრად ვაგდებთ,
არვის ვუმალავთ, ღამეს ვით ვათევთ.
არა ვცნობთ სირცხვილს - ამ ძველ ქიმერას!
ძირს გაწითლება - წესი ბავშვური!
ძირს ქვეშ-ქვეშიდან სიმორცხვით მზერა,
გახსნილობაა დროის დასტური!
ძირს თავდაჭერა, კრძალვა და რიდი!
დასაფარავი არ გვაქვს ნაკვთები,
ჩვენ გვამოძრავებს მიზნები დიდი,
რეტროგრადებს რომ ვეკამათებით.
გვეამაყება დრო სტრიპტიზისა -
სამანს იქითა თავისუფლების,
უსირხცვილონო, თუ გვეტყვის ბიძა,
რა მოტივითა ან რა უფლებით?
ჩვენ გავტიტვლდებით ყველა ერთადაც,

რა უნდა ვმალოთ და რატომ ვმალოთ?
გაქრა ინტიმი, არ გვინდა ფარდა,
გაიგეთ, მორცხვნო, ძმანო საწყალნო! “
და აზრი მომდის: ეს უკვე კმარა!
სად ხარ სირცხვილო, სად იმალები?
ნუ გამოჩნდებით ცხოველთა დარად,
გაშიშვლებულნო, მე მებრალებით !

* * *

ვინ მწამს

ნათლად რომ არჩევს
ცხოვრების ავ–კარგს,
ნათქვამს აღიქვამს
გაგებით, სწორად,
ვინც მამაპაპურ
ადათს არ კარგავს,
არ გაიყოფა
ნამუსით ორად,
ვინც ჭირ–ვარამში
მუდამ სანდოა,
ვის აზრშიცა დევს
ჭეშმარიტება,
გულით სიკეთის
ვინც საბადოა,
იგი მწამს, იმას
ვამბობ: დიდება!

* * *

მოჭიდავე

ვით ფალავანი
გრძელ ხალიჩაზე,
სულ ვეჭიდები
გარეგან ძალებს,
ხან მერევიან,
ხან მე მათ დავძლევ,
დავახუჭინებ
ავ ზრახვებს თვალებს!

* * *

უბედურები

ამ ქვეყანაზე, რომ გაჩნდებიან,
მხოლოდ წვალობენ, იტანჯებიან,
მოურჩენელით იბადებიან,
ცხოვრების ხილით ვეღარ ტკბებიან;
გულით ვერასდროს იღიმებიან,
წინ კარგს არაფერს ელოდებიან,
გმინავენ, შფოთვით დაიღლებიან,
ვეღარ შრომობენ, ვერ ირჯებიან,
სიხარულის ტოტს ვეღარ წვდებიან,
მწარე განცდებში იკარგებიან,
ბედის მძიმე ხვედრს ვერ ასცდებიან,
წლებთან ბრძოლაში ნელ-ნელ დნებიან,
წინ სულ ხრამსა და ეკლებს ხვდებიან,

უკვლოდ წკვარამ ღრეში ქრებიან,
ვითარც ყინული მზეზე, ლღვებიან...
რა დააშავეს, რად ისჯებიან,
უბედურად რომ იბადებიან?
ნეტავ, ამ ქვეყნად რისთვის ჩნდებიან,
ან იმის შემდეგ სად იქნებიან?

* * *

ბითური

ყალბი სახელით ამაღლებული
ავტორიტეტი სხვადასხვა ჯურის,
თუნდ ჰქონდეს დიდი პოსტი ან ფული,
არის ბითური, მაინც ბითური!
გინდ დეპუტატი, გინდ პრეზიდენტი,
ვით ბინადარი ბნელი მიწურის,
ხალხს მოწყვეტილი, ეული, კენტი
არის ბითური, სულაც ბითური!
ვინც აღარ არის სიტყვის პატრონი,
არა გრძნობს გარჯის, სიმართლის წყურვილს,
შექმნილ სიკეთეს მისხალ არ წონის
არის ბითური, სულაც ბითური!

* * *

სუროგატი

თუ ხარ დირექტორი
ანდა ლექტორი,
არაა ადვილი,

რომ იყო ნამდვილი.
მაგრამ სუროგატი,
ვით ყინვით ნახატი,
ვით ღვინო წყლიანი -
შორს ბიწიანი!

* * *

ბნელეთი

სადაც ცხოვრობენ ბნელები,
სუდარაში წევს ხმელეთი,
კუპრივით მთებით, ველებით –
ეს ქვეყანაა ბნელეთი.
სინათლის სხვი არ ბჟუტავს,
შავები ფლობენ სადავეს,
მათ ატკბობთ გმინვა ტანჯულთა,
სპობენ სიკეთის სათავეს;
გათელეს პატიოსნება,
მართალი სიტყვა ჩირად ღირს,
ფუჭია ყველა ოცნება,
ხალხს ეპყრობიან, ვით ნახირს;
არ სურთ სიმართლის კაშკაში,
თავისუფლების მოძულეთ,
კეთილს ხვდებიან განგაშით,
და პატივს სცემენ ორგულებს.
ეზოს უმშვენებთ ლენცოფა,
არ უყვართ ნაზი იები,
კაცს უსულგულოს და ქოფაკს
ხვდებიან ოვაციებით;

გუნდრუკს უკმევენ ტირანებს,
ცრუ რწმენას და მასონობას,
გაუტანლობა მძვინვარებს,
მკერდით იცავენ მონობას;
სიტყვებს უკუღმა იგებენ,
მართალი აზრი მცდარად ჟღერს,
გაიძვერობას აქებენ,
ალალს უმზერენ როგორც შტერს;
ქურდული ავტორიტეტი
ისე ქუხს, ვით ზარბაზნები,
წესრიგი არის ზედმეტი,
როგორც ნახმარი ვაზნები.
არ ხიბლავთ მზე მოელვარე.
პატივში არის ღრუბლები,
სიყალბის ბუმი მძვინვარებს,
ლაღობს ხარბი და უძღები;
ხშირად უბირნი კერპებად
სხედან, ვით ზღაპრის დევები,
თვალს და ხელს შუა ადნებათ
მამა-პაპური ჩვევები;
დიდ სასახლეებს უღირსნი
იგებენ შემორაგულებს,
ბრიყვს პატივი აქვს გულთმისნის,
ვით დელფოს ბრძენ ორაკულებს.
ძეგლებს უგებენ ყალბ გმირებს,
მათ აქვთ ტიტული, იმიჯი,
ადგამენ თავზე გვირგვინებს,
განთქმულებს ღალატის ნიჭით.
სამართალს ისე კერავენ,

შეშურდებოდა ჩეკონეს, *
არმად ნაშოვნით მართავენ
ღრეობებსა და უხვ ფსონებს;
არა სწამს წვეთიც სიმართლის
ბნელეთის ქვეყნის უნიას,
ცბიერება და სიმუხთლე
აქ არვის დაუწუნია!
სიცრუე კარგი წესია,
მისთვის არავინ დაგძრახავს,
მართალი, თუნდაც მესია,
პატივში არვის არა ჰყავს;
ანგარება და მოხვეჭა
არ მალავს თავის მოტივებს,
ხელს არვინ უწვდის სუსტს, ბეჩავს,
ვერაგი დიდად კოტირებს.
თავისუფლების ლამპარი,
დემოსის დიდი ქარტია,
ისე ვით ცუდი ზღაპარი,
ბნელეთში სუროგატია.
ლაღად ცხოვრობენ ბნელები,
ვეღარ ნათდება ხმელეთი
კუპრივით მთებით, ველებით
ეს ქვეყანაა ბნელეთი.

* * *

*ძველი დროის იტალიელი ვერაგი მოსამართლე, რომელიც ამტკიცებდა: თუ დანაშაული არ არსებობს, ის უნდა გამოვიგონოთო.

ზოგიერთს

შენს უგულობას არ აქვს საზღვარი,
ეს ჩვენ სულს გვიღრღნის და ძლიერაც გვტკენს;
,, მე ცხელი მწვადი, სხვას კი - ნაცარი !“
შენი კრედოა, ამბობ ასე
შენ!
შენს აზრებს იცავ ბასრი ისრებით,
აინუნშიაც აღარ აგდებ ჩვენს,
ყალბი სახელით და ცრუ ღირსებით,
ამ ქვეყანის გზებზე დადიხარ
შენ!
თვალსაც კი აღარ დაახამხამებ,
წაავლებ მარჯვედ ხელს ცოდვილ ძღვენს,
წესებს, რაც სწამდათ ჩვენს ბრძენსა მამებს,
ფეხით, ვით ქეჩას, ისე თელავ
შენ!
რწყილს გაატყავებ, ქურქად შეკერავ,
არაფრად აგდებ არც გვარსა და არც გენს,
მოყვრისა ჭირი და ბედისწერა
ღობეს ჩხირია - ასე გწამს ეს
შენ!
იხელთე დრო და ამ მღვრიე ძნელ ჟამს
მიაგელვებ წინ შენს კაზმულსა ცხენს,
,,აბა, გაძარცვე! “ - მხოლოდ ესა გწამს,
არ დანდობაც ხომ წესადა გაქვს
შენ!
შენი გონება და მწარე ენა
მართალს და ალალს გველივით კბენს,
შური უზომო, ბოღმა და წყენა,
გახრჩობს და მაინც არ იშლი
შენს!
ცხოვრების მკვიდრ წესთ უჩვენებ მუჭებს,

და ყველას მძიმედ ამით გულსა გვტკენ.
კაცთა ცხოვრების ნირს მთლად აფუჭებ,
მე სხვა ცხოვრებას გისურვებ
შენ!

* * *

კონფორმისტს

აკეთებ იმას, რაც აღარა გწამს,
შენ ხარ ასეთი, აბა, რას იზამ?
ასრულებ იმას, რომ გიკვეთავენ,
თუ კი გიბრძანეს სხვებს წაკვეთ თავებს;
კაცურ ღირსებას სკამს ანაცვალებ,
ფულისთვის ყველა საქმეს ივალებ.
შენ ასეთი ხარ, ცხოვრობ ცოდვებით,
რომ დაგჭირდება, სულაც ორდები:
ფიქრობ ერთსა და აკეთებ კი სხვას,
რაც არა გჯერა, რაც აღარა გწამს,
არად გაქცია ასე გადახრამ,
ვინ ხარ, როდესაც შენ შენ არა ხარ?

* * *

კარგი კაცობა

ცხოვრება გვმოძღვრავს:
პატიოსანი კაცი მუდამ
კარგი კაცია,
გინდ წაფორხილდეს,
საბოლოოდ მას ბედი წყალობს;

უპატიოსნო როგორც
ყალბი ასიგნაცია,
გაფერმკრთალდება, იგი თავად
ჯახირობს, წვალობს.

* * *

აკადემიკოსები

დრო ყოველივეს თავად
ნათელს ფენს,
სად არის ცეცხლი და სად
ნაცარი,
აკადემიკოსს არქმევენ
დღეს ბევრს,
მეცნიერი კი,
აბა, სად არი?

* * *

არცოდნა

არ იცის ხეპრემ
გზა წარმატების,
ვერ აგნებს თავის
სწორ გზასა და კვალს;
სირთულის გზები
მის წადილს ჩაკლავს;
არ იცის მორწყვა,

ვაზი უხმება,
არ იცის თოხნა,
შიმშილით კვდება;
არ იცის მართვა
ავტომობილის,
ერთ ადგილზე დგას,
ვით დარჭობილი;
არ იცის ფრენა,
და ძირს ემხობა,
ველარ ცეკვავს და
ველარ ერთობა,
ვერ ცნობს, სიკეთის
გზა საით არი,
წვალობს, ფითრდება
უცოდინარი;
როგორ იქნება
ის ბედნიერი
ასეთი უშნო და
სულაც შტერი?

* * *

დაგვიანება

ზოგჯერ მზეც დიდხანს
დაგვემალება,
შემდეგ კი მოგვფენს
უხვად სინათლეს.
ხალხიც ვერ ხვდება
ხან ტყუილ–მართალს

ბოლოს ჩაწვდება
მაინც სამართალს!

* * *

საშიშროება

პატიოსნებას
თუ არ აქვს ფასი,
თუ ღვინის ნაცვლად
ძმარია თასში,
მაშინ ცხოვრება
ყოფილა ფარსი,
დაიღუპება ქვეყანა ასე!

* * *

სული ბოროტი

სული ბოროტი არ ისვენებს
თესავს სიავეს,
აღარ ასვენებს არც ერთი წამით,
დღეა თუ ღამე
მას ჟინი სხვისი განადგურების.
ვერ ხვდება, რომ ვნებს
საკუთარ თავს
ზრახვების შხამით,
უსასტიკეს ხვედრს თვით იმზადებს
უკეთურობით.

* * *

არგაგება

როცა ვსაუბრობთ, თუ ესმით სხვებს
ცოტა იქიდან,
არა უშავსო, ვიტყვით, თუმცა
ჩვენ მეტი გვინდა.
თუ არ არსებობს სრულიადაც
ჩვენი გაგება,
თუკი ნათქვამი სულაც ქრება
და იკარგება –
ეს უკვე მეტის მეტია და
მთლად ურგო არის,
ხშირადაც ბრძნული აზრიც
რჩება გაუგებარი.
არსებობს კიდევ ვარიანტი
სულ უარესი,
როცა ნათქვამი, თუნდ ნათელი
უკუღმა ესმით!

* * *

სიამაყე

რომც არ მქონდეს ბალიში,
არ გავხდები ჩალიჩი.
რომ სულ ვიყო უქმად,
არ მეზადოს ლუკმაც,
არ დავიწყებ ძრომიალს,
ათას მაქინაციას,
არ კუთვნილი – ბოლია,

დაუნდობლად ქარს მიაქვს.
არის ჩემთვის სამყოფი
საკუთარი ნაღვაწი,
ტკბილი შრომის ნაყოფი
ძველი წლის და ახალ წლის!
რომ არ მქონდეს ბალიშიც,
არ ვიქნები ჩალიჩი;
სულ მშიერიც რომ დავრჩე,
აღარ გავხდები ჩარჩი.
შემიძლია მოთმენაც,
რაც მსურს თუ ვერ ვიყიდე,
არ დავკარგავ არც რწმენას,
სიმართლის გზას რომ მისდევს!
არასოდეს გავივლი
სხვისგან დამცირებული,
მსურს ამაყად გაზრდილი,
ვიყო დაფასებულიც!

* * *

ევრიკა

ჟ.ან-ჟაკ რუსო თავის ერთ ნაშრომს იმის
გადმოცემით ამთავრებს, თუ როგორ
ქვეყანაში სურს ცხოვრება.

ვარ პილიგრიმი და ვარ მკვლევარი,
მაძიებელი ჭეშმარიტების,
თუ საიდუმლო შევაღე კარი,
როგორც სანთელი, მე გავბრწყინდები.

დავდევ ბრძენთა ბრძენთ და ორაკულებს,
როგორც ფუტკარი, ქორფა ყვავილებს,
მინდა ვიცოდე , თუ რა გვირთულებს,
ყოფას, რა გვირევს საქმეს და მიზნებს;
ვით დავეთხოვო მაცდურ, ფუჭ ვნებებს,
გავიგო აზრი მხოლოდ ნამდვილი,
არ დავემსგავსო საწყალ ქმნილებებს
აბსურდული და უქმი წადილით.
არ მინდა ავცდე გზას სიკეთისა,
ტვირთი ცდომილთა მძიმე ვატარო,
წყაროსებრ სუფთამ ამ ცხოვრებისა
გამოცდა რთული მსურს ჩავაბარო!
ევრიკა! ჩავწვდი ნაღდ კრიტერიუმს,
ბევრჯერ გამოცდილს სწორს და უტყუარს,
ბევრი რაზედაც მუნჯ ქვასავით დუმს,
და აღარ აჩენს ნიჭსა და ჭკუას:
კუთვნილსა სხვისას, ჩვენთვის არ კუთვნილს,
ხელი, როგორც ცეცხლს არ წავატანო,
კაცი მშრომელი, ვით დედა გუთნის,
ყაჩაღს და მპარავს არ დავემგვანო!
მე მსურს ამ ქვეყნად ცხოვრება მშვიდი,
სადაც კულტია ნამუსის, ცოდნის,
სად არ კუთვნილის, თუნდ ერთ ციდის,
აღება აზრად არავის მოსდის!

* * *

მშრომელი

ჩვენ ვართ სხვადასხვა ფერის, იერის,
ვით მცენარენი, ცხოველნი, მწერნი,
ვთხრით მიწას, ვხატავთ, ვცეკვავთ თუ ვმღერით,
ვართ მებაღენი, პატრონნი სკვერის,
თუ ვფლობთ პოსტს მერის ანდა სპიკერის,
გვიპყრია საჭე ქვეყნის და ერის,
ვაზროვნებთ, ვხარჯავთ ჩვენს ენერგიას,
შრომა და გარჯა ჩვენი ხვედრია.
ვხარობდეთ, რომ ვართ მუშები ყველა,
ჩვენს პოსტზე ვდგევართ ცივა თუ ცხელა,
წოდება ჩვენი მოუსპობელი
იყო და არის - კაცი მშრომელი!

* * *

ალქიმიკოსობა

დრო იყო რომანტიული,
ჯადოსნურ მიზანს რთულს ესწრაფოდნენ,
არ ასვენებდა ზოგს ხარბი სული,
თვით რკინის ოქროდ
ქცევას ლამობდნენ.
მეც ალქიმიის ვარ მიმდევარი,
მაგრამ ახალი ეპოქის კართან,
ყველა იარაღს, რაც ქვეყნად არის,
გადავაქცევდი ქვებად და ჯართად.
ვინც ავი ძალის არისხებს ზარებს,
სასტიკნი, ბოროტ განმზრახველები,

მოვუსპობ აბჯარს მათ დიდს, პატარებს,
რომ მთლად შიშველი დარჩნენ ხელებით!

* * *

ომი

დიქტატორს გონი რომ აერევა
და აგრესია დაიწყებს დუღილს,
ბრბო საზარბაზნე ხორცად იქცევა,
სამყარო ისმენს ჭურვების ქუხილს.
იწყება ნგრევა და ჯოჯოხეთი
დედამიწაზე დაისადგურებს,
სისხლით და ცრემლით ლბება ხმელეთი,
კაცი ნაოფლარს თვით ანადგურებს!
სარდლების გულში გუბდება ჟინი,
ხოცვის და ჟლეტის ადამიანთა,
სიტკბოებას გვრის მათ გვამთა ზვინი,
სძინავს ზნეობას, მას ძალა მართავს!
იტენებიან ბოროტი მიზნით,
გამოგონილი ავი მიზეზით,
აბსურდის ხმა აქვს ტყვიების სისინს,
სიკვდილის ცელი იწრთობა გესლით.
ბოლოს რა? აბა, ხარობს რის მდომი,
ქვეყნებით ნაცარ-ტუტად ქცეულით?
კოშმარი არის სულ ყველა ომი,
ომს აღარა ჰყავს გამარჯვებული!
მოლოდინები იმსხვრევა ყველა
და გამხეცება ბოლოს ზავდება,
აუწყებს ომი რიგითს და ბელადს,

რომ ის კაცთ მოდგმის
სჭედს დამარცხებას!

* * *

ინტელიგენტი

ვინ არის მაინც ინტელიგენტი? -
ცნობილი ჩინით და ინტელექტით,
ან დახვეწილი მანერებით
და კარგი ტონით?
არა, არაა ეს საკმარისი
სულაც, მე მგონი.
მას ეს არ ყოფნის, მჯერა, სრულებით,
კაცურ კაცობას, ვითარც ფულები.
კიდევ ჭირდება,
ვით ჯარს მხნეობა,
სათნოება და წმინდა ზნეობა,
გული და აზრი საღი, კეთილი,
ნამუსი სუფთა და ენა ტკბილი.
მხოლოდ მაშინ კი
კაცს ინტელექტი
ყოფნის, რომ ერქვას
ინტელიგენტი!

* * *

ალტრუისტები

სინამდვილიდან

ვუსმენდი მამას ჭაღარას, ჭარმაგს,
სადღეგრძელოს რომ ამბობდა შვილის:
,, იყვნენ ჯერ ყველას შვილები კარგად
და მერე ჩემიც გარჯით გაზრდილნი!“
მსმენია სიტყვა დედის გულწრფელი
ომს შეწირული გმირი ვაჟკაცის:
,,დე, იყოს ჩემი უკანასკნელი,
მე არ ვუსურვებ ჩემს ბედს არავის!“..
ვისმენ ამ აზრებს საოცრად მაღალს,
დასტურს ადამის მოდგმის სიკეთის,
ვხედავ ეგოიზმს, რომ ძირს ყრის ფარ-ხმალს
და მომავლისა დასჭექს იმედიც!

* * *

საჭირო ცოდნა

ვინ ვართ ? - ეს უნდა ყველამ ვიცოდეთ,
ვმაღლდებით, ვით მზე, ვდნებით, ვით ცვილი.
ამ სამყაროში, სად არ ვიდოდეთ,
ვართ დიდი ქვეყნის მცირე ნაწილი!
მის უკვდავებას შევერთვით, ვითარც
წვიმის ნაჟური - ჩქეფით მდინარეს,
ვეკვრით საქმეებს მისას და ფიქრსაც,
იმის ლხინსა და დღეებსა მწარეს.
როგორც აგური დიდი სასახლის

ჩვენ აქ ცხოვრების კედელს ვქმნით მაგარს,
მის სიკარგეს და სიავეს ვამხელთ
და დროის ხნულში ღრმა კვალი გაგვყავს!
კაცობრიობას ვეწვნებით ცეცხლით,
დიდ ალი ვართ თუ ნაპერწკალი,
მის უკვდავებას აკლდება ერთიც
ჩვენგანი, როგორც ტონებს მისხალი.
გვერგო საგზური მარადისობის,
წინ გვაქვს დიდი გზა და მომავალი,
ტვირთი ძლევისა არაკაცობის,
რადგან გვყავს შვილი - შთამომავალი.
ჩვენი სტატუსი უნდა ვიცოდეთ,
ის რას გვავალებს ამ ქვყანაზე,
რომ მარად უქრობ ალად ვიწოდეთ,
ვქმნიდეთ სიკეთეს და სილამაზეს!

* * *

გამძლეობა

შევყურებ მზეს,
გავცქერი ცას,
დავლაშქრავ გზებს,
შევწვდები მთას.
ჩასაფრებულნო,
ვეღარ მომკალით,
გული კვლავ გულობს,
და ვარ ცოცხალი!
ავკეცავ ქარს,
დავახვევ აზრს,

ყურს ვუგდებ წყაროს,
ვწვდები სამყაროს;
მწამს დღე მომტანი
სიკეთის ხვალის,
მაქვს ნდობა დიდი
ბავშვის და ქალის.
მე ამაყი ვარ,
მძულს ყველა ფლიდი,
ვარ მტკიცე ქედით
და ურჩი ბედის!
არა მწამს ხვედრის
მორჩილი, მწყრალი,
კვლავ ფეთქავს მკერდი,
კვლავ ვარ ცოცხალი!
მიგებენ მახეს
ბოროტნი ძალით,
ხელიც ვერ მახლეს,
მე ვარ ცოცხალი!

* * *

სოლიდარობა

კაცი კაცის წამალია.
ხალხური სიბრძნე

ქუჩაში კაცი უცებ წაიქცა,
ირგვლივ ვინც იყო მისკენ გაიქცა,
წამოაყენეს, გზა გააგრძელა,
გახარებული დარჩა სულ ყველა.

გაჭირვებული ცხოვრობს ბებერი,
უსახსრობაა ღატაკის მტერი.
მაინც არსებობს რაღაც ნუგეში–
მეზობლები რომ უდგანან გვერდში.
კაცი სნეული და ნირწამხდარი
იწვა და თავის დღეებს ითვლიდა,
გაჩნდა მშველელი იქ დასტაქარი,
სიცოცხლის ალი კვლავ აგიზგიზდა.
სტიქია მკაცრი დაატყდა მხარეს,
გულ დაზაფრულნი ეძებდნენ ქომაგს,
შეამსუბუქა განცდები მწარე
მრავალი მოძმის გვერდში დადგომამ...
ვხედავ: სულდგმულობს კვლავ დიდი გრძნობა
კაცთ შორის მტკიცე სოლიდარობა.
კაცობრიობას საფრთხე არ ელის,
სანამ არსებობს განცდა სიქველის!

* * *

ცოდნა – არცოდნა

გონის სასწორზე ჩემს ცხოვრებას
ვზომავ და ვწონი,
და ამ მუქ ფონზე ცოტა რამე
ჩანს მოსაწონი.
ეს მძიმე დარდი
გულს ლოდად აწევს
ჭკნება, ვით ვარდი,
და ტონუს ერთ დროს
ძირსაც რომ დაწევს.

ზოგი რამ ვიცი ისე სხარტად,
ვით ათი მცნება,
რომ არ მესმოდეს ზოგი რამეც
კარგი იქნება.

* * *

ადამიანის ხვედრი

ცხოვრება ჩვენი გეგონება
მოკლე ძაფია,
უეცრად ქრება
თითქოს სულაც
საპნის ქაფია.
ჩვენი დრო, როგორც
ქარი, სწრაფია.
და ჩვენი კიდევ
ბიოგრაფია –
მცირე ტკბობა და
ეპიტაფია.

* * *

არევ–დარევა

ბევრს აღარ ესმის, რა არის სწორი
და ნამგალივით რა არის მრუდი,
ბევრიც იბნევა ავს და კარგს შორის,
ბოროტს თავისი ამით გაუდის.
ბევრისთვის შხამი არის წამალი,

ზოგისთვის სუფთა ზნეობა – ხუნდი.
რომ აირია დედალ–მამალი ,
მიტომაც გახდა ცხოვრება ცუდი!

* * *

გაურკვევლობა

რამდენი ჭორი ითქმება ქვეყნად,
ნეტავ იმდენი სიმართლე ითქვას!
მართალ სიტყვაზე ზოგჯერაც მეტად
ფასი აქვს სულაც მრუდ და ყალბ სიტყვას.
შენიღბვით ბევრის ფლობს ის გონებას,
არსში მწვდომთ ცნობენ
შტერად და ბრიყვად,
წინ დაგვიდგამენ
ცრუ აზრს გორებად,
და სურთ გაგვხადონ იმათ მონებად!

* * *

ბედის განაჩენი

არ ვიცი რამ და ვინ აღარ მისცა
ზოგიერთს ჯანი, ფერი და სიქა,
არც სიმაღლე აქვს, ვერ ასცდა მიწას,
დაათრევს მსხვილ თავს მძიმეს, ვით ფიქალს,
არ მიუცია ბედს კრულს ზოგისთვის
ლამაზი ტანი, სახის ნაკვთები,
არც მკლავში ძალა, არც თავზე თმები.
აღარც ნიჭი და არც აზრის ფრთები.

ენამზეობა, თუნდ საამო ხმა -
სულ არაფერი აღარ ეღირსა,
პროლეტარია იგი ბედისგან,
ასე ეს და, აბა, რას იზამს?
არ შესწევს ძალა ამ ბედს გაექცეს,
მის ნებას ვეღარ შეეჭიდება,
ვაი , გაჩენას ამ ქვეყნად ასეთს,
როცა ცხოვრების აზრი კნინდება!

* * *

რა გამახარებს?

ავლა–დიდებით რომ ვიყო სავსე,
რომც ამისრულდეს, რაც მინატრია,
კეთილთა მოდგმის საქმეს ვაფასებ,
სკეპტიკოსების ვერ ვთმობ პარტიას.
როცა ამდენი ჩამესმის კვნესა,
ცრემლთა მდინარის ჩამოდის ღვარი,
ბევრისთვის შავი ფერი აქვს ზეცას,
ეს ცხოვრება კი არის ზამთარი;
უიმედოთა ტანჯვა ამდენი,
რომ ხარობს უფრო, ვიდრე ენძელა,
განწირულ ბავშვთა წუხილი, სენი,
მშიერთა გმინვა – მე მტკივა ყველა!
გულს მიკლავს ირგვლივ ქიშპი და მტრობა –
ზოგი აშკარა, ზოგი ფარული,
გულების სითბოს მძრავს უკმარობა,
სიმცირე ლხინის და სიხარულის!
ავლა–დიდებით რომც ვიყო სავსე,

როცა მძვინვარებს ირგვლივ სიმწარე,
სიკეთის ყლორტებს კოცნით ავავსებ,
მაინც ამ დღეში რა გამახარებს?

* * *

მიუწვდომელი წადილი

შეიძლება თუ არა ვინმე იყოს
ცხოვრებაში ბედნიერი? არა, არ შეიძლება!
ჯონ ლოკი

გაქვს ნივთთა გროვა ბევრზე ბევრი,
ზომაზე მეტიც,
ასე გგონია, ხარ ბედნიერი
სიმდიდრის უხვად
შენსკენ მოხვეტით?
ან გაქვს უზომო ძალაუფლება
და ეზიდები მას მძლავრი მხრებით.
ხარბს გეჩვენება, რომ მოჩქეფს შენსკენ
წყარო ულევი ბედნიერების?
ცდები მწარედაც, ღარიბს როგორც
სარჩო აკლია,
შენც გაკლებს ბედი შენს ბევრ ნანატრს,
გტოვებს ნაღვლიანს.
როგორც ვარსკვლავებს ვერასოდეს
ვერ მოწყვეტ ციდან,
ვერ აისრულებ ყველა წადილს,
რაც ასე გინდა!
თუმც ზოგს ჰგონია თავი
ყოვლის შემძლე, ძლიერი,
მაგრამ, ო, არავინ არის სრულად
სვე-ბედნიერი!

* * *

ყველას – თავისი!

ასე თქვა ძალამ, მან, რაც განაგებს
უმაღლეს წესრიგს სამყაროს გზებზე.
ჩვენს საქმეებზე ჩვენ პასუხს ვაგებთ
და ვზიდავთ ცოდვებს, რაც არის ჩვენზე.
ყველას თავისი ერგოს კუთვნილი,
მკაცრი სასწორით და ზუსტი წონით!
ყველას თემიდის დაგვდევს აჩრდილი,
როგორც ერთგული ძმა და ამფსონი!
ყველა მიიღებს კუთვნილს თავისას,
თუმც იცდის ბედი ზოგჯერ ხანგრძლივად,
ელოდეს ყველა ზუსტადვე იმას,
რაც ერგება და ეკუთვნის წილად!

* * *

ზედმეტი

Est modus in rebus*
ლათინური სენტენცია
ვინც ზედმეტს თხოულობს, უბედურია.
ალ – სამარყანდი

ზედმეტი წონა, ძვალ–რბილი, ქონი
ლოდია ტვირთად აკიდებული,
გამცლელი ჩვენი ძალის და ღონის,
რომ კლავს სიცოცხლის ძალას და წყურვილს!

---

* საჭიროა ვიცოდეთ ზომა.

მანათობელი მზის სხივთა კონა
ხდება ზედმეტი და დამღუპველიც,
თუ კი გავხდებით მოდის ბრმა მონა,
ზედმეტი რუჯის გიჟი მსურველი;
თუკი სიგრილე გვრგებსა და გვხიბლავს,
ზედმეტი სუსხი გაგვანადგურებს,
სიცოცხლის ძალებს ძირში გაყინავს,
მოსპობს ყვავილთა კარავ–სათბურებს!
წყალი სიცოცხლის დიდი წყაროა,
უწყლობა სიკვდილს მოგვიახლოვებს,
მაგრამ უზომოდ ციდან რომ მოვა,
სახლს გვინგრევს, სარჩოს გარეშე გვტოვებს!
ყველა ზედმეტი ჩვენი მტერია
ცხოვრების გზებს რომ მუდამ გვირთულებს,
ზედმეტის ჟინი თუ მოგვერია,
ხიფათთან შებმას ის გვაიძულებს.
და რად არ გვჯერა, უკუღმა გვესმის
აზრი ზედმეტი ფულის, სიმდიდრის –
მათში ძევს მხოლოდ შფოთი და გესლი,
საფრთხე სვე–ბედის, შვების, სიმშვიდის!

* * *

შეგნების ბზარი

ადათს, წესს და რიგს არაფრად აგდებს
ამ ქვეყანაზე უმეტესობა,
უკუღმართ ქცევას რომ ვხედავ ამდენს –
ეს ისარივით გულზე მესობა!
,,წესი და რიგი – ეს ქიმერაა,

უმაღლესია სწრაფვა, სურვილი!’’–
სინდის - ნამუსი მრავალჯერაა
ასე მსჯელობით გადათელილი.
ვხედავ ნაღდსა და ფაქიზ ზრდილობას
სადღაც მიგდებულს, როგორც ფარაჯას,
გაცვეთილია სირცხვილის გრძნობა,
სიწმინდის სხივი აქა–იქა ჩანს.
დავემშვიდობეთ განძს წმინდას, რჩეულს,
დროა ჩამოვკრათ განგაშის ზარი,
ცხოვრება დღეს ჰგავს წყაროს ამღვრეულს,
რადგან შეგნებას გაუჩნდა ბზარი!

* * *

მაინც ტკბილია

თავისთავად ცხოვრება
არის ერთფეროვანი.
სიხარულის დეფიციტს
გრძნობს ნორჩი და მხცოვანი,
მაგრამ თუკი სიყვარულის
განათდება სხივებით,
აჟღერდება ტკბილი ხმით,
ვით ჩონგურის სიმები;
სევდიანი წუთები,
გაქარწყლდება შხეფებად,
და ხალისის ღიმილი
კვლავაც დაგვებედება.
რა ვქნათ ჩვენი ცხოვრება
ასე მოწყობილია,

ახლავს დარდის წვეთები,
მაგრამ ძლიერ ტკბილია!

* * *

ცნობადობა

ყველა ესწრაფვის ცნობადობას,
ვით სუფთა ჰაერს,
მას კი ვპოულობთ
სულ ნაირ–ნაირს.
ჰქუხს დიქტატორის
და ტირანის ბევრი სახელი,
ყურის მომჭრელი,
გესლიანი და საზარელი!
ბევრსაც კი პირზე აკერია
მაფიოზთ გვარი,
თაობიდან რომ თაობაში
ჭექს როგორც ზარი.
ტირაჟირდება კლოუნების
სახელი ხშირად,
გენიოსთ გვარს კი
გაიგონებთ აქა–იქ მწირად.
საჭირო არის კი დავფიქრდეთ ,
გავუსვათ ხაზი:
მთავარი არის არა ფორმა,
არამედ აზრი!

* * *

ეკონომიკის აპოლოგია

რა არის მაინც ეკონომიკა –
თითქოს მარტივი და რთულზე რთული?
ხან ნათელია მისი ლოგიკა,
ხან კიდევ – ძნელი და აბსურდული.
ეკონომიკა არსებობს მართლაც
გაორებული, ეს ყველამ იცის.
გვჭირდება საღი განსჯა და გათვლა,
გავმიჯნოთ მისი მადლი და ბიწი.
ეკონომიკა უწინარესად
ყანაა დიდი – პური არსობის,
მაღალმა ნებამ ის გაამწესა
მიზეზად ჩვენდა ლხინის და ტკბობის.
იგი რთველია, ამერ–იმერით
მოაქვს აკიდოდ ხვავი, ბარაქა.
კაცობრიობის ძარღვი ძლიერი
იმითვე ტოკავს სოფლად, ქალაქად.
კაცთა ცხოვრების მძიმე ჭაპანი
მიაქვს, ვით ხომალდს
ტვირთი ნაპირთან,
ქმნიდა ძველ ფაზისს, მცხეთას და დმანისს,
სხვა პლანეტებზე ბოლოს აფრინდა...
დედამიწის ხომ აავსო ზურგი
ხიდებით, გზებით, ცათამბჯენებით,
დღეს სოციუმის ჭექს დემიურგი,
არ ცხრება ჟინი შრომა–შენების...
მასში სიცოცხლის ისმის გუგუნი,
ეპოქათა ხმა ომახიანი,

გაცრიცა სხივმა ღამე უკუნი,
მზეს რომ მოსტაცა ადამიანმა.
მძლე ინტელექტის იფეთქა ძალამ
ინტერნეტსა და ტექნოპოლისში,
კეთილდღეობის გზები გაკვალა
მადლით აავსო ყოფის საზრისი!
მაგრამ ... არსებობს სულ სხვა ყაიდის
ეკონომიკაც შხამ შენარევი,
ნავსაყუდარი ძუნწის და ფლიდის,
მრავალთ სიმწრის და არ გახარების;
არ დანდობის და ვერცხლთაყვანცემის,
პლუტომანების სამყარო შავი,
წმინდა მიზანთა ფეხქვეშ დამცემი,
უძღები როგორც მძორხარბი სვავი.
ხალხთა სიმდიდრის მრუდედ გამყოფი,
კაცობრიობის რომ ადევს ბრალი.
ბევრს არ არგუნა სარჩო სამყოფი,
ითვისებს სხვის წილს კვლავ კაპიტალი!
ახარა ღვარძლი, ამრავლა მტრობა,
სისხლი დაღვარა უწყალოდ, უხვად,
გათიშა ხალხი, გააქრო ნდობა,
ბევრი დაზაფრა და შეაწუხა!
დათრგუნა მრავლად ნათელი აზრი,
შთანთქა გრძნობები ფაქიზი, წმინდა,
თავს მოგვახვია წესები ბაზრის,
და ყველაფერი ფულზე გაყიდა;
ხელი ჰკრა პირველ საწყისს და ფუძეს,
კაცთა ცხოვრების რომ არის ბურჯი –
სიყვარულს, ძმობას – განძს უსათუთესს

წინ დაუყენა კანონი კუჭის.
ხდება ბუნებაც სისხლდაწრეტილი,
მოგების იშტა რადგან გვთხრის თვალებს,
ოზონის გარსი გამოხვრეტილი
ზეციდან საფრთხის გზავნის სიგნალებს!
ეკონომიკა არსებობს მართლაც
გაორებული – ვინ აღარ იცის,
გვჭირდება საღი განსჯა და გათვლა,
ავწონოთ მისი მადლი და ბიწი!
გვმართებს დავიცვათ ადათი ძველი,
გავმიჯნოთ მტკიცედ ყველა ავ–კარგი,
ეკონომიკა გვწამდეს პირველი –
არისტოტელეს სიბრძნით ნაქარგი!
მეორე – არა ! ბოლოს და ბოლოს
არა მეფური, არა კლანური,
ვუშენოთ მყარად მომავალს მხოლოდ
ეკონომიკა ადამიანური !

* * *

სახელი თუ სახრავი?

ბოლოს სახელად ვიქცევი მხოლოდ,
ასე უბრალოდ დასრულდა ბედი,
რადგან დიდებამ ანდა პატივმა
რა უნდა მომცეს სახელზე მეტი...
ბაირონი

მესმის აზრები, ვით ღამე, ბნელი:
,,სახელი, აბა, რაღა ბარგია,
რის მაქნისია კარგი სახელი,

რითი მოგხიბლათ, რაში გარგიათ?
ვის რაღა მისცა, ვინ გაახარა,
ჩასაცმელია თუ დასახური?
მხოლოდ ტვირთია, ვინაც ატარა,
ქანცს გამოგილევს და გიმსახურებს.
განა არა სჯობს სახელს სახრავი –
ოქრო, ვერცხლი და ფული, სასახლე,
ბედნიერების ნამდვილი ძრავი
სხვების წინ დაგსვამს და აგამაღლებს!
აბა, რა არის გრიალი ხმათა
ქება–დიდების, ტალღის, ხმაურის,
თითქოს უაზრო ღრიალი ზღვათა,
ან მგავსი ბაზრის აურზაურის!“
,,ასეთ გაგებას განა ფასი აქვს,–
მესმის პასუხი და მტკიცებები,–
სახელი – ეს ხომ ჩვენი არსია,
ჩვენი საქმენი და ღირსებები !“

* * *

დაბნეულობა

მტერი კაცსა ვერას ავნებს,
რამდენს იგი თავსა ივნებს.
რუსთაველი

გამოგიტყდებით: დიდი დარდი მაქვს,
სადაც არა ჯობს, იქ რომ დავდივართ,
ძირმომპალ ხეზე ხშირად ავდივართ,
რაც ბოლოს გვიღებს, იმას ჩავდივართ;
ვინც ხაფანგს გვიგებს , ვმორჩილებთ ნებით,
რაც გვშხამავს, იმას ბევრს ვეტანებით,

სიბრძნეს ვინც არ ცნობს, ვეთაყვანებით
და ნახელავით ჩვენითვე ვკვდებით;
მითხარით, ხალხო, რამ დაგვაბნია?
გავფხიზლდეთ, სანამ იქნება გვიან!

* * *

ბედნიერი

მინდა გავიგო, ბედი ვის წყალობს,
ან კიდევ ვინღა ისჯება რაზე?
ვინ იტყვის: მე ვარ სვებედნიერი
ამოუცნობი ზნის ქვეყანაზე?
ზოგი სიმდიდრის ორმოში ძვრება
არ აკლია რა, ნებივრობს თითქოს,
ვერ უპოვნია იქ მოსვენება
ტანჯვით დაღლილი სულ იმას ფიქრობს:
რა ცოტაა ო, რაც მაბადია,
ლოდებზე მძიმე სულაც დარდი აქვს,
რომ საკმარისი ვერ მოიხვეჭა,
რომ სხვაზე მცირე ერგო მას ბეჩავს...
ზოგს ერგო წილად და საჭესა ფლობს,
მთელი ქვეყნის თუ მისი ნაწილის.
ის, როგორც კატა, დღედაღამ ფხიზლობს,
დაკარგული აქვს კაცს მშვიდი ძილი!
მუდამ დარდშია, იმ სანუკვარი,
სიცოცხლის ფასი საჭის დაკარგვის,
ნაპოვნი დიდი ჯაფით, სიმწრით
ძალაუფლება მტკიცე, ძლიერი

რომ არ დაუთმოს არც აღარავის!...
ესენი არა, სვებედნიერი
ვხვდები ისაა, ლუკმა-პურს შრომით,
ვინც იძენს, ტკბება მით და აღარ აქვს
აღარავისთან ქიშპი და ომი!
იძინებს ტკბილად, ვით ჩვილი ბავშვი,
მეგობრობითა და სიყვარულით,
ეძებს სიხარულს გულიც იმათში
ახალგაზრდული თუ ხანდაზმული.
გავიგე კარგად ბედნიერებას,
აღარ სჭირდება ედემის ბაღი,
ბედნიერება ეწვევა იმას,
ვინც ხორცით, სულით არის ჯანსაღი.

* * *

ის, რაც სჭირდება კაცთ მოდგმას

ისე, ვით ძალა მხნეობა,
უპირველესად ზნეობა!
ვით აპრილს უხვ წყლიანობა,
ზნეობა, სამართლიანობა!
მკვდარს როგორც ჭირისუფლები,
ზნეობა, თავისუფლება!
მკვიდრ ოჯახს როგორც ძეობა,
ზნეობა, კეთილდღეობა!
ვით ყოველ წინმსწრაფ ნაციას,
ზნეობა, ცივილიზაცია!
ვით წყარო ლამაზ ხეობას,

პოლიტიკოსთა ზნეობა!
ვით ტურისტს გზის მეგზურობა,
სიკეთე, ჰუმანურობა!
ყველგან და ყველას ზნეობა,
მხოლოდ ზნეობის ტყვეობა!

* * *

ოპტიმიზმი

უაზრობები დავძლიოთ უნდა,
სიცარიელე შევავსო დიდი,
ჩვენ სიყვარული გიშველის თუნდაც,
გვიბნევდეს აზრს და გზას სუიციდი!
შევხედოთ ლაჟვარდ და მეწამულ ცას,
დატკბეთ ჟუჟუნა წვიმის შრიალით,
სასოწარკვეთის აგვაცდენს ავ გზას
სიცოცხლის ძალის მძლავრი გრიალი!

* * *

ყოფითი მენეჯმენტი

ფული იმატებს, თუ ჭკუით ვხარჯავთ,
როცა არ ვფანტავთ და წყალს არ ვატანთ;
დიდიც რომ იყოს სახლი მორთული,
პატარავდება იმისი ფასი,
სადაც უქმია ყველა სართული,
ანდა დარბაზი მდიდრული ასი,
თუ არ ვიყენებთ არ ვიმსახურებთ,
მის ყველა კუთხეს, კუნჭულს და ყურეს.

ცხოვრების აზრიც პატარავდება,
თუ შინაარსით საქმე არ ავსებს,
ფუჭი დღეები შმაგ ქარს გაჰყვება
ცხოვრება გვიდგენს მკაცრ კანონს ასეთს!

* * *

მეხივით ტანში
შიშად ნუ გივლის
ამბავი ვინმე ტოლის
სიკვდილის;
წინასწარ თავის
არ გინდა გლოვა,
შენი მხოლოდღა
მის დროზე მოვა.

* * *

მოუსვენარი

სული ბოროტი არ ირ ისვენებს,
თესავს სიავეს,
აღარ აჩერებს არც ერთი წამით,
დღეა თუ ღამე
ჟინი მას სხვისი განადგურების.
ვხედავ, საკუთარ თავსაც ვითა ვნებს
სიავის შხამით,
უსასტიკეს ხვედრს თვით იმზადებს
უკეთურობით.

* * *

ყოფითი მათემატიკა

რა ლამაზია დედამიწა,
როცა თენდება,
აყვავებული ვენახებით,
ბაღით, ყანებით!
ცა ვარსკვლავებით
ღამით მშვენდება,
ცხოვრება – კარგი
ადამიანებით!
გულის სიკეთე დათესილი
მაშინ მრავლდება,
როდესაც გვატკბობს
იმედები და სიხარული,
გამოაკელით ჩვენს ცხოვრებას
ეს და დაგრჩებათ
სიცარიელე სუსხიანი,
ვით ავი გული.
გამოაკელით ცხოვრების აზრს
ხიბლის სიამე,
გიჩვენებთ მინუსს ის ტაბლოზე,
ვით ზამთრის ღამე;
გამოაკელით სიყვარულის
სითბო და ძალა,
შეგრჩებათ ხელში უსიცოცხლო,
ვითარცა ჩალა;
გამოაკელით ცხოვრების წლებს
მიზანი, შრომა,
გახდება იგი დღეკვეცილი,

ვით შემოდგომა;
გამოაკელით მას იმედი
და პერსპექტივა,
მიიღებთ დღეებს ცარიელებს,
შეკრულებს მძივად;
გამოაკელით მას სიკეთე,
სიწმინდე სულის,
ბოლოს გექნებათ დალეული,
ვით მთვარე, ნული!

* * *

მე რა მაოცებს ?

მსოფლიოს შვიდი საოცრება
მაოცებს მართლაც –
სჭარბობს ოცნებას
შემოქმედთა აზრი და გათვლა!
გასაოცარი ბევრი რამე
კიდევ სხვაც არის –
გონების შტურმით
აღებული ციხე სიმაგრე –
ადამიანთა შექმნილი
და ნაამაგარი!
ვხაროობ, რომ ვხედავ
პრობლემათა დალეწილ სანგრებს,
აზრის მწვერვალებს,
ავ ძალებთან
შემტევებს, მაგრებს!

მე ვარ ამაყი, რომ ვეკუთვნი
დიად არსებათ,
ვინც წინ მიიწევს სიმაღლისკენ
და აღარ ცხება!
და რა მაოცებს, რა მაშფოთებს
რა იცის ზოგმა,
რომ სისულელეს
ჩადის მეტად სასტიკსა და დიდს
ადამიანი ბევრი
და თვით ბრძენ კაცთა მოდგმა,
რომ თვით უმზადებს
თავისვე თავს მკაცრ ხვედრს –
სუიციდს!

* * *

თანმხლებნი

ადამიანო, პრობლემებთან
შენ ერთად გაჩნდი,
სულ თან დაგდევენ,
დედამიწას როგორაც მთვარე.
ვერ მოიცილებ მათ,
ვით მზისით აჩრდილს,
დაუნდობლები დაგდევენ და
გიმტვრევენ კარებს.
მათ გარეშეც კი
ცხოვრებაა იდილიური,
დამყაყებული, მთვლემარე,
არ პათეტიკური.

მათთან ბრძოლაში
აღტყინებას თუ არ განიცდი,
მაშინ ვინა ხარ,
უილაჯო, საწყალი ფლიდი?

* * *

კაცობრიობას

ადამიანი სულ სამი მილიონი წლისაა,
როცა დედამიწა რამდენიმე მილიარდისა.
სამეცნიერო ინფორმაციიდან
დიდი გზა, შორი
გაქვს გამოვლილი,
მძიმე, ადვილი,
შუქით და ჩრდილით.
მაინც ნორჩი ხარ
წინ უხვად გელის,
ისევ გზა რთული,
აღმართი ძნელი,
კვლავ მძიმე ტვირთით.
ჯეგირი, ხიდი,
შეგხვდება წინ, რომ
ვერც დაითვლიდი ...
ეს მილიონი სულაც სამი
ასაკი შენი,
აბა, რა არის, თუ სამყარო
დღიდან გაჩენის
მილიარდებსაც
აღირიცხავს

უკან დარჩენილს.
მოუხმე სიბრძნეს,
ჯერ არ ხარ დიდი,
შორს შენგან მწარე
დღე სუიციდის!

* * *

კვინტესენცია

ყველამ თუ იცის, რას მოგვითხრობს
მთის წვერზე ნისლი,
თუ როგორია ცხელი გული
თვით დედამიწის,
თუ რაა სიტყვა ალალი და
ფიცი უტეხი;
თუ ყველამ იცის რა გზები აქვს
წინ ჩახლართული,
რას ჰყვება ჩვენი ისტორია,
რაა წარსული;
თუ ყველამ იცის, რა ფასი აქვს
სინდისს და ნამუსს,
რომ არ იცვლება ოქროზედაც,
არა ჰგავს სამოსს;
თუ ყველამ იცის ხალხის სიბრძნე
რა ძალას მალავს,
მონას, სხვის მსახურს რომ აკლია
ღირსების ძალა;
თუ იცის მისი მონაგარი
რა ძვირფასია,
რომ ძმობას ნამდვილს უანგაროს
დიდი ფასი აქვს
რომ სიყვარული ამ ცხოვრების

მკვიდრი ფესვია;
თუ ყველამ იცის, რომ სამშობლო
უმაღლესია;
რომ ზედმეტობა და სიმრუდე
მძიმე ბარგია,
ცხოვრება მხოლოდ მათ გარეშე
ტკბილი, კარგია,
რომ ხალასია, როგორც ღვინო
მტევნის ნაჟური,
მხოლოდღა ყოფა სუფთა აზრით,
ამხანაგური;
თუ ყველამ იცის, ყველაფერი
ეს რომ წესია,
მაშინ ყველა ფლობს ცხოვრების რთულ
კვინტესენციას.

* * *

წვდომის სირთულე

ვინ წვდება სიღრმით
ცნებებს ევკლიდის,
ან ისტორიას
მართალს სტრაბობის,
ვინ გაიარა
ბრძნულ აზრთა ხიდი,
ვინ არის ნაქებ
მოძღვართ გამგონი?
ვის ესმის მძაფრად
სიბრძნის ზვირთები
პოეზიის მზის -
რუსთაველისა

ან აფორიზმთა
მარგალიტები
დრამის ჯადოქარ
ინგლისელისა?
აცნობიერებს,
აბა, რამდენი
სწავლებას სმიტის,
აზრს გიგანტ კანტის,
ვინ დააფასა
სიბრძნის მაცნენი,
ვინ შეითვისა
მოძღვრება მათი?
ვინ იგებს სრულად
ზღაპრულ ტილოებს
რაფაელისა
ანდა დე ვინჩის,
აბა, თუ ტაშით, დააჯილდოვეს
მის დროს გრანელის,
ნიკალას ნიჭი?
მთელი სიმძაფრით
ვის სმენას იპყრობს,
ჟღერა მუსიკის
დიდ ვუნდერკინდის,
სრულად არსებით
ვიღამ შეიგრძნო
ფალიაშვილი
მაესტრო დიდი?..
რომ გავაგრძელო
კითხვა, ჩვენს შორის

ასეთი არის
მეათასედი.
ხოლო, ვით ელვა,
ვრცელდება ჭორი,
და ბანალური
აზრები მდორე!

* * *

ბედნიერების დეფიციტი

კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს...
რუსთაველი

ვით შვილს, სანატრელს,
შორს გაგზავნილს,
ბედნიერებას ყველა მოელის.
ის თუ შეგხედავს წამიერად,
აგიჩქროლებს გულს,
ვით მოძმე, მხსნელი
ან ახლოსაც არ მოგეკარება,
სულაც ჩაგივლის.
თითქოსდა სადღაც გაიპარება,
ვით ნამი დილის.
სხვა მოლოდინიც,
და სხვა განცდებიც
თავსაყრელია,
არ ვიცით ხვალ–ზეგ
რა მოგველის, მივხვდეთ ძნელია!
ბედნიერება ამ ქვეყნად რომ
ყველას გვაკლია,

ჩვენი ცხოვრების
ეს მთავარი ალბათ ნაკლია!
და ამ დეფიციტს ყველა ერთად
თუ მოერევა,
ცალ–ცალკე სვლა კი
არის ფუჭი და თავის მტვრევა!

* * *

სასოება

კაცი გაჩნდება და დაბერდება,
გაქრება თითქოს წყალი აორთქლდეს,
მაგრამ სიცოცხლე ისევ გრძელდება,
მარადი ცეცხლად ელავს სიცოცხლე!
ვით გაზაფხული ველს მწვანეს მოჰფენს,
ცივ ზამთარს შეცვლის მზის მხურვალება;
სიცოცხლე მოაქვთ ახალ თაობებს,
მარადიული, ვით უკვდავება!

* * *

მიჰყევ სიმართლეს

მიჰყევ. მიჰყევ სიმართლესა,
გამოგილევს სინათლესა.
ხალხური

თქვი სიმართლე და მიჰყევ სიმართლეს,
იყავ სიყალბის ბასრი ლახვარი,
თუნდ დაგელიოს თვალში სინათლე,
შენ თვით იქნები წმინდა ლამპარი!

სიყალბის შხამი მწარე ბანგია,
გონება იმით დანისლულია,
ცხოვრებისათვის იგი ფაგია,
მისი გზების წინ სულ უფსკრულია!
ყალბს ტანზე მზაკვრის ტოგა აცვია,
ქვეყნის დამქცევი თითქოს ჭირია;
ვინც მას, ვითარც სენს, ებრძვის კაცია,
დიდი სიმართლე ვინც თქვა, გმირია!
დე, გაქრეს როგორც ყინული, ყველა
სიყალბის ბნელი კოშკების წყება,
ეღირსოთ შემცდართ თვალის ახელა,
ილია მართლის გაეგოთ მცნება!
მართალი აზრის შეწყდეს წაბილწვა,
დამთავრდეს ალალ–მართალის წყენა,
სიმართლე უნდა მთელ დედამიწას,
ადამის ძეთა თვითგადარჩენას!
როგორც ჟანგბადი, პური არსობის,
გვჭირდება ის დღეს, ხვალ, ზეგ, მარადის,
აბსურდი არის აღარ ფასობდეს
და მართლ სიტყვას ჟანგი ფარავდეს.
უნდა ხორცის და სულის სიწმინდე
აზრად და ძალად კაცურ ცხოვრებას,
ჭეშმარიტება თუ განგვადიდებს,
რა უნდა გვიქნას ავმა ჭორებმა?
მჯერა, სიყალბის დღენი მოკლეა,
როგორც პეპელა კვდება სულ მალე,
მართალი სიტყვა აზრი, იდეა
მარადისობის დროშად ფრიალებს!
თქვათ სიმართლე და გვწამდეს სიმართლე,

სიმართლის მძლავრად რეკავდეს ზარი,
თუნდ დაგველიოს თვალში სინათლე,
თვითონ ვიქნებით წმინდა ლამპარი!

* * *

ზოგი რამ გაკლდეს, ნუ იდარდებ,
იმედი ნახე.
ნუ ითრგუნები, ვით მძევალი,
გქონდეს სილაღე.
მილიარდერსაც არ ყოფნის ფული,
უტირის სახე.
გიჭირს? გიშველის რწმენის ძალა,
მას დაუძახე!

* * *

ეგოიზმი

სად ეძებ, აბა, ბედნიერებას,
საკუთარ თავზე ფიქრში, ზრუნვაში?
სხვისი ჭირიო – ღობეს ჩხირიო
ღრმა ეგოიზმის დაცურავ ზღვაში.
ვეღარ იპოვი მას, როგორც კატას,
რომელიც არ წევს ბნელ გრილ ოთახში.
ბედნიერების წყარო იქა ჩქეფს,
სადაც ერთმანეთს უდგანან მხარში.
ბედნიერება ალტრუიზმშია,
ეგოიზმში კი – ვით ზუთხი მტკვარში!

* * *

ერთადერთი

ერთადერთია ქვეყნად სიმართლე,
როგორც მშობელი, ისე როგორც მზე,
უხვი სიცრუე გვიქრობს წინ სანთლებს,
რომ გვეგებება ყოველ ნაბიჯზე.
ბევრს მაინც სჯერა, ამაოდ სჯერა
მტკნარი სიცრუე, მოკლეფეხება,
წამოსხმული აქვს ნიღაბი ვერაგს,
გესლით და შხამით ყველას გვეხება.
სიმართლემ ბოლოს სიცრუე სძლია,,
დიდი ძალაა ჭეშმარიტება,
სიცრუე მხოლოდ დილის ნისლია,
ამოვა მზე და უკვალოდ ქრება!

* * *

შავი პიარისტი

ის გაავრცელებს ჩემზე აზრებს მრუდს,
რადგან სიმართლე, როგორც ჭირი, სძულს.
მოუხმობს სრულად ავ ფანტაზიას,
და მოსდებს ჭორებს მთელ ევრაზიას;
მიწოდებს ბანდის ბოსს თავმომწონეს,
რომ შეშურდება თვით ალ კაპონეს;
კანიბალისა სისხლი მიდუღს თითქოს ძარღვებში,
ვაჯობებ კბენით განრისხებულ ნაგაზთ დაგეშილთ;
მე ვარ შეცდენის დიდოსტატი და დონ ჟუანი,
ჩემს ჰარამხანას ინატრებდა თვით მაჰმად ხანი;

ვაჩენ ხანძრებს და ვაწყობ ვულკანთ დიდ ამოფრქვევას,
რევოლუციებს ვინაც ახდენს–ესეც ხომ მე ვარ!...
და კიდევ რა თქვას, არც კი იცის ებნევა ტვინი,
როცა ზეცამდე აღიმართა სიცრუის ზვინი!
მე აღარ მიკვირს ამ ოსტატთა ავი პიარის,
რომ ჰყავთ მომსმენნი, ეს კი მიჩენს გულში იარას.

* * *

ნოსტალგია

იყო სიმშვიდე და ეგზოტიკა,
დრო იყო მდორე, როგორც ნილოსი
და მიჰყვებოდა ყოფის ლოგიკას
ყველა უნიჭო და გენიოსიც.
იყო სამოსი სულ სხვანაირი
მჩატე, მარტივი, არამოდური
არც პომპეზური და არცა ძვირი,
სამანი ედო ყოველგვარ სურვილს.
ჰაერი იყო სუფთა, უზადო,
ინფორმაციით დაუტენავი,
ღვინო – ნაღდი და კაცი კი – სანდო,
ვერ იკადრებდა ტყუილს ვერავინ.
ურთიერთობა იცოდნენ წმინდა,
უფაქიზესი იყო ინტიმი,
მზეც თითქოს მეტ თბილ სხივებსა ღვრიდა
და მძლავრად ჟღერდა გრძნობათა სიმი.
გარემო იყო სუფთა, ნათელი,
ქცევა ხალასი და ლმობიერი,

იქნებ ცხოვრებაც იყო ის ძველი
ჩვენსაზე ტკბილი და ბედნიერი?

* * *

ძებნა

ვეძებ ადამიანს ...
დიოგენე

გაკაშკაშებულ მიდამოში
დავდივარ მზეზე,
ვით დიოგენე ერთ დროს სანთლით
ათენის გზებზე,
ძნელად ვპოულობ ადამიანს,
როგორსაც ვეძებ – ნაღდსა და სანდოს,
მართალს და, ალალს,
კეთილს და მტკიცეს.
გულს სევდა მაწევს და,
როგორც სისხლი,
ბოლომდე მივსებს.
მაგრამ იმედი აღარ ქრება
დილის ცვარივით,
ის ვპოვე მათში, ვინც ნდომით იღწვის
რომ მიზანს მისწევდეს,
ვისი წკრიალა და მჭექარე ხმა
ჟღერს აქ ზარივით,
ეს ისინია – დამაშვრალი
გუთნისდედები,
დაზგასთან მდგომნი, მშრომელები
ოფლში გაღვრილნი...
თავს დამეხვევა, ვით ფუტკარი,
ჯგრო იმედების

და დავწყნარდები უკვე ძებნით
ძლიერ დაღლილი!

* * *

გაუგებრობა

ბევრმა კარგად არ იცის,
რაა კარგი და რა ცუდი,
ამას ყოფა აჩვენებს,
აზრები ბევრს მოსდის მრუდი.
თუმც იგებენ არჩევნებს,
ჭრიან, კერენ არასწორად,
ცუდს კარგისგან ვერ არჩევენ,
დაგიდევენ არად მორალს!

* * *

უსამართლობა

ცხოვრება უსამართლოა,
მაგრამ მაინც კარგია.
დალაი ლამა

კარს გავაღებ და დამეტაკება,
ვითარცა მგელი, უსამართლობა.
ვაი, ამ ყოფას და ამ გაძლებას,
ამ გადარჩენას ვამბობ: მადლობა!
ის კაცთა მოდგმის ხვედრი უცვლელი
ყველა წესის და რიგის ურჩია,
მისი შხამისგან ვარ დაუცველი,
მართმევს სიმშვიდეს, მწუწნის, ვით ჭია!
ჩასაფრებული ყოველ ნაბიჯზე

მოვა, ამირევს ცხოვრების დავთარს,
კუთვნილს წამართმევს, პრობლემებს მიჩენს,
თან მომდევს, როგორც თოვლი ცივ ზამთარს.
მიმწარებს ყოფას, ღირსებას მტაცებს
მიმასპინძლდება შოლტით და წიხლით,
მთრგუნავს და ლამის მონადაც მაქცევს,
მიკარგავს ხალისს, გამიშრო სისხლი!
მოვა ათასი ნიღბით და ხრიკით,
მიმზადებს შიმშილს, წყურვილს, ბრმა ყოფას,
ყრუ-მუნჯად გამხდის ავი, სასტიკი,
მისპობს აწმყოს და მიფუჭებს მყოობადს.
ავიტან ყველა ჭირს და სიავეს,
ვეღარ ავიტან ამ ძალადობას,
მრჩება ერთი რამ: მას ბრძოლა დიდი,
ომი სასტიკი უსამართლობას!

* * *

ასიმეტრია

ჰა, ჩინიანთა აღმართულა
მთაგრეხილები,
ძირს ყოველივეს ზედვე აწევს
მათ ჩრდილები.
და უჩინარნი დაკოჟრილი
მუშა ხელებით
შიშით დადიან, ვით თაროზე
ჭიანჭველები;
ერთეულები უსასრულო
ძალაუფლებით,
სასახლეებით, დაუთვლელი
დასტა ფულებით

სხვებსა მოძღვრავენ და ითხოვენ
მათ ერთგულებას.
რაც სიკეთეა, მათ ის ყველა
დაუხვეტიათ...
ვხედავ, რომ ანგრევს ამ ქვეყანას
ასიმეტრია!

* * *

კლეპტომანი

ის მოიპარავს მთას,
და ლაჟვარდოვან ცას,
რომ იყოს მისი ნება,
კოსმოსსაც გადაწვდება,
ის მოპარავს მზეს,
რომ არ დაწვავდეს ხელს!
ის მოიპარავს ბანკს,
წყალუხვ მდინარე განგს,
ის მოიპარავს ნამს
და პრეზიდენტის სკამს.
ის მოიპარავს გზას,
ღრუბელს გატენილს წყლით,
აბობოქრებულ ზღვას,
ლამაზ ნახატს და მითს.
ის მოიპარავს ნაქურჩალს,
თუ ვერ იპოვის საღ მარცვალს,
ის მოიპარავს ძნას,
აღარ დაზოგავს ძმას,
აღარ დაინდობს დას,..

ესა აქვს ურღვევ წესად
ვერ გაექცევა ვერსად!
* * *

მომხვეჭელი

აქვს მექანიზმი მომართული,
როგორც საათი,
იმის ქისაში ჩადის ფული
სულაც ტაატით.
არ ედარდება, თუ სხვის ქისას
ამით რა მოსდის
თუ მის ქისაში სულ ჩქრიალით
ფული გადმოდის.
სხვა გინდ გაკოტრდეს
და გატიალდეს,
იგი ასეთი ცივი გულით
შექმნეს გენებმა.
დაყარეს ხმები ავმა ენებმა:
ქისა რომ იტენება,
ფენა – ფენებად,
ის იტენება, ვით ზარბაზანი,
დაარღვევს დუმილს
და აფეთქდება
ერთ დროს ზანზარით.
სხვისით რაც იტენება,
ვერ აღწევს მიზანს,
მრუდი გზა ვითარც.
ნუ ეტანები კუთვნილსა სხვისას,
თუ თავი გიყვარს !

* * *

გულმავიწყობა

მდივანი იყო გულგრილი, დინჯი,
დროზე არ ამცნო უფროსს მესიჯი.
მან კი პასუხი დააგვიანა,
ასე გაკოტრდა კიდეც ქარხანა.
გოგოს უყვარდა თაფლივით ძილი
გადაავიწყდა დრო პაემანის,
და ჩაიშალა ასე ქორწილი,
შეუღლდნენ მაშინ უკვე სულ სხვანი.
უთო ქალბატონს დარჩა ჩართული,
იგი სულ მცირე იყო ასაკით.
გაჩნდა ხანძარი ჯერ არნახული,
გადაიბუგა მთელი ქალაქი.
იმპერატორი იყო თავნება,
არ უჯერებდა მრჩეველთაც კარის,
დაგვიანებით გასცა ბრძანება
და დაბნეული დამარცხდა ჯარი.
არ გაახსენდა ,,მოვალეობა“
ბუნებას მორწყვის ყანის, ბუჩქების,
დარჩა მიტომაც მოსახლეობა
ცარიელი და ხმელი კუჭებით...
ყველაფერს მისი აქვს დრო და ხანი,
გულმავიწყობას მოსდევს ზიანი.
ცხოვრების წესებს თუ არ მივყევით,
ვერ ავალთ ზემოთ, დავრჩებით ქვევით.

* * *

სიმშვიდისათვის

გირჩევ, რომ გძულდეს
ნივთების გროვა,
რაც ზედმეტია, გტანჯავს,
გაწვალებს,
შენთან სიმშვიდე,
ნანატრი მოვა,
ნივთთა ტყვეობას
თუ გაეცალე!

* * *

ფულს შოვნა

ფულის შოვნაო – მოიგონეს
ბნელმა თავებმა
და ბევრიც, ჩიტი ვით მახეში,
კიდეც გაება.
ბევრს სხვა გადახდა მისგან ჭირი,
დავიდარაბა.
გავიგოთ, იგი არც მადლია,
არც ნეტარება,
შოვნა კი არა, ფულს სხვა უნდა -
გამომუშავება!

* * *

რწმენა

მზე ანათებს და მათბობს,
მორცხვად და ზომიერად.
სიო ჩურჩულით მათრობს,
როგორც დედის ხმის ჟღერა.
მატკბობს შრიალი ყანის,
ლამაზ ეზოში მზერა;
ვიფრენ შორეთში სადღაც
მტანჯველ გრძნობათა სევდას,
ვუსმენ მეგობრის ჩურჩულს
და პაექრობას ხეთა.
დარდსა და ვარამს შორით
წიხლნაკრავებსა ვხედავ;
მახარებს ხვავი მიწის,
ცქერა მხცოვანთა, მხნეთა,
ლაღი ბავშვების კისკისიც,
რომ გაახარეს დედა;
მხიბლავს სიცოცხლის გრიალი,
დიდი სიკეთის ძალები,
ვაჟკაცთ ხმა ომახიანი
და ლამაზმანთა თვალები...
ჰა, ოპტიმიზმის აფრები
წინ სწევენ კაცობრიობას,
არა მწამს აპოკალიფსი,
მწამს ყოფის მარადისობა!

.

* * *

სიკეთის ძალა

მხოლოდ უბირი,
მხოლოდღა შტერი
მუდმივად შლიდა
ბოროტის ალამს.
რაც ისტორიას
გასდევს მზის ფერით–
ეს არის სიბრძნის
სიკეთის ძალა !

* * *

ყოფითი სიბრძნე

თურმე არსებობს ნივთები, რომლებიც
მე არ მჭირდება.
სოკრატე

რა უნდა გსურდეს, რა გიყვარდეს ? –
კითხვაა რთული!
უნდა დაფიქრდე, რა სიკეთეს
გიქადის ფული
ან რას მოგიტანს ბზინვა ოქროს
ან ბრილიანტის!
იქნება სჯობდეს გწამდეს სიტყვა
სოკრატეს, კანტის,
რომ უნდა გსურდეს ის, რაც გჭირდება
და სულ იმდენი.
ამას გვისურვებს და გვასწავლის

სხვა ყველა ბრძენიც!
უნდა გიყვარდეს შვილი,
და– ძმა შენი და სხვისიც –
ესაა ყოფის სიბრძნის ბოლო
და დასაწყისი!

* * *

ახალი დროის ფეოდალები

ბევრნი დამსხდარან
კვლავ ფეოდლებად,
რომ წინ დაგვიხვდეს ბნელეთის ხანა,
არ ესმით ხალხის ყრუ აღშფოთება
პროგრესის გზაზე ლოდებად წვანან!
ჰე, ფეოდლებო, ამ საუკუნის,
ძველ დროს ეკვრებით,
როგორც ხავსი ქვას,
ვერ გრძნობთ – დრო მიდის გრუხუნ–გრუხუნით,
დრომ რა ქნას, თუ მას ვეღარ აღიქვამთ.
ყარს ისტორიის ანაქრონიზმი,
ძველი ქოშივით
ურგები არის,
დრო სანაგვეში
მალე მოგისვრით,
ისმინეთ, რეკავს
ჟამთასვლის ზარი!

* * *

ბაზრის ფანები

თვით პროფესორი განთქმული,
ამბიციური დოცენტი
ბაზრით არიან შთანთქმულნი,
არაფერი სწამთ სხვა მეტი.
ვით ფუტკარს თაფლის კასრები,
სულ ესიზმრებათ ბაზრები:
ბაზრები – ნატვრა, ზღაპარი,
სხვა ნეტარება სად არი!
აბა, იყიდეთ, გაყიდეთ,
აკეთეთ, აკეთეთ ფული!
სულ ყველას უნდა გამდიდრდეს,
უყვართ ქონება ზღაპრული!
გამოყრილია ბაზარზე
მინდვრები, ზვრები თუ ყანა,
ჰა, იყიდება ადლი მზე,
ჰა, იყიდება ქვეყანა!...
გასაყიდად დევს ნამუსი,
მოედნები და კორტები,
აზრები ნოსტრადამუსის,
სული, სხეული, ნოტები...
ოქროს ბირჟაზე არ ცხრება
ციებ–ცხელება, ვაჭრობა,
სადღაც დილერი თავნება
ცდილობს მეტოქის დამხობას.
ბევრსაც უსკდება კანები,
ფასები ძირს რომ მიიწევს,
ბაზრის მყვირალა ფანები,

რომ ვერ აღწევენ დიდ მიზნებს.
კონკურენცია ასწორებს –
ბაზრის კანონი ძირძველი
ბირჟების გიჟ გლადიატორებს,
ომი რომ გახსნეს ფიცხელი.
ზოგს ატკბობს უხვი მოგება
ვით ყვავილს წვიმა მაისის,
მაინც დრტვინვა და გოდება
ბაზრის კარებთან გაისმის!
ვინ იგებს და ვის კი უჭირს,
ბევრს აღარ წყალობს ფორტუნა,
ჭკუა ვისაც კი არ უჭრის,
ბაზარმა წელში მოღუნა.
გვწვევია თითქოს ცის რისხვა –
მოსული სეტყვად, მიწისძვრად,
გაკოტრებული თვითმკვლელი
აქ სადღაც გდია შიშველი;
არ ყოფნის რაც კი წაბილწა –
სული და ტვინი რაც გარყვნა,
მოელის თვით დედამიწას
ბაზრის კანონით მთლად წარღვნა!
მაინც ხოტბა ჟღერს ბაზრისა,
ვით ბეთჰოვენის ჰანგები
მასზე მართალი აზრისა
არავინაა გამგები.!
ჰა , პროფესორი განთქმული,
ამპარტავანი დოცენტი,
ბაზრით არიან შთანთქმულნი,
არაფერი სწამთ სხვა მეტი!

* * *

დანიშნულება

ადამიანებო, იყავით ადამიანურნი.
ეს თქვენი მოვალეობაა!
ჟან-ჟაკ რუსო

ქვეყნად რად გაჩნდი, კაცო მაგარო, –
ყლაპო, იძინო და დრო ატარო?
არა! – ხე დარგო, ვაზი ახარო,
მოძმეს უშველო, არ დაიზარო,
სახლი ააგო, ოფლი დაღვარო
და დაამშვენო მთელი სამყარო!

* * *

განვითარება

ვით ყოველივე,
ორადია განვითარება:
თან ახლავს უხვი სიტკბოება
და გამწარება.

* * *

ყოფის გამოცანა

დღეს სულ ცოტაა ფილოსოფოსი,
მაგრამ ბევრს ესმის ბიზნესის გზები;
მცდარია ბევრის ზრუნვა, პათოსი,

არეული აქვს ბევრსაც მიზნები.
ბევრს ყოფა ესმის ამაოებად,
ბევრს ის ჰგონია სავსე იქსებით,
ზოგისთვის არის ის სასოება
ბუნდოვანი და უაზრო სვლებით.
თუ კი გავიგებთ, აზრი სხვაშია:
ყოფნაში ძმობის დიად მხარეში,
მთელი არსებით მის განცდაშია,
ოღონდ სუფთაში, ჭუჭყის გარეშე!.

* * *

თავისუფალი

როგორც ჩიტი,
ვარ თავისუფალი,
ძილს ვერ გამიკრთობს
ბაჟი და ვალი;
ვერვინ მბრძანებლობს
უხეში ძალით,
არც მბოჭავს მცველთა
გულგრილი რკალი;
არც ვინმეს წინაც
ვდგები კანკალით,.
სიხარბის, მტრობის
არ მიჩანს კვალი,
დავალ თამამად
კაცი მართალი!
ძალაუფლებით,

ჰე, დაღლილებო,
თავისუფლების
არც იცით გემო,
სიმდიდრის ტვირთით
გაჭყლეტილებო,
საშური ხვედრი
აღარც თქვენ გერგოთ!
როგორც მერცხალი
ლაღი, ფრთამალი
მე ვარ ამაყი,თავისუფალი!
ოქროსა და სკამს
არ ვემონები,
ლაღად მქროლავი
ნიავით ვტკბები;
მხოლოდ სიყვარულს
ჩავეკონები,
კიდევ - სიკეთეს,
ძალას გონების!

* * *

საჯაროობა

ახალი პოლიტიკური სიოს გამო

ღია გულის და სულის სამყარო
რწმენის შუქურად უნდა მხნეობას,
ფიქრი ბოღმად რომ აღარ ვატაროთ,
გაჩაღდეს უნდა ენამზეობა!
უთქმელი აზრი, როგორც ბორკილი,

სულს გვიმძიმებს და ტანშიაც გზარავს,
სიმართლე მცირე და გაპობილი
დიდი ცხოვრების შუქად არ კმარა!
დუმილის გზა არ გვაერთიანებს,
როგორც ჩინური კედელი გვთიშავს,
სურთ საღი სულის ადამიანებს
თქვან მათ თავებში რა აზრიც იშვა!
წმინდაა ფიქრი, ვით ნამი ცისა,
როცა იხსნება სიბრძნის კარები,
გაათკეცდება ძალა კაცისა
საჯაროობას ნაზიარები!
კაცთ არსობად გვაქვს საქმე და სიტყვა,
ტაბუ იდეებს კლავს, ასახიჩრებს,
თუ ასი აზრი ცხადად არ ითქვა,,
მჯობის მჯობს მაშინ როგორ ავირჩევთ?
საღი მსჯელობა გონის სკივრს ავსებს,
კრისტალად აჩენს ჭეშმარიტებას,
ვერ ამაღლდება ნიჭი პარნასზე,
საჯაროობა თუ არ იქნება!
კეთილ ფიქრს – ყველგან გზები სვიანი,
ისმოდეს სიტყვა ნაღდი, ბაჯაღლო,
ცდომაც ნუ გვაფრთხობს, ღრძო, შხამიანი
ოღონდ არ გვყავდეს ავსიტყვა ახლოს.
გვაქვს განა ზრახვა ბნელი და ცუდი,
ვმალოთ და სხვას არ გავუზიაროთ,
უნდობლობის და ეჭვების გუდით
ამ ქვეყანაზე როგორ ვიაროთ?
არ გვარგებს, არა დღეს სხვანაირი
ცხოვრების გულის ფარული ძგერა,
როგორც პური და როგორც ჰაერი,

საჯაროობის გვჭირდება ერა!
ვერვინ აღმართავს წინ გრძნეულ ზღუდეს,
ვეღარ მოვითმენთ რეტროგრადს კვლავაც,
თუ მაქვს სათქმელი, არ მსურს გავჩუმდე,
ამოვიფრქვევი ისე, ვით ლავა!
ძნელ ლაჩრულ დუმილს ვეღარ ავიტანთ,
ვით უმზეობას, ვით უგზოობას –
გვქონდეს პროგრესის ღერძად და დვრიტად
ოცნების ფრთებად საჯაროობა!

* * *

ფუფუნება

რა ჭამო, რა სვა, რა დაიხურო –
ამ ყველაფრისა შენია ნება,
თუ ვერ ნებივრობ, ბედს არ ემდურო,
რადგან არაფრად ღირს ფუფუნება.
ბევრსაც იმისგან მოეღო ბოლო,
ერგო ცხოვრებით ზოგს მოყირჭება,
მე ხალხის სიბრძნეს გახსენებ მხოლოდ,
უაზრობაა ეს ფუფუნება!

* * *

მოლოდინი

ლოდინით, ვხედავ, ნორჩი. ხნიერი
ასში ერთია გახარებული,
გაღიმებული და ბედნიერი,

ნატვრა ვისაც აქვს აღსრულებული.
სხვა მრავალი კი ჩანს დაღვრემილი,
ბედისგან მკაცრად გაწბილებული,
ზოგს ერგო სულაც წილად სიკვდილი,
ამაოება კიდევ ზოგს სრული.

* * *

საახალდროო

იმედი მოდის ღიმილით
გაელვებული ცისკრითა–
ამაყი სულის ყივილი
დროის მოვლენილ ხსნის გმირთა!
სიკეთის აზრით მოსილი
შეწვდება ზეცის კაბადონს,
გზებს ახალს ძლევამოსილი
გაგვიხსნის რწმენის საბადო!
დაბრუნდა უკვე ბორბალი
ვეება მდორე ჟამთასვლის,
ბრწყინავს იმედი მომავლის,
იმედი რწმენის არწაშლის!
გვანთებს მიზნებით იმედი,
დიდი ლოდინით ნატრული,
ქათქათა ფრთებით, ვით გედი,
ვით ლაღი სიტყვა ქართული!
უშრეტი წყარო შენების
და უკუნეთის ძლევისა,
იმედი გადაშენების
სულთამხუთავი დევისა!

იმედი შემობრუნების
აღზევებული კაცობის,
გალაღებული გულების,
ჭაობ–ჭინჭრობის დაშრობის!
იმედი იგრძნეს ყანებმაც,
ბაღებს იმედი ახარებს,
აუხდათ ტკბილი ოცნება
ჩუმი დიდებს და პატრებს!
მოდის იმედი ნაკადად,
ძალად იმედი ქართველთა,
იმედმა ყველა გაბადრა
დაჭრილი გული გამრთელდა!
სიმართლე უფრო გაბრწყინდა,
სინათლე ათკეც ნათდება,
ყველა სიკეთის საწინდრად
დრო იმედების კვლავ დგება–
დრო ძველ სირცხვილთა მოსხნისა,
მხვნელ–მთესველთ აღზევებისა,
ამღერებული მგოსნისა,
მკვლავმაგართ დაფასებისა;
ლაჩრობის დასამარების,
მამაცთა ხოტბა–ქებისა
ხარბების არ გახარების,
გულუხვთა განდიდებისა;
ჭეშმარიტ აზრთა ნათების,
უღირსთ ქვესკნელში ძრომისა,
სიწმინდის სხივთა ნათების,
სიბინძურეთა კვდომისა!..
მოდის ის მადლის ფონითა,

დავთიანი დროშითა,
თამარიანი გონითა,
ექოთი ჯიხის, ოშკისა!
მხედრული მუხტით, უქრობით,
დიდგორულ უდრეკ სულისა,
გამოღვიძებით უჭკნობი
რუსთველურ სიყვარულისა!
მოდის დრო დიდი იმედის,
ამერ და იმერ სახლდება,
მკაცრი ვერდიქტით თვით ბედის
ივერთ ქვეყანა ახლდება!

* * *

აბა, ვინაა თავისუფალი?

ყველას სწადია თავისუფლება,
ნავარდი, როგორც ცაში, ფრინველის.
ბევრიც კი იმის ძებნაში კვდება,
ბევრი კვლავ რჩება მისი მსურველი.
მაგრამ ვინაა თავისუფალი,
თავისი თავის სრული პატრონი?
იქნებ მფლობელი უსაზრო ძალის,
მბრძანებელი და ქვეყნის ბატონი?
ვისაც ქუჩაში გავლა აშინებს
და ნებივრობა გაშლილ მინდორში,
თუკი არ ახლავს დიდი ამალა,
ვინც ჩაკეტილა და თავსა მალავს?
იქნებ ის, ვინაც მილიარდებით
მრავლის ცხოვრებას და აზრებს მართავს?

მისი სიმდიდრე, როგორც ბარდები,
მას ბოჭავს და წინ გზებს ძნელს უხლართავს;
ან კი სულაც ის, მისივ სურვილით,
თავისვე სხეულს რომ აქირავებს?
არა, მისთვისაც უცხოა ხილი
თავისუფლება, – არ ხსნის მის კარებს.
აი, სურათი ეს შემზარავი,
თავისუფლება დღეს არის მკრთალი;
თავისუფალი არ ჩანს არავინ,
მხოლოდ ჩიტია თავისუფალი?

* * *

რიგითი

რატომ უნდა ემსახურო
სხვა კაცს შენზე მცირეს,
ან შენ თვითონ რაღად გინდა
სხვისი სამსახური?
ომარ ხაიამი

მე ვარ რიგითი,
ვით ბევრი სხვა - მილიარდები;
დავდივარ დაბლა,
სიმაღლიდან აღარ ვვარდები;
ვმგზავრობ, ვით ბევრი,
ავტობუსით ანდა მეტროთი;
ვსეირნობ სკვერში ნეტარებით,
ვტკბები ხენდროთი;
სხვისას არაფერს ვეტანები,
მე ჩემი მყოფნის;
არ ვფლობ ქვემეხებს და

მწყერებზე ვნადიროზ თოფით;
ჩემი სახელით სხვა არასდროს
ვუჭედავ ყურებს,
არც ვის ვმსახურობ და არც არვის
არ ვიმსახურებ.
მიჭირავს ხელში
ხან თოხი და ხანაც ჩაქუჩი,
დავყვები ჩემს გზას თავმდაბლურად,
ხელს არვის ვუშლი;
არა მაქვს შიში მოშურნეთა,
კარი მაქვს ღია.
მე ამ წესს მოვწყდე,
მას სიკვდილიც კი მირჩევნია.
მე ვარ რიგითი,
ისე, ვით სხვა - მილიარდები,
დავდივარ დაბლა
სიმაღლიდან აღარ ვვარდები!

* * *

ერთმანეთსა ვჭამთ

ცხოვრება არის ომი ყველასი
ყველას წინააღმდეგ.
ჰობსი

როგორც თევზები, ერთმანეთსა ვჭამთ,
ვით წურბელები, მოძმის სისხლსა ვსვამთ,
ძაღლი ძაღლის ტყავს ხომ აღარ დახევს,
ჩვენ კი ულმობლად მარდადაც ავხევთ!

როგორც მხეცი შველს, მოძმეს არ ვინდობთ
და ერთმანეთთან გავმართავთ დიდ ომს;
ხან ჩასაფრებით, ვით მონადირე,
მეტოქის შუბლში სროლას ვაპირებთ;
როგორც თევზები, ერთმანეთსა ვჭამთ,
ერთმანეთის სისხლს მადიანად ვსვამთ...
რაც არ იჭმევა, არ შეგვერგება,
მაინც გვსურს იგი, რაც არ გვერგება!
ეს ზღვები, მთები, სუფთა ჰაერი
ვერ გაგვიყვია, ვართ თავის მტერიც!
მცირე სარფისთვის ერთმანეთსა ვჭამთ,
ვით წურბელები, მოძმის სისხლსა ვსვამთ!
მინდა ეს გითხრა, ამაყო ხალხო:
არ მსურს შენ ასეთ ყოფაში გნახო!

* * *

არ კმარა !

ყოვლისშემძლე და მფლობელი ძალთა,
ცნობილი მარად კერპად მრავალთა -
სახელისათვის ფული არ კმარა,
ბედნიერების ფუძედ? ო, არა!
არც ფორდები და არც გეითსები
ფულით გმირებად აღარ გამხდარან,
სახელისთვის ის არვის ეყოფა,
კეთილდღეობად, სილაღით ყოფად
ვიცი არ კმარა, არა და არაა!

* * *

მშრომელის სიტყვა

ამბობს მშრომელი
შემართული:
არა მწამს ნივთისგან
ბედნიერება,
ბედნიერება – ეს საქმეა
გონით მართული,
რაც ყოველივეს
ავს მოერევა,
საქმე, რომელიც
ქმნის, აშენებს,
წალკოტად აქცევს
ქვეყნიერებას!

* * *

კარგ კაცს დიდება

იმისი დროშა, ვით ღრუბელი,
მაღლა ფრიალებს;
მისი საქმენი
თაფლივით რგებს ადამიანებს.
მისგან სიკეთე არასოდეს
დაიგვიანებს;
კარგ კაცთ დიდება გულიანებს,
ენა წყლიანებს,
ქვეყნის მყარ ბურჯებს,
შემოქმედებს,
ხელხვავიანებს,
ცხოვრების აზრის ნამდვილ გამგებთ,
ბრძენთ, აზრიანებს,

სიკეთის ალი ვის გულშიაც
მაგრად ბრდღვიალებს,
და თავში კიდევ სათნოების ვნება
ტრიალებს;
სიკეთის დროშაც გამარჯვების
პიკზე ფრიალებს,
მისი საქმენი თაფლივით
რგებს ადამიანებს,
ვისი შიშითაც ბოროტება
ვერაფერს გვავნებს!

* * *

სიმდიდრე

რაა სიმდიდრე? ერთ წამშიაც
იქნება გაქრეს...
ბაირონი

ოქროს კოშკები, ბრილიანტები,
ანტიკვარები, ნივთების მთები,
ცათამბჯენები გოლიათები –
აი, ზოგისთვის აზრი ცხოვრების.
ბევრის ნატვრაა მდინარეები
რძისა და თაფლის კლდის ნაპირები –
ესაა მათი ოცნების ფრთები
და გზა აღთქმული ბედნიერების.
ღვივდება ჟინი სულაც ურგები
ნივთთა მოხვეჭის, ძებნის, გროვების,
და მასთან განცდის დგება გორები,
უძილო ღამის ძალობს ფიქრები.
ლანდი სიმდიდრის, მისი მატების,

ტვირთია, როგორც სიზიფის ქვები.
ტანჯვად ქცეულნი ქრებიან წლები
უზომო ნივთთა გამოდევნების.
რჩება უსაგნო ილუზიები
ჰედონისტური მისწრაფებების...
აბა, სადაა აქ გზა დიდების,
სიკეთე უხვი ავლა–დიდების?
ცად აზიდული ნივთების მთები
რა განძი არის, რისთვისა მრგები?
ხომ ვიცით ბოლოს სადაც ვიქნებით,–
ჩირად რომ არ ღირს ცივი ნივთები!

* * *

ჩასაფრებული

მე სიკეთისთვის სულ მიღვაწია,
მაგრამ არსებობს ბოროტი სული,
ვინც ჩემს სავნებლად გარჯა გასწია,
რომ ვყოფილიყავ დამარცხებული.
მან თავის ზრახვებს ვერ მიაღწია ,
დარჩა პირს ჩალაგამოვლებული

ჩასაფრებული არაკაცია,
საცოდავია ჩასაფრებული.

* * *

ოდაბადე *

რა ხვედრი მერგო, სად დავიბადე?
ძნელი ცხოვრება გამოვიარე.
მე მაინც მიყვარს ეს ოდაბდე,
ვივიწყებ კიდეც წლებს ნაიარევს.
არ მერგო წილად დიდი ქვეყანა,
მსოფლიოს კედლებს რომ აზანზარებს,
ვეთაყვანები ჩვენს ტყეს და ყანას,
ველებს, ქალაქებს, სოფლებს პატარებს!
არ მშურს სიმდიდრით გალაღებულთა,
ვარჩევ ვეფერო ადგილის დედას,
მთელ სამყაროში ჩვენს თუნდ მცირე მთას
არასდროს გავცვლი ოქროს მთებზედაც.
აღარ დავარქმევ ჩემს ბედს დანავსულს,
თუ სიმდიდრეში არ ვიძირები,
დავენაცვლები ჩემს ენას, მამულს,
მშობელ მიწის გოჯს შევეწირები!

* * *

განძი

საუკუნეთა შორეთიდან
ექო ჩამესმის,
რომ ყველა განძზე
უკეთესი არის სიკეთე,

---

* მშობლიური ადგილი (მეგრულად).

განსაკუთრებით, რომ ნამდვილად
იხარებს ფესვით,
რასაც საკუთარ თავს კი არა,
სხვას რომ უკეთებ!

* * *

ღამე

მოცურავს ღამე შავი ნაბადით,
ოქროს სხივები ზეცას ვერ სერავს,
ღამის მეხრენი იწყებენ ნადიმს
და პოეტები ლექსების წერას.
მოუსვენარი სადღაც გონება
ეძებს სანუკვარ აზრთ გაშლილ აფრებს,
ელის დაქანცულს კვლავ შთაგონება,
ნიჭს გაბრწყინება რწმენით აღავსებს!
ძილს მიცემია დაღლილი მნათე,
სადღაც ეყრება სულს მძიმე გვამი,
სადღაც სარკმელში აქრობენ სანთელს
და სიყვარულის ჩამოკრავს ჟამი.
ავის მქმნელები ისხამენ აბჯარს,
ჩნდებიან მგლებად მზაკვრული ტანით,
კაცურ კაცობის თელავენ საზღვარს,
უღელს ადგამენ სუსტებს და ლაჩართ...
ტელეარხები ცისფრად კაშკაშით
ბინძურ ტელღებით ტენიან ეთერს.
ღამის ბარებში როკის მძაფრ ხმაში
გოგო-ბიჭები ტკბილ განცდებს კრეფენ...
დააჭენებენ ჭინკები რაშებს,

მათ ფაფარს უშვერ კულულად წნავენ,
მეკობრენი კი მკერდგაშლილ ზღვაში
უსხედან ზუთხით დატვირთულ ნავებს...
მეც ღამე მშთანთქავს, ვცდილობ მის ძლევას,
ვეწვევი უცნობ ვირტუალობას,
ხან კენტავრებთან მიწევს შეტევა,
ხან ვეხუტები შთამომავლობას.
ღამე კი მიდის ჩუმი ზოზინით,
დუმილი მითრობს აგზნებულ სმენას
და განთიადის ტკბილი ლოდინი
მე შთამაგონებს ღამის მოთმენას!

* * *

დასვენებული

იყო მისთვის, ვით დედინაცვალი,
ცხოვრება მძიმე, გამწარებული,
მოკვდა, ყველა ჭირს აცდა საწყალი
და არის უკვე დასვენებული.

* * *

აღარაფერს ამ ქვეყნად
სწორი ფასი არ ადევს,
ამ დიდ უკუღმართობას
თვით ცხოვრება ღაღადებს!

* * *

ავები

ადამიანთა ერთი ნაწილი,
მე აღარ ვიცი რატომ ამდენი,
(არც არავის აქვს კარგად დათვლი),
ბოროტ საქმეთა არის ჩამდენი,
ზოგი გულგრილად მკვდარსაც გაძარცვავს,
არ შეერხევა ერთი ნერვიცა,
კაცს ალალს, მართალს ჯვარზედაც აცვამს,
დაანგრევს ყველა სიკეთის ხიდსაც.
ხეირს თუ ნახავს, წარღვნას მოიყვანს,
შექმნის ქაოსს და აივსებს სეიფს,
გააქრობს თუნდაც ბოლო მოჰიკანს,
და მკვდარ ქალაქში გამართავს ქეიფს!..
საზღვარი არ აქვს, ვით დროსა და ცას,
მათ ავ ზრახვებს და საქმეებს შავ–ბნელს,
ჩვენ, ვისაც მხოლოდ სიკეთის გზა გვწამს,
დავახვედრებთ მათ სიწმინდის სანთელს!

* * *

სიმრუდე

ხალხი დღეს, როგორც ყანა ქარში,
მღელვარე შფოთავს,
ის დაჩაგრული გაოცებით
შეჰყურებს ცარგვალს,
ცამდე მართალი არის მასში

სულმნათი შოთა,*
რომ დიდი ქურდი მცირეს უდგენს
ამ დროს სამართალს.

* * *

პაექრობა

გვამცნეს ძველთაგან
ბრძენთ: პაექრობა –
დავაა ძმური
და არა მტრობა.
ჭეშმარიტება როდესაც ჩნდება,
ქვეყანა, ვით მზე, ისე ნათდება
და თუ არ ჩანს ის,
ძირს დაემხობა.
ჩვენს გონებაში სიბნელე დგება.
ვით ღრუბლებით ცა,
თავს დაგვადგება
სიცრუის ჯარი,
იმედი კვდება.

* * *

ქების ღირსი

როგორ გგონიათ, ყველას მკერდში
მართლაც გული აქვს?

---

* იგულისხმება შოთა ნიშნიანიძის ლექსი.

უდგათ საქაჩი სისხლის მძლავრი
რაღაც მოტორი.
რომ ეძახიან კაცს
ნაღდს, გულიანს.
მივხვდი ბოლოს, რომ სულ ცოტაა
ის აქ ჩვენს შორის!
ადამიანის სახელი კი
ჰქვია მას მართლაც,
ნამდვილი, არა ნათხოვარი,
სუროგატისა,
თვით ბედისაგან ის თვისება
ვის დაენათლა,
რაც ყველას ასე
ბედმა უხვად აღარ აღირსა:
სხვის დარდს და წუხილს
რომ განიცდის
როგორც საკუთარს.
ლუკმას დაიკლებს
და დაუთმობს მშიერს
და მწყურვალს,
სხვისი ტკივილი
ვის ძლიერ ტკივა,
სხვისი ჭირისაგან
აქვს დიდი ურვა.
სისხლსაც გაიღებს უყოყმანოდ,
სხვა რომ გადარჩეს ,
წყალში ჩახტება, არ იფიქრებს
და თავს გაწირავს
სტოვებს ზოგჯერ შვილს
ობლად სხვის სარჩენს,
უკან არ იხევს, თუმც სიკეთე
უჯდება ძვირად!
სხვაა უგულოდ ცხოვრებაში
ვისაც უვლია,

ქებათა ქება კაცთა რჩეულს,
ნაღდს და გულიანს!

* * *

განწყობა

ბავშვი მომღიმარი,
მოცინარი დედა,
ქარი ნელი, წყნარი
და ღიმილი ხეთა
ჩქეფს სიცოცხლის ძალად
და გვამაგრებს გენი,
ვნებებს ვეღარ მალავს
ეს გულები ჩვენი!
მე თავს თქვენს წინ დავხრი,
ბუნებავ და ხანავ,
ვგრძნობ სიცოცხლის ძახილს,
ვმკი ცხოვრების ყანას !

* * *

რადგან ცხოვრობენ ქვეყნად ბავშვები

გროვდება სუფთა ბუნების კარში
რადიაცია, ჭუჭყი და შხამი,
აბა, დაფდაფი, აბა, განგაში -
არც ერთი წვეთი მათი, არც გრამი!
სდექ ყველა, ვინც სვრი დედა-ბუნებას,

აწონ-დაწონე, აბა, რას შვრები?
რომ არ გაიგო, არ გაქვს უფლება,
რადგან ცხოვრობენ ქვეყნად ბავშვები!
მზადდება დიდი, ჰა, ვერაგობა,
წარღვნა და ომი უკანასკნელი
ბომბით ატომის და ნეიტრონის
აღარ დატოვებს წმინდანს და ცოდვილს.
სიმართლის ძალით, სიცოცხლის ეშხით,
ჰკა, კაცთმოძულეთ - ჭკუიდან შეშლილთ!
ომი ომს საღი აზრის ნაღმებით,
რადგან ცხოვრობენ ქვეყნად ბავშვები!
ბავშვს ყველას სახე უჩანს მნათობის,
ყველა წმინდაა და დემოკრატი,
მათში არაა უსამართლობის
და ძალადობის არც ერთი კვანტი!
ქომაგო ძალის, ყველა ჯურისავ,
გაავებულო, ამაოდ ცდები,
აღარ შეგრჩებათ ავთ ცოდვების გზა,
რადგან თაობა მას გმობს ბავშვების!
შურმა, სიხარბემ, მეტოქეობამ
ეგ ტვინი როგორ დანისლა, წვალობთ,
დიდი სიკეთე, დიდი ზნეობა
ბავშვებისაგან უნდა ვისწავლოთ!

* * *

სიცარიელე

სიცარიელეს ვეღარ ვგუობთ,
მე და ბუნებას
ის არ შეგვფერის.
ამავსეთ, რითაც დავძლევ
ცდუნებას –
მადლის ტალღებით,
გინდ ფიქრთ ეთერით!

* * *

ცხოვრება გამოცანაა

ცხოვრება არის მოცემულობა
რაღაც აზრის და
რაღაც პროცესის,
საოცრება და უცნაურობა –
საით წაგვიყვანს,
ეს არც კი ვიცით.
ჩვენ არც ის გვესმის,
როგორ ლაგდება,
რა გზით, რა წესით.

* * *

სიცრუე განა ბევრი არ გვჯერა?

სიკვდილს არც ერთი არ ველით,
გვწამს, რომ ამ ქვეყნად სულ ვივლით!
კარგია ზოგჯერ ცრუ რწმენა,

არა გვნებს ზოგჯერ ტყუილიც!
არ ვიცით ხვალ – ზეგ რა გველის,
ვართ მოლოდინის მონა,
არცოდნა ბევრჯერაც გვშველის,
იძენს ფასსა და წონას;
ნუ დაიჯერებთ, რომ გული,
ვერ შეძლებს ერთ დროს ძგერას,
განა არ ვგუობთ ბევრ ტყუილს,
ბევრი ზღაპარიც ხომ გვჯერა!

* * *

დაგვიანებული სამართალი

როგორც დილის მომლოდინე,
მოვესწრებით მას,
ავის მძრახველთ საპირწონე
ბოლოს პურსა ჭამს!
მაგრამ მაინც მიკვირს, რა გვსჯის,
მის მონატრულთ, დარდიანებს,
რატომ მოდის ის შორი გზით,
ასე რატომ აგვიანებს?

* * *

წუთისოფლის გულცივობა

დღეს მაგრად ცხელა, დგას ოხშივარი,
ცხელათ დღეს ხეებს, ჩიტებს და მწერებს...
მალე ცა თბილი დახურავს კარებს,

ყინვები ძლიერ გავთოშავს მერე.
მერე კვლავ დასწვავს ალმური ველებს,
როცა გამოვა ცაზე მზე ცხარე,
მერე კვლავ მოვა ჟამი თეთრქუდა,
და ბოლის სუსხი მკაცრი და მწარე,
მოვა და ჩვენთან იქნება მუდამ !

* * *

გულგრილები

დღეს შევხვდი მრავალ
კაცსა და ქალს
იყო ფუსფუსი,
ჩუმი ხმაური.
თუმც ახლობელთა
ვუმზერდი რკალს,
სითბო არ დამხვდა ადამიანური
სუსხი მცემს, სახეს
თუთქავს ულმობლად,
ტოლი რომ მხვდება
ოფიციალურად.
გამქრალა თბილი,
კეთილი გრძნობა,
ყოველივე კი
ჩანს ნორმალურად!
დღეს შევხვდი მრავალ
კაცსა და ქალს,
ვარ გატეხილი

წელში, ვით სურა,
მე ეს განცდა სულ
მახრჩობს და მკლავს,
რომ ცოტა მხვდება
თბილად და ძმურად.

* * *

სისუფთავე

არ მელანდება ქვეყნის მეფობა,
არც სხვა მაღალი თანამდებობა –
პრემიერობა, პრეზიდენტობა,
რა სტატუსიც მაქვს, ისიც მეყოფა.
მე მინდა ირგვლივ გარემო სუფთა,
ჰაერი, წყალი და სუფთა ღვინო,
რასაც ვჭამ, რას ვსვამ
და რითაც ვსუნთქავ,
რომ არ წამწარდეს, აღარ მატკინოს!
მაქვს სუფთა გული, სუფთა გრძნობები,
მსურს არ მშხამავდეს, ქიშპი, ომები.
აზრი მსურს სუფთა, ცნობიერებაც,
სიცრუისგან რომ არ იბერება!
და სულ ვოცნებობ იმ ქვეყანაზე,
სადაც ნამცეცი სიავის არ ძევს!

* * *

ბავშვები

ვუძღვნი დაჩის და მის თაობას

მათი ხმა როცა ირგვლივ იღვრება,
სიცოცხლის ძალაც დუღს უკვდავებად;
ყველა მარდია, ლაღია ყველა,
მათი თვალები, ვით სხივი, ელავს;
ყველაა ცქვიტი, სანდო, ალალი,
რომ ვერ შეხედავს ბოროტი თვალი;
ყველას ღიმილი აქვს მოალერსე,
ყველგან სიმართლის მარცვლებსა თესენ.
ყველა სიკეთით ცხოვრობს და სუნთქავს,
ჭუჭყი არ ახლავთ, ვით წყაროს სუფთას.
მათთვის უცხოა ავი ზრახვები,
რწმენაა ნდობა ამხანაგების,
ფანტაზია აქვთ, რომ გაოცდები
განსჯით პატარა გენიოსების!
ცხოვრება ხიბლავთ ნათელი მზერით,
იმათი ბაგით სიცოცხლე მღერის;
ნეტავ ბოლომდე არსით მთლიანად
დარჩე ასეთი, ადამიანო!

* * *

ცხოვრების გაუხცოება

,, ცხოვრებამ შორს ჩამიარა,
ვით უცხომ და მომდურავმა,
ახლოსაც არ მიმიკარა

მისმა ნავმა აქ მცურავმა“.–
მესმის ბევრისგან სიტყვები,
ნეტავი რად გაიყარა
ამგვარად ეს მათი გზები?
აღარ შეხვდათ ის, რაც სურდათ,
ველარ ირჩენდნენ იარებს,
იმედი ყველა გაცუდდა
და სულაც ასე იარეს!
შორს იყო ტკბობა, ხალისი,
დანდობა და შებრალება,
დრო მიდიოდა თავისით,
აღარ ტოვებდათ წვალება.
რატომ გაუწყრათ, ცხოვრება
დაცილდნენ დიდი მანძილით,
მაკვირვებს მძიმედ და რისთვის
არიან ასე დასჯილნი!
აბა, რად გაჩნდნენ ამ ქვეყნად?,-
ვიკადრებ ამ თავხედობას, -
არ მოსულიყვნენ აქ სულაც
ვის რაღა დააკლდებოდა?

* * *

თეორეტიკოსი

საბაზრო ეკონომიკის
კი არის თეორეტიკოსი,
მაგრამ ვერ გახდა ვერა გზით
აქამდე ბიზნესში ბოსი.

თუმც აფრიალებს
დოგმებსა თავისს,
ჯიბეში თეთრიც
კი არ უჭყავის!

* * *

წინდახედულება

საჭიროა აზრი ჩვენი
ზუსტად აწონილი იყოს,
ყოველივე ძველი მწარე
კაცმა უნდა დაივიწყოს!
როგორც ღამე, თავის დროზე
მოგვადგება ხვედრი კარზე,
გვმართებს ფიქრი მუდამ მხოლოდ
სიკეთეზე, მომავალზე!

* * *

მლიქვნელები

დღეს რომ გვთაფლავენ,
თავს გვევლებიან,
გუნდრუკს გვიკმევენ
ეს მლიქვნელები,
დრონი როდესაც შეიცვლებიან,
შხამს მოგვაფრქვევენ,
როგორც გველები!

ხაფანგს გვიგებენ მაცდური ენით,
და უკუღმართი
აზრით, ხელებით,
გვთოკავენ ორი
მიზნით და რწმენით
ფარისევლები, მაამებლები.
სიფრთხილე გვმართებს,
როგორც გველების,
ორგულების და მაამებლების!

* * *

გაუგებრები

რა ეშველება იმ ხალხს –
რომ ვერ ცნობს დედალ–მამალს,
აზრებს ბნელსა და მაღალს,
ვერც მტყუანსა და მართალს.
უღირსთ აყრიან ქებას,
ლამის შეასხან ფრთები,
არ აქვთ სურვილი, ნება
ღირსეულთ დაფასების.
სულაც არ ქეჯნით ნამუსი,
ჭეშმარიტების ღალატით,
ზნეობა ყალბ იანუსის
არის გზა–კვალი ამათი!

* * *

როდის ?

,,როდის გადაშენდებიან
წურბელები, როდის?-“
შეძახილით კვლავ ხვდებიან
ჟამს ჭირთ მთმენი ჩაგრულები;
კითხულობენ :
ჩვენი დრო არ მოდის?
მოლოდინში სხვა
ცხოვრების ახლის
ყოვლის მთმენი დაიღალა ხალხი!
ჩივიან, რომ გლეჯენ მათ ხორცს,
ვით ცხვრებს მგლები.
აღარ ცხრება მადა ხარბი
წურბელების.
ამ ყოფაში ვერ უძლებენ
ლოდინს:
როდის მოვა დრო ჩვენიო,
როდის,
აბა, როდის?

* * *

აზრმა სწორმა შექმნა,
ცოდნამ მრუდმა ანგრია,
ბრძენმა ააღორძინა,
გააფუჭა გაგრიამ!

* * *

ჩვენ თვითონვე

რაც მოგივა, დავითაო,
ყველა შენი თავითაო!
ანდაზა

ჩვენი გზები, ფიქრები
ჩვენ თვითონვე დავხლართეთ,
რაც კი უკეთურებაა,
ბევრი ჩვენს თავს დავმართეთ!
ჭირ-ვარამი ულევი,
რაც გადახდა აქ ხალხებს,
თვით უმზადეს ერთმანეთს
და ძღვენივით აახლეს!
ვკალით, ვხოცეთ, სისხლით მოვრწყეთ
ქალაქები, ველები,
ვართ ავები, მძარცველები,
სასტიკები, მკვლელები!...
ძაღლივით ვკბენთ ერთმანეთს,
არც კი ვიცით მიზანი,
ვავლენთ მგელზე მეტ მგლობას
შვილნი ადამისანი!
ჩვენ ვუმუხლეთ ერთმანეთს და
ხელი ძმაზეც აღვმართეთ,
რაც გვტანჯავს და გვაწუხებს,
ბევრი ჩვენს თავს დავმართეთ!
მუდამ ასე ვიქნებით?
აი, კითხვა უკმეხი,
თუკი ჰო და მძლავრი ძალა
თავს გაგვიტეხს, ვით მეხი!

* * *

თავხედი მიდის წინ,
უღირსი იწევს მაღლა
კარგები დარჩნენ ძირს,
ასეთი დროა ახლა!

* * *

სამართალი

ოი, რამდენი ნატრობდა იმას,
ზოზინი მისი გვიკვირდა მხოლოდ,
სამართალმა დღეს, ჰა, პური ჭამა
თუმც გვიან, მაგრამ
ბოლოს და ბოლოს!
რამდენ დატანჯულს ეწვია რწმენა,
სასოწარკვეთა იმედს არა წოვს,
აენთო ჭაღად, ვით მზის ოდენა,
სჯობს გვიან, ვიდრე
სულაც არასდროს.

* * *

თანაგრძნობა

ირგვლივ როდესაც ბევრს უჭირს, ცივა,
მრავალი არის უნარ ნაკლული,
უბედურება მათი მეც მტკივა,
მგონია მეც ვარ ბედით ჩაგრული!
როცა ამდენი მშიერ–მწყურვალი
არის ნატანჯი და დაზაფრული,

ჩემზედაც ბედი მგონია მწყრალი,
სევდის მორევში ვარ მთლად ჩაფლული.
მხოლოდ მაკვირვებს ბევრის განცხრომა
უდარდელობა ჯერ არ ნახული,
მათ გულგრილობას არა აქვს ზომა,
თითქოს მათ მკერდში
ძგერს რკინის გული!

* * *

ჭორი

,,ვერ ვხედავ ირგვლივ კარგ ადამიანს“ -
ეს აზრი მხოლოდ სიცრუეა და მონაჭორი,
თუკი ურწმუნო თომა არა ხარ,
კარგსა და ჭკვიანს
ბევრს კი იპოვი ყველგან კაცთა
და ქალთა შორის!
,,ავია ყველა, ცრუ, ვერაგი
და ეგოისტი,
სულაც გაგცვლიან
ერთ ლარზედაც დაუზოგავად“! -
ასე ვინც ფიქრობ, ხარ შემცდარი
მრუდი და ხისტი,
ჭეშმარიტების გზით სვლა გიჭირს
ეჭვიანს თავად.
შეხედე, ყველგან არის
ბევრი ქველი, ალალი,
მოგაჯადოებს, მათი სიტყვა
და წრფელი გული,
კარგად რომ იცის, რაა წესი და სამართალი,
მხარში დადგომა
ჩაკონება ძმურ - მეგობრული!

არიან შავნიც, როგორც კუპრი,
თეთრნიც, ვით ფიფქი
ყვითელნიც, როგორც
ბაია, კანით.
ცხოვრობს პარიზში, ჰავანაში,
ეკვატორს იქით
და კიდევ ბევრგან
მომხიბლველი ადამიანი!
აცვია ჯინსი, ფრაკი, ჩოხა,
ქურქი აცვია,
ბულბულისა ხმით სიყვარულს და
დილას უმღერის...
მთელ მსოფლიოში,
ო, რამდენი კარგი კაცია -
მუშა და გლეხი, ჯარისკაცი
თუ მეცნიერი!..

* * *

შრომა

შრომა გვაშორებს სამ ბოროტებას:
სიღარიბეს, მოწყენას და გარყვნილებას.
ვოლტერი

ვერაფერს ვაღწევ ადვილად,
მაინც არა მაქვს წყრომა,
რაც კი მიმართლებს ნამდვილად -
შრომა და მხოლოდ შრომა! -
შრომა - ფიქრების ზვირთი,
რომ ტეხავს აზრის ყამირს,
შრომის ნაყოფს რომ ვითვლი,

ვხვდები, სიცოცხლე რად ღირს!
შრომის ტრფიალად თავსა ვრაცხ,
არად ვთვლი თუნდ გრძელ სიცოცხლეს,
თუ მივდევ უშრომელთა გზას,
ცხოვრებას რომ დამიმოკლებს.,
,,შრომით შექმნილნი ვართ ყველა “,-
ნათქვამი მართლაც სწორია,
შრომას დავარქმევ სახელად
ჩვენს ყოფას და ისტორიას!
აგერ, რა ძლიერ გუგუნებს
შრომით შექმნილი ქალაქი,
გაწვდება მთელ საუკუნეს
შრომის მადლით და ბარაქით!
გამრჯე მხვნელ-მთესველთ დოვლათით
არსებობს მოდგმა ადამის,
რომ არა მათი ნობათი,
გავქრებით, როგორც ცვარ-ნამი!
შრომით აყვავდა ქვეყნები,
იქცა თვალწარმტაც ბაღნარად,
თუ შრომის მადლით ვერ ვტკბები,
ქვეყნად მოვსულვარ, აბა, რად?
შრომით გავლილი დღეები
არის ვით სავსე ბეღელი,
ცხოვრების ტვირთს რომ ვებმები,
შრომისგან ტკბობას მოველი.
არ ვიცი, ვინ არის იგი,
უშრომელ ლუკმას რომ ნატრობს.
მხოლოდ მის მოსავალს ვიმკი,
შრომა არასდროს მღალატობს!

რა ვნახო უფრო ძვირფასი
შრომით გავლილი წლებისა,
მისი მადლის და ბარაქის,
სახელის და დიდებისა?
ის ჩემი სულის არსია,
სუნთქვაა, ძგერა გულისა
უშრომოდ ყოფნა მსგავსია
სიცოცხლის დასასრულისა.
არ მიცხოვრია ადვილად,
მაინც არა მაქვს წყრომა,
რაც არ მღალატობს ნამდვილად -
ვითა ძმა - მხოლოდ შრომა!

* * *

შენ არ თავდები

ფიქრობ: გათავდა აქ ყველაფერი,
არ რჩება შენგან კვალი და მტვერიც,
თითქოს სასრულის თვით ხარ სიმბოლო,
სიკვდილი არის ყველაფრის ბოლო.
სამყაროში კი ისეთს რას ნახავ,
რომ არ განახლდეს, არ შობდეს ახალს,
შენც არ გაქვს ბოლო, აღარ თავდები,
ადამიანო, კვლავაც აქ რჩები!
ჩნდები შვილებში, შვილიშვილებში,
ჩნდები საქმეში..., აი, ნუგეში.
ირწმუნე ღრმადაც, უკვდავი რომ ხარ
რამდენჯერ წახვალ, იმდენჯერ მოხვალ!

შენ წახვალ ჩნდება აქ სხვა ახალი,
თაობა აზრით შენზე მაღალი!
აბა, გახედე, სად ხედავ საზღვარს,
მეწამული ცის ბოლო საკნის კარს?
წუთი თავდება და სხვა იწყება,
დღეებს დღე მოსდევს, წელს წელთა წყება,
გახმა მარცვალი, მას კვლავაც ნახავ
გაცოცხლებულს და მხარგაშლილს ლაღად...
,,ვიყავ, ვიხარე და, ჰა, გავთავდი“-
არ თქვა, აქა ხარ აწ და მარადის!

* * *

მამის დაბრუნება

კედლებმა იგრძნეს, ჭერიც აღელდა,
ლამფამაც ოქროს სხივი დაღვარა,
დაბრუნდა მამა, განდევნა სევდა,
მამა ნაბრძოლი, უკვე ჭაღარა.
გადავიტანეთ უმამოდ ბევრი
შიმშილთან, შიშთან ბრძოლას გადვურჩით,
ისევ გამაგრდა ოჯახის ნერვი,
რადგან დაბრუნდა კვლავ მისი ბურჯი.
ფარად ის გვყავდა შორეულ მხარეს,
ქვეყნისთვის ომმა კიდეც დაღალა
კერას ამაგრებს, ოჯახს ახარებს
მისი ნამუსი და მუხლის ძალა!
არც მტრულად მოსვლა ვინმეს გვაშინებს,
ავაგუგუნებთ მოყვრისთვის ქურას,

დავხვდებით კარზე მოსულს მაშინვე,
მას უმასპინძლებს მამა კაცურად!
კედლებმა იგრძნეს, ჭერიც ამაღლდა,
რადგან სასტიკ ომს ჩვენც გადავურჩით.
ცხოვრება ლაღი ისევ განახლდა,
რადგან ოჯახს კვლავ ყავს მისი ბურჯი!

* * *

სანამ დედა მყავს

ჯერ დედა მყავს და მე არ ვბერდები,
თუმც წლების ლოდი მხრებზე მედება,
წავალ, ტყეს, ბავშვებს შევუერთდები,
დაე, გვეძებნონ ერთად დედებმა!
დედა მიპოვის, გულში ჩამიკრავს,
ვით ჩვილს ამბორით უმხურვალესით,
სიცოცხლის გზისკენ კვლავ მიღებს ჭიშკარს
მისი ხელები ლოცვით, ალერსით!
მე მის ოცნებას, ზეანატყორცნებს
ვიტაცებ, როგორც ვაჟკაცს შეშვენის,
ცხოვრების გზების ძნელ მარათონზე
ის კუნთს მიმაგრებს, როგორც ჟენშენი!
მისი კოლხური იავნანას ხმებს
ძალუძს მიწევდეს თეთრ მაგიობას,
დედის სიმღერა მეტს გვაძლებინებს
მე და ჩვენს დიად კაცობრიობას!
სანამ დედა მყავს, ვფიქრობ ვარ ბავშვი,

საქმენი ტვირთად ბევრიც მეკიდოს,
არ დავიღლები კვლავაც თამაშით,
ნეტავ, ამ ქვეყნად დედა სულ იყოს!

* * *

ახალ თაობას

შენ გაგიმარჯოს, გმირო თაობავ,
შენს მოლოდინში თმებში დათოვა.
მახრჩობდა ყელში არარაობა,
მაინც ვფიქრობდი: მოვა, ის მოვა.
მოხველ კიდეც და დიდი გრიალით
აანთე აზრის დიდი კანდელი.
გამოაფხიზლე მისი ციალით
ამერ-იმერი, მხარე ქართველის!
სულ სხვა ხარ, ვხედავ, ქცევით, იერით,
დიადი მცნების ძალთა აღმქმელი,
გწამს სიბრძნე დიდი მშობელი ერის,
თქვი სიტყვა შენი მტკიცე სათქმელი!
გავხარ სულითაც ცოტნეს, ქეთევანს,
სიამაყე გაქვს დაუდეგარი,
არ დათმობ გარეჯს, ჩვენს ვაზის მტევანს
მემკვიდრე დიდი სახელის, გვარის,
როგორც ენგურის ტალღა მჭექარი.
ფორთხვით და ხოხვით ცხოვრება არ გწამს,
ბედნიერება მორჩილი სულის,
არასდროს უღელს სხვას არ დაადგამ,

ეს სათნოება მოგდგამს წარსულით.
დაბრუნდა ნება დიდი წინაპრის,
გარინდული და დიდხანს მთვლემარე,
გრძნობს მას დიდგორი, კრწანისის მხარე,
გელათით ისმის ზეიმის ზარი!
გუგუნებს ხმები ახალი ტონით,
აღარ მოითმენ კვლავ, მწამს, უკუნეთს,
შეუერთდები მაღალი გონით
გარდატეხათა დიდ საუკუნეს!
შენ გაგიმარჯოს, გმირო თაობავ,
გაფანტე მძიმე არარაობა,
დაამხე ტახტი ტირანთ უფლების
აღმართე დროშა თავისუფლების!

* * *

არა სიხარბე

რასაცა გასცემ შენია, რაც არა
დაკარგულია.
რუსთაველი

თუკი მაცვია, თავზე მახურავს,
არცა მშია და წყურვილი არ მკლავს,
არ მხიბლავს სულაც დასტა აქცია,
და არ მიზიდავს კორპორაცია;
ჩემთვის სამყოფი ფული მაქვს რაკი,
არ მეზმანება მე სულაც ბანკი.
გლეხის პურ–ღვინით არ დავიღლები,
კოქტეილზე კი სულ არ ვგიჟდები.

ვხედავ გაუჩნდა ბევრს ნდომით ,,ვაი,“
მიყვარს ურეკი, არა – დუბაი;
რა შეედრება წაღვერს და ლიკანს,
ძარღვს ამიჟღერებს იქ ეგზოტიკა!..
კმაყოფილი ვარ ამ ჩემი ბედით,
თუმც არ მინახავს დისნეი ლენდი!
ტანჯულნო ნდომის უსასრულობით,
გეტყვით, არა მშურს თქვენი სრულებით!
მატკბობს ოცნებით მე ღამის თევა
და ის, რომ თავის თავად მეფე ვარ!
მხოლოდ არა მწამს ქვეყნად სიხარბე–
ის სულსა და ხორცს მხოლოდღა ავნებს.
ვით რძე და თაფლი, ყველას კი არგებს
ჟამი შრომის და შემოქმედების,
სიცოცხლით ტკბობის და იმედების!

* * *

ქველმოქმედი

ვისი დღე იყო შხამივით მწარე,
ის შეიბრალე და გაახარე,
არვინ გიბრძანა, არ დაიზარე,
გიღიმის სახე, ვით სავსე მთვარე!
თვით მოიკელი, ცოტა იკმარე,
ვისაც უჭირდა რომ დახმარე,
შენც გახალისდი და გაიხარე,
სხვისთვის სიკეთე რომ დაივალე,
რომ არ ზოგავდი დროსა და ძალებს;

რაც გააკეთე, გულის კარნახით,
შინაგანი ხმის მისდიე ძახილს,
გადაალაჯე ძუნწების ადათს,
გაიგონ, სჯობნი რით ასე მაგათ!

* * *

მუშაობს წიგნი

ისე, ვით ბავშვი, დაიბადება,
დიდი ცხოვრების გზა აქვს წიგნს და აზრს;
დილის მზესავით აბრიალდება
კარგი წიგნი, ის დაღვრილ შუქსა ჰგავს!
წიგნი მუშაობს, აზრი ნათელი
მოქმედებს და ქმნის სანატრელ დოვლათს
როგორც მანქანა, ოსტატის ხელი,
იგია დიდი ცხოვრების სკოლაც!
წიგნი გვასწავლის შრომას და ბრძოლას,
ჯარისკაცია, იბრძვის მახვილით,
დიადი წიგნი სძლევს დროთა რბოლას,
წიგნი წინ გვიძღვის, წიგნი გვაფრთხილებს.
იქაა წიგნი, სადაც ლეწავენ,
სად პრობლემათა მთებთან იღწვიან,
სად ენერგიად მზის სხივებს წნავენ,
სად ინთებიან, სადაც იწვიან!
წიგნი ძალაა უშრეტი ცეცხლის,
მომავლისაკენ დიად ხიდს გვიდებს,
წიგნი მოსვლაა ჭიკჭიკა მერცხლის,
იგი გვიჩენს და გვიზრდის იმედებს!
ის ცოცხალია აზრთა ქანებით,

მძლავრ აღმაფრენად ჩვენ რომ შეგვერთვის,
უწიგნოდ უძლურს დავემგვანებით,
წიგნის გარეშე რაა დღე ერთიც!
აბა, ვინა თქვა წიგნის გაჩენას,
ნათელ აზრსა და ახალ იდეას
ხალხი ბევრჯერ არ გადაერჩინოს,
არ მოეტანოს მისთვის დიდება!
მოედინება სიბრძნის მდინარედ,
აშენებს ხიდებს, სახლებს თუ ბარჟებს,
გვკვებავს და გვირჩენს მძიმე იარებს!...
მუშაობს წიგნი დაუზარელი,
აუ, რამდენი აქვს პროფესია!
უნდა დაფასდეს წიგნის შემქმნელი,
ეს ძველის ძველი მტკიცე წესია!

* * *

ობივატელის მრწამსი

რაში მჭირდება ფილოსოფია,
მოძღვრება კანტის ანდა ნიცშესი,
რა ხილია და რა ნაყოფია?
მაგათი აზრი სულაც არ მესმის.
რა ხეირს მაძლევს რუსთველის სიბრძნე,
ან გოეთესი, ან ბაირონის,
კიდევ ნაქარგი სტროფების სიგრძე
ცისფერყანწელთ ან გალაკტიონის ?...
მე მიყვარს ჩემი ბუღალტერია
და სიმფონია დებეტ-კრედიტის,
ზედმეტი ცოდნა კაცთა მტერია,

რა შავ ქვად მინდა მე მეტისმეტი!
არ არის განა უბედურება,
ოთხფეხას დონე რომ ფასობს ჩვენთან,
რომ მოაზროვნე ცხოველთა კრება
შეცვალა კრებამ ამგვარ ორფეხთა.

* * *

კეთილ კაცს კიდევ რა უნდა

ვუძღვნი ექიმ ვარლამ კვარაცხელიას

კეთილ კაცს, აბა, რად სჭირდება
სხვა რამე კიდევ,
ბუნებამ იმას მთლად პირველი
განძი არგუნა,
ცხოვრების სიბრძნეს მამა–პაპურ
გზასავით მისდევს,
ყველა სენისგან იმედების
ნაკადი კურნავს.
თესავს და თესავს სიკეთეს და
როგორც მარცვლიდან
ასი სიკეთე ამოიყრის,
გაიდგამს ფესვსაც.
მადლმთესველობა –
ეს ქართული ადათი წმინდა
გამოჰყვა, იცის,
მას მოიმკის, რასაც დათესავს.
სიხარბის ჟანგი აღარ უღრღნის
გულ–ღვიძლს, ვით ჭია,
რასაცა გასცემს, უბრუნდება
უკანვე ასად.
გინდ წაფორხილდეს,
ბოლო მაინც მუდამ მისია,

დასაბამიდან მოწყობილა ქვეყანა ასე!
ანდამატივით ზედ ეკრობა
კეთილს სიკეთე,
ბედნიერება ეტანება
მხოლოდ კაცს მართალს,
როგორც მერცხალი,
ის მის ბანზე ბუდე იკეთებს,
განერიდება გულბოროტთა
რჯულსა და სახლ–კარს!

* * *

გზები

პატარა კაცის გზა მოკლე არის,
  და დიდისა კი – მუდამ დიდია;
მოლიპულია გზა, ხანაც – მყარი,
გზები აღმაც და დაღმაც მიდიან!
ზოგს უფსკრულისკენ გზა მიაქანებს,
თითქოს რაკეტა ბედზე მიბმია
მთისაკენ ლტოლვა თუ არ გახარებს,
ჭაობს ეკრობი, ვით ამფიბია!
დიდებას ელტვის ზოგ–ზოგის გზები,
ზოგიც ნაჭუჭსა, ვით ლოკოკინა,
ვინ წინ მიქრის და ვინ უკან რჩება
ერთგან, ვით ბომად დასმული რკინა.
დატრიალდება გზა–კარუსელი,
საიდან მოხველ, ხან იქ მიგიყვანს,
გზები არსებობს ჯერ დაუთვლელი,
ამიტომ გზაზე კომპასი გვინდა!
ცისარტყელასებრ ჩანს მოციმციმე

შრომის და ჯაფის ფართო გზა–კვალი,,
ჭეშმარიტია, თუმცაა მძიმე
სიმართლისკენ გზა მიმავალი!
ღირსების დიდ გზას ველარ გაჰყვება,
ვინაც მხდალია, ვინც არ გარისკა;
სიკეთისათვის ბოროტთან შებმა –
ბრძოლა ყველაზე დიდი, აი, გზა!

* * *

კარიკატურა?

რაც გინდ მითხრათ,
სიმართლე ჩემი
უნდა ვთქვა, რასაც
აღარ ვიგონებ:
ცხოვრებას ბევრის,
ქვეყნად გაჩენილთ
ვერ ვთვლი ცხოვრებად,
არ ვცდები ვგონებ.
ბევრს შია, მაგრამ პური არა აქვს,
სცივა – ვერ თბება,
და არ ახურავს,
ბევრს ტკივა, შველა
არსაიდან ჩანს,...
ეს ცხოვრებაა, თუ
კარიკატურა?
ზოგის ქონებას
კი ანგარიში
არ აქვს და მაინც
ახლავს განცდები,
დღეებიც მიდის მოსაწყენი

ვაით და ვიშით –
კარიკატურა რომ ჩანს აქაც,
მე აღარ ვცდები.
ცხოვრება მძიმე ერგო ყველას
ქვეყნად გაჩენილს,
ბოლომდე, აბა, ვინ გაიხარა,
ერთი მაჩვენეთ!

* * *

თავსატეხი

როცა ქისაში მონეტას ეძებ
და ხშირად გიწევს გამეორება,
გამოცდილება ამას მიმტკიცებს:
ეს აღარ არის კარგი ცხოვრება.
როცა ფულები სქლად ავსებს ჯიბეს,
დაუთვლელი გაქვს, არ აქვს საზღვარი,
მისი დახარჯვა თავსატეხს გიჩენს,
კარგი ცხოვრება ესეც არ არის.
ხშირად გვიმზადებს თავსატეხს, ბორკილს
ჩვენ მისი აზრი ნაკლებად გვესმის,
კარგია თუ გაქვს, რამდენიც გყოფნის,
თუ მშვიდადაც ხარ - ეს უკეთესი!

* * *

მტრებს გაუმარჯვოთ!

გიყვარდეს მტერი შენი!
მარტინ ლუთერ კინგი.

მტრებს გაგიმარჯვოთ,
გადღეგრძელებთ მტრებს,
მუდამ რომ გვივლით გარს,
ვით გლეხი ზვრებს!
თქვენი წყალობით
ჩვენ ვართ ფხიზლები,
ვართ მაგრებიც,
ვით გრანიტის მთები.
მე აღარ მძულხართ,
ბოროტი არ ვარ,
კეთილმოსურნე
ლუთერ კინგს ვგავარ.
სხვა გრძნობა არ მაქვს,
რომ მაგონდებით,
გარდა წუხილის
და შეცოდების.
გისურვებთ გულით
დიდ მეტამორფოზს,
როგორც გადახდა სავლესაც
ერთ დროს:
დაგეგდოთ ავი
ზრახვების ბარგი,
გწვეოდეთ აზრი
კეთილი, მარგი;
გევლოთ ამ ქვეყნად
ხალასი გრძნობით,

გაგიქრეთ გულში
სურვილი მტრობის!
გისურვებთ დღეებს
ბარაქით სავსეს,
კიდევ სიკეთეს
მრავალ ათასებს!
მტრებს გაგიმარჯვოთ,
გადღეგრძელებთ მტრებს,
გისურვებთ ახალ
ცხოვრების ხანას,
სიკეთის სენს და
სილაღისა ფრთებს,
რომ იქცეთ ნამდვილ
ადამიანად!

* * *

შიშის იერარქია

დიქტატორულ და მკაცრ სამყაროში
მეორეს ეშინია პირველის,
მესამე მეორის წინ იწყებს ქოშინს -
წესია ეს მტკიცე და ძველისძველი;
მეოთხე მესამეს უდგას ცერებზე,
მის ნებას კითხულობს თვალებში;
მეხუთე მეოთხეს შეჰყურებს ვით მზეს–
აქ ყველა ქვემდგომი არის ამ დღეში!..
და ბატონ-ყმური წესი, ადათი,
ეს შმორიანი ფეოდალიზმი

ურევს ხალხს დროს, ვით ძველი საათი,
წარსულს მოუხმობს კვლავაც ხმა მისი.
დაშინებულთა ქვეყანა ასე
კარგავს სამართალს და მის მშვენებას,
დამფრთხალთა სახე მთელ მხარეს ავსებს,
მეფობს შიში და ბოროტი ნება!

* * *

წესრიგი

იმათგან, რაც კი გვაკლია
სულაც პირველი დღეს რიგით–
იგი ძალაა, მადლია
ყოველთვის, ყველგან წესრიგის.
ილევა, კიდეც მჭლევდება
იმედის სხვი დღით – მზისით,
როდესაც ნივთზე იცვლება
და სულსა ღაფავს სინდისი;
ბევრი მონაა ბრჭყვიალა
საგნებისა და სამოსლის,
გასქელდა ზოგის ჯიბე და
დათხელებულა ნამუსი;
გადატენილა სეიფი
დამძიმებულა ქვასავით,
სიცარიელით ტლანქდება
ბევრის სულიცა და თავიც.
ხარბებს და კიდევ ხელმრუდებს
ან წუწკებს, აბა, სხვა რა რჯით?

ზნე–ჩვევას რომც შორს გაექცნენ,
თემიდა იმათ ხომ დასჯის!
წესი და რიგი – ეს არის
თავად სამყაროს კანონი
ყოველივეს რომ დაადგენს,
ზომავს და მისხალ აწონის.
იმას ხომ კაცი კი არა,
მზეც კრძალვა–რიდით ექცევა,
იმის მძლავრ ძალას ვერც არა,
ვერც ვერვინ ვერ გაექცევა!
მთლად პირველია საკითხი,
რომ გვიდგას ჩვენს წინ დღეს რიგით:
წესრიგი მტკიცე მუდამჟამ,
ყველგან ყველასთან წესრიგი!

* * *

კაიკაცობა

კაცს კაცი უნდა ერქვას,
თორემ ულვაში კატასაც აქვს.
ანდაზა

თუნდა გქონია, თუნდ არც გქონია
მილიონები, მილიარდები,
უნდა იცოდეს, ვინც გამგონია,
ვინც მომსმენია სიბრძნის გამგები:
თუ კი არ იცი წინაპართაგან
სიბრძნე ნაბოძი, ნაქადაგები,
აზრი არა აქვს, რა სასახლე გაქვს,
რა გარნიტური, რა ფასადები;

თუ კი არ გიდგას სული კაცური,
სუფთა, ხალასი, როგორც ნაღები,
თუ კი არ გესმის სიტყვა მართალი,
კაცთ შორის სანდო და გასაგები,
თუკი არა გყავს ალალ–მართალი
ძმაკაცები და ამხანაგები,
ამ ქვეყანაზე დაეხეტები
და რისთვის, იმას ვეღარა ხვდები...
თუნდაც გქონია, თუნდ არ გქონია
მილიონები, მილიარდები,
თუ კი არა ხარ კაცი კაცური
ცხოვრობ უაზროდ,
ცხოვრობ წაგებით!

* * *

მაფიოზი

გინდ უთვალავი გქონდეს ალაფი
და ქუხდეს შენი ყველგან სახელი,
თუნდაც გიკრავდნენ ბევრნი დაფდაფებს,
ხარ პატარა და გაუხარელი;
არც ცხოვრება გაქვს ნაღდად ნანატრი,
ვეღარ გიშველის, რომ იყო ბოსიც;
ეს ყველაფერი ჩირადაც არ ღირს,
თუკი სახელი გაქვს მაფიოზის!

* * *

წრებრუნვა

ასეა: წყლისგან ორთქლი ჩნდება,
ორთქლისგან – წყალი;
მუდამ დღეს ღამე მოყვება და
დღეს კი ცვლის ღამე.
არის წრებრუნვა და ტრიალებს
დროის ბორბალი,
აგორებს დღეებს,
გამუდმებით აბრუნებს წამებს;
გიჟი მდინარეც, რომ დატოვა
ჭალა ქვიანი,
მიიწევს უკან, ძველ კალაპოტს
კვლავ უბრუნდება;
მაიმუნიდან გაჩენილი ადამიანიც
ხშირად ხდება, რომ
სულ ერთიან მაიმუნდება.
შექცევადობის ძალა
მოგვგრის წარსულს ფიქრებად,
წრებრუნვა ქვეყნად
უამრავ ნივთს აღადგენს და ცვლის.
პირიქით ხდება,
მაგრამ, გწამდეს აღარ იქნება:
ვირისგან კაცი,
ძაღლისგან კაცი,
ღორისგან კაცი!

* * *

შეუცვლელი წესი

ადამიანთა მანკს ბევრს ვხედავ,
რომ დავაკვირდი,
როგორც საკუთარ ხვედრსა მძიმეს,
მე მას განვიცდი:
რომ არ აქვს ოდნავ მაინც ყველას
იმისი თავი,
იცოდეს, თუ რა არის კარგი
ან კიდევ ავი;
ვნატრობ, რომ ყველას ჰქონდეს ცოდნა
თუნდ ანბანური,
რომ არავის რგებს
განზრახვები არაკაცური.
რომ ავს სიკეთე
არ მოელის ამ ქვეყანაზე;
ასე იყო და ვერც ვერვინ
შეცვლის ამ დიდ და
მკაცრ წესს!

* * *

ორი აკადემია

რა დიადია – ქვეყნის გონება
ცოდნის და ნიჭის რა ტანდემია,
ერის აზრს რომ კრავს სიბრძნის კონებად –
ჭეშმარიტების აკადემია!
მაგრამ, ვაი, რომ არსებობს ქვეყნად
თითქოს ავსულთა დიდი თემია –
არაკაცების რწმენად, იმედად
გაიძვერების აკადემიაც!

* * *

არამი ლუკმა

ჯიქურ ვიტყვი, არ გაცლით,
ბევრს არ გაეხარდება:
ნაყაჩაღარ–ნაძარცვი
ლუკმა ბოლოს მწარდება;
წართმეული სხვისი წილი,
არის ძირი ვარამის,
ვერ გახდება ლუკმა ტკბილი
უკანონო, არამი!
ვინაც იხვეჭს ოხრად ფულებს,
ბრიყვდება და ვერ იგებს,
ართმევს ოფლით გათანგულებს,
აბა, როგორ შეირგებს?
მართალს ვიტყვი: წკვარამი
ვეღარ აბრიალდება,
ბოლოს ლუკმა არამი
ყველასათვის მწარდება!

* * *

უცნობი მოლოდინი

ჰქუხან ძალები ბუნების და
კაცობრიობის,
სამყარო არის დიდი ფარჩა
უკიდეგანო,
რეკავს ზარები, ვით გრიგალი,

მარადისობის,
ვარ უსუსური, თითქოსდა ვარ
ბუზი, ბოგანო!
ირგვლივ ვეება დევებივით
დგანან სახლები,
ცათამბჯენები აღმართულნი
შრომით და ოფლით,
საოცრებათა საუფლოა
ბარაქით ზვრები.
აღტაცებაში ვინ არ მოვა
ჭკუაზე მყოფი!
იმპოზანტური გაქანებით
დროის შემტევი
პირამიდების ოთხეულით –
ღაღადით ძალის.
გონება სხარტი გულთმისნების –
დიდი გზამკვლევი
ეძიებს ნდომით დიდ ჭეშმარიტ
სიბრძნეს დამალულს,
აწ გამოუცნობ თავსატეხთა
კოშკად აღმართულს:
როგორ ვარსებობთ ამ უსაზღვრო
ოკეანეთში –
სულ ერთი ციცქნა, უჩინარნი
იოტის ტოლნი,
რომ ვიძირებით თვალუწვდენელ
ცივ ვარსკვლავედში
ან გოლიათურ და საკვირველ
არტეფაქტთ შორის.
ვინღა ცნობს ჩემს ხმას ამ უზომო
ხმათა გრიალში,
რომ დაიგრგვინებს კოსმოსიდან,
ცაში, ქვესკნელში,
უსასრულობის, ურიცხვობის

უმიჯნო ტევრში
არც ვარ ნამცეცი,
და არც ატომი.
სიცოცხლე რაა წამიერი
უსაზღვრო დროში,
რომ აღარ უჩანს დასაბამი
და დასასრული,
და ისე, როგორც გადაბმული
სიმღერა ბოშის,
ისმის ხმა შორით ყინულივით
ცივი, ფარსული.
და არც ის ვიცი მომავლი
როდის თავდება,
ბედი მატარებს უგზო–უკვლოდ
მოუხეშავი,
მიმიყვანს სადღაც, დამსვამს ჯირკზე
გიჟი, თავნება,
ვიქნები მაშინ ბედნიერი
ან საცოდავი!

* * *

ტიტულოსანი

ერთი შეხედეთ, დედამიწას
აჯობა კიდეც
მიზიდულობის დიდი ძალით
ახალა ტიტულმა,
ტიტულში ბევრმა მოაქცია
თვით დრო და სივრცე,
საგანძური და ნატვრისთვალი
მასში იგულვა!
დადის ამაყად ქვეყნად ბევრი
ტიტულოსანი,

სურს სიტყვა მისი და სახელი,
რომ ქუხდეს მეხად
და დაფრინავდეს მაღლა,
როგორც ზეცის მგოსანი,
მაგრამ განრთხმულა მიწაზე, ვით
უშნო ცხრაფეხა;
არა აქვს ძალა აფრენისა,
რადგან ტიტული
ადეკვატურად მის სიგრძე–განს
არ ეზომება
და შინაარსით ცარიელი,
გამოფიტული,
ვით საფრთხობელა, აბა, ვიღას
მოეწონება?
არმად ნაშოვნი ისეა, ვით
ასიგნაცია,
ფასდაკარგული
ანდა ნივთი რამ ურგებელი.
ტიტულებისა გამძვინვარდა
დევალვაცია,
ტიტული არის და მის უკან
არ ჩანს სახელი!
გაორებულა მნიშვნელობით
ბევრი ტიტული,
ნომინალურად თითქოსდა რომ
ჩანს პრესტიჟული,
მაგრამ ვით ქანი მთის, ქარისგან
გამოფიტული,
უსარგებლოა შინაარსით,
ტოლია ნულის!

* * *

ერთობა

კაცურ კაცს სანდოს
მე თავსაც ვანდობ,
ისე ვით ძმასა.
როცა ვარ მასთან.
კაცურკაცს, ვითარც
ბურჯს, მტკიცე საყრდენს
ავუბამ მეც მხარს
და მტერს ბღვერს ვადენთ

* * *

ბაქიბუქობა

ზოგიერთი ხომ ისე ბობოქრობს,
თითქოს სოკრატე სიბრძნეს ღაღადებს,
თუმც სულ ბანალურ საგნებზედა ბჭობს,
ჰგონია აზრის დიდ კოცონს ანთებს!
ბრჭყვიალა სიტყვებს და მჭექარე ტონს,
რა ძალაცა აქვს, ბოლოს ირკვევა,
რჩება ყოველი მთქმელსა და გამგონს
სულაც ჰაერის ტალღების რხევად!

* * *

ინდიკატორი

ვინაც არ იცის ცოდვა და მადლი,
არ შეიბრალებს ბეჩავს ხელგაწვდილს,

არ გაეგება სხვისი ტკივილი,
სხვისი გოდება, ცრემლი, ჩივილი,
ვისთვის სხვის ჭირი ღობეს ჩხირია,
ვინ არ წუხს, როცა მწარედ ტირიან,
ვის სხვისი ტანჯვა კიდეც ახარებს,
სხვის გასაჭირზე ვინაც ხარხარებს,
ვისაც წაქცევა სხვისი სწყურია,
საცოდავია, უბედურია!

* * *

ანარეკლი

როგორც ცა მშვიდ და სარკისებრ ზღვაში,
მე ლანდად ვჩნდები და ვირეკლები
მეგობრის სულში და სხვათა აზრში,
ზოგი ძაღლივით რომ იკბინება,
ზოგიც მაფასებს გადამეტებით.
რა ვუყოთ, თუ მხვდა მე დაკნინება,
ან მანებივრებს ვიღაცა ქებით.
ბევრი გონება, გული და თვალი
არის სიკეთის გზით მომართული,
ზოგსაც კი მრუდე, ვით სარკე მრგვალი,
აზრი აქვს ტვინში გამოსანთლული.
მერე რა, აღქმა რომ აქვთ სხვადასხვა,
ვის ძალუძს შექმნას არსის მოდელი –
ადეკვატური მოგვცეს განსაზღვრა
ყველასგან ამას რატომ მოველით?

ყველამ რა იცის, რომ ვარ საქმეში
ჩაძირული და სრულად ჩაღვრილი,
ჩემს სტრიქონებში ვითარც ნუგეში,
ჩავდე ოცნება, რწმენა, ნაღველი.
ზოგნი ხომ მცნობენ, ვინ ვარ და რა ვარ,
სხვებმა შემხედონ თუნდაც ამრეზით,
ამ გაორებულ ფუძეზე ვდგავარ
და სასტიკ დროში ვმაგრდები ფესვით!
ვარ მადლიერი, მაინც რომ ჩემი
არსის არსებობს ეს ანარეკლი,
ვგრძნობ თვითონ კარგად ჩემივე თხემით,
რომ არ გავხდები გაქირდვის მსხვერპლი!

* * *

გულისთქმა

სიცოცხლის ჰიმნი მინდოდა მეთქვა –
სიტყვა ლამაზი და აზრიანი,
ათრთოლებული, ვით გულის ფეთქვა
შეყვარებული ადამიანის;
გადმომეღვარა ხალასი გრძნობა,
რაც მასულდგმულებს, ყველას რომ გხედავთ,
გულში ჩამერგო სითბო და ნდობა
და დამელოცა სიცოცხლის დედა!

* * *

ხედვა

ასე მგონია მთელი სამყარო,
რომ სიყვარულის დიდი თასია,
იღვრება შიგ, ვით ანკარა წყარო,
აღარ იცლება, მუდამ სავსეა!
ვარ მის ტალღებში ამაღლებული,
ტკბილი გრძნობებით
ლოთი დამთვრალი,
მოურჩენელი მჭირს სიყვარული
ქვეყნის, მზის, შვილის,
მოძმის და ქალის!

* * *

იმედი

ვით გაბზარული ქვისაგან სარკე,
მიტყდება გული ადამიანზე,
როდესაც სჩადის იგი იმ საქმეს,
სხვას რომ სიცოცხლის ფესვს უზიანებს!
ვფიქრობ, იმედი გადაიწურა,
ზნეობისაგან ხალხი იცლება,
სიკეთის რწმენის ვერ ბჟუტავს ქურა,
როცა ღირსება ფულზე იცვლება!
მაგრამ ... მომღიმართ შევხვდები თვალებს
და მათი ბრწყინვა, ვით მზე კაშკაშა,
იმედის ალად ისე ბრდღვიალებს,
მზად ვარ მთელი ხმით შევყვირო: ,,ვაშაა!“

სულაც უბიწო, ტრადიციული,
მამა–პაპური, ზნით და ადათით,
კაცური, არაკომერციული,
ვხედავ, რომ ცოცხლობს კვლავ ხასიათი.
და ვით დაჭრილი, ისევ ვმრთელდები,
სიკეთის მადლის შემიპყრობს რწმენა,
გამიღვივდება კვლავ იმედები.
რომ უწერია გენს გადარჩენა!
ჩვენი ერთობის, მოყვრობის, ძმობის
აღარ დამშრალა გრძნობა მჩქეფარე,
იმედად მთელი კაცობრიობის,
კაცურნო კაცნო, თქვენ გაიხარეთ!

* * *

რაც ჩვენ გვაკლია

მე ვიტყვი ნათლად ორი ფრაზით
და სამყოფია:
სწორი განსჯის და სწორი ქცევის
ფილოსოფია
შუქია ჩვენი ცხოვრებისა
აზრის და წესის,
ველარ ვპოვე მე კიდევ რამე
სხვა უკეთესი.
ბევრი კი უხვევს მარცხნივ ან მარჯვნივ
ამ დიდი გზიდან,
ის მოხვდა ჩიხში, ნაღდი კაცის
ტვირთი ვერ ზიდა.
ბევრი დაიბნა, შორს დასცილდა
ჭეშმარიტებას,
უფსკრულში ვარდნილს ამოსვლის გზის

უჭირს მიგნება.
სწორ აზროვნებას, სწორ ცხოვრებას
გვკარნახობს წმინდა
მოძღვრება, უნდა მოვდიოთ მას,
გვინდა არ გვინდა!
თუკი გვსურს ბოლოს სატანჯველად
არ გვექცეს დღენი,
ჭეშმარიტება უნდა იყოს
შუქურა ჩვენი!
შეხედეთ, სხივი მზის არასდროს
არ იღუნება -
სიკეთისა გზად, უმოკლესად
ეს ცნო ბუნებამ!
არასწორად კი ვინც აზროვნებს,
დაიარება,
არ ერგოთ იმათ საბოლოოდ ხსნა-
გახარება!
გაგება უნდა სულაც მარტივ
აზრსა და მცნებას:
მხოლოდ სწორი გზით, სწორი აზრით
გველის დიდება!
სულ ორი ფრაზით ვიტყვი ნათლად,
ეს სამყოფია:
სწორი განსჯის და სწორი ქცევის
ფილოსოფია,
ისე ვით წყალი უდაბნოში,
რადგან გვაკლია –
ჩვენი ცხოვრების ეს წნეხი,
დიდი ნაკლია!

* * *

როგორ ჩაგთვალო ადამიანად ?

მკერდში რომ გიდევს ცივი სიპის ქვა,
და შეგიძლია სულ ადვილად თქვა:
,,სხვისი ჭირიო – ღობეს ჩხირიო,
ამ აზრში რაა გასაკვირიო.“
ამბობ: ,, ჩემს შემდეგ ქვა უთოვია;
მგელს და ცხვარს ერთად სად უძოვია?“
,,არ უნდა იყო ხერხი, სჯობს ეჩო,
რაც კარგი არის, უნდა იხვეჭო!“,
,, ვის რა ვარგეო,“ – თავს აღარ კითხავ –
სიბრძნეს უმაღლესს არასდროს იცავ.
ეს ქვეყანა გსურს შენად მთლიანად,
როგორ ჩავთვალო ადამიანად?

* * *

სიმართლე

მიჰყევ, მიჰყევ სიმართლესა,
გამოგილევს სინათლესა.
ანდაზა

,, აბა, რად მინდა სიმართლე,
სიმართლის გზები ძნელია,
თვალებში შუქს თუ ჩამიქრობს,
მაშ, რაღა სანატრელია?
სიმართლის მაძიებლნი
მუდამ ფათერაკს ელიან,
სჭირდებათ ცხენი კაზმული
ფეხმარდი, როგორც შველია“.-

ასე ნათქვამი, იცოდე
ქარაგმაა და ძველია
სიმართლის შუქი ანათებს–
კაშკაშა, უქრობელია,
მასზე დგას მთელი ცხოვრება,
სიმართლე უძლეველია!

* * *

სიკეთის მჯერა

სიკეთის მჯერა –
მუდამ იმარჯვებს,
შებოჭავს ბოროტთ
მომართულ აბჯრებს;
კეთილი ნებით
სხვას არვის ებრძვის,
არ ცდილობს ვინმე
დაანაცხოს ძირს!
ვეღარ აღზევდა,
ვინც არვის ინდობს,
ვინაც მშვიდობას
უცხადებს დიდ ომს!
მჯერა, კეთილი
არის მძლეთამძლე,
ბოროტთა ზრახვებს
ის მუდამ დაძლევს!
სიკეთე მუდამ მოგებულია,
ცხოვრება ასე აგებულია!

* * *

რაც მსურს

გაშმაგებული მე ვარ მსურველი
დაფნისა –არა,
სიბნელე – არა დღისით და მზისით!
მე ვამბობ: კმარა!
დამისკდეს ყველა ძარღვი და კუნთი,
არ გავიხარო,
ლუკმას, ძლიერ ტკბილს,
მაგრამ სხვის კუთვნილს,
თუ გავეკარო!
მწამს ხარბი სული დაიწრიტება
ბოლოს და ბოლოს,
მე მინდა ქვეყნად ჭეშმარიტება –
მხოლოდ და მხოლოდ!

* * *

ნატვრა

ბევრი არა მაქვს არანაირი
მე სანატრელი,
ვნატრობ, აი, რას მოკრძალებით,
ჭირთა მნახველი?
დედამიწაზე რომ არ იყოს
ერთიც მშიერი,
სიცივისაგან გათოშილი,
ფუძე მოშლილი –
ჩვილი, ჯეელი ანდა კიდევ
სუსტი ხნიერი,
არც ბედისაგან დავიწყებულ–გამწარებული,
გაუსაძლისი ტკივილებით
მწარით, ძლიერით

ტანჯვისთვისა და სიკვდილისთვის
გამეტებული!
და ეს მსოფლიო სავსე კოშმარით
საშინელების თასს არ ემსგავსოს
შხამბალახა და სარეველა
სუსხივით მწარე
ყოველ ნაბიჯზე აღარ ეთესოს!

* * *

ლაღი ცხოვრება მინდა მე კიდევ

მე თავი ისევ მგონია ბავშვი,
უმანკოების თითქოს ვარ წრეში,
მივქრივარ გიჟმაჟ დროების რაშით,
ვნებივრობ ყოფის ზღაპრულ სივრცეში!
გავიდა წლების დიდ ნაკადი,
დავალ ამ ქვეყნად ბედის მწევარი,
ძველი გულის თქმით დავრჩი აქამდის,
დრო შევაყოვნე დაუდეგარი!
გუშინდელივით მახსოვს ბავშვობა,
კვლავ ოცნებების სამყარო მათრობს,
ჟამთასვლის წნეხმა ვეღარ მაჯობა,
ვეღარ დამჯაბნი, შენც, მღვრიე დარდო!
მე თავი ისევ მგონია ბავშვი,
თითქოს წინ მთელი ცხოვრება მიდევს,
მსურს ვქროდე კიდევ სულ დროის რაშით,
ლაღი ცხოვრება მინდა მე კიდევ!

* * *

ვის რა ეკუთვნის?

ვინ არის იგი შემქმნელი ახლის,
მძლავრ იდეათა გენერატორი?
არც კეისარი, არც დიქტატორი,–
სიბრძნე ხალხის და გენია ხალხის!
არც კაპიტალი, არც მენეჯერი,
სათავე ყოვლის სიკეთის, ნდობის–
ეს გონებაა კაცობრიობის –
მაძიებელი ძალა ძლიერი!
აბა, ვისა აქვს რა პრეტენზია –
ხელი ჩაავლოს ძვირფას საგანძურს,
რაც თვით არ შექმნა, არ უძებნია?
ყველა საუნჯე უდიადესი,
საუკეთესო, მარადიული –
ქმნილება ხალხის ნიჭის და სულის
თვით მას ეკუთვნის
რიგით და წესით!

* * *

ძალა რომ მქონდეს

ო, მქონდეს ძალა,
შემეძლოს ნეტავ
ყველა უცოდველს,
კეთილს და ალალს
ვაგრძობინებდი
სიცოცხლის ნექტარს,
მივცემდი მტერთა - მძლეველის უნარს;

ბოროტთა ხელებს
შევკრავდი სალტით
და ვაყლაპებდი სიკეთის აბებს,
ავ ზრახვებს ერთად ამოვძირკვავდი,
ავისრულებდი
ჩემს გულის ნადებს!

* * *

იყავი ნაღდი

ადამიანად რადგანაც გაჩნდი,
შენ ისე, როგორც მაჰათმა განდი,
ადამიანად ბოლომდე დარჩი
ამ ქვეყნიდანაც კაცურად წადი!
არ გეკადრება მაიმუნობა,–
ხეპრული ქცევა ძველი ,,წინაპრის “,–
ფეხქვეშ გაეგო ყველა ცდუნებას,
გწყეროდეს სისხლი მოძმის, ვით ვამპირს;
ვით მხეცმა მადით ჯიჯგნო კაცთ მოდგმა
ჯუნგლის კანონთა მონა–მორჩილმა,
ხალხი აწამო გოგმა–მაგოგმა
დახრა ნამუსი, ვით ჩოხა ჩრჩილმა!
აღარ ღირს იმად ტირანის ტახტიც
და მსხვილი ბანკიც ძუნწი წესებით,
რომ ანაცვალო სახელი ნაღდი,
მოსწყდე რჯულს და გვარს მკვიდრი ფესვებით!
ადამიანად თუ ქვეყნად გაჩნდი,
შენც გაუფრთხილდი ღირსებას ნამდვილს,

ამ ქვეყნად შენაც ეცადე დარჩე,
როგორიც იყო მაჰათმა განდი!

* * *

არასწორი

არასწორად მოაზროვნე,
თუნდაც იყოს მთელი ხალხი,
მხოლოდ უკან, მხოლოდ მრუდედ
ბრუნავს მისი ბედის ჩარხი!
არასწორად მოსულ წვიმას
ეკარგება წყლის სიკეთე,
სიკვდილი და ნგრევა მოაქვს,
და სიცოცხლის ამხობს კედლებს.
თვით მზის სხივთა არასწორი
ნაკადების მოდინება
მზეს დიდებულს, მაცოცხლებელს
ართმევს თავის ბრწყინვალებას.
არასწორი კანონები,
რომ ქვეყანას მრუდედ მართავს,
შხამავს მთელი ხალხის ყოფას
ცხოვრების გზებს ცუდად ხლართავს,
არასწორად თქმული სიტყვა
ემსგავსება მრუდე სარკეს,
საღი განსჯის უნარს გვიკლავს,
გადაგვკიდებს ფათერაკებს.
არასწორი ქცევა ყველას
უფსკრულისკენ მიაქანებს,
თუ ავცდებით საქმეს მართალს,

არ დაგვინდობს და გვანანებს.
არასწორად ვინც აღზევდა,
ის ზვავივით ძირს დაგორდა,
ვეღარ გახდა ბედნიერი,
ვინც იხარბა, ვინც გაღორდა.
დაკლაკნილმა ცხოვრების გზამ
ყველა უფსკრულს მიაყენა,
ვინაც ეს გზა გააგრძელა,
ვერ ეღირსა გადარჩენას.
ისტორიის გზაც მრუდობდა
ქვეწარმავლის ტანის დარად,
კაცთ მოდგმათგან უმრავლესი
არ ალხინა, არ ახარა!
ჭეშმარიტი აზრი, საქმე,
ვით მზის სხივი, სწორი გზები –
აი, ღერძი, მძლავრი წყარო
კაცობის და იმედების!
ბოლოს მარცხი, ვხედავ, არის
უკუღმართის განაჩენი,
ყოველივე სწორი არის
უძლეველი, გადამრჩენი!

* * *

ახალი დროის ქამელეონი

არა ფერსა და არა სამოსს,
იცვლის ის სახეს,
წარბშეუხრელად ეყრება ნამუსს,
იცვლის გვარს, სახელს,

ოღონდაც მტკიცედ
გაინაღდოს ფული თუ სკამი,
თუნდ სამუდამოდ
მთლად დაკარგოს
იმიჯი ამით.
უკან არ იხევს, თუ მიზანი
მიღწეულია
ბედნიერება მისთვის
მხოლოდ სკამი, ფულია!

* * *

ეკონომია

ზღვა კოვზით დაილევაო,–
ყველას გვმოძღვრავდნენ ასე,
ვაბნევთ უთავოდ ლარებს
ათის მაგიერ ასებს.
ადამიანთა სიხარბემ
რა არ დალია ქვეყნად
ვყლაპავთ ჟანგბადის აბებს,
გვიწევს მტკნარი წყლის ძებნა.
შრება აირის ბურღილი
და ანტრაციტი ქრება,
მთებს ტანჯავს უკვე წყურვილი,
ძველი მყინვარი შრება.
არ გვყოფნის ბამბა, ნავთობი,
ამერ–იმერი ვრცელი,
ასე უზომო არბობით
ცხოვრება ხდება ძნელი.
თუ კმარა ხუთი ნათურა

იქ ვაკაშკაშებთ თერთმეტს.
თითქოს სიუხვის დასტურად
დოვლათს მოვიხმართ ზედმეტს.
პროტესტანტული ეთიკა
გავხადეთ საქირქილოდ,
რაციონალისტს ვერ ვიტანთ
გვგონია სასაცილო.
მომჭირნეთ ისე შევხედავთ,
თითქოსდა ძუნწთა ტომია.
ვართ მფლანგველობის მეფე და
არა გვწამს ეკონომია.
ვერც ვიგებთ, რომ ჩვენი ხელით
ძირს ვუთხრით ჩვენივ მომავალს
და უთავბოლო მხარჯველნი
ბიჭუნას ვგავართ ონავარს.
ციდან არ ცვივა, ვით ნამი,
დოვლათი, ყველამ გაიგოს:
დაზოგვა, ბრძენთ აქვთ ნათქვამი,
შემოსავალი არისო.
და მისი არდაფასება
კლებაა ჩვენი ქონების,
მტვრად ქცეულს დაემსგავსება
ნაჯაფი მილიონების!
გვკარნახობს ცხოვრების სიბრძნე
ძველისძველი და ახალი,
რომ ხელმომჭირნის აზრში ძევს
ყოფის კულტურა მაღალი.
ვით ცოდნა ანა–ბანათა,
მშობლის სიმღერის ჰანგები

უნდა გვიყვარდეს დაზოგვა
ვიყოთ ამ სიბრძნის გამგებნი!

* * *

ტომბა კოჩი*

,,ტომბა კოჩირე “– არსებობს ეს თქმა,
სადაც ცხოვრობენ ჩვენებურები.
სწორედ ღრმა კაცი რომ უნდა ერქვას –
მე ბევრზე ბევრი იქ მეგულება!
ურყევად უდგას მათ არსში ფესვი
ღრმა სიბრძნესა და კაცურკაცობას,
როგორც ბერმუხა ჩემს ლეცინდეში†
მიწას ჩაკვრია ცოცხლად ასწლობით.
უკიდეგანო ცხოვრების ზღვაში
ვინ ტორტმანებს და ვინ დაქრის ფრთებით,
არ გვანან მსუბუქ კატარღებს გაშლილს,
ღრმად ჩაყვინთულან, ვით ხომალდები.
სწამთ ერთგულება პურის და კაცის,
ძმის და მეზობლის მუდამ გატანა,
ცხოვრების სიბრძნე იხელთეს რაკი,
ვეღარ აურევთ გრძელ გზებს სატანა;
ვეღარ შეუჭამთ ყანას მახრები,
ვეღარ დაურღნით გულს დარდის ჭია,

---

* ღრმაშინაარსიანი კაცი.

† ჩემი სოფლის უბანი, სადაც უზარმაზარი მუხა იდგა.

მათი, მარჯვენა უქმად არ ცდება,
შიგ ენგურივით ჩქეფს ენერგია.
სულში სიკეთე უნდა მძლავრობდეს –
ეს ადათია წინაპართ ჩვენის,
სიბრძნე სიტყვისა, ცნობილი ოდეს
გადმოსცემიათ, ვითარცა გენით.
გულუხვობა –ეს ძმობის ხიდია,
ენა თაფლია, ხანაც თოფია–
ასე მარტივი და აზრდიდია
მათი ცხოვრების ფილოსოფია!
ტომბა კაცობა ცვლის ამ საამყაროს,
ძველსაც არ ჟანგავს, ინახავს მზეში;
ის მიაბიჯებს მკვიდრად და მყარად
საუკუნიდან საუკუნეში.
,,ტომბა კოჩირე “– არსებობს ეს თქმა,
სადაც ცხოვრობენ ჩვენებურები...
ცხოვრების გული მით მაგრად ფეთქავს,
ასეთები რომ იქ მეგულება!.

* * *

გენეალოგია

ვარ ალტრუისტთა შთამომავალი,
მაქვს შესაშური მემკვიდრეობა,
ჩემი მიზანი არის მაღალი –
სხვებს მივანიჭო კეთილდღეობა!

* * *

უიმედობა

რა ვიშვებით, წამსვე ვტირით,
ვით წინამგრძნი მომავალთა...
ილია

რაა სიცოცხლე, ჯილდოა
თუ მძიმე სასჯელი,
თუკი არ გვახსოვს მისაგან ერთი
დღეცა ნათელი;
თითქოს ეშმაკი ჩაგვისაფრდა,
ვით ფარას მგელი,
თუ მომავალი წინ ჩანს ქუფრი,
ვით ღამე ბნელი,
ვდგევართ ჭირში და არვინაა
ჩვენი მშველელი;
თუ მისდევს მიჯრით ერთ ფუჭსა წელს
სხვა ცუდი წელი,
თუ კი წარსული გვკაწრავს მძიმე
სევდის ჩამღვრელი,
თუ გავლილია ეს ცხოვრება
მოკლე თუ გრძელი,
ამაოებად თუ იყო ის ნატანჯი, ძნელი;
თუ ვიღაც შხამით სულ გვგესლავდა,
ვითარცა გველი,
ველით ბარაქას, ვრჩებით ბოლოს
ხელცარიელი,
მოველით შვებას, არსაიდან
ნანატრი მხსნელი,
ვეძებთ დიდებას, ვხედავ ნაღვაწს
ფეხქვეშ გათელილს;
ვით მავთულხლართში, თუ კი გვახვევს
სიცრუის ქსელი,

რა არის განძი ან მქუხარე
კიდევ სახელი,
რის მოცემია, აბა, ტაში,
რისაა მთქმელი;
ვერ ვასწრებთ, ისე გვიღებს ბოლოს
სიკვდილის ცელი;
დაუსვამს წერტილს ის ყველაფერს
ცივი და მჭრელი.
ასეთი ყოფა - ჯილდოა თუ
მძიმე სასჯელი?

* * *

სიყალბე

ვინაც სიყალბის მკერდს ჩაეხუტა,
და ცრუ კაცობა ერგო სახელად,
იგი ქვეყანას კარგს ვერ მოუტანს,
არც უნდა იმას ამ ქვეყნის შველა!
სიყალბე ძნელი ასატანია
მძიმე სენია, თითქოს შიდსია,
ვინც მის გზას მისდევს, ის სატანაა,
მართლაც ბნელია და უღირსია!

* * *

მღვრიე აზრები

სიმართლეს ვამბობ,
არ ვიგონებ გასართობ ზღაპარს,
კაცი კაცისთვის მგელიაო,

- თქვა ერთმა პაპამ.
და კიდევ სულაც დაჯერებით,
ამაყად, მტკიცედ
სუსტი ძლიერთა საზრდოა–
გვაუწყა ნიცშემ.
და კიდევ მოდის
ბნელზე ბნელი აზრთ ნიაღვარი,
რომ რევს ხალხთა გონს,
უდაბნოში ვით ქვიშას ქარი.

* * *

პატიოსანი

პატიოსანი ჩანს დღეს უძლურად,
უმზერენ ზიზღით, მწარე დაცინვით,
ამ ქვეყანაზე თითქოსდა მდგმურად
გაამწესესო წყნარი ცხვარივით!
არ შეეშალოს ყეყეჩს, ცანცარას,
მისი სიდინჯე – ძალაა ლომის,
სულ სხვა ზნისაა იმისი ჩარა,
მთასაც კი დაძრავს, თუ მოინდომებს,
უტიფრებო, ნუ უმზერთ ქილიკით –
ქვეყნის ხიბლია პატიოსნება,
ბედნიერებას იმითი ვიმკით,
ველით ახდენილს მისგან ოცნებას.

* * *

სიავე და სიკეთე

კარგი ქენი, ქვას დადევი, გაივლი და
წინ დაგხვდება.
ხალხური

სხვისთვის ავის მზრახველს,
უკეთურს და გესლიანს
წინ დახვდება მახედ,
რაც თვით დაუთესია.
კაცს გულთბილს და უზადოს,
სხვის მფარველს და ქომაგს
ბედი მუდამ უმზადებს
დიდ სიკეთეს ორმაგს!

* * *

სიცხადე

დავითვლი იმ წლებს,
რაც მიცხოვრია,
ოი, რამდენი
წუთი, წამია!
ისე, ვით ოთხი
ორჯერ ორია,
ვიცი, აქედან
ბოლოს რა მიგვაქვს!
მაინც არ გვყოფნის
მთელი ქვეყანა,
გაუმაძღრობის
არ გადის ხანა!
უაზრობაში

აბა, როდემდე
ოქროს და ვერცხლზე
სულ გვაბოდებდეს?

* * *

ფულიანის დარდი

ეს უცნაური გაუჩნდა დარდი,
ტანჯავს სიმდიდრე, ფული უზომო:
ადრე ცოტას რომ ფრთხილად ხარჯავდა,
დღეს პრობლემებთან პირისპირ ომობს!
თითქოსდა ხარჯვა არის ადვილი,
გაფანტავ როგორც ფიფქებს ზამთარი,
მაგრამ ფულებმა დაუფრთხო ძილი,
ჩარაზა მისთვის სიმშვიდის კარი.
გაუხდა, ხედავს, ნამდვილი მტერი
მისი ფულები, რომ უჭირს დათვლა,
სულაც არაა ის ბედნიერი,
დიდ გასაჭირში ჩავარდა ახლა:
სადღა დახარჯოს, სად რას მიიღებს,
სადა სჯობს, აბა, როგორ გაიგოს?
ან ვისზე გასცეს? -კითხვები, ვით მტერს,
მზადაა ტანჯულს წესი აუგონ!
ჰე, დიდი ფული, დიდი შფოთია,
იცოდეს ყველამ, გაგხდით გიჟივით,
იკმარეთ იგი, რაც სამყოფია,
თორემ გაიჩენთ დიდ თავის ტკივილს!

* * *

დრონი მეფობენ

დრონი მეფობენ! – ძალაშია
კვლავ ეს კანონი,
რომ თან გაჰყვება
შეურყევლად ყველა ეპოქას.
თემიდა აწი
სამართალსაც ზუსტად
აწონის,
რომ ბევრს მთლიანად შეუცვალოს
ურგები ყოფა.
და ისტორიის
გარდუალი ჩარხის ტრიალი
დააყირავებს იმას,
რაც ჩვენ მტკიცე გვგონია,
ცვლილებები კი
იდუმალი უშრეტი ძალით
გვიძღვნის ცხოვრების
სითბოსა და
დიდ ჰარმონიას!

* * *

ტაბუ ცდუნებებს

ფიქრობ, ყავის დამლევად
ვარო ქვეყნად მოვლენილი,
თითქოს ასე მტკიცედაა
მამა–პაპით დადგენილი.
აბა, კიდევ ერთი ეს თქვი,
რატომ გიყვარს კაზინო,
რა აზრით და რა მიზნით,
კიდევ ფულის ხვეტა,

თვით საკუთარ თავზედაც
ბევრად უფრო მეტად!?
ბზინვარე ქვა ხომ ვიცი,
ჭკუას შენს მთლად კეტავს,
გართობაში განცხრომას
და ცხოვრების აზრს ხედავ.
თუ ეს ყველა გაკლია,
გიმზერ, ვით ბუს, განაბულს.
არ გაწუხებს მადიანს
სხვა მაღალი გრძნობა.
ამ ცდუნებებს ტაბუ,
ადგილი კი – თავისი
კუთვნილი გართობას!

* * *

ავსიტყვა

მისგან უხეში სიტყვა–ისარი
მოდის, რომ ჭრიდეს გულს, ვით ხანჯალი,
აფრქვევს გულუხვად შხამს და სიმწარეს
რადგანაც ენას არა აქვს ძვალი.
მე ავ სიტყვათა არ მაფრთხობს ბანგი,
სიავე მათი გულსა მტკენს მხოლოდ,
კარგადაც მესმის, ვით ბუმერანგი,
ისინი უკან ბრუნდება ბოლოს.
ავ სიტყვათ ავტორს ეშლება მწარედ,
გაბოროტებას ვერ ნახავთ ჩემსას
მე სიყვარული კაცთა მახარებს,
მოიმკის ყველა, რასაც დათესავს!

* * *

უქმი სიმდიდრის ჩივილი

ნაშრომში ,, უქმი ეკონომიკა“ დავამტკიცე, რომ
კაცობრიობის სიმდიდრის დიდი ნაწილი უქმად,
ნამდვილი ფუნქციით გამოუყენებელი ძევს.

ჩაძირულებო ნივთთა გორებში,
იკითხეთ ჩემი გულისტკივილი,
ვდნები დარდების მძიმე მორევში.
რომ მერგო უქმსა მარადი ძილი,
ვაგდივარ მსხვერპლი ფუჭ ცდუნებათა,
ვეღარ ვაკეთებ ჩემს საქმეს კეთილს,
ვარ ხანაც ალთას და ხანაც ბალთას,
ამაოების სამყაროს ვერთვი.
ხან სადღაც ვბორგავ, ვით ბოგანონი,
მსურს მოქმედება, არ მინდა მკვდრობა!
მერგო უკუღმართ წესთა კანონით
უფუნქციობა, ფუჭი უქმობა!
ხან ქედმაღალთა თავმომწონების,
ამპარტავნობის ვარ იარაღი,
ხან ცხრაკლიტულში უაზროდ გდებით,
ჩემი არსება არად არა ღირს!
ვარ ხან სასახლედ წამოჭიმული,
არავისთვის რომ არაფერს არ ქმნის,
ამ ყოფაში ვარ გულდაზაფრული
მონატრებული მჩქეფარე საქმის!
ვგლოვობ ბედს ჩემსას დაუნახავად,
გულმკვდარს დარდები მკაწრავს, ვით ცელი,

უძრაობისგან გამხდარი ავად
გაცოცხლების დღეს თმენით მოველი.

* * *

... ზაციები

იყო ნანატრი
ინდუსტრიალიზაცია,
უხაროდა ბევრს,
არ მოსწონდა ზოგს.
ვიგემეთ, ვით ლუკმა,
კოლექტივიზაცია,
შევშფოთდით,
როცა მოვეგეთ გონს!
მოვიდა უძირო
კომერციალიზაცია
და ყველა
ვერ გადის ფონს,
ვინც არ ფლობს ბაზრის
ადათსა და წესს,
დახლის უმტკიცესს
აზრს და განაწესს.
აქ ყველაფერი
არის საქონელი -
საგანი, გრძნობები,
ოცნება წრფელი;
ყველაფერს ის ფლობს,
ვინც იხდის მეტს,
ბაზარზე იყიდი
პიტნას და ბედს;
იყიდი სიყვარულს,
სიხარულს დიდს,

სახელს და დიდებას,
ცხოვრებას მშვიდს!...
და დაბნეული
ჩანს დღეს ნაცია,
აფრთხობს უძირო
კომერციალიზაცია!

* * *

ბედის განაჩენი

ზოგს შეიყვარებს და ეფერება,
ზოგს შეიძულებს და ემტერება,
ზოგს მიაქროლებს წინ, ვით რაკეტა,
ზოგს ძირს დაგდებულს აღარც დახედავს!
არ ვიცი, უცქერს ის ვის რა თვალით
ხან დედაა, ხან დედინაცვალი.
მაკვირვებს მე ეს წუთისოფელი –
ყველა კანონის უარმყოფელი.
ვერ ამიხსნია და ძლიერ ვნანობ,
როცა ვმორჩილებ ამ ძალას, კანონს!

* * *

სწორი გზისკენ !

რაც მოგივა დავითაო, ყველა
შენი თავითაო.
ანდაზა

არასწორი სიტყვა,
არასწორი განსჯა,
არასწორი ქცევა,

დროის ფუჭად ხარჯვა,
არასწორი გზა,
მრუდე ყველაფერი -
აი, ჩვენი დიდი
პრობლემა და მტერი!
შეცდომების კონა
ყველას თან გვდევს უხვად
და შედეგმაც ბევრჯერ
ძლიერ შეგვაწუხა,
ის არავის ინდობს,
გვაწვება, ვით ზვავი,
არასწორი ქცევით
ჩვენ ვართ მტერი თავის!
წინ დაგვხვდება მუდამ
სიმრუდენი ჩვენი,
ასეთია მკაცრი
ბედის განაჩენი!
არ შეგვარჩენს თემიდა
არასწორად ცხოვრებას,
შორს სიმრუდის გზა–კვალი,
სწორი გზისკენ - სწორება!

* * *

არცოდნა

აღშფოთებისგან თავს ვერ ვიკავებ,
რომ ვჭვრეტ ცრუ აზრით გატენილ თავებს.
რამდენი თავი, იმდენი აზრი,
ჭეშმარიტება ვეძებო რა გზით?
ცოტა რამ ვიცით მთელ სამყაროზე,
ტაიფუნებზე, სუსხზე, ტაროსზე.

არ გვაქვს პასუხი მარტივ კითხვებზე,
რა სიკეთეა ჩვენთვის თავად მზე.
ან მკითხაობას მივმართავთ ხშირად,
ვფლობთ მარტივ ნივთზე ზუსტ ცოდნას მწირად.
გვეშლება, თუ ვინ ვინ არის მართლაც,
ავსა და კარგზე ვერ ვმსჯელობთ ნათლად.
ავიყვანთ ზოგჯერ გარეწარს ცამდე,
ღირსეულს კიდევ ძირს დავანარცხებთ.
არა გვაქვს ცოდნა მთავარ კითხვაზე:
თვით ჩვენ ვინა ვართ, რა მიზნებს ვაღწევთ,
რა არის აზრი სიფხიზლის, ძილის,
რაა სიცოცხლე ანდა სიკვდილი?

* * *

აზრმა სწორმა შექმნა,
აზრმა მრუდმა ანგრია,
ბრძენმა ააღორძინა,
დააქცია გაგრიამ.

* * *

დილემა

იცხოვრე ლაღად,
გქონდეს მიზნები,
ერთ რამეზე კი
ნუ დაფიქრდები:
რაა ცხოვრება
და ცხოვრობ რისთვის,
თორემ პასუხად

მიიღებ მყისით
ერთს ციფრს, უგულოს,
არაფრის მთქმელსა,
რომ შეგაძულებს
ღამეს და დღესაც.
იფიქრე, თუ რა
აკეთო ხვალაც,
რას უნდა უძღვნა
აზრი და ძალა!
იფიქრე შვილზე,
ბაღზე, ყანაზე,
იფიქრე ბევრი
შენს ქვეყანაზე!
ბევრს ნუ იფიქრებ,
რაა ცხოვრება,
ცხოვრობ რისთვის და
რა გელოდება,
თორემ პასუხად
მიიღებ ცუდ ციფრს
და ეჭვს, ცხოვრება
მართლაც და თუ ღირს!.

* * *

პრობლემა

დიდი პრობლემა, რაც გვისახსოვრა
საუკუნეთა სრბოლამ და წლებმა
არ არის ის, რომ დავრჩეთ მათხოვრად,
არც ჭირთა თმენა, ტანჯვა და გვემა,

არც თავსატეხი სიმართლის პოვნის,
თუმცა გვამწარებს უსამართლობა,
ნომერ პირველი პრობლემა, მგონი,
არის დღეს ყველგან მაინც ქურდობა –
ქურდობა დღისით,
ქურდობა მზისით,
ქურდობა წყნარად,
ხანაც ხმაურით,
ქურდობა ნემსის, ოქროს საწმისის,
ხერხით და წესით ავაზაკურით,
რაც ამდენ ტკივილს და ქაოსს ბადებს,
საძირკველს გვინგრევს, ვითარც მტრის ნაღმი,
აწეწილ ყოფას ხალხს რომ უმზადებს,
რისგან ცხოვრება არ მიდის წაღმა...
თავსაყრელი გვაქვს დღეს პრობლემები,
მაგრამ პირველი და ურთულესი,
რასთანაც ომში დღეს ვიმყოფებით –
ეს ქურდობაა ძლიერი ფესვით.
ქურდთა სიმრავლე მრავალი რანგის
სჭარბობს კიდევაც მხვნელ–მთესველთ რიცხვსაც
ქურდნი ხაზინის, მსუქან–მაძღარნი,
უმწეონი და სიქა გამძვრალნი,
ქურდნი სასტიკნი, როგორც აფთარი
და კურდღელივით სუსტნი, დამფრთხალნი...
დღეს გვაქვს დილემა: სვლა რომელი გზით,
გავქურდდეთ, შევქმნათ ქურდთა სამყარო,
ვიცხოვროთ ყველამ ქურდული წესით,
თუ ამ ქვეყნიდან ქურდნი გავყაროთ?

* * *

სინდის–ნამუსი

სადაც არ არის სინდის–ნამუსი,
მგლური ცხოვრების ზეობს ადათი,
ქცევის წესებს კი ქმნის იანუსი,
წახდება სული საღ–სალამათი!
იქ სიკეთესაც ეცლება ფასი
და, როგორც ჩირი, ხდება იაფი,
ირღვევა ყოფის მყარი კარკასი,
ქრება სიქველე ელვის სისწრაფით;
სიცარიელე დაისადგურებს
ცხოვრების ყველა კუთხე–კუნჭულში
და სატანების ერთგულ მსახურებს
ბოღმა, ვით თაფლი, ეღვრება სულში.
ცხოვრებას ზარავს ზრახვები ავი,
ნამუსის მტრები ღრეობენ ხშირად,
მიდი–მოდიან ავაზაკთ ნავით,
ღუზას უშვებენ ბნელეთის პირას.
უზნეო სული, სული მახინჯი,
კაცობრიობის მტერი ჯაშუში,
შემოპარული სანდო იმიჯით
ამ ჩვენი ყოფის ნირსაც აფუჭებს.
მაშ, ვინც იწამეთ სინდის–ნამუსი –
ჩვენი ცხოვრების მტკიცე ქვითკირი,
მაგრად ჩავიკრათ ალერსით გულში,
ვახაროთ მხოლოდ იმისი ძირი !

* * *

სიმართლის წესი

იქუხებს ერთ დროს
ყველა სიმართლე,
დიდი ლოდინი
გვიწევს ჩვენ მხოლოდ,
ვით მზე ღრუბლიდან,
იგი ინათებს,
ჩაგვეხუტება
ბოლოს და ბოლოს!

* * *

დაგვღუპავს მტრობა

ერთურთს ვერ ვიტანთ,
ვით ნადირს, ვხოცავთ,
სიძულვილს ვიჩენთ
მართლაც საოცარს,
ვით ცხვარს მგლის, არ გვაქვს
ერთურთის ნდობა,
აბა, დავფიქრდეთ,
რა მოგვცა მტრობამ?
უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი,
შვილივით გვწამდეს,
ჩვენს სახეებზეც სიხარული,
ღიმილი ჩანდეს,
ჩვენ კი ერთმანეთს
არ ვინდობთ, ვხოცავთ,
სიძულვილს ვიჩენთ
მართლაც საოცარს!
ყველა მიზეზი, ყველა საბაბი
ჩვენ მოვიგონეთ,

სხვამ კი არავინ!
ტკბილი ყოფისთვის გვჭირდება ძმობა,
ჩვენ ავირჩიეთ უაზრო მტრობა!
მხეცთ შეშურდებათ
მოხეტიალეთ,
ამ მტრობით რაც კი ცოდვა ტრიალებს!
უნდა გვიყვარდეს ყველა მოძმე,
შვილივით გვწამდეს,
მტრობით ცხოვრება, რაში გვარგებს,
აბა, სანამდე?
ვტყუვდებით მწარედ,
ვივიწყებთ ძმობას,
ფრთხილად,
ო, ფრთხილად,
დაგვღუპავს მტრობა!

* * *

ინდივიდუალიზმი

დამოუკიდებელი მხოლოდ ის ადამიანია,
რომელიც საკუთარი თავისთვის ცხოვრობს.
აინ რენდი *

ღორიც უძღები იჩენს მხნეობას,
როდესაც ზრუნავს იგი თავისთვის.
მხეციც კი აღწევს კეთილდღეობას,
მასაც სისხლში აქვს ინივიდუალიზმი!
სულ სხვა ვიმეა ქველი ფუტკარი –

* ამერიკელი, წარმოშობით რუსი ებრაელი, მწერალი და ფილოსოფოსი ქალი.

ეს ალტრუიზმის მართლაც მედროშე,
აქვს მტკიცე ნება, დიდი უნარი
იფიქროს თავზე, ჩვენც თაფლი მოგვცეს...
ჩვენ თუ არ გავცდით ღორის მავნე წესს,
თუ ფუტკარს აღარ დავემსგავსებით,
მაშინ ვინა ვართ? ვარღვევთ განაწესს,
არსებობის გზას ჩვენისას ავცდებით,
რომ ერთობით და ძმობით ერთურთის
ლხინით და ჭირით ყველა ვცხოვრობდეთ;
რომ ჩვენი დღენი არ იყოს ფუჭი,
ჭეშმარიტ მცნებებს გავყვეთ ბოლომდე!
ნუ დავუჯერებთ ცრუ აინ რენდებს,
წავაგებთ, თუ მათ აზრებს მივენდეთ!

* * *

ჯილდო

ცხოვრებას არ ვჭრეტ
ჩარჩული თვალით,
და გამორჩენა
ვინმეს ხარჯზე
არა მაქვს აზრად;
დაბნეულია სიკეთეზე
ვიღაც გამწყრალი,
ვის თვალებში ჩანს ეს ქვეყანა
დახლად და ბაზრად;
უანგარობას გაუმარჯოს –
კაცურ ბუნებას,
იმას რაღა სჯობს,

როცა მოძმე
გყავს მადლიერი,
ჩვენ აგვამაღლებს სხვისთვის
ღვაწლი და რუდუნება,
სიკეთის მადლით
ვართ ბედნიერი!
დაუნთია ბევრს კაცთა შორის,
ვით ცეცხლის ალი,
და არ უქრება გრძნობა დიდი,
მთაზე მაღალი;
იმათ გულებში რჩება იგი,
როგორც ღრმა კვალი.
დიდი ჯილდოა
გვერგოს, ვით ძე ნასათუთები,
მადლიერება გულებისა
ფაქიზთ, გამთბართა;
უანგარობა ვინც დათესა –
ქება ულევი,
მასაც, ვინაც ის დაუხრელად
დროშად აღმართა!

* * *

პატიოსნება

რაა პატიოსნება-
თუ გესმის და თუ გჯერა?
აღარ არის ის ტვირთი,
ტანჯვა და ბედისწერა!
თუ ხარ პატიოსანი,
ხარ ხალასი, ჭკვიანი,
ისა ხარ, ვინც უნდა იყო -
ნაღდი ადამიანი!

* * *

არა მორჩილებას!

,, თუ კი მისდევ სიმართლეს,
გამოგილევს სინათლეს,
თუ კი შეედავები
ბრიგადირსა ან სხვა შტერს,
ეს დღესავით ცხადია,
რომ გაუჩენ შენს თავს მტერს!
ხოლო თუკი ძლიერ შეფს
შეუბრუნებ ერთ სიტყვას,
მაშინ ვირის აბანოში
უეჭველად თავს გიკრავს.
უსამართლო ქვეყანას,
თმენით უნდა უყურო,
თუ არ გინდა რომ დარჩე
ულუკმოდ და უპუროდ!“
აი, უბედურება,
ბევრს რომ ასე ჰგონია,
ეს მონური ფსიქიკა
ბრიყვთა მონაგონია.
ვინც სიმართლეს ესწრაფვის
ის ნამდვილი გმირია -
ზოგის განსჯა მონური
მართლაც გასაკვირია!

* * *

თავხედი უნდა უმალ შეაჩერო!

გაიძვერას სინდისი რომ
გაუღვიძო, სილა უნდა გააწნა.
არისტოტელე

იგი აწვება საქმეს ტანკივით,
თავის საწადელს არ მალავს, კივის;
თავხედი სჯობს, რომ უმალ შევაჩეროთ,
მისი კუთვნილი სკამი ვაჩვენოთ!
ვიდრე ეცდება თავს გადაგვახტეს,
არ გაგვაბრუებს და ტვინს აღარ გვატკენს!
არ მოისვენებს ის ერთი წუთით,
ვიდრე არ იგდებს მისთვის არ კუთვნილს;
იმ ლუკმით სანამ არ დანაყრდება,
როგორც მშიერი მხეცი, მწარდება.
უნდა მოვქაჩოთ და შევაჩეროთ,
ვუთხრათ სიმართლე და შევაჩვენოთ;
ვასწავლოთ ზომა, უკან დახევა,
ვიდრე ინდომებს ქვეყნის ნახევარს!

* * *

უიმედობა

ეჰ, კარგი კაცი მოკვდა,
ხე ბარაქისა გახმა,
მაისის დილას თოვდა,
საქმე არ მიდის წაღმა.
ფერი ეცვალა ყვავილს,
ვეღარ იხარა ბაღმა,

ლაღობს მზრახველი ავის,
ეჰ, დრო არ მიდის წაღმა.
არ გაუმართლა კაცს ალალს,
გასწირა ბედის ჩარხმა,
კეთილი ტყვიამ განგმირა,
საქმე წავიდა დაღმა.
ბოროტი აზრი გრიალებს,
ვერ გაიმარჯვა საღმა,
მტრის რისხვა თავს დაგვტრიალებს,
ველარა ვქაჩავთ წაღმა.
ცხოვრება უკან დაქანდა,
ვერა, ვერ იძვრის აღმა,
დრო ყინულივით გაქვავდა,
ვაი, ვერ მიდის წაღმა!

* * *

ურყეობა

რა დროს გავჩნდი და სად დავიბადე,
ეს რა ცხოვრება გამოვიარე?
მე მაინც მიყვარს ეს ოდაბადე,*
ვივიწყებ კიდეც წლებს ნაიარევს.
არ მერგო წილად დიდი ქვეყანა,
მსოფლიოს კედლებს რომ აზანზარებს,
ვეთაყვანები ჩვენს ტყეს და ყანას,
ველებს, ქალაქებს, სოფლებს პატარებს...

---

* ოდაბადე – მშობლიური ადგილი (მეგრულად).

არ მშურს განცხრომით გალაღებულთა,
ვარჩევ ვეფერო ადგილის დედას,
მთელ სამყაროში თუნდ ჩვენს მცირე მთას
არასდროს გავცვლი ოქროს მთებზედაც.
აღარ დავარქმევ ჩემს ბედს დანავსულს,
თუ სიმდიდრეში არ ვიძირები,
დავენაცვლები ჩემს ენას, მამულს,
მშობელ მიწის გოჯს შევეწირები!

* * *

რატომ ?

ქოდქოდა რატომ მართავს ქვეყანას,
იუდა ხალხებს რად დირიჟოროობს,
ჭეშმარიტება დამარცხდა განა,
წააგო ომი უთანასწორო?
ნუ დაიჯერებ! მხოლოდ ბურუსი
ფარავს მზეს ზოგჯერ, ჩნდება უკუნი,
უკან დაიხევს მტერი ნამუსის,
იმედი მოვა ისევ გუგუნით!
აყირავდება ცრუ ბასტიონი,
როგორც ყინულის კოშკები თქეშით,
მოვა სინათლე, ვით მაყრიონი,
გაამებული პატარძლის ეშხით!

* * *

სიხარბე

ხარბი მუდამ ღარიბია,
ხარბი მიწყივ მშიერია,
როგორც სვავი უძღებია,
თუმცა მილიარდერია.
აღარ არის კმაყოფილი,
ვით ქარს არ აქვს მოსვენება,
გამკრთალი აქვს ღამე ძილი,
არ იშლის მისს, თუმცა ცდება.
ცხოვრებაც კი გაუმწარდა,
ნდომისაგან დაიქანცა
აღარ ტოვებს მგლური მადა
და წადილის მწარე განცდა!
თუმც სიმდიდრეს ვერ აუდის,
არის თითქოს უქონელი;
უკმარობის სულის ხუთვის
სენი ახრჩობს ულმობელი!

* * *

ახლომხედველს

იხედები ცხვირწინ,
ვით ჩვევია ღორს,
გაიხედე ირგვლივ,
გაიხედე შორს!
დღევანდელი დღით,
აბა, ცხოვრობს ვინ?
ამ ცხოვრების ტვირთს

ველარ წასწევ წინ!
შეშას მაშინ ეძებ,
როცა უკვე თოვს,
რომ იფიქრო დღესვე
თვით ცხოვრება გთხოვს.
ველარ იწევს სარჩოს,
ვინც არ ანძრევს ხელს,
ვერ მიირთმევ ხილს,
თუ არ დარგავ ხეს.
უნაყოფო ცხოვრება
არის, ვით ქვა, მძიმე,
აღარაფით სავსე,
როგორც კლდეში მღვიმე.
იხედები ცხვირწინ,
გეტყვი სიტყვას სწორს:
გაიხედე ირგვლივ,
გაიხედე შორს!

* * *

სიჭრელე

მინახავს კაცი ბუნებით გველი,
თუმცა ორ ფეხზე ამაყად დადის;
შეგსანსლავს, როგორც თოხლს ხარბი მგელი –
ამაყი წევრი ვერაგთა ბანდის!
მინახავს კაცი, როგორც ცხოველი,
არ ფლობს ზნეობის თუნდაც ნატამალს,
მისგან ყველაფერს ყველა მოელის,
რადგან არ იცის ნდობა, გატანა!

მაგრამ ბევრია კეთილშობილიც,
ცხოვრება ჭრელად გვხვდა მოწყობილი!

* * *

გაბაზრება

დღეს ყველაფერი განურჩევლად
რომ იყიდება,
აბა, რა არის ყოველივეს
ეს გაბაზრება?
განა ნივთია სხეული თუ
ნამუსი, ნება?
მითხარით, კაცი ამ ყოფაში
არ გაბრაზდება?

* * *

ნაკლებობა

როგორ გამოიჭრა
ცხოვრება, რა თარგით?
ვინ დადის რა ჭკუით
და ვინ რა ბარგით?
ცუდი ბევრია,
ცოტაა – კარგი.
არ ვიცი გამოიჭრა
ცხოვრება რა თარგით,
სიმწარე ბევრია,
მცირეა მარგი!

* * *

ბედის სამდურავი

ბევრი ხარობს და ნებივრობს,
ბევრიც ემდურის მის გამჩენს,
ბედის ნაწყენი სულ ფიქრობს:
,,რატომ გავუჩნდი დედაჩემს?
ამ წამების და ტანჯვისთვის
რად მოვევლინე ქვეყანას?
ცხოვრება გვერდზე ჩამივლის,
დამაგდებს ბნელ კარებთანა!
არ გაჩენილნო, ვარ თქვენი
ერთი კეთილი მოშურნე,
აბა, ვინ არის ის ბრძენი,
ასეთი ყოფა რომ სურდეს? “

* * *

წარსული

წარმტაცი იყო ის ეგზოტიკა,
დრო იყო მდორე, როგორც ნილოსი
და მიჰყვებოდა ყოფის ლოგიკას
ბევრი უნიჭო და გენიოსიც.
იყო სამოსი სულ სხვანაირი,
მჩატე, მარტივი, არა მოდური,
არც პომპეზური და არცა ძვირი,
სამანი ედო მადას და სურვილს....
ჟანგბადი იყო სუფთა, უზადო,
ინფორმაციით დაუტენავი,

ღვინო ნაღდი და კაცი კი სანდო,
არ იკადრებდა ტყუილს არავინ...
ურთიერთობა იცოდნენ წმინდა,
უფაქიზესი იყო ინტიმი,
თითქოს მზეც მეტ
თბილ სხივებსა ღვრიდა,
და მძლავრად ჟღერდა
გრძნობათა სიმი;
გარემო იყო უფრო ნათელი,
ქცევა – ხალასი და თვინიერი,
იქნებ ცხოვრება იყო ის ძველი
ჩვენსაზე ტკბილი და ბედნიერი?

* * *

ნამდვილი

წყარო - ანკარა,
ღვინო - ნამდვილი,
შორს ფალსიფიკაცია,
სუფთა მანდილი,
საღი სადილი,
ნაღდი ასიგნაცია -
აი, რა გვინდა ,
გვზარავს ყველა ცრუ,
ვითარც აფთარი,
კმარა სიყალბე,
ტყუილი მტკნარი!
ცრუ პოლიტიკა,
ცრუ არჩევნები -
მითქმა–მოთქმები

ავი ენების;
დაპირებები,
ფუყე, ვით ფიფქი –
ავი სენივით შორს,
ცხრა მთას იქით!
მხოლოდ მართალთა
გვინდა პარტია,
სუფთა, ვით წყარო,
დემოკრატია!
გვსურს ერთგულება,
სიკეთე, ნდობა,
მხოლოდ ნამდვილი
სამართლიანობა!
გვწამს ჩვენ ცნებები
მართალი და სადა, მარტივი,
თავისუფლება - მთელი,
არა პალიატივი!

* * *

უპასუხო კითხვა

მაკვირვებს და მაშფოთებს,
რომ ეს მუდამ ასეა:
სიხარული აყოვნებს,
ყოფა სიმწრით სავსეა.
ველოდები სიკეთეს,
როგორც გლეხი მოსავალს,
ბედი სხვა ხვედრს წინ მიდებს,
მისგან ვერსად ვერ წავალ;

დარდი მწარე არ მინდა,
ის კი არის სტუმარი,
წარმატება გაფრინდა,
ჩამიარა მდუმარედ;
ველი ბედის ნათებას,
იქნებ ერთხელ მეღირსოს,
როცა მზე მენატრება,
მაშინ წვიმს ან ძლიერ თოვს;
ცხოვრება რა რიგია,
ასე ხდება რატომ?
დღემდე ვერ გამიგია,
ამის პასუხს ვნატრობ!

* * *

პატარა და დიდი

ვხედავ ეგოისტს, პატარაა,
ვით რიცხვი ერთი,
მის ყოფის ხურჯინს არ ამძიმებს
ტვირთი სიკეთის,
ალტრუისტისა სავსეა არის,
ზურგს რომ ჰკიდია
და ამიტომაც,
ვით სიმრავლე,
იგი დიდია!

* * *

გამკლავება

ჰე, პრობლემები, პრობლემები,
თითქოს მტრებია,

ვით ნავსაყუდელს ხომალდები,
მოგვადგებიან.
ჩვენც მიტომა ვართ, ვით ჯეგირი,
მტკიცე ნაპირის,
დავხვდეთ მამაცად, ვამტვრევინოთ
იმათ თავპირი!
ხომ გვიმწარებენ დღეებს, მაგრამ,
ვიყოთ რკინებად,
დავლეწოთ მაგრად
და მოვიგოთ ეს შერკინება!
სიბრძნეა ჩვენი დიდი ძალა,
რწმენა – მკურნალი,
მომდგარ პრობლემებს შევახვედროთ
ძალა, უნარი!
უპრობლემოდაც კი ცხოვრება
ჰგავს ცარიელ ჭურს,
რა კაცი ხარ, თუ მათთან შებმა
არ ძალგიძს, არ გსურს!

* * *

ყიდვა გამიგია ნივთის –
ამისთვის არის ბაზარი.
ნაყიდი, ვით თოვლის ფიფქი,
სახელი არის და არც არის!

* * *

კმაყოფილება

თუკი მაქვს ფული
ჩემთვის სამყოფი,
სხვისთვისაც ცოტა
რამ გასაყოფი,
აღარ მჭირდება
მილიონები,
გორები დიდი,
ფუჭი ქონების,
ვინ მოიპოვა,
აბა, სიმდიდრით
ბედნიერება,
მაჩვენეთ, მიდით!

* * *

კვლავ დამაცალე!

ბედს ჩემს მადლობა,
ო, რამდენჯერ ამომასუნთქა,
ამ ლაჟვარდ ცისქვეშ
მეწამულ ცას ვუმზირე დიდხანს!
ბევრი სიკეთე, სიხარული
მარგუნა მუქთად,
არ გავურბოდი მეც ამაყი
მის ბევრ რთულ კითხვას.
ვით ხარი უღელს,

ვეწეოდი შრომას და ამაგს,
ლაღ სიცილსა და
ცრემლსაც მე ბევრს
მომასწრო ბედმა,
მხვდებოდა ყველგან
თავსატეხთა ულევი გამა,
არ დამკლებია ავის მაცნე
ძალებთან შებმაც!
ცხოვრების გზები გავიარე
მინდვრით, მთით, ზღვებით,
იქ, ვით კომეტას, ხეტიალი
დამჩემდა ჩვევად,
აღარ დავღლილვარ
უმკაცრესი არც გამოცდებით,
გადარჩენილი კვლავ შევყურებ
მკაცრ გამოწვევას!
მაინც არ მყოფნის სიყვარული
მოდგმის და ქვეყნის,
კეკლუცთა, ნაზთა სიფაქიზით
ფრთხილი ფერება,
კიდევ მეტიო ყოველივე! –
გულის ხმა მესმის,
მაქვს წადილი, რომ
მერგოს ჯილდოდ ბედნიერება!
მახსოვს, ო, ბედო,
რაც მალხინე
და რაც მაწვალე,
ვარ კვლავ სიცოცხლით
მოხიბლული, გაუმაძღარი,

კვლავ დამაცალე, ჩემო ბედო,
კვლავ დამაცალე,
აღარ ჩამიქრო
სიყვარულის დიდი ხანძარი!

* * *

მფრინავი წლები

თითქოს შეისხეს არწივის ფრთები,
ისე გაფრინდნენ ეს ჩემი წლები!
გაელვებაა ეს ცხოვრება – ვითომც წამია,
ჩემი წილი დრო მიდის ისე, ვითომც ქარს მიაქვს!
ჰე, გუშინ იყო თითქოს, ისე მახსოვს ბავშვობა,
რომ ენთო გულში მიამიტი, ალალი გრძნობა,
ოდიშის მთები მე მხიბლავდა ღრუბელთ საბურვლით
და ჭანისწყალი* მათი კალთის ჩამონაწური;
წარსულს მაცნობდა მდუმარი ხმით დიდი ტაძარი,**
ჩემს გულს ეკიდა ჩაუმქრალი ტრფობის ხანძარი...
გზები შემდეგაც რთულზე რთული გამოვიარე,
ვერ ვიშორებდი მძიმე დარდს და მწვავე იარებს.
ო, ჟამი ჩემი კარგიც, ფუჭიც გასულა მართლაც,
დროა თავს ვკითხო მკაცრი ტონით და გრძნობით ახლა:
რა გავაკეთე, ქვეყანაზე ვიცხოვრე რისთვის?
ვიყავი მგზავრი დიდი გემის? რისი ვარ ღირსი?
გამითევია ლურჯი ცისქვეშ ღამე მრავალი,

---

* მდინარე სამეგრელოში. **იგულისხმება წალენჯიხის მაცხოვრის მე-12 საუკუნის ეკლესია.

აბა, რა მიზნით?- მკითხავს მკაცრი შთამომავალი.
რაც შემიქმნია, გეტყვით, სულაც მემსუბუქება,
თავს ვეკითხები: მეკუთვნის კი მისთვის მე ქება?
არ შემხვედროდა ასე ბევრი გზებზე ჯეგირი,
იქნება მაშინ ვყოფილვიყავ მეც ერთი გმირი.
იქნებ დავდებდი უხვად ნაჯაფს და ნამოღვაწარს,
ვამცნობდი მაშინ ყველას ჩემს მე-ს და ჩემსა ღრმა არსს,
მაგრამ გამექცა, გამოისხა არწივის ფრთები,
გაფრინდა ჩუმად და მალულად ეს ჩემი წლები!
ვერც ვიგრძენ ისე გასულა დრო, ვით ელვა, ჩქარა,
მე მინდა მეტი, ჩემთვის ეს დრო სულაც არ კმარა!

* * *

რწმენა

ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია.
რუსთაველი

მჯერა, კეთილი მუდამ იმარჯვებს,
დალეწავს ბოროტთ მომართულ აბჯრებს,
იგი არასდროს არავის ებრძვის,
არ ცდილობს არვინ დაანაცხოს ძირს.
ვეღარ აღზევდა, ვინც არვის ინდობს,
ვინაც მშვიდობას უცხადებს დიდ ომს!
მჯერა კეთილი არის მძლეთა მძლე,
ბოროტ ძალებს ის ყოველთვის დასძლევს.
სიკეთე მუდამ მოგებულია,
ცხოვრება ასე აგებულია!

* * *

ტიტული

თუკი არა გაქვს ტიტული,
ხარ როგორც გამოფიტული,
ზედ არ გიყურებს არავინ,
ტორტმანებს შენი კარავი!
ტიტულოვანთა არმადა
მთად იყოს თუნდა ბარადა,
ყოვლისშემძლეა, დიდია,
ქვეყანა ფეხზე კიდია!

* * *

სირცხვილი ჭამო – ცუდია

,, სირცხვილი ჭამო – ცუდია!“
გვასწავლეს ბრძენთა–მამათა,
უტიფართ დიდი გუნდია
საშიში, ვით მტრის არმადა!
თელეს, ვით ქეჩა, სიწმინდე,
დიდ მორალისტთა აზრები,
ყველა ტიტული იყიდეს,
გახსნეს უზნეო ბაზრები!
არა სწამთ ბრძნული ცნებები –
ცხოვრების ფუძე–კანონი,
მათ მართავს ავი ვნებები,
უყვართ მსჯელობა ჟარგონით;
ნამუსი თოვლივით დნება,
მკრეხელნი რას არ სჩადიან,

მიწაც სირცხვილით წითლდება,
სირცხვილნაჭამთა პარტია
რომ ეტანება დიდებას!

* * *

მე მწამს ქართველი

მე მწამს ქართველი,
როგორც სანთელი,
სახე ნათელი !
არ მწამს ქართველი
მიზან ბნელი,
მკვლელი,
მძარცველი!
მე მწამს ქართველი
სუფთა ხელით,
სუფთა სახელით,
არც ჭკუათხელი,
არაფრის მქმნელი!
მე მწამს ქართველი
საქმე - ნათელი
და აზრ-ნათელი!

* * *

ბევრმა თავად არც უწყის,
კარგი რაა ან ცუდი,
სხვის რჩევებსაც გაურბის,
ნამუსისა ძულს ქუდი –
ამას ყოფა აჩვენებს,
ჭრიან, კერენ არასწორად,

თუმც იგებენ არჩევნებს,
დაგიდევენ არად მორალს,
ცუდსა და კარგ ვერ არჩევენ
მიიჩნევენ იმას ჩმორად,
ვინც ერთგულებს წმინდად ერს!

* * *

სკეპტიკოსი

ბევრი ლაღობს და ნებივრობს,
ბევრი ემდურის მის გამჩენს,
ბედის ნაწყენი სულ ფიქრობს:
რატომ გავუჩნდი დედაჩემს?
ამ წამების და ტანჯვისთვის,
რად მოვევლინე ქვეყანას,
ცხოვრება გვერდზე ჩაივლის,
დამაგდებს ბნელ კარებთანა.
არ გაჩენილნო, ვარ თქვენი
ერთი კეთილი მოშურნე,
აბა, ვინ არის ის ბრძენი,
ასეთი ყოფა რომ სურდეს?

* * *

ავენა

სხვისი ქებისთვის ერთი სიტყვა
არ ემეტება,
ვით ციხის კარი, მაშინ ენა
ჩაეკეტება.
მუდამ მზადაა, რომ თქვას სხვაზე

სათქმელი ძვირი,
არ დაეღლება არასოდეს
ამისთვის პირი.
მაგრამ არ უწყის, მის ნათქვამს რომ
არ ადევს ფასი,
ვინ დაუჯერებს, თუნდ ბეჭედი
დაუსვას ასი!

* * *

საჭიროა აზრი ჩვენი
აწონილი ზუსტად იყოს,
ყოველივე ძველი მწარე
კაცმა უნდა დაივიწყოს.
როგორც დილა თავის დროზე,
მოგვადგება ხვედრი კარზე,
გვმართებს ფიქრი მუდამ მხოლოდ
სიკეთეზე, მომავალზე!

* * *

სიყალბემ დაბინდა ქვეყანა,
ვით ცა ღრუბლებმა.
გაელვებად ჩანს ზოგჯერ მხოლოდ
მკრთალი სიმართლე.
მოგვწყურდა შუქი,
ნატვრად გვექცა ისე ცხოვრება,
როცა მას აზრი ჭეშმარიტი
მზის ნათელსა ფენს!

* * *

ცხოვრება ბრძოლაა

ცხოვრება ბრძოლაა დაუნდობელი,
ცუნამის ქროლაა მოულოდნელის,
მტრების ყოლაა
გვიტევენ მტრები,
ქვების სროლაა,
ბრძოლაში ვკვდებით!

* * *

მოსაწონი

მე მომწონს ზოგის გულუბრყვილობა,
ალალი გრძნობა, მიამიტობა,
ხელგაშლილობა, საღი ზრდილობა,
გულჩვილობა და ბავშვური ნდობა!
ვისაც აქვს სწორი აზრის გაგება,
ყველა ასეთ კაცს უამხანაგდება,
ვისაც ყველა ეს არ გაეგება,
შორსაა მისგან თვით ათი მცნებაც

* * *

შეცვლილი განწყობა

ვფიქრობ: ცხოვრება რა ბედენაა:
ცოტა სიტკბო და ბევრი წყენაა,
ის დღენიადაგ ჭირთა თმენაა,

მხოლოდ ზოგისთვის ლაღი სცენაა.
ან თავადა ვარ ტანჯულ-გვემული,
ჩემი ბედისგან მოძულებული,
ან სხვების ტანჯვით გაოგნებული,
ბოლოს ყველაფრით აღშფოთებული.
მაგრამ შეხედავ ამ ნორჩ თაობას,
მათ ხალისსა და ლაღ მოძრაობას,
ლამაზ სხეულს და ნაკვთების წყობას,
ფაქიზ ფიქრებსა და ნატიფ გრძნობას,
დავეთხოვები აზრებს შემზარავს,
და იმედების ავიგებ კარავს,
ვიწამებ ყოფის აზრს მაშინ მყარად,
წინანდელ ვერდიქტს ვეტყვი თვით - არას!

* * *

უქნარა

გუშინ არ შეგიქმნია რა,
დღესაც არ გინდა აკეთო რამე,
არ გეგმავ კვლავაც არცა რას,
გადის ასე დღე, ილევა ღამე.
აბა, რამ უნდა კაცი გაცოცხლოს,
აბა, რამ უნდა ქვეყნად გახაროს?
ნორჩ ბალახს ზანტი
ძროხაც კარგად ძოვს,
მწყინს, რომ ეკუთვნი
ზარმაცთა სამთავროს!

* * *

ვაკჰანალია

ვხედავ, მრავალი დარდისგან დნება,
მშიერ-მწყურვალი სიმწრისგან ოხრავს,
ზოგს უთვალავი ავლა-დიდება,
რაც არც სჭირდება, უყრია ოხრად.
მე ეს მაკვირვებს და შენც არ გიკვირს,
ეს ქაოსი და სამართლის კრახი,
რაც კაცთა მოდგმას სჭირდა
და დღეს სჭირს,
და თავს რომ მშვიდად გრძნობს
ის ამ სახით?

* * *

შოპოჰოლიკებს

ნუ გელანდებათ ნივთები,
წინ აღმართული, ვით მთები,
ნუ ჩავარდებით იმ დღეში,
რომ ჩაიძიროთ ნივთებში,
როგორც ბუზები დიდ დოში,
როგორც ლოთები ღვინოში!
ნუ გაქვთ მიზნად და ოცნებად
ნივთნი დაყრილი ბორცვებად!
ნუ გელანდებათ ნივთები,
თორემ ქვეშ გაიჭყლიტებით;
ნუღარ გასცდებით იმ ზღვარს,

ადამიანს რომ აცლის არსს,
რომ სხვა არ გწამდეთ არა რა,
დარჩეთ ნივთების ამარა!
რას გარგებთ მილიარდები,
რა ძალა მოგცათ, რა ფრთები,
რა სიხარული გარგუნათ,
გახდით თვით ნივთთა მსახურად;
ვერ გაიხარეთ ქონებით,
გახდით თვით ნივთთა მონები!
ესწრაფეთ სხვა იდეალებს,
რაც ხიბლავს გულსა და თვალებს,
რაც მოაქვს რწმენას, სიყვარულს,
განიჭებთ ნამდვილ სიხარულს!
ერიდეთ ფულში ჩახრჩობას,
მერკანტილობას, ჩარჩობას,
რომ არ მოისპოთ მთლიანად,
არ გცნონ ნივთ-ადამიანად!
ნუ გელანდებათ ნივთები,
გარშემორტყმული ვით მთები!
ნუ ჩავარდებით იმ დღეში,
რომ ჩაიძიროთ ნივთებში

* * *

წყალტუბო

ნიავი გირწევს პალმას,
მსურს მკვიდრად შეგეყარო,
მარადი ტრფობის წამლად

გაქვს სილამაზის წყარო!
მკერდს გაფენია უხვად
იასამნების წყება;
აქ შადრევნები ქუხან
შორს მიაქვთ შენი ქება!
ვარ შენი ეშხით მთვრალი
და გული ფეთქავს ლაღად,
სცემს უკვდავების წყალი
სიცოცხლის ულევ ტალღად!
მოგეფერება ქარი,
როცა მოაღწევს მწუხრი;
ვხედავ ნარგიზიც წყნარი,
სიცოცხლეს თავს რომ უხრის!

* * *

კინისკური *

შენ პირს ასველებ ამ მიწის,
ნაპირებს მწვანით მოსავ,
ვით ჩემი გული განიცდი,
აქ გაზაფხულის მოსვლას.
რომ დაქანდები ფერდობზე,
ახმაურდები ჩქერით,
ართობ შენი ხმით მეზობლებს,
ტკბილ ჰანგებს როცა მღერი!

* ჩემი სოფლის პატარა მდინარე.

* * *

იდუმალი ისტორია

სიმართლის მოლზე ავიდგი ფეხი
და მოვდიოდი ჩახლართული გზით,
მერგო ქვეყანა მუშის და გლეხის,
და ირგვლივ იყო სოციალიზმი.
ბევრმა იწამა, სხვამ ვერ გაიგო
უცნობი წყობა, ერა ახალი,
კომუნარების მრწამსზე აიგო
ცხოვრების წესი და სამართალი.
სისხლით ნაპკური მიწა ჯეჯილად,
ხორცით ნაკვები ეპოქა ძნელი
მივიღეთ ჩვენთვის განკუთვნილ წილად...
დრო მიდიოდა წინ უძლეველი.
ბევრი ზმანება და ბევრი რწმენა
დარჩა ვით წინათ, კვლავ აუხსნელი.

* * *

გზის მანათობლები

მომღიმარო დღეო,
მზით ნაქარგო არევ,
ნაჩუქარი სხივებით
ავსებულო მთვარევ,
შუქო ვარსკვლავთ ცისა,
მოციმციმევ წყნარო,
შუქურაო ზღვასთან

ნაპირზე მზედ მდგარო,
მოკაშკაშე ლამფავ,
მორცხვად სხივთ ფენ კედლებს,
შუქნო გიშრის თვალთა,
თქვენ ანათებს ჩემს გზებს.

* * *

ეს პატარები

ვის აღარ უყვარს ეს პატარები –
ჩემი, შენი თუ სულაც სხვა უცხო,
ღვიძლი შვილივით გულს მიხარებენ,
ჩემი სიცოცხლეც მზად ვარ მათ ვუძღვნა!
დღეს მთვარესავით ნელ–ნელ ვილევი,
მომავლის რწმენად შვილებს რომ ვზრდიდე,
ჩემი შვილები, სხვისი შვილები
მსურს მე მჯობნიდნენ, შენცა გჯობნიდნენ.
გვჯობნიდნენ გულის სითბოთი, საქმით,
კაცურკაცობის გაგებით ათკეც,
რომ გამიჭირდეს, მაინც არაფრით,
რაც კი ჩვენ გვარცხვენს, მათ არ გადავცემ!
ვისიც არ იყოთ ეს პატარები,
ჩემნი ხართ, ლოყა რომ გიგავთ ხენდროს!
იყოთ დღეგრძელნი, ყველა ხარობდეთ,
კაცობრიობის დიდო იმედნო!

* * *

სიკეთე

აკეთე მუდამ სიკეთე,
ნუ ელოდები მადლობას,
აენთე წინათ ვით ენთე –
ამას მოითხოვს კაცობა!
სიკეთე არსთა სულია,
სიცოცხლის ძალით იფეთქებს,
სიკეთის გზები რთულია,
მაინც დიდია სიკეთე!
არ იკარგება არასდროს,
ათასჯერაა ნაპოვნი
ამას ლოგიკა გვკარნახობს –
მარადისობის კანონის!

* * *

გულგატეხილობა

გაფაციცებით დავეძებ დღესაც
კაცურ–კაცს, მხვდება გონჯი და ქლესა.
იმიტომაც ვარ კვლავ ნაღვლიანი
ცოტა რომ ვნახე ადამიანი!
გროვდება ბოღმა, ვით ლავის მასა,
ხალხის ვარამის საზღვარი – არსად,
არ ჩანს იმედიც, დიდია წყენა,
ტანჯულთა ტანჯვა და ჭირთა თმენა!
კვლავაც ბობოქრობს, როგორც აფთარი,
უსამართლობის გზაზე დამდგარი

მომმე, რომელიც მისას არ იშლის,
ხარობს კვლავ სხვისი ვაით და ვიში

* * *

ლოდინის ფასი

სანამ პეტრე მოვიდოდა,
პავლეს ტყავი გააძრესო.
ანდაზა

ერთ დროს უთუოდ
ხომ გაირკვევა,
რა არის რა და რას კი
რა ჰქვია.
ირწმუნეთ, რომ დრო
შეიცვლის ქცევას,
ჩვენს წილად ვნახავთ დღეს
თბილს და მზიანს,
ცუდია ის, რომ
ძალიან გვიან!

* * *

მწარე სიმართლე

მე მივაგენი სიმართლეს მწარეს,
რომ ბევრი უთხრის მის თავს სამარეს.
და ეს ბევრი კი მართლაც ბევრია,
ვინაც თავისი თავის მტერია.

* * *

საიდუმლოება

დაიბადა, მითხრას ვინმემ
კაცის რისთვის?
ვინ ცრემლისთვის და ვინ კიდევ
სიმღერისთვის,
ვინ ტკბობისთვის, განცხრომისთვის,
უქმობისთვის,
ვინ შრომისთვის, გარჯისათვის,
ოფლის ღვრისთვის,
ვინ ტანჯვისთვის, წამებისთვის?
გვჯობნის ბედით
თითქოს ჩიტიც .
მაინც რატომ ?
– ვერვინ იტყვის!

* * *

კარგი ადამიანები

მე ვხარობ იმით, გვერდით რომ გვყვანან
გულიანები, მადლიანები,
იმედის ნათელ სხივებად ჩანან
ჩვენს გვერდზე კარგი ადამიანები!
ცხოვრების სკოლამ არ განვლო ფუჭად
და მაინც ვხვდები დაგვიანებით,

რომ ქვეყნის ძალად, ცხოვრების ბურჯად
გვიდგანან კარგი ადამიანები!
ცხოვრება სულ გვცდის, ისე ვით ბოცვერს,
პრობლემები გვდევს კვლავ გაქანებით,
იმედის ძალა მაინც გვაცოცხლებს,
რომ გვყვანან კარგი ადამიანები!

* * *

გარეწარი

დაჰყვა ურჩხულის
სახე და ტანი,
გული აფთრის და
სული სატანის.
ის ცვლის
ცხოვრებას,
აქრობს სიკეთეს.
არის კაცუნა, თუნდ
იყოს მეფეც,
საზარელია,
ვითარცა მხეცი,
ის გარეწარი.
მაგრამ ორმაგად
გულსა მტკენს მაგრად
ჩვენი თუ არის!

* * *

თუთიყუშები

კაცობრიობის უმრავლესობა
თუთიყუშებს წარმოადგენს.
ჰენრი ბოკო

ზის ლაღად ტოტზე და ჩვენ დაგვცინის,
ჩვენი სიტყვები მოსწონს ძალიან,
იმეორებს და არ წვალობს ტვინი,
მას სააზროვნოდ არა სცალია.
აქვს ერთი ნაღდი დამსახურება:
ჩვენებურს ბევრსაც მის წესს ასწავლის:
მიმბაძველობით საქმეც კეთდება,
თუ იმეორე ტყუილ-მართალი.
რომ ჩეკენ წიგნებს სხვისი აზრების
მოდენითა და გადამღერებით,
ორატორობენ სხვისი სიტყვების
გამეორებით და აჟღერებით...
ჩიტი იმათი მასწავლებელი
არის ჭკვიანი და მომხიბლველი,
ზის მყარად ტოტზე და იღიმება
ხიბლავს შეგირდთა ნიჭიერება!

* * *

აზრი თუ ტაში ?

ბანალურ აზრთა გენერატორი
და დიდოსტატი

დგას ორატორი,
ვით ქარისაგან აბურძგნილ ზღვაში,
ისმის მისი ხმა
და მძაფრი ტაში.
და შორი ახლო კანონს ცხოვრების
და სამყაროსი
წვეროსანი და სიტყვა ძვირი
ყვება პათოსით.
სიმრავლე ხალხის, ტკაცატკუცი
ტაშის არ არის.
ჭეშმარიტების მძლავრი ძალის
ჩქეფს ნიაღვარი.
გაივლის ხანი, ბანალური
სიტყვები ქრება,
ვით ქუხილის ხმა, წვიმის შემდეგ
გაიფანტება.
რჩება კი განძი სამუდამოდ
ჭეშმარიტების

არად ღირს ტაში, მთავარია
აზრი სიტყვების!

* * *

ინფარქტი სულის

სკდება, ვით მილი,
ძარღვი ტვინის და ძარღვი გულის,
ო, შემზარავად თავს ატყდება
სხეულს ეს ფაქტი.
სიცოცხლის გზები ხდება

უცებ კარ ჩარაზული,
გულის ინფარქტით,
ტვინის ინფარქტით!
მაგრამ საშინელს საშინელზე
რაღა გამოლევს,
ერთ ჭირს ამ ქვეყნად
მეორე და მესამე მოსდევს,
თითქოსდა ქრება მოელვარე
სინათლის ჭაღი,
ბევრს სულ მთლიანად რომ უწყდება
სქელ შუბლზე ძარღვი.
ქრება ზნეობა, ვით ქიმერა,
არაა ტაქტი,
როდესაც უცებ
გაიხლიჩა სული ინფარქტით.
გზები იხსნება ავზნის და ბიწის,
მოკვდა მორალი, შორსა და ახლოს,
სიკეთე იწვის;
და აღრენილი დაბარბაცებს მასა უსახო,
ყველას ყოვლისა უფლება აქვს
სიგრძით და განით;
სიშიშვლე უკვე მოდაშია
აზრის და ტანის;
სიცრუე მტკნარი – ქარტიაა ,
ძალა აქვს ცინიზმს,
და არქაული გაქრა სადღაც
არე ინტიმის;
საჯარო სექსი - ბევრს ეს ხიბლავს
ახალი წესით!
აწეულია სხვაზე მაღლა იმიჯი ქურდის,
სულაც ჩირად ღირს
ახლა უკვე ნამუსის ქუდი;

ვხედავ ისპობა ძე ადამის,
როგორც არსება,
აღარ დარჩება მისგან უკვე
არც ნატამალი,
რადგან ნაკლებად იკურნება
სული საწყალი,
სული ცოდვილი, გახლეჩილი,
ნაინფარქტალი!

* * *

სიხარბისაგან

ეს სულ ასეა, სამწუხაროდ და სავალალოდ,
ყველა არაა გამჭრიახი, ბრძენი, ჭკვიანი.
სიხარბისაგან, ვით სენისგან, სულ უმოწყალოდ
დედამიწაზე კვდება ბევრი ადამიანი!
არ ყოფნით, რაც აქვთ - ფული თუ მიწა,
მადა იზრდება, ვით თოვლის ზვავი,
სიხარბისაგან მიმბაძველი თავს ვეღარ იცავს
და მის მახეში გაებმება ის საცოდავი.
ჰქონდეს თუნდ განძი, სასახლე და იყოს მფლობელი
მთელ კონტინენტზე უამრავი კომპანიების,
ვეღარ ეტევა პლანეტაზე ზნით დამპყრობელი,
დნება კოსმოსში საოცნებო სივრცის ძიებით.
ეს სულ ასეა, სამწუხაროდ და სავალალოდ,
ბევრი არაა ქვეყანაზე ბრძენი, ჭკვიანი.
სიხარბისაგან, კარგად ვიცი, სულაც უბრალოდ
თავსაც რომ კარგავს ბევრზე ბევრი ადამიანი!

* * *

სასწაულები

სასწაულები მაოცებს,
ვუცქერ ბავშვური შიშით,
სასწაულია, რომ რაღაც
არც მინახავს და ვიცი.
სასწაულების სამყარო
კიდეც რომ მიმზიდველია,
ხშირად ჩქეფს ნატვრის ცხრა წყაროდ,
ბევრის მაცნე და მთქმელია!
მეც ერთ სასწაულს ვინატრებ,
აი, სულ სხვაგვარს, სასურველს,
რომ რაღაც ძალამ, სიმაგრემ,
ვით ზარმა, დაჰკრას და უცებ
ყოველგან კაცებშიც, ქალებშიც
მოისპოს მწარე ცდუნება,
გაქრეს შავ–ბნელი ზრახვები,
ავი წადილი და ნება;
რომ, ვით სენისგან, დაიცვან
ცდომილებათგან მათ თავი.
ჭეშმარიტების და სიბრძნის,
ხარობდეს დიდი თავთავი!
ვნატრობ, რომ ყველამ გაიგოს
სიმართლის ძალა და მადლი.
მაშინ რამდენი ბურუსი,
უკუღმა კერვა სამართლის
გაქრება როგორც ღრუბელი,
გვეწვევა ტკბილი ცხოვრება,
რასაც, იმედით სულ ველით –

გასაჭირთ გადაგორება.
სიყვარული და სილაღე
დაათბობს, ვით მზე, ამ ყოფას;
ნაირ–ნაირი სიკეთე
გვექნება ყველას სამყოფად;
მე სასწაული მწამს კიდეც,
ველი ავიხდენ ამ სურვილს –
მოვესწრო ჭეშმარიტების
ზეიმს, დამხობას სიცრუის!

* * *

შემთხვევითობა

მე მოვევლინე ერთ დღეს ქვეყანას,
რაც სულ არ იყო გარდუვალობა;
შემთხვევით შემხვდა მე მღვრიე ხანა
და გავაგრძელე შთამომავლობა.
შემთხვევით ხიფათს ბევრს გადავურჩი,
გადავაბიჯე დროის ბევრ ჯებირს,
კვლავ ვარ ცოცხალი მე ბედის ურჩი,
დავდივარ ისევ ხვეული გზებით!
შემთხვევამ ზოგჯერ ჯილდო მარგუნა
სიხარულად და ცხოვრების დვრიტად,,
ზოგჯერ კი წელში მწარედ გამღუნა,
კვლავ ბედის კარგი სტუმრობა მინდა...
ისევ აქა ვართ, ვისაც გვიმართლებს,
არის მრავალი ალბათობები,
ბევრი მოშორდა ამ სივრცეს ნათელს

ჩვენი ტოლი და სხვა თაობებიც.
ირგვლივ ნათდება, განთიადია,
შემთხვევითობის ვართ საუფლოში,
შემთხვევითობა რა დიადია,
როცა ვიმარჯვებთ მომხდურთან ომში!
შემთხვევით ვსტუმრობ მე ამ ქვეყანას,
ეს სულ არ იყო გარდუვალობა,
რომ გადაურჩი მშფოთვარე ხანას,
შემთხვევითობას დიდი მადლობა!

* * *

მკაცრი ცხოვრება

მკაცრია ჩვენი ცხოვრება,
ვით მხეცი, დაუნდობელი,
პრობლემებს გვიწყობს გორებად,
წინ კარგს სულ ცოტას მოველით!
ის მისი ნებით გვატარებს,
ხან სად დაგვაგდებს, ხან სადა,
მუქთად მოგვაყრის სიმწარეს,
საამოს ოქროს ფასადა!
თუ ხარ მესაჭე ამ ქვეყნის,
ან მხოლოდ თავი გეკუთვნის,
ბოლო ერთია, ყველას გზის
თავად მეფის თუ მეგუთნის!
აქაც ბედს ყველა ვმორჩილებთ,
ვართ მტკიცე ძალის მონები,
ვერ გავექცევით ვერავინ,

ცდუნების გვძლევს დემონები.
მკაცრია ცხოვრება ჩვენი,
საიდუმლოც აქვს მას ბევრი,
ამ ქვეყნად ცოცხლად დარჩენილთ
მოყვარეცა გვყავს და მტერიც!

* * *

მწვავე პროტესტი

ქურდობა არის პროტესტი
არსებული წყობის წინააღმდეგ .
ფ. ენგელსი

რამდენი ქურდობს სიმდიდრის მდომი,
აფრასავით შლის ფრთებს აქ მაფია,
თარეშობს ლაღად განგსტერთა ტომი,
ძარცვა და კაც კვლა მათთვის სარფია.
ფულის უხვ წყაროს ქმნის კორუფცია,
ყოველ ნაბიჯზე აწყდები ექსცესს,
თუმც ხელისუფალს თითქოს უცდია,
დღემდე ვერ ხურავს მათ ბუნაგს ვერც ერთს.
ეს ხელმრუდობა მთა–ბარს მოედო,
გამხდარა სენი მეტასტაზური,
ფული, კერპია, პათოსი, კრედო,
გზა მიღებისა – რაც კლავს ამ წყურვილს.
ბატალიები აქ–იქ ფაქტებთან
ჰგავს რომ ესროლო მთვარეს რაკეტა.
ნიადაგი თუ ნოყიერი აქვს,
კრიმინალის გზას ვეღარ ჩაკეტავ.
ბობოქრობს კვლავაც რბევა და ძარცვა,

სუფთა ნამუსის ქელვა, წაბილწვა,
დეპარტამენტი ქმნის კანონთ დასტას,
მინისტრი ვითომ ეძებს შვების გზას,
მაგრამ რ ხდება ? ბოროტმოქმედად,
გზას აცდენილად კვლავაც ხდებიან,
ეს ხვედრი ერგო მრავალს თვით ბედად,
ეს გზა ცხოვრების ნაბოძებია!
ვერ ტოვებს ამ გზას, ვით გლეხი გუთანს,
კლავ პატივშია ქურდული ჟესტი,
დროების მიმართ ესაა სუფთა
სოციალური მწვავე პროტესტი!

* * *

წელში ვერ გამართულები

ვერ ვხედავ ბევრსა აქ
წელში გამართულებს,
დრო მიდის, მათ ყოფას
სულ უფრო ართულებს,
მძიმეა ცხოვრების
ეს მათი ტვირთი.
ივსება დღეები
დარდების ზვირთით!
გამქრალა იმედის
მბჟუტავი სანთელიც,
დრო უგებს სულ ახალ
ჭირ-ვარამთ სართულებს,
უმზერენ ოცნებებს,
ვით, ჩოხას გათელილს,

წიხლავს ეს ხვედრი წელში
ვერ გამართულებს!
ჭინკა ზის მათ გზაზე,
რომ იგი დახლართოს,
მაშფოთებს, რომ ვხედავ
ტანჯვაში ჩაფლულებს.
ეს ერგო ბევრს ალალს,
ამ ქვეყნად გაჩენილს,
ვერ მიჰყვნენ თამამად
გზებს ჩახლართულებს,.
ო, ტანჯვა ამდენი,
რად ხვდა ნეტავი
მათ, ბედ აჩეჩილთ,
წელში ვერ გამართულებს?!
ჰე , უსამართლო დროვ,
მათ რას ერჩი,
მათ ხვედრს რად ართულებ?

* * *

ხელოვნურობა

მეტის მეტად ხელოვნური
გახდი, ცხოვრებავ ჩვენო!
ღვინო რომ ვერ კლავს წყურვილს,
სუფრა რით დავამშვენოთ?
ხელოვნურმა საკვებმა,
აბა, როგორ დაგვატკბოს?
რომ ხორცსა ცვლის აბები,

ვინ დაგვიკლავს აწი ხბოს?
ხელოვნური სამოსი,
აბა, როგორ მოგწონთ ეს?
სუროგატი ნამუსის –
თვით ცხოვრება გვიდგენს წესს.
ხელოვნური ღიმილი,
ხელოვნური სუნთქვა,
ხელოვნური ყვავილი
ახლოსაა გულთან?
ხელოვნური რითმი,
ხელოვნური დრამა,
ხელოვნური მითი
გვირევს გზას და გვშხამავს!
მოგონილი იმედი,
დაბერილი კუნთები,
გამოცვლილი გულმკერდი...
ვიგუეთ და მით ვტკბებით!
ასე მოვწყდით ფუძეს და
სულ სხვა ვინმე გავხდებით,
თუ ეს კიდევ გაგრძელდა,
ძირიან განვახლდებით!

* * *

ნებისყოფა

აბა, რად უნდა მიყვარდეს ფული,
რადგან მჭირდება როგორც ჰაერი?
მეტად მძიმეა მისი წარსული,

სისხლით ნაჟღენთი, ტვინის ამრევი.
ძმას წაკიდებდა ძმას მოსაკლავად
და მეზობელსაც - ალალს და კეთილს,
სულ ამუნჯებდა სიმართლეს თავად
და აღადგენდა ავზნიანს მკვდრეთით;
დაუნდობელი იყო ის მუდამ,
დააჯახებდა ხალხებსაც ერთურთს,
სიმართლისა გზა აროდეს სურდა,
იმპერიებსაც ხდიდა უბედურს!
ადამიანებს დაადგამს უღელს,
არაფრად აგდებს ნამდვილ ღირსებას,
არც მწარე ტკივილს, გოდებას, წუხილს,
თუ მისით ჯიბე უხვად ივსება!
როცა ცოტა გვაქვს, აღარ გვასვენებს,
როცა ბევრი გვაქვს, გვიკარგავს ტკბილ ძილს.
თუ შეგვიყვარდა, შეგვიცვლის გენებს,
სულ დაგვავიწყებს დედ-მამას და შვილს!
აბა, რად უნდა მიყვარდეს ფული,
ფულში რა ყრია, რა გახარება?
უნდა ავმაღლდეთ აზრით და სულით,
არასდროს ფულის არ ავყვეთ ნებას!

* * *

კერძოობა

ირგვლივ კერძოა ყველაფერი -
ყანა და ველი,
ჰამბურგერივით ჰაერიც კი
გვაქვს საყიდელი;

დღეს ოცნებაც კი მუქთ დოვლათზე
სულაც უქმია-
საქონელია ბუნებასაც
რაც შეუქმნია!
ვინ მიგაკარებს თუნდაც წყაროს
მთიდან მონადენს,
თუ კი არ დადებ, რაც ფასი აქვს,
ზუსტადვე იმდენს.
ბობოქრობს ირგვლივ ულმობელი
ბაზრის სტიქია
და კერძოობა ფარავს სივრცეს
თითქოს ფიფქია!
მესაკუთრენი ჩაძირულან,
ვით ბუზი დოში,
ერთმანეთს შორის უსასრულო
ქიშპსა და ომში!
ომი ყველასთან და ყველასი
წესია ძველი...
აქ არის ყველა ან მყიდველი
ან გამყიდველი:
ვინ ყიდის ქერს და ვინ – თვითმფრინავს,
გემს ან ქარხანას,
ვინ სხეულს და აზრს, სილამაზეს.
ვინ კიდევ ყანას...
კერძოობა შლის ჩვენს ძველ ადათს,
კიდევ ერთობას,
ჩამძვრალა ყველა თავის ქერქში,
არ არის ნდობა!
ვინაც იმარჯვა, მათ ხელშია
მთები, ველები,
ჩვენ კი მარადის ცარიელით
დავრჩით ხელებით!
გაწუწნულები ვართ საწყლები
კამფეტებივით,

გაჭყლეტილები საწნახელში
მზა მტევნებივით.
მე გამიგია კერძო ძროხა
ან კერძო სახლი,
მაგრამ ქვეყანა განკერძოვდეს,
ისე ვით დახლი?

* * *

სიხარბის სენი

ოცნებობს ხარბი ოქროს გორებზე,
ცათამბჯენებზე, ნივთთა მორევზე,
თაფლის ნაპირზე, რძის მდინარეზე,
მის საკუთრებად ქცეულ მთვარეზე;
უარს არ იტყვის მთელ კონტინენტზეც,
სულაც შავ ზღვაზე, თოვლიან მთებზე;
არც პლანეტებზე, არც ვარსკვლავებზე
და ყველა ქვეყნის ლამაზმანებზე;
სურს მისი იყოს ეს ბრდღვიალა მზე
და მბრძანებლობდეს მიწაზე, ცაზე...
ამ სურვილების აზრი რა არის?
ეს კითხვა არის მაინც მთავარი!
პასუხი არ აქვს, მხოლოდ სურვილი,
გაუგებარი დასდევს, ვით ჩრდილი,
და თანამგზავრი უჩინმაჩინით,
რომ სტუმრობს მრავალს
გულხარბს გაჩენით!

* * *

რა მჭირდება

მე კაპიტალი სულ არ მჭირდება,
მე მინდა იგი, რა სწამდა პლატონს,
ჰქონდათ სოკრატეს
და დიდ რუსთაველს -
იდეა-შუქი, წმინდა ღირსება,
გონება ფართო, რომ წვდება მთა-ველს!
მე მსურს თვისება ადამის ძეთა,
კაენთა არა, აბელის რჯულის.
სიყვარული მსურს მქონდეს მოძმეთა,
სიკეთე - ბრძოლის იარაღ-დენთად!
და მაშინ მხოლოდ, მაშინ ნამდვილად,
ჩავთვლიდი ჩემს თავს
კაცთ მოდგმის შვილად!

* * *

თავდაჯერებული

ის დღენიადაგ მისას უბერავს,
როგორც თავად სურს, ჭრისა და კერავს.
ჰგონია ჭკუა აქვს საკმარისი,
აზრი არ უნდა სულ არავისი.
ამბიცია სძლევს პატივმოყვარეს,
თუმც თვისებებით არის ყვარყვარე.
მის გვერდით ბევრი მართლაც ბრძენია,
ის კი პატივს სცემს თავის ,,გენიას.“.
თავდაჯერებით მისას უბერავს,

სწამს ისტორიას, ის ჭრის და კერავს.
ცხოვრება სხვაა, სხვა წესს ამზადებს,
ადგილს უჩენს გმირს თუ არამზადებს.

* * *

გულცივობა

დღეს შევხვდი მრავალ კაცსა და ქალს,
ზოგან სიჩუმით, ზოგან ხმაურით.
მე სულ ის განცდა მთრგუნავს და მკლავს,
სითბო არ დამხვდა ადამიანური.
სუსხი მცემს, სახეს თუთქავს ულმობლად,
ზოგი რომ მხვდება ცივად, ძაღლურად,
რომ დაუკარგავს სითბო და ნდობა,
ცხოვრების იმედს ეს დამიწურავს.
დღეს შევხვდი მრავალ კაცსა და ქალს,
ვარ გატეხილი წელში, ვით სურა,
ეს მძიმე განცდა მახრჩობს და მკლავს,
რომ ცოტა მხვდება თბილად და ძმურად!

* * *

განცდა

ჩემს ირგვლივ როცა ბევრს უჭირს, სცივა,
მრავალი არის უნარ ნაკლული,
უბედურება მათი მეც ტკივა,
მგონია მეც ვარ ბედით ჩაგრული.
როცა ამდენი მშიერ-მწყურვალი

არის ნატანჯი და დაზაფრული,
ჩემზედაც ბედი მგონია მწყრალი,
სევდის მორევში ვარ მთლად ჩაფლული.
მაჯავრებს კიდევ ბევრის განცხრომა,
უდარდელობა ჯერ არ ნახული,
მათ გულგრილობას რომ არ აქვს ზომა,
თითქოს მათ მკერდში ძგერს რკინის გული!

* * *

კარგი მაინც ბევრია

ღიმილის შუქი
უჩანს თვალზე ავს,
სხვას რადგან ავნო
და მოერია;
იხარებს, ვინმეს
თუ დაამარცხებს,
ჭკვიანია თუ
მართლა შტერია?
თუ სხვა წაიქცა,
თუ სხვა დაეცა,
ზეიმობს მაშინ,
ბედნიერია,
სიხარულითაც
ეწევა ზეცას,
ჭკვიანია თუ
მართლა შტერია?..
და მაინც ვით მზე,
ბრწყინავს სიკეთე,

ბოროტი ზრახვა
ვერ მოერია!
სიავე დიდხანს
ვეღარ იმეფებს,
რადგან ამ ქვეყნად
კარგი ბევრია!

* * *

შეგნების ბზარი

ადათს, წესს და რიგს, რომ არად აგდებს
ამ ქვეყანაზე უმეტესობა,
არასწორ ქცევას რომ ვხედავ ამდენს,
ეს ისარივით გულზე მესობა.
,,წესი და რიგი - ეს ქიმერაა ,
უმაღლესია სწრაფვა, სურვილი“–
სინდის-ნამუსი მრავალჯერაა
ამგვარი აზრით გადათელილი.
მხედავ ნაღდსა და ფაქიზ ზრდილობას
სადღაც მიგდებულს, ვით ძველ ფარაჯას,
გაცვეთილია სირცხვილის გრძნობა,
სიწმინდის სხივი აქა-იქა ჩანს.
დავემშვიდობეთ განძთ წმინდას, რჩეულს?
დროა ჩამოვკრათ განგაშის ზარი,!
ცხოვრება დღეს გვავს ცივ წყალს ამღვრეულს,
რადგან შეგნებას გაუჩნდა ბზარი!

* * *

მიზანი

უთქვამს აზრმაღალს
ძველსა თუ ახალს:
გამხმარი ნერგი
განა ნერგია?
თანამდებობის,
ნუ გიკვირთ, მართლაც,
მაქვს ალერგია!
იდეალად მაქვს
სახელი სუფთა,
არასდროს გავდგე
ამ სწორი გზიდან;
მე მინდა მხოლოდ
სილაღით სუნთქვა,
მე მხოლოდ კარგი
სახელი მინდა!
ვნატრობ: მეღირსოს,
რომ ვიდგე მაღლა,
არ ვიყო სხვისგან
ჩამორჩენილი,
ვფლობდე ღირსებებს
ფასეულს ნაღდად
და იმით ვიყო
გამოჩენილი!

* * *

ობიექტურობა

არც ვიცით კარგად,
თუ რა დავკარგეთ,
გამოვეთხოვეთ რა საუნჯეს,
რომ ვეყმეთ კუჭებს!
როცა არ გვესმის,
რომ სიმართლე
არის სინათლე
თვალის და ერის,
ქვეყნის და კერის!
სიმართლის მძებნელს
სჭირდებაო, თქვეს მარდი ცხენი,
თუკი ასეა, ვაი, საქმე
და ბრალი ჩვენი!
არ უჭირს ძალა ვის უპყრია
თქვას სიტყვა მტკიცედ:
,, ამ დედამიწას, როგორცა მსურს,
ვაბრუნებ ისე!“
მაგრამ არა ის, თუ ვინ რა თქვა,
არის მთავარი,
საქმე ისაა, თუ ვისი თქმა
მართლის თქმა არის!
ხელთ მაქვს და ვუფრთხი
დიოგენეს სანთელს, მის ქრობას;
დავალ, დავეძებ მართალ აზრს
და ობიექტურობას!
ლოგიკოსებს კი გული უწუხთ
დოდაშვილს, ჰეგელს:

ეს რა ხდებაო,
ღრმა აზრებს რომ
ვეღარ იგებენ?
გაწაფულია დღეს კი ტვინი
სოფისტის მარჯვე,
ორჯერ ორს ხუთად
და თეთრს შავად
იოლად აჩენს!
დემოკრიტე კი სიცილისგან
გაიფხრიწება:
,,ჰეი, რასა იქმთ, ხალხო,
კარგავთ ნამდვილ ღირსებას;
ჭეშმარიტება თქვენთან
გვერდით თუ არ იქნება!
უშვებთ ხელიდან,
რაზეც მუდამ
უნდა იფიქროთ
და რაც გჭირდებათ,
რომ მოლუსკივით არ გაითქვიფოთ!
გჭირდებათ ყველას
საღი აზრი, ვით სუთა წყალი,
რომ არ დაგევსოთ სიყალბისგან
ორივე თვალი,
რომ თავნებობის გაარჩიოთ
ნათლად   სამანი,
არ მოგეჩვენოთ სხვისი ჭირი
თქვენთვის სავანედ!“
ასე ცხოვრების გზები ყველას
ხომ აგვერევა,

,,შავ ყუთში “ შესვლად
გაგვიხდება ასეთი ქცევა;
დავკარგავთ ლამპარს,
ბნელ ლაბირინთს რომ
გაგვინათებს,
ველარ გავუგებთ ერთმანეთს და
ბოლოს თავსაც ჩვენს!
დავემსგავსებით ბაბილონის
გოდოლ მშენებლებს,
თავს ვერ დავაღწევთ
დაქცევას და გადაშენებას!
შევხედოთ საღად,
თუ რა დავკარგეთ,
ვესწრაფოთ ძალას
ყოველ წუთსა და ყოველსა დღეს,
ობიექტურობას
რაც მოუხმობს
და რაც აღადგენს!

* * *

მიმნდობი

ზეიმი მაქვს, როცა ვხედავ
კაცთ ღირსებით შემკობილთ,
ვარ ალალი, გულუბრყვილო:
სიტყვას ნათქვამს ვენდობი.
არ მწამს სურვილს ვინც ისრულებს
საიდუმლო სერობით,

ვარ ასეთი უბოროტო,
არ გეგონოთ შტერობით!
მე ვარ რწმენით, მე ვარ გენით.
მე ვარ ჯიშით მიმნდობი;
ღრმა აზრითა და ნატურით,
სიყვარულით და ნდომით.
ვარ ასეთი მთელი არსით,
არა შიშით და თმენით,
ვარ ასეთი მტკიცე ნებით,
სიკეთითა და რწმენით!
ვარ ასეთი სულით, ხორცით
და არა პირფერობით,
ვარ მიმნდობი სათნოებით,
არ გეგონოთ შტერობით!

* * *

თავხედი მიდის წინ
უღირსი კიდევ - მაღლა.
ალალი რჩება ძირს,
ასეთი დროა ახლა!

* * *

ასე რად არის?

ასე რად არის სულ უბრალოდ
ბევრი დასჯილი,
დაბადებული უფეხებოდ

ადამის შვილი?
ვინ არის იგი,
თავად ეს რომ დაემსახუროს,
რომ გაჩნდა ქვეყნად
უენოდ და სულაც უყუროდ?
საწყალი არის და უბედო
ბევრი ეული,
ყოვლად უმწეო,
უსუსური, გლახა, წყეული!
დატანჯულია, უცოდველი,
გაუხარელი,
არაფრის გამო ერგო ბედი
მძიმე და ძნელი!
აბა, სად არის სამართალი,
რომ უბრალოდ არის დასჯილი
დაბადებული წამებისთვის
ადამის შვილი!

* * *

პესიმიზმი

ეჰ, არაფერი აღარ არის
თავის ადგილზე,
აღარ აცხუნებს ძალუმადაც
დღეს კაშკაშა მზე!
აქ ბურუსია და სუსხია
შოკის მომგვრელი,
ასეთ დროს, აბა, სიკეთეს მე
საიდან ველი?

ის, რაც კარგია ,
თითქოს სადღაც
გადამალულა,
ავი და მწყრალი გაჯგიმულა
ამაყად, სულაც!
რომ არაფერი აღარ არის
თავის ადგილზე,
აბა, ეს ნეტავ, რაღას გვამცნობს
ან   რას ამტკიცებს?

* * *

ნიკალას სიმდიდრე

ღარიბი იყო დიდი ნიკალა,
სწორი გაგებით?
მის შედევრებს თუ შეედრება
მილიარდები?
მერე რა, თუ მას უცხოვრია
სადღაც მიწურში,
გენიოსობას მისას ეს ხელს
სულაც არ უშლის!
მის ჯადოქარ ფუნჯს რაც შეეძლო,
თუნდ ოცნებაში,
მილიარდების მფლობელთ ერთხელ
მოსვლიათ თავში?
იაფი   ღვინო უსვამს ხაპით
ოცნებით დაღლილს,
უმზერდა ზეცას, არ ხიბლავდა
მდიდრული სახლი.

თვალს დახუჭავდა და წინ ედგა
ნაზი არტისტი,
მსუბუქდებოდა შემოქმედის
ფიქრებიც ხისტი.
იყო ნიკალა კაცი
თითქოს მიუსაფარი,
მაგრამ მსოფლიოს აოცებს დღეს
დიდი მხატვარი!
ფულით ღარიბი, გულით უხვი,
ნიჭით გენია -
რა სჯობს, რომ გკითხოთ
მხოლოდ ესღა მე დამრჩენია!

* * *

მღვიმიდან კოშკამდე

ირმის ნახტომით ვიარეთ
მღვიმიდან მაღალ კოშკამდე,
ვირჩენდით გზაზე იარებს,
წარღვნას გადურჩით, ო, რამდენს!
ვიყავით რანი და ვინ ვართ?
გარდავიქმენით მთლიანად,
ცხოვრებით, სულით, იერით,
სოფლიან-ქალაქიანად!
ვაშა, ამ ვაჟკაცთ – მხნე მუშას,
გლეხკაცს, მარჩენალს, ჩვენს იმედს,
პროგრესის მჭედელს და გუშაგს –
ჭეშმარიტ აზრთა შემოქმედს!

* * *

წესიერნო, გაიხარეთ!

წესიერნო, თქვენ იხარეთ,
ანათებთ, ვით მზე და მთვარე;
რთული გზები მოიარეთ,
შეეჭიდეთ ბედსა მწარეს,
ფარხმალი კი არ დაყარეთ,
ჭეშმარიტი გზით იარეთ,
სიცრუე არ გაიკარეთ,
ბრძოლაც აღარ დაიზარეთ,
გულით სითბო თან ატარეთ,
სულ იდექით ნათელ მხარეს,
ჭუჭყში აღარ გაისვარეთ,
უკვდავებას შეეყარეთ,
წესიერნო, გაიხარეთ,
სულ იმარჯვეთ, გაგვახარეთ,
ვივა, წესიერთა ჯარებს!

* * *

თავხედი

ბევრში თავხედი
ზის პარაზიტი,
ჯანსაღ სულსა და
მიზანს რომ ებრძვის;
თავს მოგვაჩვენებს,
ვით მიამიტი,
სხვისი ნაჯაფი

სურს ჭამოს კერძი.
იგი ურცხვადაც
უცქერს მყოობადს,
ფიქრობს: ქვეყანაც
აღარ ეყოფა!

* * *

ნათქვამს ივიწყებს ვინც

ბევრი მის სიტყვას ივიწყებს,
თითქოს არ ეთქვას ის;
კარგავს თავისვე ღირსებას,
და სახელს ლაფში სვრის!
ბევრი მის ნათქვამს არ იცავს,
ატანს, ვით ფოთოლს, ქარს,
არად მიიჩნევს მისსავე,
ღირსებასა და არსს!
ვისი ნათქვამი ჩირად და
გახვრეტილ ფარად ღირს,
სახელიც მისი თავადაც
გაუტოლდება ჩირს!
ე, ფრთხილად, ადამიანო,
სიტყვას ნუ ატან ქარს,
შენს ნათქვამს თუ არ ასრულებ,
რას დაუჯერებ სხვას!

* * *

წინდაუხედავები

ჯერ აკეთებენ, მერე ფიქრობენ,
უდარდელები, უსაქმურები,
ცარიელია ვისი აზრები,
როგორც რთველის
წინ გლეხის ჭურები.
აღარ უწყიან, თუ რას ჩადიან,
რას მოიგებენ მათი ფურები,
ჯერ აკეთებენ, მერე ფიქრობენ
ან არც ფიქრობენ მასზე სრულებით,
ამ ცხოვრებიდან ბოლოს მიდიან
გაძევებით და გაპანღურებით!

* * *

სოფლის დილა

მზემ დამალულმა მთებს უკან
ნელა ამოჰყო თავი,
ფერდობმა მკერდი გადახსნა,
ხეთაც გაშალეს მკლავი.
წყარო მოძებნა სხივმა
და დაიბანა პირი,
ბღავის ნახირი სადღაც,
სადღაც ჭილ-ყვავი ყვირის!
ნელ-ნელ ანთებენ კერებს,
ცა გადახაზა კვამლმა,
ალი მოედო მთის წვერს,
მზეს ჩაეხუტა პალმა;

აკოცა სხივმა მოლს და
გადაეხვია ყანებს,
სიცოცხლის ძალას აფრქვევს
აქ ბუჩქი და ხე მწვანე;
ძრავი აუშვეს სადღაც,
აბღავლდა რკინის ხარი,
აქვე მეზობლად გლეხმა
მიწას ღრმად ჩაკრა ბარი.
ზეიმობს ოდა სახლი,
რომ მოევლინა პატარა
მიწამ აუშვა ჭავლი,
გაითბო უბე ჭაღარამ;
ზოგი მინდვრიდან მოდის,
ზოგიც მოჰყვება ქუჩებს,
გოგონა ლოყა თეთრი
თავზე ევლება ბუჩქებს!
ლაღად ბიბინებს ყანა,
უხვი და მუდამ წყნარი.
იმ ბიჭსაც ყანის მომვლელს
ნაზ გოგოზე აქვს თვალი.
ვდგავარ შუაგულ სერზე,
ვესაუბრები ნიავს,
ჩემი ფიქრები წრფელი
იმას სოფლისკენ მიაქვს.
მე სიხარული დილის
შევიცანი და ვიგრძენ,
პატარა სოფლის დილა
აზრით დიდია დიდზე!
ვხედავ სოფელი დუღს და

პირზე აკრია ღიმი,
ვერ დაძლევს იმის იმედს
ხმა მინორული სიმის!
გამორბის სწრაფად ბავშვი,
გასერავს სოფლის ბილიკს,
ოქრო უბზინავს თმაში,
იგი მეკვლეა დილის!
დილა მშვიდობას ამბობს
და გვესალმება ასე,
ბავშვი, კეთილი ბავშვი,
ვით დილა, ეშხით სავსე!
დილა მშვიდობის, ბავშვო,
და შენც თაობავ ძველო,
დილა მშვიდობის ჩემო,
სოფელო საყვარელო!

* * *

განთიადი

თითქოს ნაბადი,
ცამ გადაიძრო
შემოპარული
ღრუბლების ბინდი;
ქვეყანამ იგრძნო
ზღვა სიხარული,
დილა გათენდა
ლამაზი, მშვიდი.
ნაძვნართან ისმის
წყაროს ტიკტიკი,

არ იმჩნევს სევდას
მიწაც აყალო;
შენი ჭიკჭიკიც
სიბნელეს ხევდა,
შავო მერცხალო!

* * *

ჩიტი გალიაში

ცოდვაა ჩიტი გალიაში
გამომწყვდეული,
რომ ეხეთქება უხეშ კედლებს
გიჟად ქცეული.
ჩიტი ამქვეყნად გაჩენილი
არის ფრენისთვის.
ცოდვაა ჩიტი, ვით მძევალი,
როცა ტყვედ ზის ის.
ვერ გადაუფრენს როცა ლაღად
დიდ ზეწარს ველის,
დატანჯულია და დასჯილი
თავის ბედს წყევლის.
და შენ, ჯალათო, ტანჯვა ჩიტის,
თუ არ გადარდებს,
ადამიანსაც მოუმზადებ
დიდ მავთულხლართებს!

* * *

სხვაგან რა მინდა

მზე აბრდღვიალდა,
ცა მოოქროვდა,
გამოისახა მთის წვერი ცაზე,
ღრუბელთ ზვავები
ბორცვზე მოგროვდა,
მიედინება ფარა გრძელ გზაზე....
მთა თოვლიანი
მიცქერის მკრთალი
ვტკბები მერცხალების ჭიკჭიკის ხმაზე.
ბავშვი ლამაზი,
ლამაზი ქალი -
რა უნდა იყოს მჯობი ამაზე?..
რა მინდა იქ, სად ვერ ვნახავ
ამ ზღაპრულ მხარეს და სილამაზეს!

* * *

მუხური *

საყვარელი ბიძაშვილის – ვახტანგის უდროოდ
გარდაცვალების გამო

იმ დღეს წყლის ტყვიებს ცა აყრიდა
უზომოდ მუხურს,
ნირწამხდარები შავ სამოსში
უსმენდნენ გრუხუნს,
მწარე მოთქმები თავს მასევდა
ფიქრებს ამაზრზენს;

---

* სოფელი საეგრელოში.

აწვა ღრუბლები უდარდელად
აჭიმულ თარზენს.*
გმობდნენ მტირალნი უგუნური
სიკვდილის ხრიკებს,
უსამართლობას მადლის და ზნის
ტლანქ უარმყოფელს,
მიაცილებდნენ ერთ უცოდველს
მარადი გზისკენ
კაცს ნაღდს და კეთილს, რომ უყვარდა
გულით მთელ სოფელს.

* * *

გამჭვირვალობა

ყველამ ეს კარგადაც იცის,
ვინ რა ჰაერით სუნთქავს,
ვისი ყალბია ფიცი,
ვისი ხელები - სუფთა;
და საიდუმლო სერობა
ფანდია უკვე ძველი,
მზაკვრობა, გაიძვერობა
არ რჩება აუხსნელი;
ჩანს ვის თავებში მიზანი,
თუ როგორია ჩარგული,
არ უნდა მას გულთმისანი,
გათვლები გრძელი და რთული;

---

* მთა სოფელ მუხურს ზემოთ.

აღნუსხულია მისხლებად
ნაქურდალ-ნაყაჩაღარი,
თუ ვინ დაკარგა ღირსება
და ვინ წაბილწა ტაძარი;
ვინ ცხვრის ქურქს ისხამს ცისმარე
და აღარ იშლის მგლის წესებს,
ხალხს ახსოვს ყველა სიმწარე,
იცის, ვინ ანთხევს შხამ–გესლებს;
ყველა სიყალბე, სიგლახე
გაშიფრულია, ვით გენი,
ყველას ვარქმევდეთ მის სახელს,
ჩვენც გვაქვს უნარი იმდენი.
მრავალ თვალს არ გამორჩება
ორგულთა მტრობა, ფლიდობა,
ვხვდებით, თუ როდის მორჩება
ამინდიც, უამინდობაც.
ყალბი ღიმილი მაცდური
და ნიღბიანი ცხოვრება
იმისი არის დასტური,
ზოგს რომ ვერ უჭრის გონება.
ე, უშფოთველად ნუ სძინავთ,
ვინაც უზნეოდ იცხოვრა,
გამჭვირვალედ ჩანს, ვით მინა,
ვინ მრუდედ მსჯელობს,
ვინ სწორად!

* * *

შეუპოვრობა

ცდილობ, იღვრები წყალივით ოფლად,
რომ სწვდე ცხოვრების სიბრძნეთა მარცვლებს;
ვით გეოლოგი მთად, ბარად, სოფლად
დაეხეტები, აჰყვები განცდებს.
და გაგიხდება თითქოს მეგობრად
არ გამართლება ავი და კრული,
უნდა ვარგოდე მასთან მეომრად
და გაუხეთქო მხნეობით გული!
წაბორკილდები? კვლავ წინ გაქანდი,
თუ დავარდები, შესძელ ადგომა,
და გამართლებას მიწვდი ქამანდით,
ყურით ათრიე, თუკი არ მოვა!

* * *

მოვალეობა

არ გევალება იყო მერი ან პროფესორი,
ბიზნესის ბოსი ანდა კიდევ კომპოზიტორი,
გამორჩეული შენი ნიჭით მრავალთა შორის,
გეცვას ტანთ ტოგა
მოსამართლის ან დიქტატორის...
უცილობელი, ვით ზაფხულის დღენი მზიანი,
თბილი, საამო, ხანგრძლივი და ხალისიანი,
არის, რომ იყო ღირსებებით ადამიანი
აზრით ნათელი,
გულით უხვი და მადლიანი;

გიყვარდეს უნდა არა ფული და ოქრო-ვერცხლი,
ეს მიწა, ეს მთა, უძირო ცა, ჭიკჭიკი მერცხლის...
ათბობდე გულით, ისე
როგორც კერა ნაკვერცხლით.
არ გევალება სულაც იყო უთუოდ გმირი,
სიბრძნე მოჰფინო ხალხს უზადო გონით და პირით;
ეს გევალება არ იკადრო, გახდე უბირი,
რომ ცვალო ნივთზე რწმენა შენი,
ვით ფულზე ჩირი!
უცილობელი, ვით ზაფხულის დღენი მზიანი,
თბილი, საამო, ხანგრძლივი და ხალისიანი,
არის, რომ იყო ღირსებებით ადამიანი,
აზრით ნათელი, გულით უხვი და მადლიანი!

* * *

ამრევი აზრები

ვიტყვი მე იმას, რაც არა გავს
სულაც ძველ ზღაპარს:
კაცი კაცისთვის მგელიაო,-
თქვა ერთმა პაპამ,
და კიდევ სრულად დაჯერებით,
ამაყად, მტკიცედ
სუსტი ძლიერთა საზრდოაო, -
გვაუწყა ნიცშემ.
და კიდევ მოდის ბნელზე ბნელი
აზრთ ნიაღვარი,

რომ რევს ხალხთა გონს, უდაბნოში
ვით ქვიშას ქარი.

* * *

ხელები

აივსო ჩვენი ცხოვრება
გიგანტი აგრეგატებით,
მთებსაც დაძრავენ, ცას ხვრეტენ
ეს ,,ბრძენი “ ავტომატები.
კოსმოსში დანავარდობენ,
დედამიწის გულს წვდებიან,
ხეს ჭრიან, ფოლადს ადნობენ,
არასდროს არ იღლებიან.
მაგრამ სულ სხვა პაწია
მათი შემქმნელი ხეები,
არიან უზადოები,
მარადი შეუცვლელები.
რასაც ხელები აკეთებს,
აბა, თქვით, ვის შესძლებია?
ხელი რომ სიმებს აჟღერებს,
ეს ხომ სულაც სხვა ხმებია!

* * *

ხმაური

ჩვენს დროს ხმაურის დრო ქვია ძნელი,
ის ზედ დაერთვის მრავალ სენს დროის,

ხმაური ქუჩის, ხმაური გრდემლის,
ეთერიდანაც ხმაური მოდის....
ხმაურისაგან ზანზარებს მიწა,
ტოკავს დარბაზი, ტვინიც მძაფრ ხმაზე,
როცა სიმშვიდე გვშველის და გვიცავს,
აურზაური სიცოცხლეს გვართმევს!
სიჩუმე, აბა, ფრთხილად, ჰე, ნელა,
შეწყდეს ეს მღვრიე კაკაფონია!
გვესმოდეს უნდა ხმაური ყველა
ჩვენდა ვერაგ მტრად მოუგონიათ!

* * *

ცოდნის დეფიციტი

აბა, რა ვიცით, სულ ვედებით
ალთას და ბალთას,
ვაგორებთ ტყუილს არხეინად,
ისე, ვით მართალს.
ცოტა რამ ვიცით,
ბევრი რამ – არა,
ვტყუვდებით მასშიც,
თითქოს ეს კმარა.
ვიცით რაღაც და
არ ვიცით სრულად,
ვერ ვწვდებით სიღრმეს,
ნაპირზე ვცურავთ;
ცალმხრივად ვუმზერთ
და ვხედავთ ფასადს.
ხელის ფათურით დავალთ

ზრმის მსგავსად.
საიდუმლოთა,
ვეღარ ვხსნით ფარდას.
ის, რაც ხდება დღეს
მიწის ქვეშ, ცადა –
ვიცით ეს ცუდად,
არ ვიცით კარგად;
ვერ ვხვდებით, რამდენს
ვიძენთ თუ ვკარგავთ;
არ ვიცით, ვინ ვინ
არის ნამდვილად,
ავს ვერ ვცემთ პასუხს,
კარგთან ვართ ფრთხილად;
არ გვესმის, თუ რა
რამდენი გვინდა,
რომ ვიყოთ კარგად,
ტკბილად და წმინდად;
არ გვესმის ნათლად
რაა ერთობა,
ვერ დავალაგეთ
ურთიერთობა;
ვეღარ ვაფასებთ
მოძმის ღვაწლს, ამაგს,
ვერ ვცნობთ სიკეთეს,
ერთმანეთს ვშხამავთ;
ვიქცევით ისე,
როგორც გაგრია,
ფულმა და განძმა
რომ გადაგვრია;

ხშირად სურვილი გვაქვს
მეტად მძაფრი,
არ ვიცით ზომა-წონა
არაფრის;
ვერ ვირჩევთ მიზანს
სწორს მრავალთ შორის,
არ ვიცით კარგად
გზა მისკენ სწორი;
არ ვიცით ჭირი, თუ
რატომ დაგვდევს,
ვით თანამგზავრი,
საიდან ამდენ
უბედურთა და
ცოდვილთა ჯარი?
ვერ ვიღებთ სწორ გეზს
სივრცეში, დროში,
რკინა გვეშლება
ზოგჯერ ოქროში;
არ გვესმის სწორად
ქვეყნად რად გავჩნდით,
ვერ ვარჩევთ ნათლად
ნამდვილს და აჩრდილს;
არ ვიცით, რა ვქნათ,
რა უკუვაგდოთ,
რა დავაფასოთ ,
რა არ დავკარგოთ;
არ ვიცით, თუ რა
გველის ხვალისთვის,
როგორ გადავრჩეთ,

ისიც არ ვიცით;
არ ვიცით, გვშველის
რა, რომ მხნედ ვიყოთ;
ერთად შექმნილი
როგორ გავიყოთ;
გმართებს გავფანტოთ
ირგვლივ წყვდიადი,
ჭეშმარიტების
ვცნოთ სიდიადე!
აბა, რა ვიცით,
სულ ვედებით
ალთას და ბალთას,
ძირს უვიცობა, ვაშა საქმეს
და სიტყვას მართალს!

* * *

იდეა თუ მატერია

ბრძენი საღ აზრს ცნობს – მუშაა
თუ მეცნიერია,
მისი ხიბლი – იდეაა,
არა მატერია.
მისი სამყარო არა მუქი,
ვარდისფერია.
სწამს, მჯობი მუდამ არის მრწამსი,
არა მატერია;
ნივთთა სიმრავლე არა მოძმე,
ზოგჯერ მტერია.
ნივთები ჩვენი მსახურია,

სხვა არაფერია;
უპირველესი – ნამუსია,
მერეა მატერია;
მთავარი გულის სითბოა და
არა მატერია;
უნდა გვწამდეს ის, ცერად ბევრნი
რომ უცქერიან,
თავისუფლებაა უფრო მეტი,
არა მატერია.
ზოდს რომ მონებდეს, ბრძენს დავთარში
არ უწერია,
ხიბლავს შუქურა მას იმედების,
არა მატერია!

* * *

ულოგიკობა

ვხედავ, ხან ფასი უგვანოს ადევს,
ქება აქვს ბევრის კუდაბზიკობას,
ზოგჯერ ურჩხული მოჰყვება ბადეს,
მეთევზეს უკვირს ულოგიკობა.
თესავენ მარცვალს, ბარდი ამოდის,
ზოგი უქნარა ფულში ეფლობა,
ბევრი სიმართლის გადაჰყვა ლოდინს,
ეს აღარ არის ულოგიკობა?
გვღალატობს ზოგი, ვის ღია გულით
შევფიცეთ მყარი და მტკიცე ძმობა,
ალალი ბევრი ჩანს დანავსული,
არის ასეთი ულოგიკობაც!

მაშვრალი მძიმე ოფლში გაღვრილი
ვნახე იმედის ზოძს რომ ეკრობა,
ჭეშმარიტება გმინავს დაღლილი,
გაუმარჯვია ულოგიკობას!
გენიოსის ქურქს მოირგებს ზოგი,
გვასაღებს, რასაც მიკიბ–მოკიბავს,
ქარს მიაქვს სადღაც ყეფა ბულდოგის,
მაგრამ ცხოვრებას თუ აქვს ლოგიკა?

* * *

სიმშვიდე

ყველას გვწადია ყოფნა მშვიდად
და სიწყნარეში,
როცა არ ძაბავს მას სიავის
მოქმედთ თარეში,
როცა არ მოდის მათგან შხამის
ნაკადი თქეშით.
ხომ იქნებოდა აქ ედემი
იმათ გარეშე?

* * *

იმედის დილა

ქარტეხილების დაგვიდგა ღამე,
არვის ეძინა მშვიდად და ტკბილად.

შავბნელ წყვდიადში ვითვლიდით წამებს,
გათენდა მაინც იმედის დილა!
რა არ გვიმზადა ჩვენ ბედისწერამ,
რა განსაცდელი, შიში და ტკენა,
გვტანჯა, გვაწამა, გვინგრია კერა,
მაინც შემოგვრჩა იმედის რწმენა!
სიცრუის გზებზე გავყავდით ეშმაკს,
ის უმეცრების ბურუსში გვხვევდა,
იხარა მაინც სიმართლის თესლმა,
მაინც იმედმა დასძლია სევდა!
ცხოვრება გვცდიდა, ვით შეგირდს, მკაცრად,
თითქოს დაცემაც ჩვენი მოუნდა,
ვერ მოგვერია, საწადელს აცდა.
ის ძალა რაღაც ჩუმად, მზაკვრულად
რომ გვიმზადებდა ხიფათს და ტკივილს,
მწარედ გაცუდდა. არ დაკარგულა,
რაც გვასულდგმულებს - იმედი დილის!
ცხოვრება მიდის, ვით გრძელი ღამე,
ყოველთვის იგი არ მიდის ტკბილად,
ჩვენ მოლოდინში მივითვლით წამებს,
და გვასულდგმულებს იმედის დილა!

* * *

კაცურკაცობაზე

მიხეილ როკეტლიშვილს

შევცქერი ფიქრითა სამყაროს ვრცელს,
ოქროს სხივმოსილს,

კალეიდოსკოპურს, ამოუცნობ
ფარჩით შემოსილს,
მიჩნდება კითხვა გაოგნებულს
ჩემთვის მრავალი:
აბა, ვინ ვართ ჩვენ
ადამის შთამომავალნი?
რა იქნებოდა ყოფა
კაცურკაცთა გარეშე?
ხომ ბოროტების და ქაოსის
დიდი თარეში?
რომ არა სითბო მათი გულის,
ვით მზის ნაფრქვევი,
მათი საქმენი, აზრი წმინდა,
დღეზე ნათელი?
რომ არა ულევ სიკეთეთა
მძლავრი ნაკადი,
რომ არა სიბრძნე მათი ტომის,
საქმე ნაცადი,
ვინღა მოგვცემდა ძალას
ულევ სიყვარულისა,
მტკიცე ერთობის და თანხმობის
მოძმეთ სულისა?
ხომ გაგვწირავდა
ამ ცხოვრების არარაობა,
სიცარიელის მძიმე ტვირთი
ყველა თაობას?
დგანან ბურჯებად ეს ლომგულნი
კვლავ უხმაუროდ,
გვასულდგმულებს და რწმენით გვავსებს

მათი აურა!
ვუმზერ სამყაროს, კაცთა მოდგმის
ბედს ამოუხსნელს,
და კაცურ კაცთა გენში ვხედავ
არაკაცთგან მხსნელს!

* * *

საახალწლო

ცეცხლოვან ფერხულს დღეს სულიც ცეკვავს,
ვით წყარო მარდი, დაიწყებს როკვას,
და მაინც ვფიქრობთ, რა გველის ნეტავ,
წუთების ნაკადს რა წელი მოყავს?
მზით დასეტყვილი გარემო ლაღობს,
ფიქრები დნება ოცნების ტევრში
და თითქოს ჩვენთან, აქ სადღაც ახლოს
დრო–მბრძანებელი გვიღიმის ეშხით.
დღეს დავიწყებას ეძლევა ძველი,
მწარე განცდა და ტკივილის წყლული.
გადარჩენილნო, გაშალეთ ხელი,
სვებედნიერნო, გახსენით გული!
ჰე, გახარებდეთ რაც იყო კარგი
და ტკბილი, როგორც პირველი კოცნა,
ვით მძიმე ტვირთი, დაყარეთ დარდი,
და სიყვარულის გავმართოთ ტყორცნა!
დღეს ჩანჩქერების მუსიკის დარად
ჟამთა დინების ხმაური გვართობს,
ვარსკვლავთ კურუმი შეიცვლის ალაგს,

გვიბოძებს ჩვენივ წილს ზოდიაქო.
ვიცით, რომ მოვა კვლავ ყვავილთცვენა,
დღეებს გაჰყვება ქარი და თოვა,
მხოლოდ ღიმილი, არ გვინდა წყენა,
მეორედ ქვეყნად ჩვენ ხომ არ მოვალთ!
დღეს ჩანჩქერების მუსიკის დარად
ჟამთა დინების ხმაური გვართობს,!
თავდავიწყებით დღეს სულიც ცეკვავს,
და მკერდში გულიც სხვა ძალით ტოკავს,
ახალი რაღას გვპირდება ნეტავ?
ბარაქა მოაქვს, სიკეთე მოაქვს!
დროის ხომალდი წლების აფრებით
მიქრის, ჩვენა ვართ მისი მგზავრები!

* * *

მთავარი არის ნატურა

აღარ იცხოვრებს სხვა წესით,
თუ არა მხოლოდ კაცურად,
კარგსა კაცს მოსდგამს ეს ფესვით –
ესაა მისი ნატურა!
არ მიაჩნია ცა ქუდად,
კაცური ქუდი ახურავს,
რაც არ ერგებ, არ უნდა –
ესაა მისი ნატურა!
სწამს მხოლოდ ის, რაც ნაღდია,
რაც არ ვნებს და თანაც კურნავს,
კაცთ სიყვარულად ანთია –

ესაა მისი ნატურა!
ღიმილსაც ყალბს არ მოითმენს,
დგას სისპეტაკის მსახურად,
ყველა სიცრუეს ნათელს ფენს–
ესაა მისი ნატურა!
ვეღარ გახდება ქვა ოქროდ,
ვერ იფრენს ის, რაც დაცურავს,
არ ეგუება სხვად ქცევას–
ესაა ნისი ნატურა!
არა გვრგებს სუროგატები –
ცხოვრებამ დაადასტურა,
მთავარი არის ნაღდები,
მთავარი არის ნატურა!

* * *

ელეგია

ო, ეს რა სამყაროა,
ჰოი, ეს რა ბედია?
ეს – ამდენი ხიფათი,
ამდენი ტრაგედია?
ნანგრევები უზომო
ცრემლის ვრცელი ზღვა,
ვისმენ ტკივილს, გოდებას,
და ტანჯულთა ხმას!
ირგვლივ დგას გვამთ გორები,
ტერორია ჯალათთა,
ჩანს ბოროტთა – სიუხვე,

სიკეთე კი – ხალვათად!
გვძრავს სიმართლის გაქრობა,
და სამართლის ტყვეობა
ხიზანია ადათი,
გამქრალია ზნეობა!
ავკაცთ უდგას ზეიმი,
ჩაგრულია ალალი,
მომდგარია ლაშქარი
დესპოტების ამალის!
მშიერთ ისმის წკმუტუნი,
მაძღართ მხარეს ხორხოცი,
ღირსებაა თელილი
ზეიმობენ ავხორცნი!
ო, ეს რა სამყაროა,
რომ დგას მთლად თავდაყირა,
ძე მშობელს რომ არ ინდობს,
ძმა კი ძმას გასწირავს!
მთვარე არის მიმკრთალი
და მზე კიდევ ზარმაცი,
მიწა უძლურ მთვრალივით
დაზოზინებს ბარბაცით!
ოი, ეს რა აწმყოა,
ო, ეს რა იმედია?
ოი, ეს რა ყოფაა,
ოი, ეს რა ბედია?

* * *

თხოვნა

მე თვით ბუნებას
წინ აღუდგები,
ანდა, თუ გნებავთ,
ხვეწნით მივმართავ:
ჩამომაწეროს,
ვთხოვ, ცოტა წლები
და დროის საზომს
მერე მე ჩავრთავ.
არ შემიქმნია,
რის სურვილიც მაქვს,
არ დამიღვრია
ოფლი საკმარად,
ჯერაც ცხოვრება
ნაკლულ სურას გავს,
რაც მყვარებია –
სულაც არ კმარა.
რაც მიცხოვრია,
მცირეა მეტად
რაც მინატრია,
ვერ ავისრულე,
კვლავ იმედებით
ვიქარვებ სევდას,
და ჩემს ამ თხოვნას
წყნარად ვჩურჩულებ!

* * *

თუ გაჩნდი კაცად,
არ უნდა იყო სხვა რამ,
ყველა გადახრას –არა,
არაკაცობას –არა!

* * *

ფსევდო...

ისე, ვით მგელი ცხვრის ქურქში, ფსევდო–
გაორებული, ამოუცნობი,
სინდის–ნამუსზე უზომოდ ყბედობს,
მის აზრებს უხვად გადაკრავს ობი.
ფსევდოს ბევრს ვხედავ ყველგან ჩემს ირგვლივ –
მრწამს, იდეებსა თუ თეორიას,
ფსევდო დაიდგამს თავზე ცრუ გვირგვინს,
მაგრამ ყარს, მაინც, თითქოს მძორია!
ფსევდო გენიოსთ, ფსევდო ლიდერებს
აქვთ არეალიც რაღაც სივრცეში,
ზოგი უღირსი ტახტსაც იფერებს,
ნებივრობს, როგორც ირემი მთებში!
ფსევდო მხატვარი, ფსევდო პოეტი
და პატრიოტი, გულს რომ აგვატკენს,
გვტენიან, რადგან არა აქვთ მეტი,
ყალბ პოეზიას, გრძნობებს, ნახატებს.
მგელია ნაღდად ცხვრის ქურქში ფსევდო
გაორებული, ამოუცნობი,

დიდ ღირსებებზე
ბევრსაც რომ ყბედობს,
მის სიმართლეს ზედ აკრია ობი!

* * *

ჭეშმარიტების ძალა

დადის სიცრუე ამ ქვეყანაზე,
ძნელია ჩაწვდე ტყუილს და მართალს,
ვინ უმღვრევს ხალხებს გონებას, აზრებს,
მათ მოქმედებას რა ძალა მართავს?
ვით გვიჭირს მიწის წიაღში წვდომა,
ჭეშმარიტების ჭირს მოხელთება,
ერთია მისკენ გზა – ძნელი შრომა,
შთაგონება და შემოქმედება.
ფასი მაღალი, ცეცხლი უქრობი
თან ახლავს სიტყვას, აზრს ნათელს, მართალს,
ბოლოს კი მაინც, როგორც უცნობი,
მოვა და ძალა ჩვენ მათი გვმართავს!

* * *

უკუღმართობა

ეს რა არის? კარგი კაცი მშიერია,
უნამუსო – მდიდარი და ძლიერია,
უღირსი კი – ლაღი, ბედნიერია,
იჩაგრება, ვინაც წესიერია,
ვინც კეთილი და გულიანია,
მისი ბედი ზანტი და გვიანია,

გაიძვერა ლაღობს, ფულიანია,
ღატაკია ის, ვინც ოფლიანია...
ნამდვილია ეს, განა მითია,
ბევრის ბედი უსაშველო ტვირთია!

* * *

სიმართლის მაძიებელი

სიმართლის მაძებარს ცხენი
შეკაზმული უნდა ყავდეს.
ხალხური

თუ კი მისდევ სიმართლეს,
გამოგილევს სინათლეს,
თუ კი შეედავები
გამგებელსა ან და მერს,
ეს დღესავით ცხადია,
რომ გაუჩენ შენს თავს მტერს.
თუკი უფრო ძლიერ შეფს
შეუბრუნებ ერთ სიტყვას,
იგი ვირის აბანოში,
უეჭველად თავს გიკრავს.
უსამართლო ქვეყანას
თმენით უნდა უყურო,
თუ არ გინდა რომ დარჩე
ულუკმოდ და უპუროდ!..
აი, უბედურება ,
ბევრს, რომ ასე ჰგონია,
ეს მონური ფსიქიკა
განა მოსაწონია?
ვინც სიმართლეს ესწრაფის,

ის ნამდვილი გმირია–
დაუთმია სიმშვიდე,
თავიც გაუწირია!

* * *

ბედის განსაცდელი

ბედი გვიმზადებს
მრავალ განსაცდელს –
ბევრს სულ უეცარს, რაც აღარ ვიცით.
არ შევეპუოთ
იმის საწადელს,
დავხვდეთ მას სალი
კლდისებრ სიმტკიცით!

* * *

ხარბის ქცევა

დაეტაკება ხარბი ყველაფერს,
გარბის, რომ სხვაზე მეტი აიღოს,
არ ელოდება თავისავე ჯერს,
ჩაავლებს კბილებს, როგორც ღორი რკოს.
არ აქვს სიმშვიდე ნივთთა მანიაკს,
და კლავს წყურვილი,
ვით ლოთს ღვინო სურს,
იგი მოხვეჭის ნარკომანია

და მასში პოვებს თავის
სულს და გულს.

* * *

გაიხედე უკან!

გაიხედე უკან, ჩაიხედე გულში,
აბა, რას აკეთებდი გუშინწინ ან გუშინ?
რა მიზნებით იცხოვრე და იარე რა გზებით
რა საქმეს, აზრს უძღვენი
ცხოვრების გზა და წლები?
ყური უგდე, თუ რას ამბობს
შენზე ირგვლივ ხალხი,
რა ფიქრები უჩნდება იმას შენი ნახვით.
მოიხვეჭე სახელი, თუ ზიზღი და ძრახვა,
რა იმიჯით და სტატუსით ქვეყანზე დახვალ –
გმირის ხვედრი გერგო,
თუ სირცხვილის კალათა?
კარგად და ღრმად განსაჯე, რა გაქვს გასახარადა!
თქვი, ამ ქვეყნად რას ტოვებ,
ან აქედან რა მიგაქვს–
რას უტოვებ მომავალს
რა განძს ან რა საფიქრალს?
გაიგე, რომ ანგარიში ყველამ უნდა ვაბაროთ
შემოგვცქერის თითოეულს ქვეყანა და სამყაროც.
პასუხი კი ჩვენ ყველას
ერთ დროს მოგვეკითხება
ჩვენი ხვედრი იქნება
სირცხვილი ან დიდება.

გაიხედე უკან, ჩაიხედე გულში –
დაიხარჯე უქმად,
თუ კაცთ სიყვარულში?

* * *

კურსდამთავრებულთა შეხვედრა უნივერსიტეტთან

უნივერსიტეტს – ჩვენს დიდი სალოცავს
დღეს ისევ ვხვდებით.
უშრეტ ნიშანსვეტს სიბრძნე რომ მოსავს,
გონით ვეხებით.
აქ ისევ ხარობს ასტრა და ტიტა,
სკვერში სიცოცხლე დუღს, ვით მაჭარი.
სიბრძნის სამყაროს, აზრების ტიტანს,
ხელში უპყრია ცოდნის ლამპარი.
შევყურებთ დღესაც კედლებს ქათქათას,
ჩვენ რომ გაგვიხსნა გზა მომავლისა,
ლალისფერ ზეცას, გუმბათის კალთას...
აქ ვისახავდით ცხოვრების მიზანს.
სული ბობოქრობს, ზარს ვუსმენთ გაბმულს
და სიჭაბუკე ისევ გვეწვევა.
დღევანდელობა ეჯრება წარსულს,
გულში სიყვარულს არა აქვს ტევა.
თუმცა გულსა გვტკენს უსახო წლებიც,
უსამართლობა მრისხანე, ძნელი,
თარეში ძალთა ნგრევის, აკლების,
უგუნურების, სუსხის, სიბნელის...

მათ ცვლის იმედი, ის, რაც გულს სურდა,
კვლავ წაღმა წავა დროის ბორბალი,
ვიცით იქნება, რაც იყოს უნდა.
სულში გვეფრქვევა რწმენა მომავლის,
თითქოს წამია გავლილი ჟამი
მას არ ვმორჩილებთ, ჰა, დრო გაჩერდა,
ისევ წმინდაა ფიქრი, ვით ნამი.
თმაში ჭაღარა ვერ მოგვგვრის სევდას,
უნივერსიტეტს ისევ ვეწვევით,
წინსვლის ნიშანსვეტს შემოვეხვევით,
შევცქერით ტაძარს ცოდნის და ნდობის,
ვიბრუნებთ კვლავ ხიბლს ახალგაზრდობის!

27 ივნისი, 2009 წ.

* * *

შეგნებული

კაცს შეგნებულს
არაფერი სჯობს.
იგი მუდამ
გონივრულად ბჭობს,
სიავეს დ უგნურებას გმობს.
სიკეთის გზას
არასოდეს თმობს,
არ უჯერის ფილოსოფოს ჰობსს,
კაცი კაცს რომ
სულ მუდამჟამ მგლობს.
არ აყვება სხვისთვის
ავის მდომს;

კაცს შეგნებულს არაფერი სჯობს,
ბნელ ზრახვებს,
ვით სარეველას, სპობს!

* * *

ამბიცია

მე თავი ისევ მგონია ბავშვი,
უმანკოების თითქოს ვარ წრეში,
მივქრივარ გიჟმაჟ დროების რაშით,
ვნებივრობ ყოფის ზღაპრულ სივრცეში!
გავიდა წლების დიდ ნაკადი,
დავალ ამ ქვეყნად ბედის მწევარი,
მგონია ბავშვად დავრჩი აქამდის,
დრო შევაყოვნე დაუდეგარი!
გუშინდელივით მახსოვს ბავშვობა,
კვლავ ოცნებების სამყარო მართობს,
ჟამთასვლის წნეხმა ვეღარ მაჯობა,
ვეღარ დამჯაბნი, შენც, მღვრიე დარდო!
მე თავი ისევ მგონია ბავშვი,
თითქოს წინ მთელი ცხოვრება მიდევს,
ვიქროლებ დროის კვლავ გიჟი რაშით,
დიდი ცხოვრება მინდა მე კიდევ.

* * *

გაგების ფასი

იქ არის ადამიანის
ცხოვრება გალაღებული,
სადაც კი ხალხი ბრძენია,
გულწრფელი და გაგებული.
ნათქვამი სწორად რომ ესმით,
და არც არავის მრუდად,
კარგად იციან, რას ნიშნავს
ვიღაც როცა ზის ქურდად.
ყველამ იცის, რა აკეთოს
და როგორ უნდა მოიქცეს,
სად უნდა ცეცხლად აენთოს
და პატივი კი ვისა სცეს...
სადაც არსებობს შეგნება
და სადაც არის გაგება,
იქ ყველა ნერგი იხარებს
და ყოველივე ლაგდება!

* * *

წარსულის აღქმა

ბევრი რამ იმ დროს
ყველას მეტად საჭიროც გვაკლდა;
დრო გადიოდა ნელა,
ბევრი ოცნებაც ჩაკვდა.
ომიც გვახსოვს და ზავიც,
სიხარბეს, ვით მტერს, ვგმობდით.

დრო იყო კარგი მაინც,
რადგან თავს კარგად
ვგრძნობდით!

* * *

ეგოისტი და ალტრუისტი

პატარა კაცად ჩანს ეგოისტი,
ვით რიცხვთა შორის ეული ერთი,
რადგან ხურჯინი ცხოვრების მისი
აღარ ივსება ბარგით სიკეთის.
ალტრუისტი კი მოუხმობს ძალებს,
რომ ზიდოს მადლი, ზურგს რომ ჰკიდია,
და ამიტომაც, როგორც სიმრავლე,
ის უზომოა, ვით ზღვა დიდია!

* * *

გაორებული

ზოგ ადამიანს ჰყავს ორეული,
რაც ორადა ხლეჩს იმის ცხოვრებას,
ორი კაცია ერთი სხეული,
ახდენს თავისვე განმეორებას.
გაორებული, როგორც ამება,
არსებობს და ჭირთ უწევს მას თმენა.
ორი წესი სწამს, ორი სამება,
ორი აქვს აზრიც და ერთი ენა.
თავი ერთსა ბჭობს, ენა მაცდური

სულ სხვა სამყაროს ამბავს ღაღადებს,
ერთი რამე სწამს, რომ მიწვდეს სურვილს
სხვისთვის ოინსა და ხრიკებს ამზადებს.
უკუღმართ მიზნებს კარნახობს გული,
ორპირი წმინდა სანთელს რომ ანთებს!

* * *

პირობა

ამას გვასწავლის თვით
ცხოვრების მეცნიერება:
თუ ყველას ქცევა სიმართლის გზას
არ დაშორდება,
თუ ყველას აზრში გამეფდება
წესიერება,
თუ გაანათებს ყველას გულებს,
ათივე მცნება,
ყველას მეგზური თუ გახდება
ზომიერება,
მაშინ სიხარბე მიეცემა
სრულ დავიწყებას,
ღვარძლის და ქიშპის
ქვეყანა კი გაიწმინდება,
ყველა იხარებს სიკეთეში
და გაბრწყინდება.
ამქვეყნიური სამოთხეც წინ
აღორძინდება.
სიმრუდის გზაზე ელის იმედს
გაცამტვერება,

შორით ჩაუვლის იგი ყველას
ბედნიერებას!

* * *

სწორი ქცევა

სწორად უნდა მოვიქცეთ,
რომ ოთხფეხად არ ვიქცეთ!
მაგრამ ეს რანაირად,
გულს თუ სურს სხვანაირად?
როგორც ჯერ არს, სულ ისე,
ვით წინაპათ გვიწესეს!
არ დავიბნეთ ბრინჯივით,
ვიაროთ ჩვენც მათი გზით!
ეს არის სულ მარტივი:
იყოს იმპერატივი
ნება რწმენის, გონების,
სმენის და გაგონების!
სიმართლე და სინათლე
როდესაც გვფენს დღის ნათელს
სულში, გულში, გზად და შინ –
სწორად ვცხოვრობთ ჩვენ მაშინ!

* * *

თავდაყირა

ეს რა არის? კარგი კაცი მშიერია,
გაიძვერა მდიდარი და ძლიერია,
ვიც უტიფრობს, სულაც ბედნიერია,
იჩაგრება, ვინაც წესიერია,
ვინც კეთილი, სათნო, გულიანია,
მისი ბედი ზანტი და გვიანია.
ქვემძრომი კი ლაღი, ფულიანია.
ღატაკია, ვინაც ოფლიანია...
ამას რომ გრძნობ, გულში ცეცხლი მინთია,
ბევრის ბედი მკაცრია და ფინთია.

* * *

უქნარას

გუშინ არ შეგიქმნია რა,
დღესაც არ გინდა აკეთო რამე,
ხვალისთვის გეგმავ კიდევ არა რას
გადის ასე დღე და გადის ღამე...
აბა, რამ უნდა გაცოცხლოს,
აბა, რამ უნდა გახაროს?
სულ სხვისი ხელის შემყურე
ეძებ ცხოვრების რა წყაროს?

* * *

სწორი გზისკენ

არასწორი სიტყვა,
არასწორი განსჯა,
არასწორი ქცევა,
ფულის ფუჭად ხარჯვა;
არასწორი გზა,
მრუდე ყველაფერი,–
აი, ჩვენი დიდი
პრობლემა და მტერი.
შეცდომა და ცდუნება
ყველას თან გვდევს უხვად,
და შედეგმაც მწარემ
ყველა შეგვაწუხა.
ის არ ინდობს არვის,
გვაწვება, ვით ზვავი.
არასწორი ქცევით
ჩვენ ვართ მტერი თავის!
წინ დაგვხვდება ყველა
სიმრუდენი ჩვენი,
ასეთია მკაცრი
ბედის განაჩენი!
არ შეგვარჩენს თემიდა
არასწორად ცხოვრებას,
შორს სიმრუდის გზები და
სწორი გზისკენ – სწორება!

* * *

ბოროტმა ვერ გაიხარა,
ვით ვაზმა კლდეზე დარგულმა -
ყინვამ შავი დღე აყარა,
სისხლი გაუშრო ზაფხულმა!

* * *

მე მინდა მთელი სამყარო
მუდამ ბრწყინავდეს, ელავდეს,
მაგრამ სიკეთე ვერ ხარობს,
სიავე – ყველგან ყელამდე!

* * *

აზიელობა

შთაბეჭდილება აზიური
ფილმის ნახვის შემდეგ.

მე მომწონს აზიელობა,
აზიელთ აზრი, მსჯელობა,
ვაჟკაცობა და ქველობა,
სიბრძნე და კონფუცელობა.
მომწონს ღრმა, სუფთა ინტიმი,
ხალასი, ვით ქარვისა მძივი,
ნათელი, როგორც მზის სხივი;
მხიბლავს აზიელთ ზრდილობა,
სილაღე, გულგახსნილობა,

ლხინი და სიამტკბილობა,
რომ არ სწამთ უსირცხვილობა...
აზიელობა სულ სხვაა,
სხვა გრძნობა და სხვა სუნთქვაა,
ის სიბრძნის უძირო ზღვაა,
იქ სხვა მზეა და სხვა ცაა...
კარგია აზიელობა,
გულიც თბილი და მსჯელობაც,
ვაჟკაცობა და ქველობა
სიბრძნე და კონფუცელობა!

* * *

სიზარმაცე

მე აღარ მიკვირს ცაზე ვარსკვლავი
ხან რომ არ ჩანს და
ხან კი ბრწყინდება.
მე მიკვირს ის, რომ უსაქმურობა
ვაჟკაცს კუნთმაგარს
აღარ წყინდება!
მის გონებაში ჯანსაღი აზრის
ვერ ვხედავ ნამცეცს,
ის არც იელვებს;
საქმეს, ეშმაკი როგორც სანთელს,
უფრთხის ის
და თვით ჩანს სიცარიელედ!

* * *

ნუ ითრგუნები

ზოგი რამ გაკლდეს, ნუ იდარდებ,
იმედს შესძახე;
ნუ ითრგუნები, ვით მძევალი,
გქონდეს სილაღე.
მილიარდერსაც არ ყოფნის ფული,
უტირის სახე.
კეთილდღეობას სხვას კი ნუ თხოვ
შენ თვით გაჩარხე!

* * *

გაორება

ნიბლიასავით იქცევა ქორი,
სიმართლედ ყველგან ასაღა ჭორი,
ენაზე თითქოს აცხია თაფლი,
აბრუებს ყველას მზაკვრული გათვლით.
სხვა არის ზრახვა, საქმე სხვა არის,
მიზანი სარფა - აი, მთავარი.
ორმაგ თამაშით ის აღწევს ბევრსაც,
იმკის იქ, სადაც არ დაუთესავს.
აღზევდა ავი, კეთილი აგებს,
სიქველე ამ დროს გზას ველარ აგნებს,
კაცობრიობას ადგას ზიანი
მკრთალდება დღენი ჩვენი მზიანი!

* * *

ერთადერთი

სიმართლე ქვეყნად ერთადერთია,
როგორც მშობელი, ისე როგორც მზე,
ბნელი სიცრუე კი ისეთია,
შეგვეგებება ყოველ ნაბიჯზე.
მისი სიუხვე წინ გვიქრობს სანთელს.
ვერ ეგუება მას, რაც ანათებს.
ბევრსა კი სჯერა, ამაოდ სჯერა
მწარე სიცრუე მოკლეფეხება,
წამოსხმული აქვს ნიღაბი ვერაგს,
მისი გესლი კი ყველას გვეხება!
სიმართლემ ბოლოს სიცრუე სძლია,
უძლეველია ჭეშმარიტება,
სიცრუე მხოლოდ დილის ნისლია,
ამოვა მზე და უკვალოდ ქრება!

* * *

რამდენი ჭორი ითქმება ქვეყნად,
ნეტავ იმდენი სიმართლე ითქვას,
სიმართლეზედაც ძლიერ და მეტად,
ძალა ზოგ ჯერ აქვს ყალბ, მაცდურ სიტყვას.
სიცრუე ხშირად ფლობს თვით გონებას,
არსში მწვდომს ცნობენ შტერად და ბრიყვად
და გაუხდიათ ბევრიც მონებად.

* * *

ტაბუ

ყავის დასალევად არ ხარ მოვლენილი,
არც მეზობლებთან ჭორაობისთვის.
თითქოსდა ასე გაქვს დადგენილი -
სეირში იყო ღამით და დღისით;
გიყვარს კაზინო, ფულების ხვეტა
თავად საკუთარ თავზედაც მეტად.
პომპეზურობა ჭკუას გიკეტავს,
გართობაში კი ყოფის აზრს ხედავ.
ეს თუ გაკლია გხედავ განაბულს,
აღარ გაწუხებს მაღალი გრძნობა...
ეშმაკურ ზრახვებს, ცდუნებებს ტაბუ,
ადგილი მხოლოდ ჯანსაღ გართობას!

* * *

ადამიანური

უდიდესია ადამიანური
ცრემლები ტანჯვის და სიხარულის,
განცდები გულის ძარღვთა ნაჟური,
სითბო სიკეთის და სიყვარულის;
უწმინდესია, როგორც ცვარ–ნამი,
მოყვასთან თბილი სჯა და ბაასი,
ძმურად გაყოფა ჭირის, ვარამის,
სუფრა ქართული და სავსე თასი.
უმთავრესია კაცურკაცობის
ძნელად საპოვნი წმინდა სახელი,

მუდამ ფასობდა, დღესაც ფასობს ის –
სული ნათელი და სიტყვა წრფელი.
უმაღლესია ადამიანური
პატივი, კრძალვა დიდი წარსულის,
მტკიცე, ურყევი მამაპაპური
ძალა იმედის, ვით გაზაფხულის.

* * *

ჩვენ ვართ მაგრები

სტუდენტობის მეგობრებს

მზე დიდებული ბრდღვიალებს მაღლა,
ჩვენ ვეზიდებით წლების ტვირთს საღად,
მუხლებში ჯერ არ გვიგრძნია დაღლა,
თმენით მივყვებით ცხოვრების აღმართს.
ვებრძოდით დროის შფოთს და ქარტეხილს,
მოვიგერიეთ ბევრი შეტევაც,
არ ვგავართ მაინც წელში გატეხილს,
ჩვენ პრობლემები ვერ მოგვერევა!
ჩვენ ცოცხლები ვართ! სხვა ჩვენი ტოლი
ბევრი სადაა? აქ აღარ ჩანან,
იმათ გულმკერდზე ბიბინებს მოლი,
მშვიდ სიბნელეთში უშფოთლად წვანან.
ჩვენ კი კვლავ ველით მრავალ განთიადს,
არ გვაფრთხობს მახე დროის ნაგები,
სიცოცხლის ალი გულში ანთია,
ჩვენ ვართ გამძლენი, ჩვენ ვართ მაგრები!

* * *

წინააღმდეგობრიობა

როგორც სამყაროს, ისე ვერ ვწვდები
ადამიანის სრულ აზრს და მის არსს,
ბევრს რომ თავში აქვს რაღაც ფიქრები,
გული კი ელტვის სულაც სხვა მიზანს.
ხშირადაც პირის ნდომა და გემო
არის მომტანი ზიანის, ფუჭი,
რის სურვილს ძლიერ ავლენს და ჩემობს,
აღარ იკარებს რატომღაც კუჭი;
ის, რაც ატკბობს და რას ეტანება,
ბევრი რამ სასტიკს უმზადებს საფრთხეს,
ბევრი ნატვრა და ბევრი ზმანება
თვით მის სიცოცხლეს უგებს დიდ მახეს;
ზოგი ღიმილით გვხვდება და გვხიბლავს,
გული ბოღმით და შხამით აქვს სავსე,
ზოგი უღირსებს ცამდე აიყვანს,
კეთილს და ჭკვიანს ჩირის ფასს ადებს;
ზოგ ხეპრეს უნდა, რაც არ ეკუთვნის -
მბრძანელობა და სულაც მეფობაც...
ადამიანო, ქცევით და სუნთქვით
ხარ საოცარი წინააღმდეგობა!

* * *

ყოფის კანონი

ყველას კი გვინდა კარგად ცხოვრება,
ვით თაფლი ტკბილი, სიამოვნება,
მაგრამ ყველა მის არსს ღრმად ვერ წვდება,
ვერ იგებს, რა აზრს იტევს ეს ცნება.
ბევრისთვის არის ის ფუფუნება,
უზომო ტკბობა, თავდავიწყება;
არ წამს ბევრს სრული ჭეშმარიტება,
რომ, როგორც პური, ისე ჭირდება
მისი ნამდვილი აზრი, გაგება:
თუ გარჯით ვაზი არ აყვავდება,
ქვევრი ღვინოთი არ აივსება,
შრომით ყანა არ აბიბინდება,
თუ სიბრძნით გონი არ გაბრწყინდება,
ხელით სიკეთე არ იჭედება...
ამაოდ ვეძებთ სახელს, დიდებას -
კარგსა ცხოვრებას, ნამდვილ ღირსებას –
ესაა ყოფის კანონის ნება!

* * *

მერე რა?

მერე რა, რომ გაქვს ყველაფერი
და უთვალავიც -
მრავალი სკივრი, სასახლენი
და სამალავი...
ეს რომ განიჭებს უჩვეულო
სიამოვნებას,

ერთობი მათი მოფერებით,
იოკებ ვნებას.
ტკბები ნივთების სამყაროთი
ისე, ვით ბანგით,
ეს არის შენთვის ჭეშმარიტი
რიტმი და ჰანგი...
მაგრამ გაგება რეალური,
სულ სხვა რამ არი:
რას მოაქვს ტკბობა, რა გახარებს?–
აი, მთავარი!

* * *

ყავლგასული ბატონკაცობა

მეფურ სავარძელს მგლური სიხარბით
დაეპატრონენ ბატონ კაცები.
სხვადასხვა რანგის ტირანი გაბმით
ყვირის, მბრძანებლობს კვლავ გატაცებით.
ქვემდგომთა ქელვა მათი ჰობია,
როგორც ლოდები, აწევთ რიგითებს.
ბატონ კაცობა მოსასპობია –
დროის სული დღეს ამას გვითითებს!
დრომ ჩაიარა უკვე დესპოტთა,
მონობასა მყრალს ყავლი გასვლია.
ვინაც არ იცის, დღეს არის ცოტა,
თავისუფლება რომ ძვირფასია!

* * *

წლების ტვირთი

წლები მიქრიან,
მე აღარ ვითვლი,
მათთან ერთად კი
მიჯნებს გადავალ,
არ მიმძიმს წლების
მხუთავი ტვირთი,
მგონია ისევ
ახალგაზრდა ვარ!
წლები რა არის,
გული სიბერეს,
თუ კი არა გრძნობს,
ძგერს დაუღლელი,
სულიც სევდის ჯარს
გააცამტვერებს,
კვლავ სიყვარული
იფეთქებს ძველი!
აბა, შემხედეთ,
წლებს ნუ დამითვლით,
უცქიროთ მხოლოდ იმედს
დიდს, მთავარს,
არ მიმძიმს წლები,
ვით ღრუბლის ტვირთი,
სულით მე ისევ
ახალგაზრდა ვარ!

* * *

არა საიუბილეო

ჩემს განვლილსა წლებს
ნუ მიხსენებთ, მხოლოდ ნამცეცი
თუ მახსოვს მათგან სიხარული, სიამოვნება.
შევყურებ იმათ, ვით წაკითხულ
წიგნებს, დაკეცილს,
მე ახლა ველტვი მზის ქვეშეთში
ხალას ცხოვრებას.
ბევრს ვეთამაშე სანუკვარი
ოცნების ტალღებს,
ამაოების მინახია ბევრი კუნძულიც,
დღესაც სიცოცხლე, ვით ქარი ტოტს,
ჩემს ძარღვებს არხევს
და სიყვარულით, ვით ხე ფოთლით,
ვარ დახუნძლული.
მაინც თუ მკითხავთ, რაა ჩემთვის
რეტროსპექტივა,
გეტყვით: წამია, სულაც ერთი
მზის გაელვება.
და მასზე კიდეც, როგორც ღვიძლზე,
გული შემტკივა,
ვით კუთვნილ დროზე,
მოგონება არ დამელევა.
პატივს და ხოტბას მე არა ვთხოვ
ქვეყნად არავის,
მყოფნის, წუთები თუ მენთება
კვლავ იმედებად,
ნუ გადამიხდით, გამიგონეთ,

ცოცხალს პარაკლისს,
ყველა სათქმელი, დე, ისმოდეს
დუმილის ხმებად!

* * *

ყიდვა–გაყიდვა

ეს ქვეყანა იცით რაა?
ნახეთ, გახდა ბაზარი.
იყიდება ხარა–ხურა,
ნაფოტი და ნაცარი.
რა ფართოა, რა დიდი
ეს ნაქები დუქნები,
აბა, რას არ იყიდი,
არის მწვადიც, გუთნებიც...
იყიდება მიწები,
წყლები, გზები, ქარხნები,
მთლად ვეება გემებიც,
ავტომატიც, ტანკებიც;
იყიდება სხეული
და ლამაზი ნაკვთები,
დირექტორის სკამებიც
და მინისტრის ჩანთები;
იყიდება ჩარხები
სულ ჯართებად დაშლილი,
ხე მორებად ქცეული,
ტყე შრიალა, გაშლილი;
იყიდება ბევრი რამ,
რაც გვახურავს, გვაცვია,

იყიდება ტვინები
და მზა დისერტაცია;
იყიდება ჯილდოები,
სახელი და ხელობა,
სასურველი ყველასთვის –
ტკბობა და ჯანმრთელობა;
იყიდება მწვანილი,
გორები და ველები,
იყიდება არტისტები,
მარდი ფეხბურთელები;
იყიდება ნამუსი,
პრესტიჟი და ღირსება,
ასე აღებ – მიცემობით
სეიფები ივსება;
იყიდება პიარი,
სხარტი ლანძღვა–გინებაც...
ბაზარს იქით – არაფერი
ეპოქამ ეს ინება!
აღებ–მიცემობითა
წამთ, იხარებს ყოველი,
ვინც მარჯვეა – მდიდრდება,
პურს იშოვის მშრომელი...
აბა, როგორ გგონიათ,
ეს საბაზრო ქვეყანა,
ისტორიის ძღვენია,
რომ მბრძანებლობს ეს ხანს!

* * *

ცოდვის სიუხვე

სავსეა ცოდვით ქვეყანა ისე,
როგორც ულევი წყლით ოკეანე.
ცოდვის ქარბუქი, ვით ტაიფუნი
თავს დაგვტრიალებს.
დაუნდობელი დაცხრება სანამ,
გაგვატიალებს.
არ ვიცი რატომ, არვის იბრალებს
მადლი არა ჩანს,
ის იგვიანებს!

* * *

პატერნალიზმი

ყრუ, ბრმა თუ არ ხარ ან ხეიბარი,
დაგლახებული სხვა მძიმე სენით,
თუ ძარღვში გიდუღს ნაკადი მძლავრი,
ხელს ნუ გაიშვერ, თავად შექმენი!
საბრალო არის სხვისი შემყურე,
თუნდაც მშობლის თუ კეთილი მეფის –
მოწყალე უჭმელს რომ დაგაპურებს,
მუქთი ღვინოც რომ წამოვა ჩქეფით!
უნდა იცოდე ცხოვრების წესი,
რომ შრომისათვის გავჩნდით ამ ქვეყნად,
სირცხვილი არის უსაშინლესი
უქმად ცხოვრება, მარჩენლის ძებნა!

* * *

მხოლოდ კუთვნილი

ლუკმას არ კუთვნილს
არა აქვს გემო,
ჩანს შორიდანაც
ბევრის ყოფიდან,
ეს უგემური ხილი
არ მსურს, რომ მე ვიგემო,
შრომით რაც მომცა ჩემით, ბედმა
ის მამყოფინოს!
ჰგავს უკუთვნელი ქონება
და სიამტკბილობა
უმარილო კერძს, სპირტგამოცლილ
წყალწყალა ღვინოს.
უცხოთა ლხინში ურგებელი
სითხით დათრობა
სიამოვნებას მოგვრის
მხოლოდ ყეყეჩს, უტვინოს.
სარგოა ჩვენთვის უანგარო
ლუკმა კუთვნილი –
არ კარგავს წესი ეს დიადი
აზრსა და ლაზათს,
არ გახუნდება, როგორც დედის
თბილი მანდილი,
დედის რძესავით ვირგებთ ლუკმას
მხოლოდღა ალალს!

* * *

გვიანი სამართალი

ოი, რამდენი ნატრობდა იმას,
ზოზინი მისი უკვირდათ მხოლოდ,
სამართალმა, ჰა, დღეს პური ჭამა,
თუმც გვიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს!
რამდენ დატანჯულს ეწვია რწმენა,
ლოდინი უკვე იმედს კარნახობს,
აენთო ჭაღად თვით მზის ოდენა,
სჯობს გვიან, ვიდრე სულაც არასდროს!

* * *

ხარ სულ პატარა

წმინდა წყლის როცა ხარ მაფიოზი,
ველარ გიშველის, რომც იყო ბოსი,
თუნდ უთვალავი გქონდეს ალაფი,
და ქუხდეს კიდეც შენი სახელი,
თუნდაც გიკრავდნენ ბევრნი დაფდაფებს,
ხარ სულ პატარა, გაუხარელი,
რაც გინდა გქონდეს განძი ნანატრი,
ეს ყველაფერი არაფრად არ ღირს.

* * *

სიყალბე

ვინაც სიყალბის მკერდს ჩაეხუტა,
და ცრუ კაცობა ერგო სახელად,
იგი ქვეყანას კარგს ვერ მოუტანს,
არც უნდა იმას ამ ქვეყნის შველა.
სიყალბე ძნელი ასატანია,
მძიმე სენია, თითქოს შიდსია,
ვინც მის გზას მისდევს, თქვეს: სატანაა,
უვარგისია და უღირსია!

* * *

ძნელია ყოფა ამ ქვეყანაზე,
როცა მთავრობა აფრენს, გვაბოლებს.
ასეთები სულ აბნელებენ მზეს,
დრო მოვა, ნაგავს მათ გააყოლებს!

* * *

სოფელი

ეძღვნება სოფლის დაუღალავ
მოამაგეს - პროფესორ პაატა
კოღუაშვილს

სოფლის ცხოვრებას სულ სხვა აქვს ეშხი,
სულ სხვა ლაზათი, ხიბლი და აზრი
ჯადო ზის სოფლის ყანებში, ზვრებში,
ამბრად იფრქვევა სურნელი ვაზის...
ვეწვევი მლეთას, გრემს, ღებს თუ ბანძას,

მშობლიურია აყალოც, კირქვაც,
მთელ საქართველოს მაჯისცემასაც
სოფლად მაჟორულ ტონად აღვიქვამ!
უფრო ძალუმად აქ ვგრძნობ ბუნებას,
იღვრება მზე და სითბო ულევი,
დავეწაფები ხალხურ თქმულებას,
ჭარბად თბილია სოფლელთ გულები.
ძარღვში გაივლის დილა ცინცხალი,
დღე თვალსაწიერს გამიფართოებს,
სერზე დაჯდება მთვარე მიმკრთალი,
ზედ გუგაზე ვგრძნობ მის სიახლოვეს...
ახლოა ტყე და ახლოა წყარო,
თითქოს გვერდზეა ძმებივით მთები
ზედ თავზე მადგას ვარსკვლავთ სამყარო,
ვითარც ოდიშის შუქი სანთლების.
ტკბილი ჰანგებით მართობს მდინარე,
უფრო ახლოა აქ დედამიწაც,
ცოცხლის, უსულოს, ნაზის, მცინარის -
ყველას იერი უფრო ცხადად ჩანს.
აქ სიყვარულიც უფრო მეტია
შვილთა, და-ძმათა რიცხვის სიმრავლით.
სოფლელი ქალიც დღეს იმედია
ერის ზრდისა და დიდი მომავლის...
ნაცნობ განცდებში კვლავ ვიძირები,
რომ მომესევა ფრინველ-პირუტყვი,
ნაზარდი ისე, როგორც შვილები
შორიდან მცნობენ ხმითა და სუნთქვით...
ნასათუთები მიწვევს ბოსტანი,
ცეცხლად აშლილი თმები ვარდების,

დასჭექს სიმღერას სოფლის მგოსანი,
ჩემს აღმაფრენას ეზრდება ფრთები.
ციცინათელა სოფლის შუკებში
სულ სხვა შუქია, სხვა ჩირაღდანი.
ვინ უნდა იყოს ისე უხეში,
ამ ეგზოტიკას არ სცეს თაყვანი?
ეზოში გასულს მეამბორება
მურა კეთილი, ფეხბედნიერი.
სულ სხვა ეშხია სოფლად ცხოვრება
სოფლის ხიბლი და სოფლის იერი!
ბულბული აქ სულ სხვა ჰანგზე მღერის
ის მაჯადოებს, ყველა ტკბილია -
ქალწულთა მორცხვი ღაწვების ფერი,
მინდვრის სიჩუმე და იდილია. . .
სალამს მომიძღვნის, როგორც ყვავილებს,
მეზობელი და უცხო გამვლელიც,
უცნობ-ნაცნობი აღარ ჩამივლის,
სიტყვა არ ჰქონდეს ჩემთვის სათქმელი.
გული ბობოქრობს მთელი სიმძლავრით -
მხურვალე გრძნობის გენერატორი
სიყვარულიც ხომ სოფლური არის
წარმომავლობით? - დიახ, ბატონო!
კაცი სოფლელი, კაცი ფხიანი
და ქვეყნის ბურჯი გარჯაში ტკბება,
სიკეთით სავსე და მადლიანი
სოფელი, ვით შვილს, ქვეყანას კვებავს.
სოფლელს გული და შუბლი აქვს ღია
და უნდობლობის ეჭვი აღარ ხრავს,
სუფრაზე დადებს, რაც აბადია,

აღარ დაითვლის, რასაც დახარჯავს.
კარს არ ჩარაზავს მარნის და ფაცხის -
მიირთვი პური, მიირთვი ღვინო!
სულსაც გენდობა სოფლელი კაცი,
არ გაწყენინებს, არ აწყენინო!
გაისმის ხმებიც - რუტინის მტერი,
რუს ტიკტიკს ერთვის მოტორთ ხორხოცი,
ტელეხედვა და კომპიუტერი
სოფელს ვერ შეცვლის სულით და ხორცით,
ერთ ადგილს არ დგას, მისდევს ეპოქას,
გაუხსნის კარებს დრო-ჟამს კვლავ ახალს,
გარდაქმნის ძალა მუდამ ეყოფა,
გაშლის მხრებსა და აიწევს მაღლა!
ჯიგრით და ძირით სიკეთით მოსილს
ეტყვი არ იყავ ყოფის საწყისი?
სოფლელი იყო თვით ჰომეროსი,
სოფლური იყო ოქროს საწმისი!
დიდია, ხალხო, სოფელი ისევ
ქვეყნის დედაა და მარჩენალი,
რომც ეიფელის ავმაღლდე შპილზე,
ვრჩები სოფლელად კაცი მართალი!
ურბანისტს ძველმა უმტყუნა ალღომ,
სოფელმა წინ გზა ისე გაკვალა,
მრავალგზის მართლაც, რომ კარგად ვნახოთ
მან წინ გაუსწრო კიდევაც ქალაქს!
რა ვუყოთ ბევრი რომ დგას დღეს რიგში
გადასაწყვეტი საქმე, დილემა
იღწვის სოფელი, არა აქვს შიში.
დე, საზრუნავი ნუ დაელევა!

სოფლად ცხოვრებას სულ სხვა აქვს ეშხი,
ზღვა სიკეთე და ზღვა სიყვარული,
ყოფაში, წესში, წყალში, ჰაერში
იგრძნობა ეშხი ნატურალური!

* * *

საირმე

ჰესპრიდების ბაღის* ნაკვეთი
თითქოს ედემის დიდი ვარცლია,
ვინაც ამოყვა აქ მზის გზას კეთილს,
ჰპოვებს ცხოვრების საგზურს ასწლიანს!
ჟონავს სიცოცხლე მთების გულიდან
და სილამაზის წყარო – ნაკადი,
მთების წრე კიბედ ცას მიდგმულია –
დევნი მოსხმულნი მწვანე ნაბადით.
რეკს წაბლნარის წყლის მძაფრი ჩქრიალი –.
გულში ჩამწვდომი ტკბილი ჰანგები,
მეფრქვევა სხივად ვარსკვლავთ ციალი,
მთაზე ამიყვანს კლაკნილი გზები;
ახმახ წიფელთა მატკბობს აკორდი
და ნაძვთა რხევა ცად აზიდულთა...
გრძნობათა ხანჯლით ჩემს გულს დაკოდილს
თბილი მზერა და მალამო უნდა!
ირემთა, ჯიხვთა შმაგი ჭიდილი
შემორჩა მთათა მეხსიერებას,

---

* ბაღი, რომელსაც, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ოთხი ქალწული– ჰესპერიდები დარაჯობდნენ.

გულების სითბო, ნაზი ღიმილი
მაპკურებს უხმოდ ბედნიერებას.
ჰესპერიდების ერთი ნაკვეთი
თითქოს ედემის თლილი ვარცლია.
ვინაც ამოჰყვა აქ მზის გზას კეთილს,
ას წელს სულ ყველამ გადააცილა!

* * *

გამქრალი ჩინარი

არ დგას იქ იგი ჩინარი,
სადაც რუ ერთვის ღელეს,
მხვდებოდა სახე მცინარი,
გამომიწვდიდა ხელებს.
ახლაც რუ მორბის როკვით,
არყი დგას, როგორც მწირი,
ვისმენ გლდამწვარ სლოკინს,
ვერხვიც ჩვილივით ტირის...
მხვდება ის გაუცინარი
და ნაწამები შფოთით,
არ დგას იქ ძველი ჩინარი
და მეც ცრემლები მომდის!

* * *

ბურიანი*

ეშხით შევყურებ დღეს ჩვენს ბურიანს,
სახლი ავიგეთ ჩვენ თვითონ სადაც,
ვისაც შრომა და გარჯა სწყურია,
მიეცა შანსი ძალა ეცადა!
აქ სულ სხვა ძალით მთვარე ანათებს,
მზეც გვეფერება ძალუმად მთაში,
ქართული მიწის მადლი აგვანთებს,
ლაჟვარდოვანი ცა თავშალს გაშლის.
აქ ხალასია ჰაერიც, სიტყვაც,
შეგრძნება ჩვენი მთისა და ბარის,
მე ბურიანი იმიტომ მიყვარს,
რომ ახდენილი ვპოვე ზღაპარი.
შრომის და გრძნობის გვქონდა გამოცდა,
ჩვენ ვაშენებდით და დავიხარჯეთ,
მამა-პაპათა დრომ რაც გადმოგვცა,
აქ ჩვენს ყოფაში ჩანს და იმარჯვებს!
აქ მთის შეგრძნებაც არის ძალუმი
და საკუთარი თავის შეგრძნება,
სხვა ელფერი აქვს ძახილს და დუმილს,
მე ბურიანი სულ მახსნდება!.

* * *

* სააგარაკე სოფელი მცხეთის რაიონში.

ჩემი ოდიში

თვალწინ დევს მიწა დაბერებული,
პლანეტის გარსს რომ ეკვრის წერტილად,
ძარღვებში უჩქეფს მარდი ენგური,
ეშხით უღიმის სამშობლოს დილა.
დღესაც აქ ცეცხლი გულებს ახურებს,
მკერდში რომ ენთო ცოტნე დადიანს,
იყოს მამულის მოსამსახურე -
ეს ყველა ვაჟკაცს მისებრ სწადია!
ახლაც წალკოტში ნაზობს მედეა,
და მხარის გმირად დგას იაზონი,
ეს ძველი კუთხე მე მწამს ედემად,
და ალალ ძმებად მისი პატრონნი!
წარსულს, ვით წიგნი, მიყვება ჯიხა,*
ძველმა ჭმუნვამ რომ შუბლი დაღარა,
კვამლის გუნდების ღრუბლები მჯიღად,
ამოუსუნთქავს ახლოს ქარხანას...
მხიბლავს კოლხიდა, ვრცელი ვით ფიქრი,
ჭრელი ყანებით ფარდაგიანი,
რომ ელავს ოქროს ცვარ-ნამის ფიფქით,
ენგურიანი, ტეხურიანი!
ეშხით მაოცებს აქ ცა კამკამა,
ქართული ზეცის ერთი ნაჭერი,
გადაქცეული სხივთა წამწამად
აქ მზე ქართული მიღიმის მზერით...
ვინც დაგივიწყა და გაგიმეტა,

---

* ჭაქვინჯის ციხე (სამეგრელო).

მხარევ იგი ხომ კაცის ჩრდილია,
მე კი, ვით ჩემი მშობელი დედა,
კერა არ მწამდეს, არ შემიძლია!
ჰე, საქართველოვ, ამ მიწის ბელტიც
მშობლიურია და ძვირფასია,
მწამს სიყვარული შენი ისეთი,
როგორიც ჰქონდა ცოტნე დადიანს!

* * *

კოლხეთი

ჰა, მეწამული ზეცა,
შორს - დაგრეხილი მთები,
დაუსაბამო ეგ ზღვა,
დაუსაბამო გზები...
მიპყრობს ფაზისი ძველი
მკრთალი სამყაროს ჩრდილი,
დუმილით სავსე ველი
და იდუმალი ძილი...
მსურს დავემგვანო რასმე,
უსასრულობის მსგავსსა.
აქ მართობს აოცნებები,
დაუსაბამო განცდა...

* * *

ღამისთევა

დაბერავს სიო ფრთხილი
და ბეგონია წვება,
ვერცხლის ცვრით დაბანილი
მიმოზა იცრემლება.
სივრცეში მთვარის სხივი
და გარინდება სუფევს,
შორს მიკიოტი კივის,
მე კი ფიქრს ღამეს ვუთევ.

* * *

უცხო ჩიტი

ჩემს წინ დამჯდარა
ტურფა ჩიტი, იქნებ გვრიტია?
მას არ ჰგავს, არა,
არცა მერცხალს, სულ სხვა ჩიტია!
ვფიქრობ: ლამაზი.
მოფრენილა რომელი ციდან?
სიტურფით აღვსილს
მოვეფერო უცხო ჩიტს მინდა!
უცნობო ჩიტო,
მოფრენილო ატლასის ფარჩით.
მერცხალზე დიდო,
მერცხალზე კარგო,
დიდხანს აქ დარჩი!.

* * *

სიფხიზლე

მდორე მტკვრის სარკეს როცა ვუმზერ,
ჩამეძინება,
მაფხიზლებს კიდევ ბობოქარი
თერგის დინება,
სხვა არის გზაზე პრობლემები
როდესაც მხვდება,
ცხოვრება არის
მათთან დავა და შერკინება.
როცა მათ ვხვდები
არასოდეს შემეშინდება,
ვხარობ, თუ ბრძოლა გამარჯვებით
დაგვირგვინდება!

* * *

ადამიანი

Homo homini dues.*
Homo homini lupus est†

ადამიანი ბევრი ღმერთია
და ზოგი კიდევ მარლაცდა მგელი,
ამ სამყაროში ერთადერთია
ამოსაცნობად ყველაზე ძნელი!
მთელი პლანეტის არის მშვენება
და საზიზღარიც ძალა მგრეველი,

---

* ადამიანი ადამიანისთვის ღმერთია.
† ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

მხოლოდ მას ძალუძს შექმნა, შენება,
ერთადერთია ის ძმათა მკვლელიც...
სწამს სიყვარული და სათნოება,
რომ ვით ცხარე მზე, გვითბობს სიცოცხლეს,
მაგრამ ზოგში კი ბოროტი ვნება
ამსგავსებს იმას ხროვის მშიერ მგელს.
იანუსივით თითქოს ორთავად
გაჩენილია კაცობრიობა,
ბინადრობს ერთად კარგად თუ ავად
ქიშპი, ღალატი, ერთობა, ძმობა!
ბოროტთა ნდომა დღეს ვერ აბნელებს,
ის ვერ დასჯაბნის ნაღდ ადამიანს,
მჯობი იმისი სხვაც კი არსად ჩანს!

* * *

ხალხი

ადამიანთა ვხედავ ნაკადებს, –
აქეთ მოდიან, იქით მიდიან,
ამ ლარივით სწორ გამზირებზე
ქმნიან დიდ ტალღებს.
მე ჩემთვის ვამბობ:
ხალხი ბრძენი,
ხალხი დიდია,
ავი ძალა და სიკვდილი მას
ვერ დაამარცხებს!
მოედინება წარსულიდან
დროის თანმხლები,

მომავლის უცნობ ღრმა სივრცეში
სვლით, განახლებით.
დიდებულია თვით მპყრობელი
უკვდავებისა.
მან დაამშვენა დედამიწა
- ეს ჩვენი სახლი.
ჭეშმარიტია აზრი
ბრძენი ჩინელებისა:
„იქუხებს ქარი,
ამოსუნთქვით
ერთბაშად ხალხის!“.

* * *

სიმართლის რწმენა

როგორც ჰაერი,
სიცრუე მაკრავს.
ამდენ ცრუ აზრში
ჩემს ვექტორს ვკარგავ!
ტყუის ვინ ? - ამას
ვერც ვხვდები კარგად.
სიცრუის ტალღა
დაბორგავს მარდად.
ვეძებ სიმართლეს,
მას ფარავს ფარდა?
როგორც ჰაერი, სიცრუე მაკრავს,
გონებას მიბნევს,
როგორც მზის დაკვრა.

არა მწამს სხვა რამ,
სიმართლის გარდა!

* * *

ჯადოქრობა

მინდა ვისესხო
ძალა ზღაპრიდან,
ერთი რამ მინდა,
ბევრი არ მინდა,
რომ ადამიანს
ცოდვილს თავიდან
გავუქრო ყველა ბოროტი აზრი.
მის სულს რომ ღრღნის და,
ვით ტკიპა, აზის.
გავუქრო შური და
და სიძულვილი -
ჰა, უმაღლესი ჩემი სურვილი!
მაშინ გულიან და თავიანად
ვაქცევდი ყველას ადამიანად!
მე მინდა მქონდეს
უზომო ძალა,
ყოვლის შემძლე და
ზებუნებრივი,
მყავდეს კეთილთა დიდი ამალა,
რომ ბოროტებას
დავთხარო ძირი!
რომ შევაჩერო
ყველა ქმედება

ავი, უგნური
და დავამკვიდრო
მაგიერ წმინდა
ქცევები, მივცე გზა
კეთილ სურვილს!..
ბოროტების გზა, რაც გავიარეთ,
უკვე გვეყოფა,
ის უნდა გაქრეს,
რადგან სიკვდილს
სჯობს არსებობა!

* * *

თვისტომს

ვინა ხარ იცი? უნდა გაიგო:
იზრდები, ვით ხე,
დნები, ვით ცვილი...
ამ ქვეყანაზე სადაც არ იყო,
ხარ მისი ტოტი, მისი ნაწილი!
მის უკვდავებას შეერთვი, როგორც
წვიმის ნაჟური ერთვის მდინარეს.
შენ ინაწილებ, რაც იმას ერგო -
იმის ლხინსა და წუთებსა მწარეს!
როგორც აგური დიდსა სასახლეს,
მისი ცხოვრების წარმოქმნი კედლებს,
მის სიკარგეს და სიავეს ამხელ,
შეერთვი იმის იმედებს და ბედს!
კაცობრიობას შეერწყე ცეცხლით,

დიდი ალი ხარ თუ ნაპერწკალი,
მისი დიდების ხარ ერთი თესლი,
მისი დიდი გზის ხარ ერთი კვალი,
მარადისობის მცირე ნაწილი.
ვართ უკვდავების წყაროს წვეთები,
ვინც აღუზარდეთ ქვეყანას შვილი,
ვინც ვაზი დავრგეთ, ვაშენეთ გზები.
ადამიანო, შენ ხარ ლამპარი
და არა მტვერი, არა ატომი,
მომავლისკენ გზა შენი გზა არის,
სამყარო შენი ბინა - სადგომი!

* * *

მშენებლებს

თქვენ რომ არ იყოთ,
ამ ვრცელ სამყაროს
სხვა ვინ და როგორ
დაამშვენებდა?
პირამიდებსა და სვეტიცხოველს,
აბა, მაშინ ვინ ააშენებდა?

* * *

ბიძაჩემი

ვუძღვნი ნიკოლოზ გახარიას

იმიჯი ჰქონდა მართალი კაცის,
აღარასოდეს იტყოდა ტყუილს,
არ აკვირვებდა არავის ჩაცმით,
არ გაურბოდა ბოროტთან დუელს;
არ ესწრაფოდა ბრჭყვიალა ნივთებს,
არ იკარებდა ახლოსაც ხარბებს,
ეტანებოდა აზრმაღალ მითებს,
ზნეობის მაცნე ლეგენდებს, ზღაპრებს...
ჭამა-სმაშიაც ზომა იცოდა,
საჯა და ბაასი კი - აწონილი,
სხვისი ტკივილის ცეცხლით იწვოდა
და ახარებდა წყვილთა ქორწილი.
ნამუსს არასდროს აღარ გაცვლიდა
მილიარდობით დოლარებზედაც,
მის მწირ ქისას კი წამსვე დაცლიდა
როცა ხედავდა სხვის ჭირს და სევდას.
გულღია იყო და იყო სადა,
იცნობდნენ როგორც მიამიტს, მიმნდობს,
კოდექსი დიდი კაცობის სწამდა,
კარგი სახელიც ერგო მას ჯილდოდ!

* * *

უმაღლესი სიყვარული

ფული თუ გიყვარს
და ოქრო-ვერცხლი,
მონადაც გაქცევს
და ზნითაც შეგცვლის.
კარგი წესია,
თუ ხარ ჭკვიანი
და აზრიანი,
უკეთესია,
რომ გიყვარდეს
ადამიანი,
ეს სიყვარული
უმაღლესია!

* * *

მძლეველი

მთელ ქვეყანაზე დაიარება,
ბოროტი გასდევს ყველა დროს და გზას,
მისი გესლისგან ნაიარევმა
თვით კაცთა მოდგმის ბედი დანისლა.
იგი სხვა თვალით შეჰყურებს თვით მზეს
და ეფარება, რომ არ ანათოს,
როცა სიავეს მზაკვრულს ამზადებს,
ურცხვად ზეცასაც დახმარებას თხოვს.
მაგრამ თვალები მას უბნელდება
ყალბები, როგორც ბუტაფორია.
საწადელს მხოლოდ დროდადრო წვდება,

მოკლეა მისი ეიფორია!
ცდილობს სიკეთის ხე მაგრად დახრას,
მაგრამ თვით ითხრის ბოლოს სამარეს.
კეთილი ბოროტს ერევა, მარხავს,
ძალაუფლებას თვისას ამყარებს!

* * *

ბედთან შედავება

ო, ბედო ჩემო, სად არ მატარე?
ბევრი მტანჯე და ცოტა მახარე.
რას არ მაჯახე, არ გადამყარე,
მარგუნე წლები, ვით პანტა მწარე,
როგორც მდევარი, ყველგან - შინ, გარეთ
ხიფათი მახლდა აჩრდილის დარი,
თითქოსდა ბეწვის ხიდზე ვიარე,
ასე ქვეყანაც შემოვიარე.
იმედი იყო მკრთალი, ვით მთვარე,
გარჯა მიხსნიდა რწმენის დიდ კარებს!
სხვათა ტანჯვითაც ცრემლები ვღვარე,
მხნეობას მძენდა მშობელი მხარე,
იმედის შუქის მზე მოელვარე.
სიყვარულს, ვით გულს, თან დავატარებ,
არ ვეპუები სუსხსა და ნარებს,
ჩავეხუტები ჩემს არე-მარეს;
შენ მკაცრი შიშის არისხებ ზარებს,
ხვალ რას მიქადი, მითხარი ბარემ,
არ ვარ მორჩილი, რწმენას ვიფარებ,

შენთან ჭიდილსაც არ დავიზარებ,
მეცოტავება გზა, რაც ვიარე,
კიდევ მჭირდება, ვით დენთი ჯარებს,
არ ვუშინდები შენგან იარებს,
სამდურავს მაინც არ შეგაპარებ.
შიშსაც მე შენსას არ გავიკარებ,
მოდი, სიკეთის ძღვენით იჩქარე,
საჩუქრად წლები გადმომიყარე!

* * *

ჩვენი ტვირთი

ცხოვრება, ო, რთული რამ არის,
ნურვის ჰგონია გასეირნება,
ხან უხვად მზე გვათბობს,
ხან გვსუსხავს ზამთარი,
სიკეთე ხან შრება, ხან მოედინება.
ცხოვრება სიტკბოა და ძნელი გზებია,
გვერდს ვერ აუვლი
მის კანონმდებლობას,
ცხოვრება, გავიგოთ,
მოვალეობებია,
თან მძიმე ტვირთი და
პასუხისმგებლობა!

* * *

მებრძოლი პაციფისტი

მტერი მტერსა ვერას ავნებს,
რომე კაცი თავსა ივნებს.
რუსთაველი

გეტყვით, მრისხანე მტერი ვარ მტრობის,
ჭირივით მზარავს მდაბლური გრძნობა.
მე მინდა ვიყო ქომაგი ძმობის,
სუფევდეს ყველას კართან მშვიდობა!
შურის და ღვარძლის უაზრო სენით,
ვხედავ ქვეყანა არეულია,
ვით უკომპასოდ მცურავი გემი,
ადამიანი დაბნეულია.
გონიერება და ძალა სიბრძნის
ბევრს რომ ვერა გზით ვერ უპოვია,
თავისვე თავთან ის მედგრად იბრძვის,
თითქოს მომხდური კარს მოსდგომია.
უწინარესად ხიფათს, განსაცდელს
უმზადებს უხვად მის თავს საკუთარს,
როცა ცდუნებებს მავნეს ვერ უძლებს,
საფლავს რაც უთხრის, ის სწამს და უყვარს!
ბოღმა და შური სხვისი რომ ავსებს,
უცხოს თუ მოძმეს რომ უგებს მახეს,
გესლით რომ შხამავს მისსავე მსგავსებს,
კარგავს საღ აზრს და კარგავს მის სახეს.
მტრობისგან, აბა, ვინ რაღას იგებს?
მტრობამ ჰაერი ყველგან დაშხამა,

აბა, რას იძენს, ვინც მტრის როლს ირგებს,
სჭირს სიბრიყვე და ვერ ხვდება ამას!
პანდორას ყუთად ხდება ცხოვრება,
მტრობით ლაზათს და აზრს ჩრდილი ფარავს,
მტრობა რომ არა, სიამოვნება
იჩქეფებს ჩვენთან, ვით წვიმა, ღვარად!
მტრის ხატით ვჩანვართ ყველა ჩერჩეტად
და ცივილობა ჩვენი არად ღირს;
ვერ გაგვიგია, რომ თვით პლანეტა,
თავზე გვემხობა მტრობის აზარტით!
მომავალი გვაქვს მოცული ნისლით,
ნაყოფი მწარე ურთიერთობის -
ჩვენ მოვიმზადეთ აპოკალიფსი
ჩვენივე თავის და სხვების მტრობით!
ფუყე ნონსენსი უნდა მოისპოს,
ვამბობ, სასტიკი მტერი ვარ მტრობის,
ყოველგვარ მტრობას ვუცხადებ დიდ ომს
ვხდები მეომრად ყოვლად მშვიდობის!

* * *

ვინ ეძებს, ნეტავ, სიმართლეს?
ყველას სჭირდება ფულები.
სანამ ფულები ჩვენ გვმართავს,
ყველა ვართ დაკარგულები!

* * *

მოგონება

ცხოვრება იყო იდილიური -
მე ასე მახსოვს ჩემი ბავშვობა.
არ შემიქმნია მასზე დღიური,
ისეც მის მიმართ მაქვს თბილი გრძნობა.
იყო სიბნელე, დიდი ტკივილიც
და მაინც საღი ურთიერთობა;
იყო ქიშპიც და მადლიერებაც,
ყვავილთა გაშლა და ნელი ჭკნობა;
იყო ხალისიც, ცრემლიც, სიცილიც,
იყო გზა რთული, იყო მხნეობა.
იყო ავთ გმობა, ღირსეულთ ქება,
სევდანარევი კეთილდღეობაც.

* * *

ზედმეტი

ზედმეტი წონა, რბილი და ცხიმი,
ზედმეტი ფული, ჭარბი ქონება,
ვინც აიკიდა, მათი სიმძიმით
წელში წყდება და კარგავს გონებას.
ჭარბი უქმობა - საღათის ძილი,
ჭარბსიტყვაობა - ენის ქავილი,
ნაკლები აზრი, სიბრძნის მარცვალი
არ შვენის არვის, ვით ვირს ფარ-ხმალი;
ჭარბი წადილი და ხარბი გული
მხოლოდღა გვტანჯავს, ვით სხეულს წყლული.

თუნდ სიყვარული, ჭარბი გრძნობები,
ჭკუის დაკარგვა და გადარევა,
ვისაც დასჩემდა, ცხოვრობს გოდებით,
ერგო წამება, თავ-გზის აბნევა,
შორს ზედმეტისგან ! - რჩევაა ბრძენთა,
ჯერარს მოსმენა - მიდევნა ზნეთა!

* * *

მერკანტილიზმი

დღესაც აქ გვერდით ცხოვრობს მსუყედ
მერკანტილიზმი,
ფულით რომ ზომავს
ყოველივეს ამ ქვეყანაზე.
ადმიანთა იპყრობს სულებს
მისი თილისმით
და აცვლევინებს ფულში კაცთ ნამუსს,
დედ-მამას და წესს,
უკარგავს ორივ თვალში ნათელს,
ვით მშიერსა მხეცს,
გიჟს გაავებულს დაამსგავსებს
დინჯსა და ჭკვიანს,
როცა ძმაც ესვრის ძმას ფულისთვის
უწყალოდ ტყვიას;
არა ადათ–წესს ის ძირს უთხრის
თვით ადამიანს!

* * *

უკუღმა აზრი

,,მთავარი არის არ იყო შტერი,
არ დაგაყარონ ზედ თავზე მტვერი,
გყავდეს ჭკუაზე შენსაზე ერი,
აბა, რად გვინდა ჩვენ მეცნიერი,
თუ გვყავს დილერი და მენეჯერი?
წიგნები ბევრი, სიბრძნე ძლიერი -
ურგები არის ეს ყველაფერი,
როგორც ქვიშაზე ნაგები სკვერი,
ვით პურის ნაცვლად რომ გქონდეს ქერი.
ცხოვრება მიდის ცეკვა - სიმღერით,
თუკი გვყავს გვერდით ბროკერი სანდო;
თუნდაც არ გვყავდეს სულ მეცნიერი.
იყავით მშვიდად და არ იდარდოთ.
აი, გვტენიან აქ აზრსა ამას,
ვაი, ამ ყოფას, ვაი, ამ ჭამას!

* * *

ერეკებიან

ერეკებიან ჭავლები ღრუბლებს,
და მიამწყვდევენ მწვერვალებს, ვით ტყვეს;
ერეკებიან ტალღები ზღვის წყლებს
ნაპირებისკენ, ახეთქებენ კლდეს.
ერეკებიან ძრავები მუხტებს
გრძელ სადენებში ლივლივით, წყნარად,

როგორც თვით დროის ბორბალი წუთებს;
ერეკებიან ტირანნი ხალხებს
ვით მწყემსნი ფარას –
ჩუმთ, უტყვთ და მორჩილთ,
ვით ქარი ღრუბლებს, ვით მწყემსნი ნახირს!
უღელში გოდებს
მხცოვანი, ნორჩი.
და მდორედ ბრუნავს
ცხოვრების ჩარხი.
ერეკებიან ძლიერნი სუსტებს,
უძლურებს არსად მშველელი არ ჰყავს.
ძალა, რაც გაჩნდა, მოქმედებს, უტევს,
ძალა აღმართს ხნავს!

* * *

ბედის მძევალი

მე ბედმა ჩემმა სად არა მათრია,
სად არ ჩამაგდო, სად არ დამაგდო,
მასთან ბევრჯერაც მიკამათია,
რაც გამოვცადე, მასზე არ ვდარდობ.
არ ვეპუები არცერთ ცდუნებას,
გზას მამაპაპურს არ ვუღალატე,
ვენდე სიყვარულს და რუდუნებას,
სიცოცხლის ტკბობას გულში ვერ ვატევ.
დამინდო ბედმა და ის მაღირსა
ვუცქირო ამ მზეს, ლამაზ მინდორ–ველს,
ავიტან ყველა დიდ გასაჭირსაც,
მზერა მემკვიდრის, მოძმის მაცოცხლებს!

* * *

ქედს ვუხრი

ქედს ვუხრი, ვით კერპს
რიდით მე ყოველს:
მხვნელ-მთესველს და მკელს -
სტატუსით მშრომელს,
ვინც ჩარხავს, ღარავს,
კვალავს და ადნობს,
ვინც ჭრის და კერავს,
ვის საჭეს ვანდობთ;
ვინც უტევს ბნელეთს,
ვით ქარი ღრუბლებს,
ცოდნას გვინერგავს
თუ გვირჩენს წყლულებს...
ვადიდებ ყველას,
შრომაში დაღლილს,
ვინც გვასახელა
აზრის სიმაღლით!
მათ ვემიჯნები,
ვინც მშრომელს ქირდავს,
და უქმი წლებით
იწონებს მის თავს!
ქედს ვუხრი კრძალვით
მშრომელ კაცს და ქალს,
მჭედელთ მომავლის -
გმირს, რანგით მაშვრალს!

* * *

სოლიდარობა

ხშირად მესმის და
მრავალ ენაზე,
გულს ხვდება თაფლად
და ის ლაღად სცემს,
კაცი კაცს როცა
თბილად მიმართავს:
,,ძმაო“ და ამით
გულს უხსნის მართალს!
ეს ნიშანია, რომ არ დანდობა,
ავი ზრახვები
მას აღარ ახლავს,
კეთილი გრძნობა,
ჯანსაღი ნება,
მის ქცევას მართავს.
მე ეს შევატყვე
ბევრ უცხოსა
და ბევრს ჩვენს ქართველს,
როდესაც შევხვდი,
ვიგრძენი, თბილად
ის რომ მართმევს ხელს.
ადამიანთა ცქვიტი ალღო
აქაც არ ცდება,
აქ გამარჯვება ჩანს კეთილის,
ავი მარცხდება!

* * *

გავამარტივოთ!

ძნელია, როგორც
სწავლება რთული,
ცხოვრება ჩვენი
გადატვირთული,
გავიმარტივოთ
მიზანი, სწრაფვა,
ხარბი სურვილის
დავკეცოთ აფრა,
რომ ეს ცხოვრება
გაგვიხდეს მშვიდი
და მისი აზრი
გვატკბობდეს დიდი!

* * *

დედამიწელები

დედამიწის ბინადარნი
გაყოფილან მკვეთრად ორად,
ვით სფერო უზარმაზარი:
ერთნი ცხოვრობენ აქ სწორად,
ასე მოსდგამთ წესით, გვარით,
სხვანი – მრუდედ, გადახრილად,
მაინც სჯერათ, ვართო ტკბილად.
ერთნი დოვლათს გარჯით ქმნიან,

მუშა ფუტკრებს მათ ვამგვანებ,
სხვანი მხოლოდ ხვრეპენ, ღრღნიან,
ბეჰემოტივით შთანთქავენ!

* * *

მოჭიდავე

ვარ ფალავანი დიდ ხალიჩაზე,
სადაც გამოსვლა ყველას ვალად გვაქვს.
როგორც მეტოქე მარდად თან დამდევს
და თავსატეხი ყველგან ჩემს წინ დგას.
ხან გავიმარჯვებ, ხან მარცხი მზარავს,
თუკი ვერ გაჭრის ჩემი ფანდები,
ფარხმალი მხოლოდ მხდალმა დაჰყარა,
ამ ჭიდაობით მხოლოდ ვკაჟდები!

* * *

რიტორიკული კითხვა

გზას ჩაგვიხერგავს,
ვით ლოდთა გროვა,
წინ დაგვიდგება,
თითქოს მთებია,
გვეწვევა, როგორც
ზამთარში თოვა,
ცხოვრება სულაც
პრობლემებია!
იცილებ ერთს და

კვლავ სხვები ჩნდება,
ვით მთაზე თოვლის
ვეება ზვავი.
როგორ ვიცხოვრებთ,
თუკი იქნება
უპრობლემობა, ერთი ნეტავი?

* * *

რომ არა

ამას კი ვხვდები და დაჯერებით,
როცა ვივსები ჭეშმარიტებით,
ვით გულთმისანი ბრძნული აზრებით
და გლეხის ვაზი ქარვა-მტევნებით:
რომ არა მზერა ლამაზ სხეულთა,
კეთილ სახეთა გამორჩეულთა,
სმენა ჰანგების ტკბილის ბულბულთა,
სარწმუნო სიტყვის, რომ მიგვაქვს გულთან;
რომ არა სითბო ირგვლივ დაღვრილი,
ანგელოზივით ქალწულთ ღიმილის,
ბავშვთ ახალშობილთ მძაფრი ყვირილი,
სუფრა და გული უხვი მასპინძლის;
რომ არა რწმენა ადამიანის,
ხვალინდელი დღის კარგის, მზიანის,
და შემოდგომის ბარაქიანის,
ნდობა მოძმისა სანდომიანის, -
აბა, ეს ყოფა რა იქნებოდა
ცარიელ ჭურს ხომ ემსგავსებოდა,

სევდის ნაკადით აივსებოდა,
და არც არავის მოუნდებოდა!

* * *

Panem et circenzes*

,,გვინდა პური და სანახაობა,
სხვა არაფერი ჩვენ არ გვჭირდება !“-
გამოფენილი სამი თაობა
გაჰყვირის მძაფრად და აღარ ცხრება.
სხვა განზრახვა და სხვა საზრუნავი.
აღარ არსებობს ყოფის სხვა აზრი,
არ სურთ სხვა მიზნით დატვირთონ თავი,
სხვა რამე აფრთხობთ, ვით დანა ბასრი.
და შთამომავლებს ამ ძველი ბრბოსი
კვლავაც სწამთ წესი ეს არქაული:
ჭამა, გართობა - ჰა, დედაბოძი
მათი არსობის და აღსასრულის.
ეს უკეთური მემკვიდრეობა
სანამ ვატაროთ, ვით ავი სენი?
ბეჯითი შრომა, მერე გართობა -
ჰა, წესი სწორი, გზა გადარჩენის!

---

* ,, პური და სანახაობა !“- ძველი რომის ლუმპენ პროლეტარიატის სლოგანი.

* * *

მოერიდე

გაერიდე, რომ იცოდე,
აბა, ვის და რას?
როგორც ტყვიას,
როგორც ხანჯალს,
როგორც ცეცხლის ალს;
მრუდი აზრის და გაგების
მამაკაცს და ქალს.
მოელოდე იმათ მხრიდან
ჩანაფიქრებს ავს,
არ დანდობას, ღალატს, ტყუილს
მცოცავსა და მტკნარს.
შორს დაუდექ, განერიდე
უვიცსა და მხდალს,
მოერიდე არას გამგებ
მამაკაცს და ქალს!

* * *

ნამდვილი სიღატაკე

სარჩო გაკლია, ვერ
ოკდება კუჭის წყურვილი
ან კიდევ გტანჯავს სხვა მრავალი
ნდომა, სურვილი?
არ არის საფრთხე
უსაშველო, კატასტროფული,

გაანძრევ ტვინსა და ხელებსაც,
გექნება ფული.
იგი მოგიხსნის სიღატაკეს
გაგიჩენს იმედს,
რომ კარგად შეძლო თვით მართავდე
შენს თავსა და ბედს.
გაკლია ცოდნა და ჩამორჩი
დროსა და ტოლებს,
თავს ვერ აწონებ ვერც მეზობელს,
ვერცა საცოლეს
ან სიღატაკე ინტელექტის
თუ ტვირთად გაწევს,
ცხოვრების უღელს - შენთვის კუთვნილს
წინ ვეღარა სწევ?
გამოუვალი არც ესაა სიტუაცია,
მისაწვდომია ყველა ცოდნა,
ინფორმაცია,
გაირჯები და მეცნიერიც
იქნება გახდე,
აზრების სიღრმით შენს პრობლემებს
ყველას ბღვერს ადენ!
მაგრამ სულ სხვაა, თუ გაკლია
სინდის-ნამუსი,
გაკლია გრძნობა სიყვარულის,
სიკეთის, ძმობის -
აქ კი ვერ გშველის თავად სიბრძნე
ნოსტრადამუსის, -
აი, ვერდიქტი თვით ცხოვრების
კანონმდებლობის!

* * *

საზღვარი

ყველაფერსა აქვს საზღვარი,
აწესებს ვიღაც მკაცრ სამანს.
მინახავს ლხინში ჩამკვდარი,
გვაწყენს ზედმეტი სმა-ჭამაც;
მზის მხურვალება გვაცოცხლებს,
რუჯი ზედმეტი აღარ გვრგებს,
უფულოს გვიჭირს, ვით ობლებს,
ზედმეტი ფული გადაგვრევს;
სახელს, დიდებას ვესწრაფვით,
გვხიბლავს სტატუსი ქებულის,
საღ საზღვარს თუ კი გადავცდით,
გავხდებით მობეზრებული.
მიჯნა აქვს ქცევას მარჯვეს, მხნეს
თავმდაბლობასა და თმენას,
შეძახილებიც ახმობს ხეს,
სიტყვამრავლობა ვნებს სმენას;
საზღვარი სინათლესაც აქვს,
მეტი გვიქადის სიბრმავეს,
გზად ვინც სიჩქარეს არ იცავს,
გადაეყარა ხიფათს ბევრს.
სიყვარულიც კი უსაზღვრო
ყველას თავს დაგვაკარგვინებს,
საზღვარი არ აქვს სივრცეს, დროს
მათთან შეჯიბრი ყველას ვნებს...
ვინც ერთიც ის გადალახა,
მან ჭირი თავს დაიტეხა,

ან სარგებელი ვერ ნახა
უფსკრულში გადაიჩეხა.

* * *

საშიში გაუფასურება

პატიოსნებას თუ არ აქვს ფასი,
თუ ღვინოს ნაცვლად ძმარია თასში,
მაშინ ცხოვრება გახდება ფარსი,
დაიღუპება ქვეყანა ასე!

* * *

განა უცხონი ვართ ერთმანეთის,
ვით მგელი ცხვრისთვის.
ლაჩარი არის, ვინც გვიორგულებს,
მეგობარია კაცი კაცისთვის,
განა მოძულე!

* * *

ბაქია

ის აზნაურიც აღარ არის,
მაგრამ თავადობს,
გაშლილ სუფრაზე მაგარია,
კიდეც თამადობს.
საქმეს, როგორ ცეცხლს,
არ ეკარება,
უქმი ცხოვრება, როგორც მელა,
გაეპარება.

* * *

გაუხარელი

გაუხარელსა
რაც არ აკლია, ეს ჭირია,
სევდა, წუხილი,
სიავე ყველა თავს ატყდება
ჭექა-ქუხილით.
მისთვის მოიცლის,
თუკი რამე საწუხარია,
ამ ქვეყანაზე
ერთხელაც არ გაუხარია.
აკლია მხოლოდ სიხარული
ცხოვრებით ტკბობა,
ეს დანაკლისი ტანჯავს,
ვით ზვარს უამინდობა.

* * *

სიშიშვლე

ჩვენ ხომ არა ვართ ცხოველები -
ან შინაურნი, ან გარეულნი,
ან კიდევ ვიღაც ტვინნაღრძობნი,
გადარეულნი,
რომ გავაშიშვლოთ
სულ ბოლომდე ჩვენი სხეული.
წინაპართ რაც კი გვიკარნახეს,
დასაფარია,

სამოსელი ხომ ჩვენი მოდგმის
ზნე და ფარია?

* * *

მთავარი

ადამიანის რომ გაქვს სახე,
არა სხვა გვარის,
ენა და სმენა, აზრი კიდევ
თუნდ ჭკვიანური,
მაინც გკითხავენ
და ეს არის კიდეც მთავარი -
თუ გიდგას მკერდში
კერა სითბოს -
ადამიანურის?

* * *

პასუხი

Не оспариваи глупца! *
А. С. Пушкин

თავხედი როცა
მწარედ დაგგესლავს,
ვირისგან წიხლი
ნუ გეწყინება.
პასუხს ნუ გასცემ

---

* სულელს არასდროს არ შეეჭიდო!

ასეთ კაცს თუ ქალს,
პასუხი სწორი
ის იყოს იქნებ,
რომ უხეშს, უკმეხს
არ უპასუხებ.

* * *

უვარგისი

ადამიანთა ცხოვრების აზრს,
ვით ეკალს ვერ კრებს,
ვით ჩინურ ანბანს, ვეღარ იგებს
ხისტი და ხეპრე.
ადამიანურს აღარ იცნობს
უწმინდეს ვნებებს,
ის იმის გულში, ვით ყინულში,
ცეცხლი ვერ ჩნდება.
ადამიანურ გზას
ნათელს და სწორს
ჯიშით ვერ აგნებს,
და ემსგავსება გაშლილ ზღვაში
უკომპასო გემს.
ადამიანურს ვეღარ გუობს
წესებს გაგრია,
ვაკხანალიამ მიტომ ქვეყნის
ფუძე ანგრია.
სიბრძნეა ეს თვით ცხოვრებისა
წვეთ-წვეთ ნაჟური,

უვარგისია, რაც არაა
ადამიანური!

* * *

ზარმაცი

ყოვლის მცოდნედაც
თავი რომ მოაქვს,
როგორც გენიოსს,
ის კი არ იცის, სიზარმაცე
მძიმე სენია.
საქმეს უცქერის,
როგორც ვერაგ მტრებს,
ვერ გაუგია, უქმად ყოფნა
რომ კაცს აშტერებს!

* * *

სატანჯველი

ამდენი ბედკრული
გაჩენის დღიდან
ყოველი გზიდან,
ყოველი მხრიდან ?..
მტანჯავს ამდენი
ბიწი და ხინჯი,
მზარავს სამყარო
ასე მახინჯი!
ბავშვივით ოცნებად

ვარ გადაქცეული,
ვიხილო სიბილწე
სულ ერთად ძლეული!

* * *

უკუღმა

ჯერ აკეთებენ, მერე ფიქრობენ
უაზრობათა სახლის მდგმურები,
ცარიელი მათი თავები,
როგორც რთველის წინ გლეხის ჭურები.
აღარ უწყიან, თუ რას სჩადიან
ჭკუით ღარიბნი, უბედურები.
შედეგზე რომ არ დაფიქრდებიან
უაზრობათა სახლის მდგმურები,
იმკიან იმას, რაც აღარა სურთ,
არცა სჭირდებათ იმათ სრულებით.
ამ ცხოვრებიდან ბოლოს მიდიან
გაძევებით და გაპანღურებით.

* * *

უარყოფა

როდესაც ბევრი ლაღობს, ნებივრობს,
ბევრი მეტროში დადის, მათხოვრობს,
ყინვაში ბევრს კი ტანთ არ აცვია,
ვერ ვგუობ ასეთ ცივილიზაციას!
სუფრაზე როცა ბევრს კერძი არ აქვს,

წლიდან წლამდე კი თავი ძლივს გააქვს,
ითმენენ ძარცვას და ტაციობას,
მე ვკიცხავ ასეთ კაცობრიობას!
თუ შრომას ფასი აქვს დავარდნილი,
უკუღმა ბრუნავს დროის წისქვილი,
უსამართლობის სუფევს დროება,
არა ვცნობ ასეთ საზოგადოებას!
თუ ამბობენ ერთს, სხვას კი სჩადიან,
ქვეყნად ამაყად ავნი დადიან,
ტყუილს გვტენიან ისე, ვით მართალს,
ვერ ვეგუები ასეთ სამართალს!.

* * *

დაუძლეველი

კაცი გაჩნდება და დაბერდება,
ქრება თითქოსდა წყალი აორთქლდეს.
მაგრამ სიცოცხლე ისევ გრძელდება,
მარადიული არის სიცოცხლე!
ვით გაზაფხული, ველს მწვანეს მოჰფენს,
ცივ ზამთარსა ცვლის მზის მხურვალება,
სიცოცხლე მოაქვთ ახალ თაობებს,
დაუძლევლობაც და უკვდავებაც.

* * *

ქარაგმა

ჩვენ ვართ ცხენები
ეტლის და დოღის,
დავალთ ჭენებით,
სავსე ვართ ბოღმით.
ტვირთი არ გვტოვებს,
ვით ნაჯახს ტარი,
ჩვენი ბედია
ურჩი მხედარი.
ვართ მისი ცხენი -
უტყვი, გამგონი,
ასე გაჩენილთ
გვხედნის პატრონი!
ეჰე, სადაა აქ გახარება,
ზოგი ცხენია,
ზოგი მეეტლე.
რა სამართალი,
რა სახარება,
როცა ჭინკა ყრის
ჩვენს გზებზე ეკლებს!

* * *

ბალანსი

გაგვივლია რაც
უქმად, უაზროდ,
ის დრო აკლდება

წლებსა ჩვენს კუთვნილს,
ნამდვილ ცხოვრებად
გვეთვლება მარტო
წლები შრომისა,
ვშრომობდით თუკი!

* * *

ეგზოტიკა

აქ ვივარცხნიდი

ლურჯ წყალში ქოჩორს,
სარკის ლაპლაპით
ელავდა ღელე,
და ზიმზიმებდა
იების ფოჩი,
წყალში იფნები
იბანდნენ ხელებს.
იდგა მურყანი
ნამტირალევი,
ფესვებს უბანდა
ჩანჩქერი თელებს,
მოჩანდა ცა, ვით
ლურჯი თვალები.

* * *

წერილები

მზე სხივებსა მფენს, თუ არის თოვა,

როგორც ჟღურტულით ცელქი ჩიტები,

თითქოს იციან, რომ მე მარტო ვარ,
მოფრინდებიან აქ წერილები
მათი ვინც მწამს და ვინც ძლიერ მიყვარს;
დამიოკებენ სამადლოდ წყურვილს,
მათგან ალერსის სიტყვები ცვივა,
მათგან სულს ხვდება კოცნის ალმური.
ხან კი შეხსნიან ოცნების კარებს,
წუხელ ნახული სიზმრის მინამგვანს,
ხან რომ ვუცქერი მათ მძიმე პწკარებს,
ცრემლის წვეთები თვალებს მინამავს...
ჰა, დასტა მათი - თეთრიც, ცისფერიც,
თითქოს მოაქვთ ხმა ღრმა გულისძგერის
და მეცა ვხდები, რომ არა ვარ მარტო,
მყავს მეგობარი, ძმა, გულის სატრფო..

* * *

პარაზიტი

ბევრში უტიფრად ზის პარაზიტი,
ჯანსაღ სულსა და მიზანს რომ ებრძვის,
თავს მოგაჩვენებს, ვით მიამიტი,
სხვისი ნაჯაფი სურს ჭამოს კერძი.
და ეჭვის თვალით უცქერს მყოობადს,
ფიქრობს: ქვეყანა მე თუ მეყოფა?

* * *

შავო მერცხალო!

როგორც ნაბადი, ცამ გადაიძრო
შემოპარული ღრუბლების ბინდი,

ქვეყანამ იგრძნო ზღვა სიხარული,
დილა გათენდა ლამაზი, მშვიდი.
იმედი გაჩნდა, განელდა სევდა,
ნიაღვრით თვრება მიწაც აყალო,
შენი ჭიკჭიკი სიბნელეს ხევდა,
შავო მერცხალო!

* * *

სიძულვილი

დაუხრია გული, სული,
როგორც ჭიას, როგორც რთვილს,
მოუსპია სიხარული
კაცისათვის სიძულვილს.
არ ასვენებს საზარელი
ალი დაუნდობლობის
და ვერაგი როგორც გველი
სიკეთესთან ომობს ის.
ამ სენს ძველს და სულთამხუთავს,
ვინც კი დაემონება,
ის იწამლავს მის საკუთარ
სხეულსა და გონებას.
მოერიე სიძულვილს,
თუ გსურს დატკბე ცხოვრებით,
გადაურჩი მის ტკივილს
სიკეთისკენ სწორებით!

* * *

გამარჯვებული

როგორც დღის ნათელს,
ველტვი სიმართლეს,
და აზრს კაშკაშას
შევძახებ ,,ვაშაას“!
ეს ასე მოსდგამს
ადამის მოდგმას:
სიმართლეს მხოლოდ,
აქვს კარგი ბოლო!
ქვეყნის წინაშე,
ვინც არ აშავებს,
თავს არ გვაძულებს,
ნათქვამს ამართლებს,
ვინც არა ტყუის,
ის იგებს ჭკუით.
კაცი მართალი,
გულით ალალით,
წინაშე ბედის,
მამის და დედის,
მეგობართ, ძმათა,
მოყვასთა, დათა,
იმარჯვებს ბოლოს
მხოლოდ და მხოლოდ

* * *

ვითომ ?

ზოგთ ვითომ უყვართ და აღარც უყვართ,
ვითომ ცდილობენ და არც ცდილობენ,

ვითომ სწამთ რაღაც, არაფერი სწამთ,
ერთს ფიქრობენ და სულ სხვას ამბობენ,
მარჯვნივ გზაა და მარცხნივ მიდიან...
ო, ეს ქვეყანა რა რიგ დიდია!

* * *

გაჯგიმული

მოულოდნელმა ააგდო ტალღამ,
და ის აღმოჩნდა სადღაც სულ მაღლა.
არ აქვს სტატუსის დარი ღირსება,
რა ქნას, არც იცის და იჯგიმება.
თითქოს მისია ეს მთა და ბარი
და მისკენ მოჩქეფდეს ბარაქა ღვარად.
მოვა დრო, იგრძნობს ქედით და თხემით,
რომ გაჯგიმულთა დაყვინთავს გემი!

* * *

ნერვიულობა

ნერვებს ითხრის ისიც, ვისაც
აღარა აქვს ლუკმა-პური,
აღარ უდგას სახლი კარით
და ცხოვრებას ძნელს ემდურის.
ნერვიულობს ის მდიდარიც,
მილიარდს რომ ვეღარ ქაჩავს,
ვერ შეაღო მან იქ კარი,
,,ფორბსის “ სტატუსს იქით დარჩა...
ყველგან თუა ნერვთა გლეჯა,

მაშ, სადღაა სიხარული,
თუ ვერ ასცდა ყველას ტანჯვა
თვით ნერვებში ჩამარხული?
რა გავიგო, რა ჯობია
ან სიმდიდრე რა ჰობია?

* * *

სისუფთავე

ოი, რამდენი ჭუჭყია ირგვლივ,
მაინც არსებობს რაღაცა წმინდა;
ბინძური ვეღარ დაიდგამს გვირგვინს,
ნაგვის გორები რადგან არ გვინდა!
გაიწი ტურტლო, გაიწი იქით,
აქ აზრი წმინდა უნდა დაგუბდეს;
ნუ მოგვცხე ლაქა, არ გვინდა ჩირქი,
ვეძებთ სიწმინდის ჩვენ ნავსაყუდელს.
შორს სიბინძურე ეზოს და მხარის,
შორს სიბინძურე მიზნის და საქმის!
დაქროლებს მათი დამგველი ქარი,
ვით მღვრიე ღრუბელს ალაგმავს, აქნის!
შორს სიბინძურე ტყეში და ველად
მოედოს სივრცეს სიწმინდის ტალღა,
უწმინდურება ვერ გადათელავს,
სიწმინდის აფრებს, თუ ავწევთ მაღლა!
ოი, რამდენი ჭუჭყია ირგვლივ,
მაინც ბევრი რამ არსებობს წმინდა,

ვეღარ დაიდგამს სიავე გვირგვინს,
რადგან სიწმინდე ბევრს გვწამს და გვინდა!

* * *

მომხმარებელი

უყვარს ქეიფი, უყვარს გართობა,
შრომის სურვილი არ ეკარება.
მისი ჰობია ძილი და ტკბობა,
ასე ცხოვრება გაეპარება.
ვინც სწორად ზომავს და სწორად ითვლის,
თქვა დაჯერებით, ნათლად და მყარად:
მოხმარებაა ცხოვრებისათვის
მოხმარებისთვის ცხოვრება - არა!

* * *

ვირტუალობა

ცხოვრება ყველას ხვდა საამური,
სიამოვნების დგას აქ ალმური.
არ არის არსად დარდი, ტკივილი,
არც კიდევ მტანჯველ სენზე ჩივილი.
აღარ ჩანს ავის მსურველ-მზრახველი,
გამქრალა ორთქლად მათი სახელიც.
ვით გაზაფხულის მყიფე ყინვები,
დრო ტოვებს სივრცეს ნელი დინებით.
ვერ ნახავ არსად აქ ტაციობას,
მოხვეჭას, ყვლეფას და მაფიობას.

არა დგას შოვნის ჯიბრში არავინ,
მტკიცეა მაინც ყველას კარავი!
ფულის კერპობა ისე გამქრალა,
რომ არ აქვს იმას, რაც ჰქონდა ძალა.
სუფევს სულ ყველგან შრომა თანხმობით,
სიყვარულით და ერთობით, ძმობით.
არ ჩანს მდიდართა მკვახე დიქტატი,
ყველგან ხვდებიან ერთმანეთს ტაქტით.
ქედმაღლობანი უხეშ გამგეთა
შეცვალა სტილმა რბილმა გამგებთა;
წარსულს ჩაბარდა ომი და ქიშპი,
ბრძოლა კალმითა, ენით და ხიშტით.
ბრწყინავს სიმართლე და სამართალი,
ვით ვარსკვლავები და ცეცხლის ალი.
ივსება ხვავით ყანები, ზვარი,
ახალი ხანის ელავს ცისკარი.
არის სამყარო, როგორც ედემი,
ბედნიერების მცურავი გემი!
აქ ახდენილი ოცნება ხალხის
ერთვის პროგრესის ახალ მძლავრ ძახილს!

* * *

ანტითეზა

დავა, კამათი და გარჩევები
ახლავს ცხოვრებას, ვით სხვა ჩვევები.
თუკი სადავო გამოგველევა,
ცხოვრება მდორე ტბადაც გვექცევა?
თუ ყველა ჩაწვდა ჭეშმარიტებას,

კაცობრიობა იგრძნობს კი შვებას?
ვიქნებით ბრძოლის უარმყოფლები,
ვით დავამთავრებთ საქმეს მოგებით?
თუკი იქნება ყველასგან ნდობა,
ნაღდი კაცობა, ნადი ქალობა,
თანხმობა ყველგან, არა კინკლავი,
ვით გავარჩიოთ კარგი და ავი?
არ იარსებებს თუკი ბომბები,
არც ზარბაზნები და არც თოფები,
ნამგლით, ტრაქტორით ვის დავაშინებთ,
თუ არა შიში, ხომ სულ ვიძინებთ?
თუ არა ტანჯვა, ჩაგრულთა დარდი,
განცხრომას ჩვენსას ექნება ყადრი?..
ეს გაგება და ეს ანტითეზა,
იპყრობს კვლავ ბევრის გონებას დღესაც!

* * *

გაცვლა

გაცვალო ღვინო ფულზე კარგია,
ფულის ნივთებზე გაცვლა წესია,
ცხოვრება მოწმობს გაცვლა მარგია,
გაცვლა ძარცვაზე უკეთესია!
გაცვლა ხიდია, ადამიანთა
და ხალხთა კავშირს რომ სძენს სიმაგრეს,
გაცვლა გაჩნდა და წამს წარიმართა
ყოფა სხვა წესით, ვით იყო ადრე.
მაგრამ გაცვალო ნამუსი ფულზე,

ღირსება ნივთზე - საზარელია,
ცხოვრების დიდ წესს ის უნგრევს ფუძეს,
ასეთი გაცვლა დამღუპველია!

* * *

შთამომავლობა

ჩვენთვის ვინც დიდზე უდიდესია,
უსაყვარლესი, უწმინდესია, ყველა მიზანზე უმაღლესია,
ყველა იმედზე უმთავრესია,
ვისი თვალები უნაზესია,
ვისი ღიმილი უთბილესია,
ვისი ალერსი უტკბილესია,
ოცნება ლაღზე ულაღესია,
გრძნობა უმანკო, უღირსესია,
ნატვრები კიდევ უნატრესია,
სიტყვების აზრი უმართლესია,
კითხვები რთულზე ურთულესია,
და ვერდიქტი კი უმკაცრესია;
ვინაც სიცოცხლის ნაღდი ფესვია,
ვისითაც ქვეყნის ვალში არ ვრჩებით
ვისთვის ვარსებობთ, წვეთ –წვეთ დავშრებით,
ჩვენი მსგავსები, ჩვენი არსები -
ეს კოჰორტაა ჩვენი ბავშვების!

* * *

ცელქობა

დაბლობიდან აღმართისკენ
ქვების ჯერი მისროლია,
ავკრობივარ, როგორც შვილი,
სოფლის თავზე ხეს გოლიათს;
დავარდნილა სკვინჩა ხიდან
ქვებით თავგადატეხილი;
მიძებნია წიფლის თხილი
და კაკალი გატეხილი;
ჩატეხილი ყინულიდან
ხელი წყალში ჩამიყვია
გაკვირვებულთ ასე უთქვამთ:
ჭკვიანია თუ ბრიყვია;
ბრიყვიაო უთქვამთ, როცა
მინდვრად ცეცხლი დამინთია,
გადავმხტარვარ ალზე მარდად
და სხეულიც გამითბია.
გამითბია ზურგი მზეზე,
ველზე დაღმა გაწოლითა,
ავპარულვარ ბერმუხაზე,
ქარს რომ ებრძვის ას წლობითა.
ას წლობითა მდგარი მუხის
ტოტზე ფეხი დამდგია,
დამინახავს ქორის ბუდე
ამიჩეჩავს, ჩამიგდია.
ბარტყები კი მჭლე, პირღია
მერცხლის, როგორც ვარდის კონა,
მოწიწებით ამიღია.

ამიღია ბადე ხელში
ავყოლივარ გაშლილ ჭალებს,
კენისქურის* ნარნარ ხმაზე
სიმღერებიც შევისწავლე.
შემასწავლეს ცაში ფრენა
მტრედებმა და ტოროლებმა,
მე იქ ღრუბლებს ვსერავდი და
არწივებთან მქონდა შებმა,
ბრძოლა გორდა ფარ-ხანჯლითა
ჩემთვის იყო სიხარული.
ოცნებები ფართო მქონდა,
როგორც ბებოს ზღაპრის სული;
ზღაპრის სული მკერდში მედგა
ჩემი ფიქრი სად არ ქროდა,
ხმალაობას ვთამაშობდი,
რიკტაფელა არ მინდოდა;
არ მომწონდა მარწყვის მძივი,
მივახლიდი ხოლმე მიწას
მიჭერია მე მზის სხივი,
მისგან მძივი ამიკინძავს.
ამიკინძავს ვარსკვლავები
და ნაძვის ხე შემიმკია,
საახალწლო სიხარული,
აი, მართლაც ამას ქვია!
ამას ქვია, ჰო , ბავშვობა,
მე მიყვარდა მზე და ჩრდილიც,
ჩემი სოფლის ტყე და ველი,
ვით დედის რძე იყო ტკბილი!
მაგონდება ეს დრო ახლა

და რომ უთქვამთ სიტყვა წყნარი:
კარგიაო, გიჟ მოზვრიდან,
თუ დადგება მარჯვე ხარი!

* * *

ზღვასთან

ზღვაო, ვეწვიე შენს ნაპირებს
და სალამს გიძღვნი!
შენთან შეხვედრა მახალისებს,
ვით ძმასთან ღვიძლის!
აქაფებულო, ფართო მკერდით
ქარტეხილს ხვდები,
ზღვაო, ხან მშვიდი, უწყინარი
ხან რად რისხდები?
მე შენი შფოთვის მეშინია
მსურს იყო მდორედ,
შენ ნაპირს ბორგვით მიახეთქებ
ტალღების ტორებს;
მე მაშინ შენგან ვფიქრობ
სადმე შორს, შორს გაქცევას,
მაგრამ შენს ტალღებს რომ ვუყურებ,
ვიცვლი მეც ქცევას.
ზღვაო, მე შენი მომზირალი
აწ შვებას ვპოვებ,
შენში რაღაცას ეძებს სული
და მიტომ მოველ.
შენს შფოთვას, რისხვას მე ვუცქერი

შემკრთალი თვალით.
მაინც მწამს, სიბრტყეს შენსას ვნახავ
სარკის პრიალით.
გაივლის ჟამი, ქარიშხალი
ჩადგება მძლავრი,
თითქოს შეკრესო ერთურთს შორის
ტალღებმა ზავი.
თითქოს დასრულდა შემზარავი,
მძიმე სიზმარი,
ზღვაო, ოცნება ამიხდა და
გიხილე წყნარი!
აჰა, ჩანს ბოლო, შენი ბრძოლის
დარაჯიც მე ვარ,
ზღვაო, მიცანი ღელვის შემდეგ
შენთან ეს მე ვარ!
ჰე, უცნაურო, როგორ მხიბლავს
მე შენი მკერდი,
მის დამშვიდებას ასე უმალ
ვერც ვიფიქრებდი!
ჰა, ოქროს სხივით მოგიქარგავს
შენ ზედაპირი,
ჩემთვის ზღაპრული სავანეა
შენი ნაპირი!
ზღვაო, ეს მე ვარ, წრფელი გულით
კვლავ გესალმები,
შიში გამივლის
აქ ალერსით შენი პალმების.
ეს მე ვარ, ზღვაო,
რომ შევიძლებ

შენს დაფასებას,
აღმოვაჩინე უცნაური შენი მსგავსება
იმ ნორჩის გულთან,
ვისი ნახვა ასე მწადია
და ვისი ფასი სხვა ამ ქვეყანად
არ მაბადია!
ზღვაო, უსაზღვროვ და უძიროვ,
ზღვაო მშფოთვარევ,
მე ერთ ნორჩ გოგოს,
გიჟმაჟ გოგოს შენ შეგადარე.
ის ასე იყო
პირველად რომ არ მიმიკარა,
შენებრ განრისხდა და ღრუბლები
შემომაყარა.
უცებ დამშვიდდა, ღიმილითაც
კი შეიმოსა,
მე ვდარდობ ახლა დარჩენილი
იმისგან შორსა.
ზღაო, ეს მე ვარ, იმ ნორჩის გულს
რომ მომაგონებ,
დაგიახლოვდი მიტომაც შენ
და ვეღარ გტოვებ!

* * *

მე სიყვარული მინდა

მე სილამაზე მიყვარს,
ზეცა მზით მოქარგული,

მართალი კაცის სიტყვა
ძლიერ ხმამაღლა თქმული.
ვხარობ, რომ ხვდება ყამირს
სიცოცხლის დიდი თესლი,
მიყვარს სინათლის ჭაღი,
ვინ ვარ? - სიმართლის მწყემსი!
მსურს ამირანი ვიყო,
ვეღარ მიძლებდეს ჯაჭვი,
ვინც დგას სიმართლის მიღმა,
იმათ უკლებლივ დავსჯი.
მე სილამაზე მიყვარს,
მიძგერს ამაყი გული,
მიყვარს ალალი სიტყვა
ძლიერ ხმამაღლა თქმული!
მიყვარს ყანა, რაც გვკვებავს,
ჩიტი, რომელიც გვართობს,
თოვლი, რომელიც დნება
და მზე, რომელიც გვათბობს,
დილა, რომ ნამი გვარგო,
სილაღე მას რომ შვენის,
ადამიანო კარგო,
მიყვარს მე მოდგმა შენი!
წყევლა მას, ვინაც ფლიდობს,
მაქვს რწმენა შენი ერთის,
შენ შემოქმედო დიდო,
მშობელო ხალხო გეტრფი!
გულში, ვით წყარო წმინდა,
დამაქვს სიკეთის სული,

მე სიყვარული მინდა,
რამდენსაც შეძლებს გული.

* * *

ნამდვილი და არანამდვილი

როგორ გგონიათ, მკერდში ყველას
მართლა გული აქვს,
უდგას საქაჩი სისხლის მძლავრი
რაღაც მოტორი,
რომ ეძახიან კაცსა ნაღდს და
ნამდვილს, გულიანს,
მივხვდი ბოლოს, რომ სულ ცოტაა
იგი ჩვენს შორის.
ადამიანის სახელი კი მას
ჰქვია მართლაც,
ნამდვილის, არა ნათხოვარი,
სუროგატისა,
თვით ბედისაგან ეს თვისება
რომ დაენათლა,
რაც ყველას უხვად თვით ბუნებამ
აღარ აღირსა.
სხვის დარდს და წუხილს ის განიცდის
როგორც საკუთარს,
ლუკმას დაიკლებს და დაუთმობს
მშიერს და მწყურვალს
სხვისი ტკივილი, ვით თავისი,
მას ძლიერ ტკივა
ამ ქვეყნად სხვისი ჭირისაგან

აქვს დიდი ურვა.
სისხლსაც გაიღებს უყოყმანოდ,
სხვა რომ გადარჩეს,
წყალში ჩახტება, არ იფიქრებს
და თავს გასწირავს,
ტოვებს ზოგჯერაც შვილს
უნატრესს ობლად,
სხვის სარჩენს,
უკან არ იხევს, სიკეთე თუ
უჯდება ძვირად.
ის არ ჰგავს იმათ, ჩაკეტილად
სულ რომ უვლიათ.
ქებათა ქება კაცს ნაღდს, კეთილს -
ნამდვილს, გულიანს!

* * *

უმუშევარი

ქვეყანა როცა სულ მთლად გაბაზრდა,
დარჩა უსაქმოდ, არ ჰქონდა თეთრიც
კაცს მუყაითსა და ახალგაზრდას,
დარდი ახრჩობდა სასოწარკვეთილს.
სად არ იარა არ ზოგა ძალა,
ეძებდა საქმეს მოწყურებული,
უქმობამ იგი ძლიერ დაღალა,
უფუნქციობით უწუხდა გული.
შრომის ბირჟები ხვდებოდა ცივად,
კომპანიები მკვახე უარით,
აბა, ვინ ეძებს, თუ ვის რა ტკივა,

ქუჩაც, მთავრობაც გულგრილი არის.
დათრგუნული და იმედგამქრალი,
ამ ყოფით იყო გულდაწყვეტილი,
ზედმეტად რომ ცნო ამ ქვეყნად თავი,
დაუსვა ყოფნას ამგვარს წერტილი...
ამ დროს ცხოვრება, ვით ქარავანი,
მიდის წესებით კვლავ უცნაურით,
გაქაფულია სადღაც მავანი
ვინ ჯაფით, ვინაც ფულებში ცურვით...
ეს ტრაგედია ყველა ამათი
იმ წყობაში ძევს ბოლოს და ბოლოს,
რომ აღარ ძალუძს შრომა, დოვლათი
ყველას სამყოფად გაუნაწილოს!

* * *

კონტრასტები

ვაჟასნაირად

სწორი გზით ვინაც იარა,
ქვეყნები შემოიარა,
მრუდი გზა ვინაც ირჩია,
იგი უფსკრულის ძირშია;
სიმართლით ვინაც იარა,
არ მიეკარა იარა;
სიყალბე ვინც აირჩია,
ის მუდამ გასაჭირშია;
სიყვარულით ვინც იარა,

ცხოვრებას ტკბილს ეზიარა,
ღვარძლი კი ვინც აირჩია,
სულ შხამი უდგას პირშია.

* * *

კმარა, დამთავრდეს!

უსასრულოს აქ ირგვლივ რას ვხედავთ,
სრულდება წლები და საუკუნე,
მოგონებები გარდასულ დღეთა
შეუერთდება უცნობ უკუნეთს.
მთავრდება ყველა ძვირფასი გაძი,
ბარდება წარსულს რამაც დაგვღალა,
სასრული არის სიმაღლე ანძის,
ყველა მზაკვრული თუ სათნო ძალა....
კმარა ცდუნება ოქროს ბრჭვიალით
და უსულგულო საგანთ ტყვეობა,
ბევრს რომ ჩაუქრო სინათლე თვალის,
რითაც გულებში ჩადგა ყინული,
მგლური მადა და გაუმაძღრობა,
ცივ ნივთებში ღრმად ჩამძვრალი სული
ასცდა ცხოვრების გემოთი ტკბობას.
გონის ამრევი მილიარდები
ვერ დააოკებს უძღებთ არმიას,
ვით წყალს დამჭკნარი გირლიანდები,
დროს ელვარება მათი თან მიაქვს.
ზედნიერება სიმდიდრისაგან,
ვინ გაიგონა, ვისთან, სად არის,
ბევრსაც გაუჩნდა, შეხედეთ მისგან

გულში უქრობი ჟინის ხანძარი.
ზოგსაც კი ტანჯავს ცრუ აბსურდების
ავად შეყრილი მელანქოლია,
სულის მპყრობელი წადილთ ხუნდებიც
თვით სამარემდე რომ გაჰყოლია.
კმარა ურგები ნივთების გროვა,
უძღებთ, ვით სვავთა, მათზე ოცნება,
ტვირთთა აკიდოდ, უქმად რომ გორავს,
პრესტიჟის ალმად მკვდარი ქონება!
დამთავრდეს გვიჯობს მავნე სიხარბე,
ჩვენ არც თუ ისე ბევრი გვჭირდება,
რაც ნამდვილად გვვნებს და არას გვარგებს,
უარი იმ უქმ ავლა–დიდებას!

* * *

აბსურდები

რთ დროს სიზიფი* გორაკიდან
ქვებს აგორებდა,
ამოიტანდა, შემდეგ კვლავაც
იმეორებდა.
აბსურდის ცხადი მაგალითი
ეს ყველამ იცის,
მაგრამ მე ვნახე სხვა მრავალი
მსგავსი იმისი.

---

*ბერძნული მითოლოგიიდან კაცი, რომელიც დაუსრულებელ, უნაყოფო მძიმე შრომას ეწეოდა. აქედანაა გამოთქმა: ,, სიზიფის შრომა“.

ჩვენ ცხოვრებაში აბსურდების
ვამრავლებთ წყებას,
წელში რომ გაგვწყვეტს,
ვეტანებით იმდენ ქონებას;
ვახვავებთ ზედმეტ ნივთებს,
ვერ ვგრძნობთ სიკეთეს მათგან,
მათზე ფიქრი და სატკივარი
გვქანცავს და გვთანგავს.
ან კიდევ, როგორც ფუტკარი თაფლს,
ვესწრაფით ძალას,
უფლებებსაც, რომ განვაგებდეთ
ხალხს და ამალას...
ოი, ქანცს გვილევს თავსატეხი
და საზრუნავი,
სიკეთესა კი სხვისი ჩაგვრით
ვერ ფლობს ვერავინ.
ვით ვარსკვლავებით ნათელი ცის
სავსეა კიდე,
აბსურდთა გროვა, ცხოვრებას წინ
შფოთიანს გვიდებს.
როცა მიდის ის სწორი გზიდან
მრუდედ, გადახრით,
თითქოსდა სულაც უწყინარი
გვაშინებს საფრთხით.
აბსურდებისგან თავის დახსნა
ვინ თქვა ადვილი,
როცა ისინი ხდება ყოფის
მძიმე ნაწილი.

* * *

ყოფაჭამია

ეკონომიკა გამძვინვარდა
გარეთ და შინაც,
ცხოვრების კუთხე –კუნჭულებში
დაიდო ბინა,
მან უფსკრულივით შთანთქა სათნო
წესი და ჩვევა,
ქრება, ბაზარი რასაც არ ცნობს,
ვეღარ ეჩვევა.
განდევნილია ყველა წმინდა
ფასეულობა,
პატივში არის მოგება
და სავსე ყულაბა,
დავიწყებული სადღაცა თვლემს
დღეს ტრადიციაც,
ბატონობს ბანკი, ბიზნეს–ბოსი
და კომერცია...
ეკონომიკა თუ ჭამს ყოფას,
როგორც ცხვრებს მგლები,
ჩვენც შეჭმულები აღმოვჩნდებით,
როგორც ხინკლები.

* * *

პარადოქსები

ხალხო დიადო, იმით ვოცდები,
რომ გყავს ამდენი გენიოსები
და მაინც თან გდევს ეს საოცრები –

შოკის მომგვრელი პარადოქსები!
,,სიგარეტი კლავს! “–
დაჯერებით გვეუბნებიან
მას კი, ვით ნუგბარს, გაღიმებით
ხელებში გვჩრიან;
ბევრ რამეს ჩვენთვის, რაც კი არის
ფარული მკვლელი,,
ჩვენ ვექაჩებით ჩვენკენ მარდად
ორივე ხელით;
ვიცით, რომ მოკლე ფეხები აქვს
ყველა მტკნარ ტყუილს,
მაინც ხშირადაც, ვით სიმართლის,
გვჯერა სიცრუის;
ფული რომ ხელის ჭუჭყი არის –
სიბრძნეა ესეც,
ბედნიერებას ბევრი მხოლოდ
იმაში ეძებს;
სიცოცხლე უყვარს ყველას თავად –
ვის არ სწყურია?
სხვას კი უსპობს მას სულ უბრალოდ,
ვინც უგნურია:
რამდენს ამქვეყნად აღარა აქვს
პური, კარაქი,
საწყობებში კი თავსაყრელად
თვლემს იარაღი!..
პარადოქსები ცხოვრებაში,
რა რიგ ბევრია –
როგორც მდინარის ნაპირებთან
ქვა–ღორღი, ყრია!

ადამიანო, ბრძენთა ბრძენო,
ძლიერ ვოცდები,
საიდან, ო, ეს აბდაუბდა
პარადოქსები?

* * *

კომფორტი

ცხოველებზე ექსპერიმენტით დასტურდება,
რომ ზღვარსგადასული კომფორტი ადამიანის
არსებობისთვის საფრთხეს წამოადგენს.
მეცნიერული ინფორმაციიდან.

ჩასვეს თაგუნა საკანში–
ეს სულ არ იყო მარტივი –,
თავზე საყრელად მიართვეს
საუზმეცა და სადილიც.
არ მოუკლიათ არც სითბო,
რაც კი რამ იყო ნუგბარი...
თაგუნა ისე გასუქდა,
ტანს ვეღარ წევდა, ვით მკვდარი.
ამ დროს მეზობლად თვისტომი
ვერ ნებივრობდა საკანში,
მაგრამ ჯან–ღონე არ აკლდა,
აღარც სურვილი თამაშის...
ვნახეთ, ეს ექსპერიმენტი,
რომ გვამცნობს მკაცრ პარადიგმას:
ასე მთავრდება ზედმეტი
კომფორტი თაგვთ საკანს მიღმაც!

* * *

ადამიანის მეტამორფოზი

ადამიანი გაჩნდა როგორც თავისუფალი,
შემდეგ ის ყველგან ბორკილებშია.
ჟ. ჟ. რუსო
თანამედროვე ადამიანის სახე ასეთია:
კარგად ჩაცმული, დაკმაყოფილებული,
მაგრამ საკუთარ ,,მე –"ს მოკლებული.
ე.ფრომი

ის მოევლინა ქვეყნიერებას,
ვით სამკაული, ნამდვილ მშვენებად,

დაჰყვა თვიდან დიდ საოცრებად,
ცხოვრების ჯილდო – ბედნიერება.
თან ახლდა ამაყს განცდათა სკივრი,
მადლი უზადო მრავალნაირი;
იყო მედგარი და მომხიბლველი,
არც მორჩილი და არც მბრძანებელი;
მაშინ ის ლაღი, ვით მთის არწივი,
ათბობდა მომმეს სიკეთის სხივით...
გამოხდა ხანი აღურიცხავი,
ერთ დროს უტეხმა, მან გაჰყო თავი
ახალ ყოფაში, სულ სხვაგვარი ზნის,
რომ დაანგრია ფუძე მკვიდრი გზის.
ო, აირია მაშინ ტაძარიც,
მყარ საძირკველზე იმ ძველ დროს მდგარი.
სულ შეიცვალა სანდომიანი

არსება თავად ადამიანის.
გაჩნდა დესპოტი,
გაჩნდა მორჩილი,
მბრძანებელი და სხვების აჩრდილი.
იქცა პატრონად,
მომხვეჭელ მდიდრად,
იქცა მყიდველად,
იქცა გამყიდვლად,
ბიზნესის კაცად, ხარბ მომხმარებლად...
და ბოლოს ყველას ტატუსი არსით
ერთია სულაც:
მონა რაღაცის –
მონა საგნების,
მონა ფულების,
რომ არ აქვს წონა,
მონა ვნებათა
ანდა სხვის მონა...
და მოუხრელი ზვიადი ქედით
გამოგვეცხადა ამ არსით, ბედით...
ოი, რა რიგად აირია წმინდა ტაძარი,
ადამიანი ჭეშმარიტი
რომ არსად არის.
და დიდი მწარე მეტამორფოზის
ნაყოფს, ურგებელს
გლოვობს მწარედ ის!

* * *

ავადმყოფი

ადამიანი გაჩნდა თუ არა,
თან დაჰყოლია მრავალი სენი –
სხეულის, სულის, მათ გაამწარეს,
არ დადგა ჟამი მათგან მორჩენის.
ახლავს სიხარბე და სიძულვილი,
იმათი პირმშო – ომი, ტერორი;
ბევრს აღდგომად აქვს სხვისი სიკვდილი,
ბოროტთა ურდო ხარობს ჩვენს შორის.
შეხედეთ ამდენ ჩაგრულს და მჩაგვრელს –
არეული აქვთ აზრი და გრძნობა,
რომ შეშურდება თვით შხამიან გველს,
ო, ავადა ხარ კაცობრიობავ!
ათასი სენი რომ შეგეყარა,
არ დადგა ჟამი მათგან მორჩენის,
ო, უბედურმა ვერ გაიხარე,
და ელოდები დღეს გადარჩენის.
ეს ავადობა გაფრთხობს სიმძიმით,
აღარსადა ჩანს ჯერაც მკურნალი.
საპოვნელია კარგი ექიმი,
საპოვნელია მარგი წამალი!

* * *

ძუნწი და გულუხვი

ძუნწმა ქონება
აგროვა, აგროვა,

სხვისთვის ნამცეციც არ გაიმეტა.
ვით განდეგილი,
კაცი მარტოა,
თავის ნაჭუჭში რომ ჩაიკეტა.
ფიქრობს, რაცა აქვს,
მისთვის არ კმარა,
კიდევ მეტს ელტვის,
კიდევ მეტს ნატრობს,
თუმც, რაც აგროვა, ვერც მოიხმარა
და ამაზედაც უზომოდ დარდობს...
გულუხვმა ბლომად
იშოვა, გასცა
და სიხარულსაც იმკიდა ნაცვლად.
გასცემდა, ამით
სხვებს ახარებდა,
და ნეტარებდა,
რომ ბევრიც გასცა;
ვით დათესილი მარცვალი ასად,
უკან დაბრუნდა
მადლით, ქებულით,
გულუხვი იყო გაბრწყინებული!

* * *

დანატოვარი

რაა სიმდიდრე, ერთ საათშიაც იქნება გაქრეს...
რაა ტიტული, იგი მაცდურ მახეში გაგვხვევს,
რა არის მოდა, მე ვეძიებ მხოლოდღა სახელს!
ბაირონი

ყველას აქვს რაღაც დანატოვარი –
წინაპრის მუქთი ღირსსახსოვარი –
სიმდიდრე მცირე ან დაუთვლელი,
უზადო ანდა ფუჭი სახელი.
ქონება ბევრი უკვალოდ გაქრა,
წაიღო წყალმა, ამ კიდევ ქარმა;
ბევრი გაფლანგეს ან დაიხარჯა,
გაცვდა ან ჭამეს, ვით ჯოგმა ნამჯა....
სხვაა სახელი აღმატებული,
მოკაშკაშე და სუფთა, ქებული.
ის აღარ ცვდება, არ იხარჯება,
თაობებს უჭკნობ განძად გაჰყვება!
ყველას აქვს რაღაც დანატოვარი,
ზოგს სპობს, ზოგს ვერა მკაცრი დრო ჩქარი,
დაედოს უნდა ფასი თავისი,
ვცნოთ წარმავალო და მარადისი

* * *

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის საიუბილეო

დღეს საუკუნე ჰქუხს აქ დიდებად,
აბაშის მხარეს დგას ცისარტყელა,
კაშკაშა სხივად აზრი იღვრება,
უკვდავების ტვირთს ათრევს, ვით ჩელა.
წვდება გონება გრძედსა და განედს,
ქვეყნის მერმისზე ატარებს ფიქრებს,
სამშობლოს ბედის მემატიანე,
ჭყონდიდურ სიბრძნის ღვიძლი მემკვიდრე.
ეკლიანი გზა დრომ გადაფარცხა,
აზრთა ჭიდილის კვლავ რჩება წლები,
შურის და ბოღმის კოცონი დაცხრა,
დღეს ზეიმია ჭეშმარიტების.
ამაყობს შვილით კოლხური კერა,
სამშობლოს ჰანგებს ,,ნანაც“ შეერთვის,
ისმინე ერო, ისმინე ბერო
მოძღვრება დიდი – წყარო სიკეთის!
აზრის და სიბრძნის მიჰყევი მწვერვალს,
იპოვი დიად ცხოვრების კანონს,
გზას გაგინათებს ის, როგორც ელვა,
მეგაირახტრევ, ლელოს გამტანო!
ჰა, საუკუნე იქცა საათად,
ვჭვრეტთ უკვდავების დიდებულ სურათს,
მაღალ კვარცხლბეკზე დგას დღეს პაატა,
ქვეყნის მომავლის ნათელ შუქურად!

* * *

გურამ ყუფუნიას

მაშინ ტეხურს თავს მზე ადგა მწველი
და აცოცხლებდა ბუნებას წარმტაცს,
ვედიდის* ზურგზე დახტოდა შველი,
ტალერში ნანა უმღერეს კარგ კაცს.
ქროდა ნიავი წაჩხურუს მხრიდან,
იგრძნეს ძეობა წინაპართ სულთაც.
ისე, ვით წყარო, ნაკვები მთისგან,
იმ კაცს ნამუსი გამოჰყვა წმინდა.
და მარტვილელი მყის ჩაწვდა შვილი
ჭყონდიდურ სიბრძნის ქარვისებრ მძივებს:
,,თუკი ხარ კაცი, იყავ ნამდვილი,
არაკაცობა ტვირთია მძიმე !“
და მას ბუნებამ გული გაუთბო,
სხივი ჩაღვარა ბიჭში ულევი,
მან ჯადო არვის აღარ დაუთმო
უანგარობის და ერთგულების.
შემოემატა ადამის ჯილაგს
აზრით სპეტაკი და ზნემაღალი,
კაცთ სიყვარულით ყველას რომ ხიბლავს,
კაცურკაცობის ერთი სარდალი!
სათნოებისკენ რომ გასდო ხიდი,
ვეღარ დაანგრევს თუნდაც ცუნამი,
ბრძენ წინაპართა სანდო გზით მიდის

---

* ტალერი – სოფელი, ვედიდი, წაჩხურუ – ადგილები მარტვილის რაიონში.

რჩეული კოლხი – ჩვენი გურამი!
ტალერში ყვავის ედემის ვარდი,
მზე ეფერება მთელ საქართველოს,
სიმართლის შუქით ამ ქვეყნად დადის
კაცი –სიკეთე, ევლოს, სულ ევლოს!

2003

* * *

გარითმული სადღეგრძელო
გიორგი შუბლაძეს

წლები მირბიან შფოთით და ბორგვით,
დრო ძვირფასია თან საშიშია,
იყავ ორას წელს, ჩემო გიორგი,
რას ჩივი, გითხრან ყვავის ჯიში აქვს.
აზრი ლოგოსის ფილტრში ნაწური,
გამოგყვა, გულიც გიძგერს მართალი
ყველას გვწამს, რომ ხარ კაცი კაცური,
გწამს ნაღდი ძმობა და სამართალი.
დღეს მოვიგონოთ დრო სტუდენტობის,
ცოდნის ტაძარი, ოცნების მთები,
დრო სიყვარულის და ჟამი წრთობის,
შორს გასაფრენად ასხმული ფრთები!
ახუთის* სითბოს ვგრძნობთ ჩვენ აქ ცვენას,
შალვას** სიმართლეს, რომ მოგდგამს გენით,
ცხრაწყაროს რაკ–რაკს მივაპყროთ სმენა,

---

* ახუთი – სოფელი ჩხოროწყუს რაიონში.
** შალვა –გიორგის მამა.

ვიმღეროთ ,,ნანა“ მეგრული ჩვენი!
ეჰე, დრო ბევრი გასულა პარვით,
დიდების გვქონდა ერთ დროს წყურვილი,
ქვეყნის გასაკვირს თუმც არ ვქმნით არვინ,
სირცხვილი ჩვენც არ ვჭამეთ პურივით!
თუმცა ვერ გავხდით დიდი გმირები,
რაც ვალად გვერგო, არ დაგვითმია,
ქვეყანას თვალში არ ვეჩხირებით,
ვინც ვართ, ისიც ხომ დიდი ტვირთია!
დრო კიდევ გვრჩება, დავიგრიალოთ,
ახალგაზრდულად სჩქეფს კიდევ სისხლი,
უმიზნოდ ქვეყნად არ დავყიალობთ,
მამულზე ვფიქრობთ დღისით და მზისით.
წლები მიქრიან, ვით ტალღა ბორგვით,
შფოთით რომ მისდევს ნაპირს ქვიშიანს,
რომ იყოს ორას წელსაც გიორგი
გულით და გონით მართლაც ღირსია!

1984

* * *

ჩემს წელთ აღმრიცხველს

არ მახსოვს ჩემი დაბადების
დღე და საათი,
სურვილი შემრჩა ლამაზმანთა
ფერების, კოცნის.
ამ წლებს რა ვუყო?
ერთი მაგათი...
ასე მგონია, ვარ სულაც ოცის!

* * *

მოგონება

იყავ ოცნება და შთაგონება,
შემრჩა ბურუსი და მოგონება.
დარდი უკვალოდ,
ვხვდები, არ ქრება,
ცვილივით გრძნობა
არასდროს დნება!

* * *

ეს აღმაფრენა და სიყვარული,
იყო ცხადი თუ ვირტუალური?
ღრმად რაც ჩაიკრა,
არ ტოვებს სული,
კვლავ მასულდგმულებს
მე ის წარსული.

* * *

სიყვარული

ნამდვილი თუა ფოლადივით
იგი სიმტკიცის,
მან არც მანძილი, არც ასაკი
სულაც არ იცის.
გვხდის კეთილშობილს, გვაფაქიზებს
და გვმატებს ძალას.
მას უნდა მხოლოდ სისპეტაკე
და ზოგჯერ მალვა!

* * *

ეიფორია

ასე მგონია მთელი სამყარო -
ეს სიყვარულის დიდი თასია,
იღვრება ის შიგ, ვით სუფთა წყარო,
აღარ იცლება მუდამ სავსეა.
ვარ მის ტალღებში გალაღებული
და ცის კიდემდე ამაღლებული
ამ დიდი გრძნობით
ლოთი დამთვრალი –
ქვეყნის, ცის, მიწის,
მოკეთის, ქალის.

* * *

მრწამსი

უაზრობები დავძლიოთ უნდა,
სიცარიელე შევავსოთ დიდი,
ჩვენ სიყვარული გიშველის თუნდაც
გვიბნევდეს აზრს და გზას სუიციდი.
შევხედოთ ლაჟვარდ და მეწამულ ცას
დავტკბეთ ჟუჟუნა წვიმის შრიალით.
სასომიხდილსაც აგვაცდენს ავ გზას
სიცოცხლის ძალის მძლავრი გრიალი!

* * *

მარტოობა

მარტო ვარ ახლა,
მარტო მე ერთი,
არავინ მახლავს,
არავინ მერთვის;
არცა რა მართობს,
ვდარდობ, ო, რატომ ?
რომ არვის ვკოცნი.
არვის ვეხვევი.
მთვარე –კოცონი,
ბოძი - მეხრე ვით
მიმზერენ,
გნატრობ.

* * *

შთაგონებაა ჩემთვის საჭირო

შთაგონებაა ჩემთვის საჭირო,
რომ ენერგიად ვიქცე, ვინათო,
დავაგრიალო საქმე საგმირო,
სხივი შევმატო ცხოვრების მნათობს.
და როგორც სიბრძნე, მე ახლა მჯერა
შთაგონების მზედ ქალის მანდილი,
მისი თვალების კაშკაშა მზერა
და გულის სითბო სხივად დაღვრილი.
მათშია, ვხედავ სწორედ კერები
ამ შთაგონების ჩემთან მხმობელი

მათ, როგორც ბალღებს, მოვეფერები,
მათგან აღმასვლის ძალას მოველი!.

* * *

ფერია

ს. ნ.–ს

როგორც არწივი, დაფრინავს მაღლა
დაბლა დაშვება არ უწერია,
ღიმილის სხივით შლის დარდის ტალღას
უსათნოესი ჩვენი ფერია!
სიცოცხლეა და სიხარულია,
დარდის და წყენის დიდი მტერია,
გულის ცეცხლია, სიყვარულია
ულამაზესი, ლაღი ფერია!
სულის მხნეობა, თვალთა შუქია,
მის ჰანგებს სევდა დაუსერია,
სიკეთის ზღვაა, ხან ქარბუქია,
ვარსკვლავად ბრწყინავს ლაღი ფერია!
მას ძალა დიდი სიცოცხლის მართავს,
ცხოვრების აზრში ეს უწერია;
სიცოცხლის ფასი იმატებს ასად,
როცა ასეთი გვყავს ჩვენ ფერია!
სამშობლო ხარობს მისი იერით,
კაცთა მოდგმა კი ბედნიერია,
თითქოს ღვთაება ეს მიწიერი,
დადის ამ ქვეყნად ლაღი ფერია!
მისი ცრემლებიც არის ალალი,
მისი განცდები კი ძლიერია!

სიტყვით და გულით ალალ-მართალი
გვხიბლავს, გვატყვევებს ლაღი ფერია!
როგორც არწივი დაფრინავს მაღლა,
დაბლა დაშვება არ უწერია;
ღიმილის შუქით შლის დარდის ტალღას,
ბრწყინავდეს მარად ლაღი ფერია!

* * *

მე კარდანახში უნდა ჩავიდე,
მსურს იქ ვუცქირო გაბადრულ მთვარეს,
ვიგრძნო კახეთის სითბო, სიდიდე
და საბაწმინდის შევეხო კარებს!
არ შემიძლია, რომ არ ჩავიდე,
არ გნახო მალე და არ დავმშვიდდე!

* * *

გახსენება

მომაგონდება შენი სახელი
და სევდა მიპყრობს, არ ვიცი რატომ,
სულ თვალწინ მიდგას სახე ნათელი,
და დაბრუნებას წარსულში ვნატრობ.
ბავშვობის წლებ წინ ნარნარებდა,
ვით სარკე ჩვენი ჭანიწყალისა.
და გული იმ აზრს ღრმად ატარებდა,
რომ მეგობრობა გვქონდა ხალისად.
იყო იმ კარგ დროს ჩვენს შორის მაშინ
რაღაც ფაქიზი და იდუმალიც,
თუ ვერ ხედავდი შენ ამას ბავშვი,

წარსულს მიაპყარ ერთხელაც თვალი!
ველი ხალიჩა - გახსოვს იების?
ჩვენ ერთად ვკრეფდით, ვაწყობდით კონებს,
ხანდახან კიდევ მარწყვის მძივებით
ავდევნებივართ მინდვრად ამფსონებს.
გვაჯადოებდა ვარსკვლავთა ხიდი,
მაისის სიო უმხურვალესი,
ცა გადაშლილი, ვით წიგნი დიდი
მთვარის სხვების მთებთან ალერსი...
მიდევს რვეული ლექსებით სავსე,
მივდევ პწკარებს და მე ბევრს ვიგონებ,
ნეტავ იცოდე, რა დიდი ფასი
აქვს ჩემთვის ბავშვურ გულწრფელ სტრიქონებს.
ცოცხლდება თვალწინ დღეს ის წარსული,
ჩემს ხშირ ფიქრებში მიმოფენილი,
როგორც ოცნება ჯერ დაკარგული
და ისევ ისე აღმოჩენილი!

* * *

ნამცეცა

წალკოტი ქვეყნის წარმტაც სივრცეში
ცხოვრობს ლამაზი ერთი ნამცეცა,
გულის სითბოთი და სახის ეშხით
დასჯაბნის კიდეც ბუმბერაზებსაც.
ღიმილის ელვად გამინათდება,
წკრიალა ხმა კი ჟღერს უტკბილესი,
და თვალთა მზერის სხივი ათდება,
სულდგმულობს აზრი სიკეთის ფესვით.

ნამცეცა აქრობს წყენას და ნაღველს,
იმედს და ხალისს ძალუმად აჩენს,
ამ ცხოვრებისგან დამაშვრალს, დაღლილს
მე ვიცი იგი რომ გადამარჩენს.
ურთულეს დროთა ორომტრიალში
მისი მშვენება კაშკაშებს ალად,
თითქოს ღრუბლები ბობოქარ ქარში,
სევდიან ფიქრთა ქრება ამალა.
წალკოტი ქვეყნის სიანკარეში
ცხოვრობს ლამაზი ერთი ნამცეცა,
გულთამპყრობელი თითქოს ზღაპრებში
გაჩნდა ის და მე ოცნებად მექცა!

* * *

ზამთარი

ეს ბუნება გაგვირისხდა
მბრძანებელი ყოვლის,
თოვლს გვაყრის და ნამცეცას კი
ეშინია თოვლის.
თოვლი სანამ გაქრება,
სახლში ჩაიკეტება,
იგი ზამთრის პატიმრად
სულაც არ გვემეტება.
* * *

გულმა ეს მითხრა

გულმა ეს მითხრა: ვერ მოგიშორებ
დრო მიდის შფოთით, დრო მიდის მდორედ.
დავცურავ ფიქრთა ვრცელ სამყაროში
ხან ვგავარ დამწვარს, ხანაც გათოშილს.
და მაინც ვთბები ამ მზიანეთში,
მოდის განცდები, ვით წვიმა თქეშით.
მინდა სიმღერა ცოცხლად დავჭექო,
რომ შევუერთო გულის ხმის ექოს.
გულში მიზიხარ, ვერ მოგიშორებ,
დაუვიწყარ წლებს გავიმეორებ.

* * *

ვალენტინობაზე

დღეს სიყვარულით გული სავსეა,
უდიადესი მამაღლებს გრძნობა,
ვისაც არ უყვარს, იგი ხავსია,
მას აღარ ძალუძს სიცოცხლით ტკბობა.
მიხმობენ წლები ახალგაზრდული,
ტკბილ მოგონებებს ბევრსაც ვინახავ,
ძვირფასი არის ეს სიხარული,
ვმაღლდები, როცა გეტყვი: ,,მიყვარხარ“!

* * *

საიდანა ხარ?

საიდანა ხარ, რომელი მხრიდან –
ლეგენდებიდან თუ ზღაპრებიდან?
მოხველ, სამყარო ჩემს წინ გაბრწყინდა,
სიცოცხლე ახლა ორმაგად მინდა!
ბედნიერი დღის ხარ ნატვრისთვალი
ამოუცნობი, ძლიერ ნაცნობიც,
კაშკაშა, როგორც სიტყვა მართალი,
ნანატრი, როგორც ძალა არსობის!
დე, იყოს გრძნობა ეს პლატონური,
მე მას ბევრი რამ უკვე შევწირე –,
თავისუფალი, არამონური,
გავირთობ მით თავს, როგორც მესტვირე.
დღეს მასულდგმულებს ეს აღმაფრენა,
არ ვიცი, ბედი ხვალ სად გამგზავნის,
რას გამიწესებს ჟამთ ჩქარი დენა,
მიტომ აწვება გულს კაეშანი..
საიდანა ხარ, რომელი მხრიდან,
რომელი გზიდან, რომელი ციდან?
მოხველ, სამყარო ჩემს წინ გაბრწყინდა,
სიცოცხლე ახლა ორმაგად მინდა!

* * *

გზავნილები

ო, როგორც ტყვია, მკლავს ეს დუმილი,
ამ სათნო გრძნობებს, ვით განძსა, ვმალავ,
აღარ მასვენებს დიდი სურვილი,
მამხნევებს მაინც კეთილი ძალა!
ჩემთვის შველაა მხოლოდ ფიქრები,
დარდებს მინელებს და მიადვილებს,
მენგრევა თავზე ოცნების მთები
და ვეფერები სათუთ გზავნილებს!

* * *

არჩევანი

ცხოვრება მართლაც მშვენიერია,
მაგრამ მას მაინც ბევრი ნაკლი აქვს,
ხან ლმობიერი, ხან ცბიერია,
შეივსო უნდა, რაც შენ გაკლია.
ბედის სიმუხთლე ბევრჯერ გაგთოკავს,
ხანაც გაცეკვებს მარდად ,, შალახოს“,
შეეჭიდო მას გიჯობს დათმობას,
აკეთე, რასაც გული გკარნახობს!

* * *

ქალებისადმი

უკმეხად ანჩხლობს ფანჯრებთან მარტი,
მზე გაიელვებს, ბურუსი ქრება,
დროის ზვირთებში ილევა დარდი,
იმედი, როგორც კლდე, აღარ დნება.
ჩვენ ვეგუებით მოვლენილ ფაქტებს,
სიყვარულისგან მოველით შვებას,
ვემორჩილებით ყოფის კონტრასტებს,
რადგან თქვენდამი გვაქვს მოწიწება!

* * *

რატომღაც

როგორც აპრილი და აკვირტება,
ეს მოგონება არის საამო;
არასოდეს აღარ დამავიწყდება
ის ჩალისფერი მშვიდი საღამო!
არ მავიწყდება ფართო გამზირი,
შავად ნახატი ჩრდილით ქუჩები,
შავი თვალების ბრწყინვა მარსივით
და მოცახცახე სქელი ტუჩები!
ლოყებს, ვით კოცონს, აღაჟღაჟებულს
და მზერას თბილად ვხვდები საოცარს,
სულ ყველა კოცნას ერთად აღებულს
მე პირველ კოცნას ვარჩევ რატომღაც!

* * *

საღამო

მზე გაიპარა თითქოს დღის ქურდი,
გადაეფინა დაისი გორებს,
მთებს დაეხურა სიბნელის ქუდი,
ველის მანდილი გაშლილა მდორედ.
აჩრდილებს გვანან ოდა სახლები,
სულ ძველები და სულაც ახლები.
კარავთან სადღაც თვლემს ღამის მეხრე.
შენ, კარგო, თუკი დამეთანხმები
გაკოცებ ერთხელ!

* * *

სარვამარტო

ეს რა უზადო მზეა,
რა სიხარული, სიტკბო,
დღეს სიყვარულის დღეა,
გულს წმინდა გრძნობა გვითბობს.
შევხარი გიშრის თვალებს
მომღიმართ, მოალერსეთ
გადიდებთ ჩვენს ლაღ ქალებს,
ძალას რომ გვიათკეცებთ!
ვინაც სიცოცხლის ფესვია,
საწყისი, სიხარული,
წმინდა და უმაღლესია
იმათი სიყვარული!

* * *

დღეს კარგი დღეა

სხივნათელ თვალებს რადგან ვუცქერი,
გული ხალისით სრულად სავსეა.
გათენებულა დღე ბედნიერი,
რადგან ვართ ერთად, დღეს კარგი დღეა!
მესმის ტკბილი ხმა თითქოს ბულბულის,
ეს აღმაფრენა და სიცოცხლეა.
ლაღი განცდებით ვარ ანთებული,
რადგან ერთად ვართ, დღეს კარგი დღეა!
აუხდენელი ოცნებაც მტანჯავს,
რა ვქნათ, თუ კი ეს ბედით ასეა?
ურჩი ხერგილი კეტავს შენსკენ გზას,
მაინც ერთად ვართ და კარგი დღეა!
არავინ უწყის ხვალ რა იქნება,
ცხოვრების გზაზე ბევრი მახეა,
დაველოდები ბედის დიდ ნებას...
დღეს კი ვართ ერთად და კარგი დღეა!

* * *

ბავშვური გრძნობა

ლამაზი იყო, ვით იის კონა,
ჩემს გვერდით იდგა, მორცხვი, ვით ვარდი,
და მეკრობოდა მკერდზე გოგონა,
ალბათ ვუყვარდი.

* * *

მონატრება

ხან ღრუბლებიდან მოგიწვევ მღიმარს,
ხან გრძელ ღამეთა მოგონებიდან,
უშენოდ გულში თოვსა და ყინავს,
თვალწინ რომ მყავდე მუდამ, ეს მინდა!
აგკრეფ ნაკვთებად ფიქრთ აკიდოდან,
ღამის სიზმრების ნათელ ხატებად,
ავაგებ ჩვენთვის ნოეს კიდობანს
და შემოგახვევ ენგურს ბაბთებად!
რადგან ხარ ჩემი სულის ნათალი,
არ შემიძლია, რომ მოგიცილო,
ვუთხრათ ერთმანეთს სიტყვა მართალი,
ცხოვრების აბსურდ წესზე ვიცინოთ!
მსურს დიდრონ თვალებს ვუცქირო გზნებით
და შენი ხიბლით ვფანტავდე დარდებს,
ამ შთაგონებით მთებსაც შევწვდები,
დავძლევ ყველაზე მძიმე აღმართებს!
შენებრ სიდინჯით და მოთმინებით,
მოვზიდავ კალთით ოცნებებს მზიანს,
წმინდა სიმართლის სიკეთის ფრთებით
გავუძლებ ბედის დიდ ორომტრიალს!
ხან ღრუბლებიდან მოგიწვევ მღიმარს,
ხან კიდევ ტკბილი მოგონებიდან,
დაგხვდები, ყანა ვით ნანატრ წვიმას,
ერთად რომ ვიყოთ სულაც, ეს მინდა!

* * *

განწყობილება

ვით გაზაფხულზე ლაღი მერცხალი,
მეწვევა შენგან მე შთაგონება,
სულაც უცნობი ჯადოსნის ძალით
გამინათდება მაშინ გონება.
ნათდება, როგორც მზე, შენი მზერა,
ღიმილი ელავს თითქოს ცისკარი,
სიცოცხლეს მინდა ვუძღვნა სიმღერა
და სათნოებას გავუღო კარი;
შევკრა ნატიფი სიტყვების კონა
და სილამაზის ვთქვა ჰიმნი მძლავრი,
მშვენიერების გავხდები მონა,
მის უშრეტ ძალას მსურს ვცე თაყვანი!

* * *

ზეშთაგონება

ჭიკჭიკებ, როგორც ლაღი მერცხალი,
თითქოს ეს ხმაა ღვთიური ჩიტის,
მევსება ძარღვი მაგიურ ძალით
ეს ყოველივე მგონია მითი !
ტკბილ სიმფონიად სიტყვები მესმის,
ცოტა ბავშვური, ნაზი, ქალური –
ეს ფიქრთ ფიფქია ულამაზესი,
აზრი ცინცხალი, გენიალური!

და ჩანჩქერივით იღვრება დიდი
დარდი და გრძნობა უხვ ნაფლეთებად,
მოდის მუხტები – აღქმათა მზიდი,
მისგან – არსი და შემოქმედება!

* * *

მოჯადოება

ცისარტყელების შევყურებ რკალებს,
ალვის რხევების დამატკბობს მზერა,
ამ ბრდღვიალა და მზე ჯადო თვალებს
მოვტაცებ სხივებს, ვით მთუთქავ კერას.
გაიფანტება წლები შხეფებად,
გულში იღვივებს როგორც ღადარი.
თავს ვიგრძნობ ზღაპრის ქვეყნის მეფედაც,
გადამეხსნება ედემის კარი.
ბედნიერების ვიგებ სასახლეს,
სევდის საუფლოს გამოპარული,.
ოღონდ მარგუნე და ამამაღლებს
სითბო, სიკეთე და სიყვარული!

* * *

ხატება

მადლობა ძალას, რომ ნატვრის მძივად
შეგქმნა ხატება ზღაპრული ხელით,
რომ მოგავლინა სიცოცხლის სხივად,
აგანთო ჩემს წინ, როგორც სანთელი!
მაინც ძნელია ეს ხვედრი ჩემი,

ამაოება აქ გვერდით სახლობს.
ძლივს–ძლივს ტივტივებს იმედის გემი,
მაინც სხვაგან ხარ, თუმცა ხარ ახლოს!
ჩამოიქროლებ, ვით მეტეორი,
ამაყი, როგორც ოდიშის მთები,
არ ვიცი რა დროს რა დაგვაშორებს
ფიქრებად მაინც ჩემთან იქნები!
ეს ულმობელი ბედის ტრიალი -
მეთამაშება, გზებს მიბნევს მტერი,
ვერც მომერევა ავი, ტიალი,
ტკბილი ზმანებით ვარ ბედნიერი!

* * *

გადახვევა

მხოლოდ ერთს, რისიც
გაგება მმართებს,
მე სიყვარულის
დავარღვევ კანონს,
გვერდსაც ავუვლი
ურყევ ადათებს
შენი მიზეზით,
მხოლოდ შენს გამო!
დავარღვევ კიდევ
კანონს ბუნების,
თუ შენგან მექნა
სითბო და ნდობა,
მკაცრ წესებს

აღარ შევეგუები
გავიმეორებ
ახალგაზრდობას!

* * *

დატყვევება

ოქროსთმიანებს,
ლამაზთ, ჭკვიანებს,
თვალებ ლალისფერთ,
ენამზიანებს,
ცისაგან ვისაც მოუტაცნია
კამკამა ფერი,
ვისაც ზღაპარი ტანზე აცვია,
უზადო ერგოთ მათ ყველაფერი.
მხოლოდ ერთი რამ
მოსვლიათ მკაცრად:
დაუტყვევიათ ეს გული ჩემი,
არ გაუშვიათ არსად!

* * *

ბედის სტუმარი

თითქოს ზრაპრიდან გამოცხადდები,
გამინათდება სულში უკუნი,
გამიბრწყინდება ფიქრი კანდლებით,
აბობოქრდება გული გუგუნით!
გადავყრი წლების ტვირთს – ტანჯვის საგანს,

ვით მარხილიდან ბარგს გადასაგდებს,
გავიწმინდები ეჭვებისაგან,
ტკბილ ოცნებათა ავყვები ლანდებს.
ლაღ თვალთა სხივი ძალას შემმატებს,
ჭმუნვის ტალღები ქრება ცვარივით,
შენი ღიმილის ქათქათა ფანტელს
შემოაქვს ჩემთან რწმენის ყვავილი!
და ანგელოზად რომ მოხველ კდემით,
ფაქიზი გრძნობით, ვით მერცხლის ფრთებით,
დავცურავ შორს–შორს ოცნების გემით,
წინ მეგებება იმედის მთები!
ყოფნა–არყოფნის არარაობას
მე გავცემ პასუხს, რომ სწამდეს ყველას:
სიყვარულისგან ყველა თაობა
უნდა ელოდეს მხოლოდღა შველას!
ამ ცხოვრებისგან არ დავოსდები,
არ გაწყალდება რბილი და ძვალი,
რადგან გვყავს შენებრ ანგელოზები
აზრის, ღიმილის მაგიის ძალით!

* * *

ექსპრომტი ეკას

მის მიერ ზუგდიდში წარმოთქმული სადღეგრძელოს გამო

მე დაგილოცავ
ფიქრების ფიფქებს
და შთაგონების

ლაჟვარდოვან ცას,
ლაღი ოცნების
ფრთაასხმულ ზვირთებს,
აზრების ველებს
და ნატვრების მთას!
კოლხური სიბრძნის
გიქებ ღრმა ძირებს,
მარგალიტებად
მასში ჩაწნულებს,
მე ვადღეგრძელებ
აზრების გმირებს –
ჩვენს გულთა მპყრობელ
ლამაზ ქალწულებს!

* * *

დაბნეულობა

სიყვარული თუ მართლა ცეცხლია,
მე მისგან უკვე სულაც ფერფლი ვარ;
თუ კი ის გულის დიდი დარდია,
თქვენს წინ ვინცა დგას, სულაც ლანდია;
დევივით კაცი გავქრი სრულიად,
აქ რომ ღაღადებს ჩემი სულია.
ამ ლამაზმანთა დამთუთქა მზერამ,
მაინც მახარებს ეს ბედისწერა!
შევცქერი ლურჯ ცას, ვიხურავ ქუდად,
მიწიერ ვარსკვლავთ ვზვერავ გუნდ–გუდად!
აქ სიტკბოების დაბერავს სიო,
მე ყველა მიყვარს, ვინ ავირჩიო?

* * *

უსიყვარულოდ

სამყაროს სივრცე მიუწვდომელი,
არაფერს ნიშნავს, ვით დიდი ნული,
თუ არ იძგერებს აქ გული ცხელი,
ვით მზე, არ ათბობს სულს სიყვარული.
ცა ნაცრისფერი, ღრუბელთ საბანი,
ვაზთა განწყობა საგაზაფხულო,
ეზოს კარებთან იასამანი...
არაფერია უსიყვარულოდ!
წლები იქნება აბსურდთა მძივი,
ყოფილა თუნდაც არა ყოფილა,
თუ სიყვარულის არ მოსავს სხივი.
დაემსგავსება გულიც ცივ ფილას.
სამარადისო ზამთარი მოვა,
გადაიქცევა სამყაროც ლავად,
უაზრობათა უსაგნო გროვად,
ყოვლად სასტიკი გახდება ჰავაც.
სიცოცხლის აზრი, აბა, რა არის,
თუ ყინულივით ცივია გული.
ყველა მოდგმისთვის არის მთავარი,
რომ აღარ ჩაქრეს შიგ სიყვარული!

* * *

იდეალი

შენ ხომ სულ სხვა ხარ,
სულ სხვა იერის,
სხვას აღარ გავხარ
ეშხით და მზერით.
ელვარებ აზრით,
ასხივებ გულით,
მორცხვი და ნაზი,
ვით თაიგული;
ეს ბრწყინვალება
და კოლორიტი,
მაყვლის თვალები
განძია დიდი.
შენ არ გავხარ სხვას
ფიქრი და განსჯით,
წინ მიიკვლევ გზას
მიზნით და გარჯით.
საქმით და ჰობით
ფლობ უმთავრეს შანსს,
მჯერა რომ სჯობნი
მრავალ ლამაზმანს.
ხარ სხვა სამყარო
სხვა სამყაროდან
მადლი ახარო–
ეს გენით მოგდგამს.
შენ განსხვავდები

ღრმა ინტელექტით
სულ სხვა არსს წვდები
გონებით მეტით.
ღვივდება ვნება,
ვით ცეცხლის ალი,
შენ ხარ ოცნება, ხარ იდეალი!

* * *

მამაკაცებს

მამაკაცებო, ის დღე დალოცეთ,
როდესაც იშვა ამქვეყნად ევა,
როცა პირველად თქვენ ქალს აკოცეთ,
ეფერეთ, როგორც მზის სხივი მტევანს!
დალოცეთ ის დღე, ადამმა ვაშლი
როცა ჩაკბიჩა, მისმა მაგიამ
გამოაფხიზლა ის დიდი ბავშვი,
ცხოვრების აზრში მან გაარკვია.
მამაკაცებო, კარგად დაფიქრდით,
რანი არიან ჩვენთვის ქალები,
მათი ღიმილის ფაფუკი ფიფქი,
ნაზი სხეული, გიშრის თვალები!
თუ არა ქალი, სიცოცხლე ჩვენი
რა ბედენაა თუნდაც დღეგრძელი,
რის მაქნისია უაზრო დღენი,
ვითარც უღვინოდ ხელადა ძველი?
რომ არა მათკენ ძლიერი ლტოლვა
და მოწონების ჭვრეტა ფარული,

ვით მოჰყვებოდა ჟამთასვლის ქროლვას
უზომო ტკბობა და სიხარული!
ვინ გვაჩუქებდა სიცოცხლის მუხტით
დატენილ იმედს – ახალ თაობას?
მათ გარეშე, ვით ლერწამი, სუსტნი
ვერ გავუძლებდით ომსა და მტრობას.
ვით იჟღერებდა ჰანგები ტკბილი –
,,ოროველა“ და კოლხური ,, ნანა“,
ქართული ცეკვის სული დაღვრილი
გაოცებდა მრავალ ქვეყანას?
ვით ააგებდნენ უკვდავ ალავერდს,
აამზევებდნენ ტალღებს რიონის,
გადაუშლიდა მის ძეს თავის მკერდს
კრძალვით ამაყი კავკასიონი?
თქვით ვინ შექმნიდა უკვდავ პოემას,
უსიყვარულოდ ნანატრი ქალის
და დახატავდა ქეიფს ბოჰემა,
თუ სიყვარულის არ ენთო ალი?
ვინღა შეთხზავდა ბრძნულ თეორემას
და წარმოქმნიდა აზრთ გოლიათებს –
გენიის ნიჭის ნაზ დიადემას –
შემოქმედების მძლავრ ფოლიანტებს?
ვინ გვაჩუქებდა ცოტნე დადიანს,
პეტრიწს, ჭყონდიდელს – სიბრძნეთა მფლობელთ,
თვით ისტორიის ძლევის მანტიას
ვინ მოასხამდა გმირს ბრძოლით შობილს?
როგორც ელფები რომ არ გვწყალობდნენ
გენიოსთ აზრთა ანდამატები,
მაღალ ოცნებებს ვით შეწვდებოდნენ

არგონავტები, ასტრონავტები?
ვით ააგებდნენ დიდ ცათამბჯენებს
ან გავუძლებდით ინფორმეპოქას?
ხომ შეგვიცვლიდა რობოტი გენებს,
ვირტუალობის სამყარო – ყოფას?
ხომ დაკარგავდა აზრს და ეშხს ნამდვილს
გამარჯვებები, დამარცხებები,
ემგვანებოდა უფერულ მანდილს
მიხაკები და ქრიზანთემები,
თუ არა ქალი დიდი მიზნებით
ვინ აგვავსებს ან ვინ შეგვიბრალებს,
მამაკაცებო, მზესავით გზნებით
ალერსიანად ემთხვიეთ ქალებს!
ჭირს ვერ ავიტანთ, ლხინს ვერ გავმართავთ
უქალოდ, ვისღა ვპოვებთ მის ბადალს?
კეთილი ნება იმისი გვმართავს
ყოველ მოკვდავსა თუ მთავარსარდალს!
რა მოხდა, ზოგჯერ თუ ფათერაკებს
და ქიშპსაც ველით იმათგან მრავალს,
გვინგრევენ ხან კოშკს, ოცნებით ნაგებს,
მაინც ვერ დავთმობთ გზას მათკენ მავალს!
არა და რაა! ჩვენ უქალებოდ
ერთი დღე, წუთი ტკბილი არ გველის,
არა ნაკლულად ან სანახევროდ,
მივუძღვნათ ჩვენ მათ არსება მთელი!
მხოლოდღა კრძალვით შევხვდეთ ბანოვანთ,
ვადიდოთ ქალი – სიცოცხლის დედა,
ბედნიერება ჩვენთანვე მოვა
და ამაღლება ყოველთა ზედა!

* * *

ფანჯარებთან

დე, აბობოქრდეს ქარი აშარი,
მოვიდეს წვიმა, შენ რომ გგვრის ღიმილს,
ლეგა ღრუბლები, როგორც თავშალი,
წამოეფაროს ზედ შუბლზე თბილისს!
დაე, ჩაგკეტოს სახლში ავდარმა,
ჩვენ კვლავ ფანჯრებთან პირისპირ ვიყოთ,
შავი თვალები მიგებდნენ სარმას,
უკეთ წავაბამ სტრიქონზე სტრიქონს!
დე, მოდიოდეს წვიმა წურწურით,
და დაეკიდოს სახურავს მძივად,
წვიმა მიხვდება ჩემს გულის სურვილს,
სახლში ჩაგკეტავს კეთილი წვიმა!
დე, ისევ წვიმდეს და ისევ ცრიდეს,
მიწამაც წმინდა წყალი დალიოს,
ჭრელი სარტყელი ერტყას ცის კიდეს
და აბოლებდნენ მთები ყალიონს!
ჩვენ კვლავ ფანჯრებთან პირისპირ ვიდგეთ,
და გაძლიერდეს წვიმაც ათასკეც,
შენი მორცხვობა, ჩემი სიწითლე
რა უშავს თუნდაც საზღვარს გადასცდეს!
კიდევაც ქროდეს ქარი აშარი,
ეს წესად მოსდგამს დროდადრო თბილისს,
ჩემთვის კი მაინც იქნება დარი,
თუკი შენს ტუჩზე შევამჩნევ ღიმილს!

* * *

გაქრება სევდა

ვუმზერ ხეივანს
მწვანეს, კაკლიანს,
და სურნელება
მატკბობს ბერ მიწის,
როგორც ზამთრის მზეს
სითბო აკლია,
სული გრძნობს მაინც
უცნობ დეფიციტს.
დღეები მიდის
ჭრიალ–ჭრიალით,
თითქოს ურემი,
წინ იწევს ნელა,
მჭირდება ძლიერ,
ვით მწყურვალს წყალი,
მაცოცხლებელი
გრძნობისგან შველა!
დრო მიიჩქარის
კვლავ უცნაურად
და თავზე მაყრის
ზვავებად ფიქრებს,
აი, ვიგრძენი
სულ სხვა აურა,
ბედის ნობათად
შენ მოხველ იქნებ?
ცისკრის ნათებად

მოხველ ელვარედ,
მოხვედი ჩემთვის
ძნელ ჟამს იმედად,
აწ სიყვარული
ჩემს გასახარად
მოვა, ვით ბინდი,
გაქრება სევდა!

* * *

რამ გამახარა

ამ ჯადო თვალთა
მზერა მატყვევებს,
ამ ხმის ჰანგები,
ვით ღვინო მათრობს,
ოცნებით მაღლა
ავყვები ლაღ მთებს,
შეგცქერი, როგორც
ცხოვრების მნათობს.
ცხოვრება რაა,
არ მიღირს არად,
თუ სიყვარული
არ მიხსნის ცისკარს;
მეწვია იგიც და გამახარა,
სიცოცხლე ხარ და
სიცოცხლე მიყვარს!

* * *

ორადობა

ეს რა მათბობს?
მზე კი არა,
რაღაც კიდევ უფრო მეტი,
მიყვარხარ და
მეტი არა,
ხან მახარებ,
ხან მსპობ სევდით!

* * *

ინკოგნიტო

მხიბლავს ცისფერი
და ოქროსფერი,
ოქროსთმიანი
თაფლის თვალება;
დავტკბები მისი
ეშხით და მზერით,
თუკი სადმე
არ დამემალება.
მასთან დავუშვებ
ოცნების ღუზას,
ფაქიზი გრძნობაც
მომეძალება,
თუკი მეწვევა
აწყვეტილ მუზად

უსათნოესი
თაფლისთვალება!

* * *

ჩემი ტრიადა

განთიადს ვხვდები
მე აღტაცებით,
აღარ ვცემ პატივს
განძ - მარგალიტებს,
მხიბლავს სიმაღლე
აზრის და მთების,
ვკრებ ფიქრთ ბარაქით
დახუნძლულსა წლებს.
საიდუმლოთა სკივრს
ჰგავს ცხოვრება,
და იმედები მკვირცხლ
თვალებს ჰგვანან.
ჰა , ჩემი არსის გამეორება –
მეცნიერება, ლექსები, ანა!

* * *

განწყობა

ცაა ღრუბლებით გადატენილი,
სევდიანი ხმის გაისმის ჟღერა,
დედა–ბუნება ჩანს მოწყენილი –
მხოლოდღა შენი მამხნევებს მზერა!
ირგვლივ იღვრება დარდის ცრემლები,
ბედი ფიქრთა ჯარს ზედ თავზე მახვევს,

იმედს შევხარი, ვითარც მძევლები,
როდესაც ვუმზერ გაბადრულ სახეს!
მორცხვად ჩურჩულებს ახლოს შროშანი,
სიცოცხლის ტალღა მძლავრად ხმაურობს,
როგორც საამო ამბის მომტანი,
მე ძალას მმატებს შენი აურა!
აშარი ქარი ღრუბლებს გადაყრის,
და ხმა ბულბულის მომიტანს შვებას.
სასომიხდილს და დარდებით დაღლილს,
თუ შენი მზერა მეთამაშება,
არა მაქვს შიში ტანჯვის და ნაღვლის!

* * *

ხარ სიხარული და შთაგონება,
გიმზერ, ნათდება ჩემი გონება!
ავახმიანებ რითმებს, ვით საფო*,
და ლამაზ ტუჩებს მსურს დავეწაფო.

* * *

გადაცდომა

მე დაგივიწყე ისე,
ვერ ვიგრძენ სიყვარული,
ნუთუ ვერ დავაფასე
ცხოვრების გაზაფხული?
ეხლა კი არის გვიან,

* საპფო – ანტიკური ხანის ლეგენდარული ლირიკოსი ქალი.

მატარებელი წავიდა,
რაც დროს ულმობელს თან მიაქვს,
ვეღარ ვიბრუნებ თავიდან.

* * *

ლოდინი

გელოდი გულით და მერე როგორ?
ვიქეცი მართლაც მაშინ ლოდინად,
გაქრი თვალთაგან და გაცდი გომბორს.
იმედმა სხივი მაინც მომფინა,
ნდობა არ გაქრა, არ ვიკუტები,
გავსრისე ყველა ეჭვების მახრა,
მწამს მოხვალ, ისევ დამიბრუნდები,
ნაღველმა გული ჯერ ვეღარ დახრა.

* * *

სათნოება

როდესაც ვხედავ
მომღიმარ თვალებს,
სულში აისის შუქი
ტრიალებს;
როდესაც მესმის
ტკბილი ხმის ჟღერა,
იგი სიცოცხლის
არის სიმღერა;
როდესაც გრძნობა
ალად იელვებს,
ივსება ყოფის სიცარიელე;

და თუ ვგრძნობ სითბოს
შენი გულიდან,
სიცოცხლე მაშინ
სულ უფრო მინდა!

* * *

სქანი ყოროფათ ვორექ ჭვილი,
გინოლასირ დო ურძღაფუ,
მუ მიჭირც ყოროფილი
არძაშ უჯგუშ გორილ მაფუ !

* * *

ათე რინა, ბოში, მუ რე,
მუთუნი ვაღირ ათეცალი!
ყოროფილქ ვემკომჭუ,
დუდ ვამოკო მა ცოცხალი!

* * *

ყორიფილშა შორშე ჯინა
ყოფე, ვავა, მუშ მანწარა,
ძალათ ოკო ქუვაჯვიდე,
მა ვამიღუ ანწ შხავა შარა!

* * *

ყოროფათ ვორექ შერი,
თის ნოღვე თიჯგუა ძალა,
შერულ მუთუნ ქოფქიმინენ,
ანწ მა აშო ვეკმაბრალა!

* * *

თეჯგუა ჯგირი, თეჯგუა სქვამი,
სო ერჩქინდი ათეცალი?
სქანი ყურიფათ დაჩხირი მონტუ
მაჭუალი, მაგბალი.
ქომიწი, გურიშ გაბლა ცირა,
მოგიყონ ჩქიმდა მუქუ,
სქანი უძირაფუოთი
კოჩი იშო დობღურუქ.

გამოხმაურება გიორგი მალაშხიას ლექსების კრებულზე ,,სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად. ცხოვრების ფილოსოფია“ ცნობილი მეცნიერი, პოეტი

პროფესორი გიორგი მალაშხია გამორჩეულ ქართველ მეცნიერთა კოჰორტის ბრწყინვალე წარმომადგენელია. ბუნებით ბოძებული ელვარე ნიჭისა და მეცნიერების დარგში განსწავლულობის, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ღრმა ცოდნის საფუძველზე ბატონმა გიორგიმ ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა ეკონომიკის დარგში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ,,მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია“, ,,ეკონომიკურ–ფილოსოფიური ესეები,“, ,,ადამიანური ეკონომიკა.
ადამიანი გზაგასაყარზე,“ ,,ზომიერი ადამიანი“ ,, სოციალური ენერგია“, ,,უქმი ეკონომიკა,“ ,,დიდი ილია: ჰუმანისტი, დემოკრატი“ და სხვა. ამ წიგნების დასახელებიდანაც ჩანს ავტორის მიერ ეკონომიკური პრობლემების კვლევისადმი ორიგინალური მიდგომა. მის მონოგრაფიებში უხვადაა მეცნიერული სიახლეები, რომლებსაც თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვთ. პროფესორი გიორგი მალაშხიას ნაშრომები თარგმნილია ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე და დაინტერესებული მკითხველისათვის ისინი მისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობითაც.
ეს მოკლე ინფორმაცია ეხებოდა გიორგი მალაშხიას კვლევის ძირითად სფეროს, რითაც ცნობილია იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

აქ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ მის ახლახან ქართულ ენაზე გამოცემულ ლექსების კრებულს.

ეს კრებული იწყება მკითხველისადმი მიმართვით, სადაც ავტორი მოკრძალებით წარუდგენს მას თავის პიროვნებას. იგი წერს: ,, ჩემი ლექსები ალბათ განსაკუთრებული არაა. მათში ჩემი სათქმელი გადმოცემულია, ხატოვან სიტყვასთან ერთად, აზროვნების ცნებითი წესის ფართოდ გამოყენებით. მათში არის მეტაფორები, ჰიპერბოლები, შედარებები და სხვა მხატვრული ელემენტები, მაგრამ არა ჭარბად. ეს ჩემი სტილია. არც ერთი ნაძალადევი, სულის სიღრმეში და გონების ქურაში თითქოს უნებურად ჩნდება რითმისა და ფიქრის ხანძარი."

ავტორი მიუთითებს დროით შეზღუდულობის შესახებ მეცნიერების შესწავლისა და განვითარების მცდელობის, ცოდნის სხვებისთვის გადაცემის, არსებობის საშუალებათა მოპოვების გამო და მართებულადაც აღნიშნავს: ,,პიროვნებას არა მარტო საკუთარი ბუნებით მომადლებული რესურსი, არამედ გარემოც ქმნის. სხვა უკეთეს პირობებში ალბათ შეიძლებოდა სულ სხვა ყოფილიყო ჩემი ნახელავი. არ მაქვს თვითკმაყოფილების გრძნობა. იმას კი ვიტყვი, რომ ლექსები მუდამ მეხმარებოდა გამომეხატა ცხოვრების, გარემოს, სამყაროს ჩემი ხედვა და უფრო მძაფრად და მარტივად, ვიდრე მეცნიერულ ნაშრომებში ვახერხებდი ამას." კრებულში მოთავსებული ლექსები ორიგინალურია შინაარსით. ამ ლექსებიდან ჩანს გიორგი მალაშხიას პიროვნება, რომელიც გამოირჩევა თავმდაბლობით, კაცთმოყვარეობით, სიკეთით, პატიოსნებით.

გაზეთის ფორმატი არ იძლევა რამდენიმე ლექსის დაბეჭდვის საშუალებას. ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ ლექსების ეს კრებული დაინტერესებულ მკითხველს ინტერნეტით. ჩვენი ელექტრონული მისამართია : davidakurtanidze@mail.ru .

გვეამაყება, რომ პროფესორ გიორგი მალაშხიასთან მრავალი წლის მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. ასეთი ადამიანები ალამაზებენ სიცოცხლეს ჩვენს პლანეტაზე.

პროფესორები: იაშა მესხია, დავით კურტანიძე
გაზეთი ,,დავითის ფარი “, № 251,იანვარი, 2015 . ამერიკა, ნიუ–იორკი.

* * *

გიორგი მალაშხიას ლექსები ცხოვრებისა და ადამიანთა ავ–კარგს ხატოვნად, დამაჯერებლად და საინტერესოდ ასახავს, ოპტიმისტურიცაა, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების რწმენას განგვიმტკიცებს. ორიგინალური და შთამაგონებელი პოეზიაა.

პროფესორი მიხეილ როკეტლიშვილი.
ამერიკა, ნიუ იორკი.

* * *

ფილოსოფიურ–დისკურსიული პოეზია

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ გიორგი მალაშხიას ლექსების კრებულმა ორიგინალობით, აზრის სინერგეტიკული – პოეტური და მეცნიერულ–ფილოსოფიური ენერგიით ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მე მის შესახებ აზრს გამოვთქვამ როგორც პოეზიის მოყვარული, მეცნიერებასა და ფილოსოფიაში გარკვეული ამბიციების მქონე შემფასებელი მკითხველი.

გიორგი მალაშხიას კრებულის ყველა ლექსი პოეზიისადმი ჭეშმარიტი ერთგულების პათოსით,თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ეს პათოსი და მრავალფეროვნება მთელი პოეტური შემართებით ემსახურება ადამიანურ მანკიერებათა დამარცხებას და ადამიანის სრულყოფისაკენ მიმსწრაფი ნების გამარჯვებას. როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ ყველა გზა რომისკენ მიდისო, კაცობრიობის ყველა გზა მანკიერებათა დამარცხების სიკეთის, კაცთმოყვარეობის გამარჯვებისკენ მიემართება. ესაა გიორგი მალაშხიას ლექსების საერთო ლეიტმოტივი. იგი იდეურად გამუდმებით, შეურიგებლად, დაუნდობლად ებრძვის ადამიანურ მანკიერებებს: ანგარებას, თვალთმაქცობას, სიძულვილს, სიძუნწეს, ორგულობას, გაუტანლობას, პირფერობას, აგრესიას, საერთოდ ბოროტებას, ადამიანის სისუსტეებს, ცდუნებებს და სხვა, ამასთან, თითქმის ყოველთვის მიმტევებელია, კეთილმოსურნეა. იგი ილაშქრებს არა ბოროტი ადამიანების წინააღმდეგ, არამედ ადამიანში ბოროტების წინააღმდეგ, გამოდის სიკეთისთვის მეომრად. ის ოპტიმისტურადაა განწყობილი სიკეთის გამარჯვების მიმართ. სჯერა, რომ ,,ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (რუსთაველი). მაგრამ ეს ძნელი და რთული გზაა. ამასთან, ის მიაჩნია გიორგის ადამიანთა არსებობის ლოგიკად, ცივილიზაციის გზად – პროგრესის რეალიზაციის პირობად, საშუალებად, რაც აისახა მის პოეზიაში. იგი სხვა, ალტერნატიულ გზას სუიციდისკენ მიმავალი ვექტორის სახით ხედავს.

კეთილმოსურნე ადამიანებს რაც შეეხება, მათ მიმართ ავტორი ზღვარდაუდებელ სიმპატიასა და მოწონებას თაყვანისცემასაც კი ავლენს.

ყოველივე ზემოთ თქმული შთამაგონებლია ფილოსოფიური აზრებითა და ლირიკული აღმაფრენით. ასე, რომ ძალაუნებურად, სრულიად ბუნებრივად მკითხველს შეიძლება გარკვეული

პარალელი გაუჩნდეს კიდეც ძველ ბერძენი, რომაელი თუ ცენტრალურ ევროპელი და აღმოსავლეთის პოეტებისა და პოეტურად მოაზროვნე ფილოსოფოსების ნააზრევთან. მერე რა, რომ ეს ავტორი ჩვენს გვერდითაა, პატარა ქვეყნის შვილია. ეს ანალოგიის უფლებას არ გვიზღუდავს. გენიალური ასტროფიზიკოსი, ჰელიოცენტრული სისტემის თეორიის შემოქმედი კოპერნიკი, დიდი ფილოსოფოსი ჯეიმს სტიუარტ მილი ეკონომისტებიც იყვნენ. რომ არაფერი ვთქვათ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებზე არისტოტელესა და ქსენოფონტზე. რომელთა წვლილი დიდია ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლის ჩაყრაში და თვით სახელწოდების წარმოშობაში. პროფესორი გიორგი მალაშხია რაღაც გაგებითა და ზომით მათ რიგს მიეკუთვნება. როგორც ფილოსოფოსი–ეკონომისტი, ის დიდი ხანია ცნობილია. ამის თქმის საშუალებას მაძლევს მისი ფუნდამენტური ნაშრომი ,,მეტაეკონომიკა–ეკონომიკის ფილოსოფია“. ამჯერად კი იგი მოგვევლინა ფილოსოფიური პოეზიის წარმომადგენლად.

პროფესორი გიორგი მალაშხია ხშირად კოსმოსში ,,დაფრინავს“, ვირტუალურ სამყაროდან გვესაუბრება, მაგრამ მას დედამიწასთან, რეალობასთან ყოველთვის აქვს მჭიდრო კავშირი. ასე რომ, მას შეიძლება რეალისტ–იდეალისტი პოეტი ვუწოდოთ. მის ფანტაზიაში მიწიერი და არამიწიერი სამყარო ერთიანდება, ის ორივესია, ,,ხან მიწისაა, ხან ცისა“. ხშირად დისტანციიდან, ცდილობს დღევანდელი რეალობის დანახვას. (ზოგჯერ სწორედ ხომ შორიდან ჩანს უფრო ნათლად ძირეული მოვლენები, მათი ბირთვული კომპონენტები). მაინც იგი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. თითქოს ,,სხვაგან“ არის და სულ ,,აქ“ არის, სულ მუდამ შფოთავს და სულ ყოველთვის მშვიდია. ის ჩვენც გვაფორიაქებს და შეიძლება ღამეც გაგვათენინოს სიფხიზლეში, თუ

მისი მუზის სამყაროში შესვლას შევძლებთ და ის მოგვეწონება კიდეც.

მისი პოეტური ნააზრევი თავისუფალია აგრესიულობისაგან, ნიშნის მოგებისაგან, შთაგონებულია ჰუმანიზმით, დამუხტულია პროგრესის ენერგიით. ამ პოეტის სახით ჩვენს წინ დგას ადამიანური პოეზიის არქიტექტორი.

ნიშანდობლივი და ადეკვატურია, რომ ლექსების ამ კრებულს ჰქვია ,,სულის ამბოხი". ეს მართლა ამბოხია, მაგრამ არა აგრესიული, არამედ მხოლოდ გულშემატკივრული, კეთილ–განწყობილი, თანაც დაუდეგარი, ყოველგვარი უკეთურობებისადმი შეურიგებელი სულისა, მებრძოლი პაციფისტისა, როგორც თავს უწოდებს ხატოვნად ავტორი, პოეტური მაქსიმების ნაკადია.

არ ვიცი, რას იტყვიან და დაწერენ გიორგი მალაშხიას ,,სულის ამბოხის" შესახებ ლიტერატურული ექსპერტები (კრიტიკოსები) ან სხვა, მათ შორის ახირებული პერსონები, იქნებ შეეცადნენ კიდეც ეძებონ პოეტური ტექნოლოგიის ან სხვა ხინჯი (ყველგან ვიპოვით რაღაც ნაკლს, ეს ადვილია), მაგრამ ეს არაა მთავარი. მნიშვნელოვანი, ვფიქრობ, ისაა, რომ ამ პოეტურ კრებულში ბევრი რამ არის დასაფასებელი და მჯერა, რომ მას ეყოლება გამგები და შემფასებელიც მკითხველთა ფართო წრის სახით. დარწმუნებულიც ვარ, გიორგი მალაშხიას ,,სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად. ცხოვრების ფილოსოფია" იპოვის ფართო გზას მკითხველებისკენ. კარგიც იქნება, თუ მას ყველა განათლებული ქართველი წაიკითხავს. მწამს, ლექსების ეს კრებული თავის ადგილს დაიმკვიდრებს მდიდარ ქართულ პოეზიაში.

პროფესორი გურამ ყუფუნია

* * *

ოპტიმისტი ადამიანის დაუოკებელი სწრაფვა თვითმყოფობისკენ

აზრები გიორგი მალაშხიას ლექსების კრებულის ,,სულის ამბოხი“ წაკითხვის შემდეგ

ადამიანის გადაგვარება-გაუცხოებას მრავალი ტომი მიეძღვნა, მაგრამ იბადება სავსებით მართლზომიერი კითხვა: როდის მოასწრო ადამიანმა გადაგვარება-გაუცხოება მაშინ, როდესაც მას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია ადამიანური საზოგადოება?!

ამ კითხვაზე პასუხი შეუძლებელია კლასიკური თეორიული საფუძვლების ცოდნის გარეშე, რის დეფიციტმაც მიგვიყვანა სწორედ დღევანდელ ობივატელურ და სულიერად გაღარიბებულ საზოგადოებამდე, რომელსაც ვერანაირად ვუწოდებთ ადამიანურ საზოგადოებას, ვინაიდან მას არ გააჩნია არც ნათელი იდეოლოგია და არც მიზანი-ვექტორი, რომელიც ადამიანური მწვერვალების დაპყრობისკენაა მიმართული. ადამიანი-მიზნის ადგილი ფულმა-საშუალებამ დაიკავა მთელი სისრულით და ადამიანი-მიზეზი მან წმინდა წყლის საშუალებად გადააქცია. ეს პროცესი დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც პროდუქტი-საშუალება საქონელ-მიზნად გადაიქცა, ანუ შრომის იარაღების გამოგონება-გაუმჯობესების შედეგად ადამიანმა თავისი მომმე დაიმორჩილა, გახადა სამუშაო ძალად და ზედმეტი პროდუქტის წარმოება დაიწყო, რომელიც, შესაბამისად, საქონლად გადაიქცა. და ყოველივე სოციალურმა უკეთურობამ სწორედ ამ ისტორიული მომენტიდან იღებს სათავეს, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, ან

პრიმიტიული ცნობიერებით არ ეთანხმება ამ ისტორიულ სინამდვილეს.

ეს მცირედი შესავალი თითქოსდა რა მოსატანია პოეტური შემოქმედების შეფასებისას, მაგრამ ცნობილია, რომ თითოეულ მოვლენას თავისი მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერება უდევს საფუძვლად და აქ მიზანშეწონილი იქნება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ბატონი გიორგი მალაშხია გახლავთ ერთ-ერთი ის გამონაკლისი თეორეტიკოს-ეკონომისტი საქართველოში, რომელიც არ არის სათანადოდ შეფასებული და რომლის მეცნიერული იდეები კი სათანადოდ გამოყენებული. აი, სწორედ ესაა ჩვენი თანამედროვე საზოგადოების უბედურების ერთ–ერთი გამოვლინება.

ბატონმა გიორგიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია მეცნიერებას. ტიტანური შრომით ათეული წლები ერკინებოდა ეკონომიკური კანონზომიერებებისა თუ კანონების შემეცნებას, რაც ნათელს მოჰფენს სოციალურ სიდუხჭირეს და შვებას აგრძნობინებს საზოგადოებას, მაგრამ ამაოდ. ნამდვილად შესაშური და გადამდებიცაა ბატონი გიორგის ოპტიმისტური, მამულიშვილურ-პასუხისმგებლური შემართება, რომელიც მიმართულია ადამიანური ცხოვრების შესახებ ჭეშმარიტების საზოგადოების გასაგონად გამოხატვისკენ, რისთვისაც ის ძალ-ღონეს არ იშურებს და ყველა საჭირო ხერხს მიმართავს. ამისი დასტურია მისი ერთ-ერთი ლექსის „ფიქრები ლექსად“ სტროფი:

,,მსურს სიტყვა იყოს, როგორც ელვა,
მკვეთრი და სხარტი,
მზის სხივებივით იღვრებოდეს
ვრცელ სამყაროში,
რომ ჰქონდეს ძალა მიმზიდველი

მას ანდამატის
და არა ჰგავდეს მოცახცახეს,
ყინვით გათოშილს!
მიშველის ლექსი, როცა ძალა
ცნებებს არ ყოფნის,
როცა ლოგიკა თვით რკინისა
ხდება უძლური,
რითმა იფეთქებს ცხადზე ცხადი
ისე, ვით თოფი,
შემეცნების ჟინს დააოკებს,
ვით ღვინო წყურვილს!”

თუ არა ბატონი გიორგი, აბა, ვინ ხედავს იმას, რომ ტერმინი, ცნება, კატეგორია, კანონი, კანონზომიერება აღრეულია ერთმანეთში და მათი მოცულობითი შინაარსი ხშირად სიტყვის პრიმიტიულ არსამდეა დაყვანილი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სიტყვამაც კი დაკარგა დღეს თითქოსდა ძალა და თავისი ისტორიულ-ლოგიკური დანიშნულება...

საზოგადოების დიდი ნაწილი კვდება ისე, რომ მის ცალკეულ წევრებს არასოდეს ებადებათ კლასიკური კითხვა: რა აზრი აქვს ადამიანის სიცოცხლეს, რა არის ადამიანის დანიშნულება, რას ნიშნავს იყო ადამიანი, რა არის ადამიანის არსი და ა. შ. მაგრამ საზოგადოების ნამდვილად ინტელექტუალური ნაწილისთვის ყოველთვის მტკივნეული და თავსატეხია ეს და სხვა, მსგავსი შინაარსის კითხვები. ისინი დაუღალავად შრომობენ ბუნების კანონზომიერებების ამოცნობა-შესწავლაზე და სოციალური სამართლებრივი კანონების სამართლიანობაზე, სრულყოფაზე თუ მათ გამოყენებაზე. სწორედაც ამ კატეგორიის სუბიექტები ცნობიერად უახლოვდებიან არა უბრალოდ ბიოლოგიურ სხვად ყოფნას - კვდომას.

ინდოელი მოაზროვნე, ვივეკანანდა წერდა: - „ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკარგება... თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საუკუნეების მიერ გადმოცემულ გეზს, - საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს, ეს ერი კვდება“.
მსოფლიოში აშკარად გამოკვეთილი კი არის ერების გადაგვარება, რაც მათი კვდომის საფრთხეს წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოში უამრავი სიწმინდე შელახულია, ადამიანური ტრადიციები ან ნიველირებულია ან არამოდურადაა შერაცხული, ან კიდევ დასაცინ ტონალობას იძენს. და ამ ჟამს ყველაზე მეტად განიცდის, იტანჯება ცნობიერად ამაღლებული ადამიანი. მას ყველაზე მეტად უჭირს. მისთვის მატერიალურ ფასეულობას არანაირი მიმზიდველობა არ გააჩნია, რადგან მოაზროვნე და ამაღლებული გონისთვის ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა მხოლოდ საშუალებაა საკუთარ სულიერ სარბიელზე.
დიახ, დღეს უჭირს მოაზროვნე ადამიანს, უჭირს, რადგან, შექსპირის გენიისა არ იყოს:

„მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა...“.

უჭირს ადამიანს, რადგან ფულის ძლიერება ითვლება მხოლოდ ძალად, უჭირს, რადგან უვიცები გონიერ ადამიანს დასცინიან და ხმამაღლადაც.
სწორედ ამ ტკივილებმა დაბადა ბატონი გიორგი მალაშხიას ეს წიგნი, სადაც ცნობიერი სიცოცხლის განმავლობაში განცდილი სოციალური ქარტეხილებით აღვლენილი განცდები, აზრები,

ტკივილები პოეზიის სპექტრში მოექცია, რადგან აქ გადმოცემულ სოციალურ ნიუანსებს სრული დატვირთვით თავის მეცნიერულ ტომებში ვერ მოაქცევდა.

ცნობილია, რომ ყველა მოაზროვნე ადამიანი ხშირად განიცდის სულიერ სიმარტოვეს, სულიერ ტრაგიზმს და ამ მომენტებს თითქმის ყველა მოაზროვნესთან ერთნაირი საფუძველი აქვს - პირადი და სოციალური.

ფულის საზოგადოებაში ღირსეულ ადამიანთა უდიდესი ნაწილი უსუსურია, სოციალური ინსტიტუტების მარწუხებისგან დაუცველია. როგორც ბატონი გიორგი ამბობს თავის ლექსში:

,,...ჰა, იყიდება ადლი მზე...
ჰა, იყიდება ქვეყანა!...
გასაყიდად დევს ნამუსი,
მოედნები და კორტები,
აზრები ნოსტრადამუსის,
სული, სხეული, ნოტები...“

ვინც მოკლებულია ფულის საშუალებას - მოკლებულია ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, ხშირად კი არარაობადაცაა ქცეული. ეს ხომ კერძო სამართლის ახირებებია?! ამ „სიუხვის“ სამყაროში ღირსეული ადამიანი რატომ უნდა იყოს ფულ-საშუალებას მოკლებული?

ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაცია რეგრესით მიმდინარეობს ადამიანთან, როგორც მთავარ ფასეულობასთან მიმართებაში. მხოლოდ ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიების სფეროში ინტენსიური პროგრესი როდი მიგვანიშნებს ჰუმანიზმისა და ადამიანის ბედნიერების დამკვიდრებაზე, ანუ ნამდვილ ცივილიზაციაზე. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველასთვის დიდ უბედურებას წარმოადგენს ფულის კანონზომიერება, რომელიც ვერ ჰგუობს ადამიანს, სულიერ

ამაღლებულობას, ადამიანთა სიყვარულს, საზოგადოებრივ ადამიანს. შედეგად ის აყოვნებს ადამიანის ქმნადობის, მისი გარდაუვალი კულტურიზაციის პროცესს.

და სწორედ ეს საშინელი სოციალური წინააღმდეგობა ყოველდღიურად ასამარებს და ეწინააღმდეგება ჯერ კიდევ შემორჩენილ მოაზროვნე გონთა უკვდავებისკენ მიმსწრაფ დიდისულოვნებას. დაგვიდგა ისეთი დრო, როდესაც თავისუფალი, დიადი და ადამიანთა მოდგმის დამამკვიდრებელი თუ მასაზროებელი ძლევამოსილება უპრეცენდენტოდ ისჯება, მაგრამ სიმართლის ურყევ ძლიერებასა და მის უბერებელ, დაუმარცხებელ თვითმყოფადობას არასოდეს დაუხევია უკან.

კაცობრიობის გენიათა ისტორია ცხადჰყოფს, რომ ღირსეულ, იდეებს შეწირულ ადამიანებს არასოდეს დაუხევიათ უკან. არ დაუხევია და არც დაიხევს უკან სიმართლის სივრცისკენ მიმსწრაფი სოციალური ვექტორი. ამისი ნათელი მაგალითია თუნდაც ბატონი გიორგი მალაშხიას მთლიანი მეცნიერული შემოქმედება და ნათელი დასტურია მისი შევერცხლილი წლების ნაჟური პოეზიაც, რომელიც გამსჭვალულია სიმართლისა და სამართლიანობის ძიებით, შეუნელებელი ოპტიმიზმით, ადამიანური სიყვარულის მაგალითებით, თვითდამკვიდრების დაუოკებელი ჟინით...

ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ვიცნობ გამორჩეულ მეცნიერს საქართველოში, სიმართლისთვის მებრძოლ ქართველს ოცდამეერთე საუკუნეში, ლირიკული გრძნობებით აღსავსე გიორგი მალაშხიას და მე ვამაყობ ამით...

ვახუშტი ფარცვანია
ფილოსოფიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი.

* * *

გიორგი მალაშხიას ნათლად გადმოუტანია პოეზიაში, თავის სხვა საგულისხმო იდეებთან ერთად, მეტათეორიული მეცნიერული სიახლეები, რომლებიც ფართოდ არის ცნობილი. კერძოდ, ეს შეეხება მთელი ცხოვრებისა და ეკონომიკის ჰუმანიზაციას, ზნეობრივი იმპერატივების, ჭეშმარიტი, გაუბუნდოვნებელი სამართლიანობის, თავისუფლების დამკვიდრებას, ყოფის ესთეტიზაციას, ადამიანურ ფასეულობათა ხორცშესხმას ჩვენს ყოველდღიურ სინამდვილეში, რაც აუცილებელია ბედნიერი, ნამდვილი ადამიანური ცხოვრებისათვის. ეს გაკეთებულია ნათელი სახეებისა და ცნებების, სადა ფორმების გამოყენებით, რაც უეჭველად მოახდენს შთაბეჭდილებას სათანადო მკითხველზე.

აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი

* * *

მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს, ის რომ გიორგი მალაშხიამ მხატვრული ფორმით შეძლო გადმოეცა თავისი მნიშვნელოვანი თეორიული აღმოჩენები, რომლებიც შეეხება დოვლათის (სიმდიდრის) წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესებს, ადეკვატურ, ნათელ წარმოდგენას კეთილდღეობაზე, ადამიანთა ღირსეულ ცხოვრებაზე. სიკეთის დამკვიდრების წინააღმდეგობებს და, რაც მთავარია, შესაძლებლობებს. ამას ადვილად შეამჩნევს ის, ვინც წაიკითხავს ლექსებს: ,,ერთი ვერავინ“, ,,გეყოს“, ,,კმარა დამთავრდეს,“ ,,ზედმეტი“, ,,ჰე, გადი სწორზე კაცობრიობავ“, ,, ძველი სამყარო“, ,,კრიტერიუმი“ და

სხვა. ყოველივე ამას ავტორი წარმოგვიდგენს საკაცობრიო ფასეულობათა და ადამიანური კრიტერიუმების საფუძველზე, უპირისპირდება არსებულ, საყოველთაოდ აღიარებულ თეორიებს. ამ მხრივ სპეციფიკურ პოეზიასთან გვაქვს საქმე. რაც ზოგისთვის შეიძლება სადავო და გაუგებარიც აღმოჩნდეს. ამ პოეზიას, ჩემი აზრით, მკითხველთა გარკვეული წრეები დიდი ინტერესით შეხვდება.

პროფესორი პარმენ ლემონჯავა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

* * *

გიორგი მალაშხიას ლექსები ძალიან მოგვეწონა პირველი წაკითხვისთანავე ჩვენ და ჩვენს შვილებს. ღრმად და ხატოვნად არის ადამიანთა ცხოვრების რთული სინამდვილე აღბეჭდილი. აქ თავისებურად პოეზიის ხიბლიც იგრძნობა და ღრმა ახალი მეცნიერული აზრის ძალაც. უთუოდ თვითმყოფად ლიტერატურულ ნაწარმოებებთან გავქვს შეხება.

გივი თაქთაქიშვილი, მარინა ჟორჟოლიანი
მეცნიერ–მკვლევარები
ჰოლანდია

* * *

კარგი ლექსები შემოგვთავაზა გიორგიმ, ყველა მათგანი მეტად ღრმა შინაარსისაა. იგრძნობა მისი უნარი ძირში ჩაწვდეს ცხოვრების მოვლენებს და შთამაგონებელი ფორმით გადმოსცეს თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ. ეს მხოლოდ მისი დამოკიდებულება არაა, ასახავს მრავალი დაკვირვებული, გამოცდილი ადამიანის აზრებსა და განცდებს. არ შეიძლება არ დაგამახსოვრდეს წაკითხვის შემდეგ ლექსები ,, საქართველოო, უნდა აყვავდე!“, ,,ფორტუნა “, ,, ჰე, გადი სწორზე კაცობრიობავ!“ , ,, ემპატია “, ,,ძველი სამყარო “, ,,ომი“, ,,უკვდავება “, ,,ღამე “ და სხვა მრავალი. სასიხარულოა, რომ ჩვენმა კოლეგამ ასეთი ლექსების კრებული მიაწოდა მკითხველს. ვფიქრობ, იგი უკვალოდ არ გაქრება და თავის ადგილს დაიკავებს საზოგადოების ცნობიერებაში. დამრჩენია მივულოცო ჩემს დიდი ხნის უფროს მეგობარს შემოქმედებითი წარმატება ამჯერად პოეზიის სფეროში.

პროფესორი ელენე მენაბდე

* * *

საყოველთაოდ აღიარებულმა მეცნიერ–ეკონომისტმა გიორგი მალაშხიამ მრავალი მეთოდოლოგიური და ფუნდამენტური თეორიული სიახლე შესძინა მეცნიერებას. ნიშანდობლივია, რომ ცხოვრების ხედვა მის ლექსებშიც აისახა პოეზიისა და მეცნიერების გარკვეული კონვერგირებული ფორმით, რის

ოსტატურად, თავისებურ მხატვრულ სახეებში წარმოდგენის უნარი მას აღმოაჩნდა. ლექსების ეს კრებული უთუოდ გამოიწვევს მისი აღქმისათვის მზად მყოფი მკითხველის ინტერესს.

პროფესორი ნუგზარ ბაბუაძე

* * *

გიორგი მალაშხიას ლექსები რომ წავიკითხე, მაშინვე შემიპყრო ფიქრებმა ცხოვრების აზრისა და ბედნიერებისაკენ ადამიანის სწრაფვის ირგვლივ. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ამ მხრივ ,,ფორტუნა“, ,,სულის ამბოხი“ და სხვა. მათ წაკითხვის შემდეგ უნებურად ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,მერანი“ და ,,ფიქრნი მტკვრის პირას“ გამახსენდა. სულიერად ამამაღლებელია ასეთი ფილოსოფიური ლექსების კითხვა. სინამდვილის მეცნიერულ–ფილოსოფიური და პოეტური აღქმა დიდად დაშორებული არაა ერთმანეთისგან, ორივე ცხოვრებაში ჭეშმარიტების, სიკეთის დაფუძნებას ემსახურება, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პოეზიაში ახალი ნაკადის შემოდინებას. მინდა ავტორს უთხრა: მაგარია!

ეკონომიკის დოქტორი ციალა ლომაია

* * *

ძალიან გამახარა გიორგი მალაშხიას ლექსების კრებულმა. ვფიქრობ, ბევრს მოეწონება და ინტერესით წაიკითხავს, ვისაც ლექსები უყვარს და შეუძლია გაიგოს. ავიღოთ, თუნდაც ლექსი ,,დრომ მოიტანა“, რომელშიც ცხოვრების კანონზომიერება,

ობიექტური ძალაა ასახული, რომ ყველაზე დრო მბრძანებლობს. აი, ამონარიდი ამ ლექსიდან:

ძლიერ დიქტატორს ჰგონია,
რომ იგი მბრძანებლობს,
ყველა უფრთხის მას,
როგორც შველი ლომს.
ეს დრო მბრძანებლობს
დრომ მოიტანა,
რომ აბარია მას ეს ქვეყანა....
ხალხმა გვასწავლა:
ყოველივე დრომ მოიტანა,
დრომ მოიტანა წესი და წყობა,
იგი მოიტანს იმათ მოსპობას.

ან კიდევ, ვის არ მოეწონება მისი ჰუმანური იდეით გაჟღენთილი ლექსი ,,ემპატია“ და სხვა. ჩემი მხრივ, დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო გიორგის მიმართ, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, ამ ორიგინალური ლექსების კრებულის გამო.

ოთარ ხუფენია

* * *

გიორგი მალაშხია ცნობილი პროფესორია ეკონომიკის დარგში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგი. მისი წიგნი ,,სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად. ცხოვრების ფილოსოფია“ ამ პიროვნებას სულ სხვა რაკურსით წარმოაჩენს.

მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე მისი ლექსები. აქ სადად და საინტერესო სტილში არის განხილული მარადიული საკაცობრიო თემები; ზნეობრიობა, სამართლიანობა, ჭეშმარიტება და ა. შ.

ავტორი არ ექსპერიმენტატორობს, ლამაზი ფორმით, დახვეწილი ლექსიკით გვესაუბრება ცხოვრების ავ–კარგზე, იგრძნობა მისი პოეტური სული, რეალობის პოეტური ხედვა.
ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულ მკითხველს ვურჩევ წაიკითხოს გიორგი მალაშხიას „სულის ამბოხი“. ვფიქრობ, იგი ნამდვილ სიამოვნებასა და შემეცნებით საზრდოს მიიღებს მისი წაკითხვით.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
კარლო ღურწკაია

* * *

ძვირფასო ბატონო გიორგი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა თქვენი ლექსების სიღრმემ და პოეტურობამ. ნიჭიერი კაცი ყველაფერში ნიჭიერია. აბა, სხვა რა ვთქვა, სად მაკროეკონომიკა და სად პოეზია თითქოს, მაგრამ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, აქაც, რომ ბრწყინვალე ხართ. სიტყვასა და რითმას ლაზათიანად იმორჩილებთ, ოსტატურად იყენებთ ეპითეტებსა და მეტაფორებს, არა უადგილოდ - როგორც დღეს მრავალი, შინაარსიც და სიღრმეც ადექვატურია სათაურისა, განწყობა - მრავალგვარი. იმპრესიონისტი თუ არაპროფესიონალი პოეტები ძირითადად ერთნაირ მოსაწყენ სტილში წერენ ხოლმე, ერთ რომელიმე სტილს იმარჯვებენ ხელთ და უსასრულოდ, თქვენ კი მრავალი სტილი დაგიმორჩილებიათ, სულ სხვადასხვა აზრი და ემოცია ამოგიფრქვევიათ, ზოგან მგზნებარედ, ზოგან ფილოსოფიურად.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი მაია ბენია

* * *

ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ წარმატებულმა და აღიარებულმა მეცნიერმა – თეორეტიკოსმა, ეკონომიკის პროფესორმა გიორგი მალაშხიამ ორიგინალური ლექსების დიდი კრებული წარუდგინა მკითხველს, თანაც ყველასაგან მოულოდნელად, თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო. მართალია, მის ცალკეულ ლექსს ზოგიერთი ახლობელი იცნობდა, მაგრამ ასეთ უხვ ,,მოსავალს“ მისგან ვფიქრობ, არავინ ელოდა. კრებულის შინაარსიდან და გადმოცემის სტილისა და ფორმიდან გამომდინარე, ამ ნაწარმოებებს არ გაუჭირდება მკითხველთა გარკვეული წრეებისკენ იპოვოს გზა და მათი გონებისა და გულის სიმები შეარხიოს.

პროფესორი ნინო ჩიკვილაძე

* * *

ჩემი მოკრძალებული აზრი მინდა გამოვთქვა გიორგი მალაშხიას ლექსების ირგვლივ. ყველა მათგანში მნიშვნელოვანი აზრია გადმოცემული. ეს ლექსები თითქოს მოძღვრებაა, ცხოვრების სიბრძნის საბადოა, ახალგაზრდობისათვის და ყველასთვის, მიზნების და მოქმედების გზის მაჩვენებელია, სულიერად გვამდიდრებს. ამ ლექსებით თვალწინ გვიდგება ავტორის ცხოვრების რთული გზა, პრობლემებს შეჭიდებული, მათი გადალახვისათვის შემართული, კაცობრიობის მომავლის იმედით ანთებული, პიროვნება. ესაა ადამიანი, რომელიც ყველას მოუწოდებს სიკეთისაკენ, შემოქმედებითი წარმატებისკენ. იგი გმობს ყოველივე გადაჭარბებულს, ზედმეტს, როგორც ჭეშმარიტი

აზრით, უაზროსა და უსარგებლოს, შთაგვაგონებს მივყვეთ საკაცობრიო სიბრძნეს – ზომიერებას ყველაფერში. ამ ლექსებში ბევრი რამ სახელმძღვანელოდ გამოსადეგია ადამიანთა მიერ ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის, ბედნიერებისათვის, რისთვისთაც ავტორი მთელი კაცობრიობის პროგრესულ, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას დამყარებულ აზრებს გვთავაზობს. აქ აშკარად ჩანს, რომ პოეზიას შეუძლია შეასრულოს ცხოვრების რთულ ლაბირინთებში მაორიენტირებელი როლი.

მომხიბვლელია ავტორის მიერ გამოძერწილი მარტივი და მკაფიო სახეები, რომლებშიც ღრმა აზრებია მოქცეული. თითქოს მხატვრულ ქმნილებასაც კითხულობ და მეცნიერულ დოქტრინასაც, ზნეობრივ ტრაქტატსაც. ლექსების თემები თითოეულ ადამიანს, ხალხებსა და მთელ კაცობრიობას ეხება. ჩემთვის და ალბათ ბევრი ჩემი ტოლის, სხვა თაობის წარმომადგენლებისთვის ეს საოცრად მახლობელი პოეზიაა, რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო, არ მომწყინდება.

დოქტორანტი ანა გეთაშვილი

* * *

ეს ლექსები ძალიან მოგვწონს შინაარსითა და ფორმითაც. ორიგინალურია, ვფიქრობთ, სხვებსაც მოეწონებათ, რადგან ავტორი მრავალი ადამიანის აზრს გამოხატავს.

მართალი სიტყვა და ოსტატურადაც ნათქვამი ყოველთვის სასიამოვნოა.

სასურველია ლექსების ამ კრებულის მიხედვით აუდიო წიგნიც შეიქმნას.

პროფესორები თეა და ზურაბ მუნჯიშვილები.

* * *

ამ ნაწარმოებთა წაკითხვის შემდეგ თვალწინ გვიდგება ცხოვრების მრავალფეროვნება, სიკეთისა და ბოროტების შეჯახება, საფრთხეები, რაც თვით ადამიანთა მიერაა ერთმანეთისთვის შექმნილი, სიკეთის მარადიულობა და სიძლიერე, გამარჯვების შანსი. ყველაფერი ეს მაგარია,

სჭირდებათ ადამიანებს, ეხმარება მათ იმაში, რომ ცხოვრება აბსურდად არ იქცეს, რასაც ნათლად გვაუწყებს ავტორი.

აფხაზეთის ომისა და შრომის ვეტერანი

ზაურ დიხამიჯია

* * *

ეს ინტელექტუალური პოეზიაა. თითოეული სიტყვა ღრმა შინაარსითაა დატვირთული. თემები მახლობელია და დასამახსოვრებელი, არაა ნაძალადევი, არ გვხვდება ფუჭი თემები და მსჯელობები, სიტყვების თამაში, ბუნდოვანება, რაც არაიშვიათად შეინიშნება ცალკეულ ავტორებთან. ეს ისეთი ლექსებია, როგორიც ჩვეულებრივ მკითხველს ჭირდება. კრებული დიდი ინტერესით იკითხება.

სოფი როგავა

პედაგოგი

* * *

გიორგი ბიძიას ლექსების კრებულს აქ დიდი ინტერესით გავეცანით. ყველას მაგრად მოგვეწონა. მახლობელი და გასაგებია კეთილი კაცის იდეები, მიმზიდველად და მარტივადაა გამოხატული, გულში ჩამწვდომად და შთამბეჭდავად.
ფიქრობთ მას ბევრი მკითხველი ეყოლება.

თეონა და გიაჩო გოგოხიები
სანკტ–პეტერბურგი

სარჩევი

რედაქტორისგან 3
„სულის ამბოხი"– ადამიანური პოეზია..... 8
მკითხველთან შესახვედრად..... 14
ფიქრები ლექსებად 20
კრედო 21
სტილი..... 22
მე – ეს მე ვარ 23
პოეზია..... 24
განა ლექსია 25
საქართველოო, უნდა აყვავდე! 25
თბილისის საიუბილეო..... 27
სამშობლოს 27
ფორტუნა 28
ჭეშმარიტება..... 31
შუქი გონების.....32
აზრთან ჭიდილი..... 34
იდეალისტი..... 34
სულის ამბოხი 36
დამოუკიდებელი 37
ცხოვრების ფილოსოფია 38
დრომ მოიტნა..... 39
დედამიწელებს! 40
მთავარი..... 42
თავს უნდა ვკითხოთ!..... 43
სისადავე 44
ემპატია..... 45
ჰე, გადი სწორზე, კაცობრიობავ!..... 46
დრო 47
დავა ეპოქასთან 48
გვიტევს პროგრესი..... 50

მსოფლიო სარკეში 51
პოპულარობა..... 52
უბრალონი..... 53
სკეპტიკოსის ხედვა..... 54
ჩანაცვლება 55
გვიანი..... 55
უკვდავება..... 56
ვინაა დამნახავი? 57
ჟამთასვლა 57
ანთროპოფილებს 57
შენ გაგიმარჯოს, ადამიანო!..... 59
აბა, სანამდე განვითარება? 61
არასწორად ცხოვრება..... 62
,,ოქროს ხანა“ 64
ბურჯები 65
მიგნება 66
დროის მფლანგველებს..... 66
სიბნელე 67
ჰე, ისტორიავ!..... 67
რაა ცხოვრება?..... 69
კრიტერიუმი 69
გარანტი..... 70
სიჩქარეები..... 72
ცვლილება 722
მრავალფეროვნება..... 733
საყვედური კაცობრიობას! 74
დემოკრატია..... 75
კაცობის ფორმულა..... 766
არა მწამს 78
თვითანალიზი..... 800
უმტროობა?..... 81
რაც ჩვენ გვაკლია 82
უნდა გვახსოვდეს! 84

დაქირავებულის ჩივილი..... 844
სიმდიდრის შექმნა..... 85
გეყოს ! 86
არსებობს ზომა..... 87
უარი უქმსა ავლა-დიდებას!..... 88
განსადევნია ეს სენი!..... 889
მოლოდინი 90
გმირები 90
კავკასიონი 91
მიწაო ჩემო !..... 91
საზღვარი 91
გაუგებრობა 92
ძველი სამყარო..... 93
მეორე ისტორია 94
სირცხვილი შენდა, HOMO SAPIENS !..... 95
არსებობა 96
ფიქრთ სამყაროში 96
ო, წლები, წლები! 98
ცდომილება 98
ცხოვრების მომდურავი 99
ამაოება?..... 100
თავდაყირა..... 101
დაფასება 101
უიმედობა 102
კაცობრიობის გზა..... 102
მეგობრობა სჯობს 103
სილამაზე 104
უბრალოება 105
სალამი ახალ თაობებს!..... 106
კარგად ცხოვრება 107
სადა სჯობს? 108
გულის სიდიდე 108
ოჯახის სიხარული..... 109
წუთისოფელი 1099

ეს ქვეყანა თეატრია? 1100
დედაბუნება 1111
მძიმე სიცარიელე 112
სასარგებლო ცრურწმენა 113
გაუფასურება..... 113
გული 113
დაკარგული სირცხვილი 115
ვინ მწამს 116
მოჭიდავე 117
უბედურები 117
ბითური..... 118
სუროგატი..... 118
ბნელეთი 11919
ზოგიერთს 122
კონფორმისტს 123
კარგი კაცობა 123
აკადემიკოსები..... 124
არცოდნა..... 124
დაგვიანება..... 125
საშიშროება 126
სული ბოროტი..... 126
არგაგება 127
სიამაყე..... 127
ევრიკა..... 1288
მშრომელი..... 130
ალქიმიკოსობა 130
ომი 131
ინტელიგენტი 132
ალტრუისტები..... 133
საჭირო ცოდნა 133
გამძლეობა 134
სოლიდარობა 135
ცოდნა – არცოდნა 136
ადამიანის ხვედრი 137

არევ–დარევა..... 137
გაურკვევლობა..... 138
ბედის განაჩენი 1388
რა გამახარებს? 139
მიუწვდომელი წადილი..... 140
ყველას – თავისი!..... 141
ზედმეტი 141
შეგნების ბზარი 142
ცნობადობა..... 144
მაინც ტკბილია 143
ეკონომიკის აპოლოგია..... 1455
სახელი თუ სახრავი? 1477
დაბნეულობა..... 148
ბედნიერი..... 14949
ის, რაც სჭირდება კაცთ მოდგმას 1500
ოპტიმიზმი..... 151
ყოფითი მენეჯმენტი 151
* * * 152
მოუსვენარი..... 152
ყოფითი მათემატიკა..... 153
მე რა მაოცებს ?..... 154
თანმხლებნი 155
კაცობრიობას..... 156
კვინტესენცია 157
წვდომის სირთულე..... 158
ბედნიერების დეფიციტი..... 160
სასოება 161
მიჰყევ სიმართლეს..... .161
* * * 163
ეგოიზმი..... 163
ერთადერთი..... 164
შავი პიარისტი 164
ნოსტალგია..... 165
ძებნა..... 166

გაუგებრობა 167
უსამართლობა 167
ასიმეტრია 168
კლეპტომანი 169
მომხვეჭელი 170
გულმავიწყობა 171
სიმშვიდისათვის 172
ფულის შოვნა 173
რწმენა 173
სიკეთის ძალა 174
ყოფითი სიბრძნე 174
ახალი დროის ფეოდალები 175
ბაზრის ფანები 176
დანიშნულება 178
განვითარება 178
ყოფის გამოცანა 178
თავისუფალი 179
საჯაროობა 180
ფუფუნება 182
მოლოდინი 182
საახალდროო 183
აბა, ვინაა თავისუფალი? 185
რიგითი 186
ერთმანეთსა ვჭამთ 187
არ კმარა ! 188
მშრომელის სიტყვა 189
კარგ კაცს დიდება 189
სიმდიდრე 190
ჩასაფრებული 191
ოდაბადე 192
განძი 192
ღამე 193
დასვენებული 194
* * * 194

ავები 195
სიმრუდე 195
პაექრობა..... 196
ქების ღირსი 196
განწყობა 198
რადგან ცხოვრობენ ქვეყნად ბავშვები..... 198
სიცარიელე 199
ცხოვრება გამოცანაა..... 200
სიცრუე განა ბევრი არ გვჯერა?..... 200
დაგვიანებული სამართალი 201
წუთისოფლის გულცივობა 201
გულგრილები 202
სისუფთავე 2033
ბავშვები 204
ცხოვრების გაუხცოება..... 2044
თეორეტიკოსი..... 205
წინდახედულება 2066
მლიქვნელები..... 206
გაუგებრები 207
როდის ? 208
* * * 20808
ჩვენ თვითონვე 20909
* * * .....ОШИБКА! ЗАКЛАДКА НЕ ОПРЕДЕЛЕНА.
სამართალი 210
თანაგრძნობა 210
ჭორი 211
შრომა..... 2122
შენ არ თავდები 2144
მამის დაბრუნება..... .215
სანამ დედა მყავს 216
ახალ თაობას 217
არა სიხარბე 218
ქველმოქმედი..... 219

მუშაობს წიგნი 220
ობივატელის მრწამსი 221
კეთილ კაცს კიდევ რა უნდა? 223
გზები 224
კარიკატურა? 224
თავსატეხი 225
მტრებს გაუმარჯვოთ! 2266
შიშის იერარქია 227
წესრიგი 228
კაიკაცობა 229
მაფიოზი 230
წრებრუნვა 231
შეუცვლელი წესი 232
ორი აკადემია 232
არამი ლუკმა 233
უცნობი მოლოდინი 233
ტიტულოსანი 235
ერთობა 237
ბაქიბუქობა 237
ინდიკატორი 237
ანარეკლი 238
გულისთქმა 239
ხედვა 240
იმედი 240
რაც ჩვენ გვაკლია 241
როგორ ჩაგთვალო ადამიანად ? 243
სიმართლე 243
სიკეთის მჯერა 244
რაც მსურს 245
ნატვრა 245
ლაღი ცხოვრება მინდა მე კიდევ 246
ვის რა ეკუთვნის? 247
ძალა რომ მქონდეს 247

იყავი ნაღდი 248
არასწორი 249
ახალი დროის ქამელეონი..... 250
ეკონომია 251
ტომბა კოჩი 253
გენეალოგია 254
უიმედობა 255
სიყალბე..... 256
მღვრიე აზრები 256
პატიოსანი..... 257
სიავე და სიკეთე 258
სიცხადე..... 258
ფულიანის დარდი 259
დრონი მეფობენ..... 260
ტაბუ ცდუნებებს 260
ავსიტყვა..... 261
უქმი სიმდიდრის ჩივილი 262
... ზაციები..... 263
ბედის განაჩენი 264
სწორი გზისკენ ! 264
არცოდნა..... 265
* * * 266
დილემა 266
პრობლემა 267
სინდის–ნამუსი..... 269
სიმართლის წესი 270
დაგვღუპავს მტრობა..... 270
ინდივიდუალიზმი 271
ჯილდო 272
პატიოსნება 273
არა მორჩილებას! 274
თავხედი უნდა უმალ შეაჩერო! 275
უიმედობა 275
ურყეობა 276

რატომ ? 277
სიხარბე 278
ახლომხედველს 278
სიჭრელე 279
გაბაზრება 280
ნაკლებობა 280
ბედის სამდურავი 281
წარსული 281
ნამდვილი 282
უპასუხო კითხვა 283
პატარა და დიდი 284
გამკლავება 284
* * * 285
კმაყოფილება 286
კვლავ დამაცალე! 286
მფრინავი წლები 288
რწმენა 289
ტიტული 290
სირცხვილი ჭამო – ცუდია 290
მე მწამს ქართველი 291
* * * 291
სკეპტიკოსი 292
ავენა 292
* * * 293
* * * 293
ცხოვრება ბრძოლაა 294
მოსაწონი 294
შეცვლილი განწყობა 294
უქნარა 295
ვაკჰანალია 296
შოპოჰოლიკებს 296
წყალტუბო 297
კინისკური 298
იდუმალი ისტორია 299

გზის მანათობლები 299
ეს პატარები 300
სიკეთე 301
გულგატეხილობა 301
ლოდინის ფასი 3022
მწარე სიმართლე 302
საიდუმლოება 303
კარგი ადამიანები 303
გარეწარი 304
თუთიყუშები 305
აზრი თუ ტაში 305
ინფარქტი სულის 3066
სიხარბისაგან 308
სასწაულები 309
შემთხვევითობა 310
მკაცრი ცხოვრება 311
მწვავე პროტესტი 312
წელში ვერ გამართულები 313
ხელოვნურობა 314
ნებისყოფა 315
კერძოობა 316
სიხარბის სენი 318
რა მჭირდება 319
თავდაჯერებული 319
გულცივობა 320
განცდა 320
კარგი მაინც ბევრია 321
შეგნების ბზარი 322
მიზანი 323
ობიექტურობა 324
მიმნდობი 326
* * * 327
ასე რად არის? 327

პესიმიზმი 328
ნიკალას სიმდიდრე 329
მღვიმიდან კოშკამდე 330
წესიერნო, გაიხარეთ! 331
თავხედი 331
ნათქვამს ივიწყებს ვინც 332
წინდაუხედავები 333
სოფლის დილა 333
განთიადი 335
ჩიტი გალიაში 336
სხვაგან რა მინდა 337
მუხური 337
გამჭვირვალობა 338
შეუპოვრობა 340
მოვალეობა 340
ამრევი აზრები 341
ხელები 342
ხმაური 342
ცოდნის დეფიციტი 343
იდეა თუ მატერია 346
ულოგიკობა 347
სიმშვიდე 348
იმედის დილა 348
კაცურკაცობაზე 349
საახალწლო 351
მთავარი არის ნატურა 352
ელეგია 353
თხოვნა 355
* * * 355
ფსევდო... 356
ჭეშმარიტების ძალა 357
უკუღმართობა 357
სიმართლის მაძიებელი 358
ბედის განსაცდელი 359

ხარბის ქცევა 359
გაიხედე უკან! 360
კურსდამთავრებულთა შეხვედრა უნივერსიტეტთან 361
შეგნებული 362
ამბიცია 363
გაგების ფასი 364
წარსულის აღქმა 364
ეგოისტი და ალტრუისტი 365
გაორებული 365
პირობა 366
სწორი ქცევა 367
თავდაყირა 36868
უქნარას 368
სწორი გზისკენ 369
* * * 369
* * * 370
აზიელობა 370
სიზარმაცე 3711
ნუ ითრგუნები 372
გაორება 3722
ერთადერთი 373
* * * 373
ტაბუ 374
ადამიანური 374
ჩვენ ვართ მაგრები 375
წინააღმდეგობრიობა 376
ყოფის კანონი 377
მერე რა? 377
ყავლგასული ბატონ კაცობა 378
წლების ტვირთი 379
არა საიუბილეო 380
ყიდვა–გაყიდვა 3811
ცოდვის სიუხვე 383
პატერნალიზმი 383

მხოლოდ კუთვნილი 384
გვიანი სამართალი 385
ხარ სულ პატარა 385
სიყალბე..... 386
* * * 386
სოფელი..... 386
საირმე..... 390
გამქრალი ჩინარი 391
ბურიანი 392
ჩემი ოდიში..... 393
კოლხეთი 394
ღამისთევა..... 395
უცხო ჩიტი..... 395
სიფხიზლე 396
ადამიანი 396
ხალხი 397
სიმართლის რწმენა 398
ჯადოქრობა 399
თვისტომს 400
მშენებლებს..... 401
ბიძაჩემი 402
უმაღლესი სიყვარული..... 403
მძლეველი..... 403
ბედთან შედავება 404
ჩვენი ტვირთი..... 405
მებრძოლი პაციფისტი 406
* * * 4077
მოგონება..... 408
ზედმეტი..... 408
მერკანტილიზმი..... 409
უკუღმა აზრი 410
ერეკებიან..... 410
ბედის მძევალი 411
ქედს ვუხრი 412

სოლიდარობა 413
გავამარტივოთ! 414
დედამიწელები 414
მოჭიდავე 415
რიტორიკული კითხვა 415
რომ არა 416
PANEM ET CIRCENZES 417
მოერიდე 4187
ნამდვილი სიღატაკე 418
საზღვარი 420
საშიში გაუფასურება 421
* * * 421
ბაქია 421
გაუხარელი 422
სიშიშვლე 422
მთავარი 423
პასუხი 423
უვარგისი 424
ზარმაცი 425
სატანჯველი 425
უკუღმა 426
უარყოფა 426
დაუძლეველი 427
ქარაგმა 428
ბალანსი 428
ეგზოტიკა 429
წერილები 429
პარაზიტი 430
შავო მერცხალო! 430
სიძულვილი 431
გამარჯვებული 432
ვითომ ? 432
გაჯგიმული 433
ნერვიულობა 433

სისუფთავე 434
მომხმარებელი 435
ვირტუალობა 435
ანტითეზა..... 4366
გაცვლა..... 4377
შთამომავლობა 4388
ცელქობა..... 439
ზღვასთან 441
მე სიყვარული მინდა..... 443
ნამდვილი და არანამდვილი..... 445
უმუშევარი..... 446
კონტრასტები 447
კმარა, დამთავრდეს! 448
აბსურდები 449
ყოფაჭამია 451
პარადოქსები 451
კომფორტი 453
ადამიანის მეტამორფოზი..... 454
ავადმყოფი..... 456
ძუნწი და გულუხვი 456
დანატოვარი 4588
აკადემიკოს პაატა გუგუშვილის საიუბილეო 459
გურამ ყუფუნიას 460
გარითმული სადღეგრძელო გიორგი შუბლაძეს 461
ჩემს წელთ აღმრიცხველს 462
მოგონება..... 463
* * * 463
სიყვარული..... 463
ეიფორია..... 4644
მრწამსი..... 464
მარტოობა 465
შთაგონებაა ჩემთვის საჭირო 465
ფერია..... 466
* * * 467

გახსენება 467
ნამცეცა 468
ზამთარი 469
გულმა ეს მითხრა 470
ვალენტინობაზე 470
საიდანა ხარ? 471
გზავნილები 472
არჩევანი 472
ქალებისადმი 473
რატომღაც 473
საღამო 474
სარვამარტო 474
დღეს კარგი დღეა 475
ბავშვური გრძნობა 475
მონატრება 476
განწყობილება 477
ზეშთაგონება 477
მოჯადოება 478
ხატება 4788
გადახვევა 479
დატყვევება 4800
ბედის სტუმარი 4820
ექსპრომტი ეკას 4821
დაბნეულობა 482
უსიყვარულოდ 483
იდეალი 484
მამაკაცებს 485
ფანჯარებთან 488
გაქრება სევდა 489
რამ გამახარა .....**ОШИБКА! ЗАКЛАДКА НЕ ОПРЕДЕЛЕНА.**
ორადობა 491
ინკოგნიტო 491
ჩემი ტრიადა 4922
განწყობა 493

* **.....493
გადაცდომა 493
ლოდინი..... 494
სათნოება..... 494
* * * 495
* * * 495
* * * 495
* * * 496
* * * 496
გამოხმაურება გიორგი მალაშხიას ლექსების კრებულზე
,,სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად. ცხოვრების ფილოსოფია“..497